

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

საქართველოს საისტორიო საზოგადოება

გვიანი ემპირია

დასრულებული
საუბრა



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1983

ნარკვევში გადმოცემულია საბჭოთა ხალხის ბრძოლის ისტორია იმ სამუხეუმო, სამონასტრო და სხვა სახის ქართული განძეულობისა თუ შესანიშნავი ხელნაწერების დაბრუნებისათვის, რომლებიც 1921 წელს გაიტანა უცხოეთში ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ. ნაჩვენებია საბჭოთა მთავრობის მიერ 1923—1945 წლებში მიღებული ღონისძიებები მათ დასაბრუნებლად.

ამ ბრძოლის ეპიზოდები განხილულია როგორც განუყრელი ნაწილი იმ დიდი ყურადღებისა ისტორიული ძეგლების მიმართ, რამაც ჰპოვა სრული ასახვა სსრკ უმაღლესი საბჭოს კანონში ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ (1976 წლის 29 ოქტომბერი) და საბჭოთა კონსტიტუციის 68-ე (შესაბამისად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 66-ე) მუხლში.

ამასთან, ნარკვევში აღნიშნულია ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა ღვაწლი გატაცებული საუნჯის დაბრუნების საქმეში 1923—1945 წლებში, განსაკუთრებით 1934 წლიდან, როდესაც საფრანგეთის მთავრობამ სასამართლო წესით მიითვისა ქართული განძეულობანი.

რედაქტორი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი ი. კ ა ჯ ა რ ა ვ ა



შესავალი



მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის ძეგლების მნიშვნელობა ყოველი ხალხისათვის მეტად დიდია. ამ ძეგლებში ჩაქსოვილია მშრომელთა მიერ შექმნილი ეროვნული კულტურის და ერის წარსული. ამ კულტურაში, როგორც სარკეში, აისახება ხალხის შემოქმედებითი უნარი, მისი ცხოვრება. ხოლო წარსულის ყოფიერებაში გაურკვეველად, წარსული ცხოვრების შეუსწავლელად შეუძლებელია აწმყოში გარკვევა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება.

კულტურული მემკვიდრეობის ღრმად შესწავლის აუცილებლობა-სა და უდიდეს მნიშვნელობაზე მიუთითებენ კ. მარქსი, ფრ. ენგელსი და ვ. ი. ლენინი.

ისტორიისა და კულტურის ძეგლები ყოველთვის არ იყვნენ ჯეროვნად დაცულნი და მოვლილნი, განსაკუთრებით დამოკიდებულ ქვეყნებში. იმპერიალისტურ სახელმწიფოებს გაჰქონდათ მათ მიერ დაბეჩავებული ქვეყნებიდან ძველი კულტურის ძეგლები და ეს განძი პოულობდა „თაემესათარს“ კერძო კოლექციებში.

უხვად იძარცვებოდა საუკუნეთა მანძილზე ჩვენი სამშობლოს საუნჯეც — საქართველოს ისტორიული ძეგლები. ყოველ იმ უამრავ შემოსევათა უამს, რომელთაც საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა საქართველო, მის შვილთა ზოცვა-ჟღერის, აცრა-გადასახლებისა და ქალაქთა და სოფელთა შემუსვრასთან ერთად, შემოსეულ მტარვალთ გაჰქონდათ აურაცხელი კულტურული ძეგლები...

როდესაც რუსეთს შეკედლებულმა საქართველომ მოიშუშა ჭრილობები და ჩვენს ხალხს გაუჩნდა შესაძლებლობა ნორმალური ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებისა და განვითარებისა, ჩვენი კულტურის ძეგლები, სამწუხაროდ, მაინც გადიოდა უცხოეთში გაბატონებული კლასების ზოგიერთი ანგარებიანი წარმომადგენლის წყალობით.

დიდსა და დაუფასებელ კულტურულ-შემკრებლობით საქმიანობას ეწეოდნენ ჩვენი ქვეყნის პატრიოტები — დიდი ქართველი მოღვაწენი და მეცნიერნი. ამ მოღვაწეთა დიდი მეცადინეობით და მოწინავე ქართველი ინტელიგენციისა და მშრომელთა ხელშეწყობით აღმოცენდა ქართული კულტურის საცავთა და განძეულობათა კერები: კავკასიის

მუზეუმი და მის ნიადაგზე შექმნილი საქართველოს მუზეუმი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, ქართლ-კახეთის სამღვდლოების საეკლესიო მუზეუმი, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, ეროვნული გალერეა, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი და სხვანი.

ამავე მუზეუმებში იქნა დაცული ქართულ ეკლესია-მონასტრებში და სასახლეებში (თბილისის, ზუგდიდის, ბორჯომის, ლიკანის) შემონახული განძეულობა და კულტურის ძეგლები.

საბჭოთა წყობილების დამყარებამდე და განმტკიცებამდე ყოველთვის ჯეროვნად არ იყო დაცული: ეს განძთსაცავები, ძეგრფასი ნივთები, ჭურჭელი და სხვ. საახროთმოდგეო და სხვა სახის ძეგლებს ზიანს აყენებდნენ შეუგნებელი და ბოროტმოქმედი პირები¹.

საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების-თანავე ვ. ი. ლენინის ინიციატივით საბჭოთა რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 1922 წლის 20 ივნისს მიიღო დადგენილება საარქივო და სამუზეუმო განძეულობათა საქართველოსთვის დაბრუნების შესახებ. ეს სწორედ საქართველოდან რევოლუციამდე გატანილი განძეულობის ის ნაწილი იყო, რომელიც საბჭოთა რუსეთმა 1923 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში დაუბრუნა კიდევ საბჭოთა საქართველოს.

ასევე დაიბრუნა ქართველმა ხალხმა საზღვარგარეთ 1921 წელს გატანილი ქართული ეროვნული კულტურის განძი.

წინამდებარე ჩვენი თხზულების მკითხველი დარწმუნდება, რა ზრუნვა გამოიჩინა საბჭოთა მთავრობამ 1921 წელს საფრანგეთში გატანილი ჩვენი საუნჯის დასაბრუნებლად.

განსაკუთრებით დიდია საბჭოთა მთავრობის ზრუნვა მშობლიური კულტურის საგანძურზე დღევანდელ პირობებში. ამის საუკეთესო დადასტურებაა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ 1976 წლის 29 ნოემბერს მიღებული „კანონი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

¹ აღმამოთბებელი ფაქტები ძეგლთა შელახვისა და გაფუჭებისა ყოველთვის იწვევდა ჩვენი საზოგადოებრიობის დიდ გულისწყრომას. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ზოლო წლებში გამოქვეყნებული საგაზეთო სტატიები არა მარტო ქართველი მოქალაქეებისა, არამედ არაქართველებისაც. იხ. გაზეთ „კომუნისტში“ 1978 წლის 9 დეკემბერს გამოქვეყნებული სტატია არკადი ჩერკასოვისა — იმე, თანამფლობელი, ბრალს ვებ...“, რომლის გამოხმაურებებს წარმოადგენდა 1978 და 1979 წლებში ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული რამდენიმე საყურადღებო სტატია.

ამ ზრუნვამ პოვა ასახვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციებში.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1977 წელს მიღებული კონსტიტუციის მეშვიდე თავში („სსრ კავშირის მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი“) 68-ე მუხლად შეტანილია:

„ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნებისათვის ზრუნვა სსრ კავშირის მოქალაქეთა მოვალეობაა“.

ამის შესაბამისად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1978 წელს მიღებული კონსტიტუციის მეექვსე თავში („საქართველოს სსრ მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი“) 66-ე მუხლად ჩაწერილია:

„ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა დაცვა-შენახვისათვის ზრუნვა საქართველოს სსრ მოქალაქეთა მოვალეობაა“.

ჩვენი ქვეყნის ისტორიული საუნჯე მტკიცედაა დაცული და სახელმწიფოს ზედამხედველობას ექვემდებარება.

ნაშრომი „დაბრუნებული საუნჯე“ ეძღვნება საბჭოური სახელმწიფოს კეთილშობილურ ღვაწლს, გაწეულს მენშევიკური მთავრობის მიერ 1921 წელს უცხოეთში გატანილი ქართული განძეულის სამშობლოში დაბრუნებისათვის.

მენშევიკების მიერ გატანილი ქართული ეროვნული საუნჯის სამშობლოში დაბრუნებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი გმირი-ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი. მკითხველი დაინახავს, რომ ექვთიმე თაყაიშვილის „ემიგრაცია“ იძულებითი იყო, იგი განძს გაჰყვა მომვლელ-შემნახველად უცხოეთში. ჩვენი ეროვნული განძი მასზე საიმედოდ ალბათ არავის შეეძლო დაეცვა, ერისათვის შეენახა იგი. უცხოეთში ყოფნისას თავდადებულმა მკვლელმა არაფერი დაზოგა საუნჯის გადასარჩენად, მრავალჯერ დაიფარა იგი მძიმე განსაცდელისაგან.

მენშევიკების მესვეურთა მიერ ეროვნული საუნჯის უცხოეთში გატანა ერთ-ერთი დიდი დანაშაულია ბოროტებათა იმ მწკრივში, რაც მათ თავიანთი მმართველობის ყამს ერის წინაშე მიუძღვით. ეს საქციელი დიდი დანაშაული იყო იმ დროს, როცა სამშობლოში ამ განძს საფრთხე არ ემუქრებოდა.

საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ საბჭოთა მთავრობა ყოველთვის და ყველგან დიდ მზრუნველობას იჩენდა ხალხის კულტურულ საგანძურისადმი. მენშევიკების მესვეურთა დანაშაულს ზრდის ის გარემოება, რომ საუნჯე გაიტანეს არსებითად ქართველი ერის უკითხა-

ჟად, თვითნებურად და, რაც მთავარია, არაფრად ჩააგდეს ის საშინელი 'საფრთხე, რომელიც შეექმნებოდა და შეექმნა კიდევ ჩვენს ეროვნულ საუნჯეს უცხოეთში, სადაც იგი, ერთ ხანს, უცხოელთა ნადავლადაც კი იქცა, და, საბჭოთა მთავრობის ზრუნვა რომ არა, სამუდამოდ სელიდან გამოგვეცლებოდა.

განძის მცველის ექვთიმე თაყაიშვილის თავდალებით აიხსნება ის გარემოება, რომ მთავარი საუნჯე — ჩვენი მუზეუმებისა და მონასტრების საუნჯე, აგრეთვე ზუგდილის ეკატერინესეული სასახლიდან, თბილისის სასახლიდან გატანილი და ზოგიერთი სხვა განძეულობა გაღარჩა გაყიდვა-დაკარგვას, მაგრამ მენშევიკებმა მაინც გაყიდეს დიდძალი ფასეულობა, მათ შორის ბორჯომის სასახლის ძვირფასი ნივთები (გაყიდვას გადაურჩა ამ სასახლის მხოლოდ მდიდარი ბიბლიოთეკა და სურათები), აუარება ვერცხლეული და სხვა ნივთები, რომელთაც ისინი თავიანთ „სავალუტო ფონდად“ თვლიდნენ, არსებითად კი ეს ქონება ისეთსავე ეროვნულ კუთვნილებას წარმოადგენდა, როგორსაც სამუზეუმო და სამონასტრო განძეულობა. ამ ნივთების ნაწილი ექვთიმე თაყაიშვილმა „სამუზეუმოდ“ სცნო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც გაიყიდა.

საუნჯის სამშობლოდან გატანის 13 წლის შემდეგ მენშევიკურმა მთავრობამ, როგორც მოსალოდნელიც იყო, არსებითად დაკარგა იგი. მათ ჩამოერთვათ იგი და ამ დროიდან დაიწყო მცველის ექვთიმე თაყაიშვილის ჭეშმარიტად გმირული ბრძოლა, რათა განძი ქართველ ერს, საბჭოთა საქართველოს დაბრუნებოდა. მკითხველი დარწმუნდება, რომ მთავარი ფაქტორი, რომლის მეშვეობითაც მოხერხდა ამ მამულიშვილური ბრძოლის კეთილად დაგვირგვინება, ჩვენს ეროვნულ საუნჯეზე საბჭოთა მთავრობის ზრუნვა იყო.

„დაბრუნებული საუნჯის“ ავტორმა გამოიყენა საარქივო მასალები, მოგონებები და უკვე გამოქვეყნებული ნარკვევები, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების, ხოლო შემდეგ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ხელნაწერთა აღწერილობები.

დიდი და მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინეს ნარკვევის ავტორს კონსულტაციებით ჩვენი ძველი საბუთების საცავებისა და მუზეუმების მეცნიერ მუშაკებმა. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებზე და ექვთიმე თაყაიშვილის ამ ინსტიტუტში დაცულ არქივზე მუშაობისას ნარკვევის ავტორი სარგებლობდა ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლის ელენე კელენჯერიძისა და ინსტიტუტის სეიფების მთავარი მცველის ლამარა ქაჯაიას კონსულტაციით. ფრიად მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინეს ავტორს საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის (ცსა), ოქტომბრის რევო-

ლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივისა (ორცა) და ლიტერატურული არქივის დირექტორებმა: სოლომონ ლეკიშვილმა, გიორგი ჩიქობავამ, ვახტანგ გურგენიძემ და არქივების მეცნიერ თანამშრომლებმა — ქრისტიანე ცხველაძემ და ლამარა ჯანაგრაშვილმა; კინოფოტოფონო დოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორმა ბონდო ჩიკვაიძემ და ამავე არქივის მეცნიერ თანამშრომელმა ზეინაზ ხინტიკრიამ. დაუფასებელი ღვაწლი დასდო ავტორს და დაეხმარა კონსულტაციით საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმის საგანძურის გამგე გურამ აბრამიშვილი, აგრეთვე ამავე მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლები: გიორგი მაქაცარია, გულნაზ ლორთქიფანიძე, ეთერ ალექსანდრია, ქეთევან ბაგრატიშვილი, მანანა ჭელიძე, ნანა ლაშხი, ლია დოლაბერიძე; საგანძურის განყოფილების მცველი და ნაქარგობის სექტორის გამგე ანა მახარაშვილი; ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე ალექსანდრე ჯავახიშვილი და მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელი კონსტანტინე ჩოლოყაშვილი; გ. ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი ლეილა ხუსკივაძე.

დიდი მზრუნველობა აღმოუჩინეს ავტორს ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა ელენე მეტრეველმა, მისმა მოადგილემ ლაშა ჯანაშიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსმა ვილი კაჭარავამ, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა შალვა ამირანაშვილმა, კ. მარქსის სახელობის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის მეცნიერ თანამშრომელმა და ქართველოლოგიის კაბინეტის გამგემ თამარ მაჭავარიანმა, ხელოვნების მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგემ ნატალია სოსნოვსკაიამ, ხელნაწერთა ინსტიტუტის სეიფის მცველმა ნინო აღამიამ, ინსტიტუტის სამკითხველო დარბაზის მეთვალყურე ელფრიდა ბარნაველმა და მეცნიერ თანამშრომელმა თამაზ ბარამიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკისა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის კაბინეტის თანამშრომლებმა.

დიდი დანმარება აღმოუჩინეს ნარკვევის ავტორს ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა და ცენტრალური სახელმწიფო არქივის ზუგდიდის ფილიალის (ცსაზფ) ხელმძღვანელებმა და მეცნიერ თანამშრომლებმა.

ავტორი დიდადაა დავალებული ფარნაოზ ლომაშვილისაგან, რომლის სასარგებლო შენიშვნები გათვალისწინებულია.

ავტორი გულითადი მადლობის გრძნობით აღნიშნავს გამომცემლობა „მეცნიერების“, აკადემიის სტამბისა და საქ. კ. პ. ც. კ.-ის გამომცემლობისა და სტამბის კოლექტივების ღვაწლს.



მას შემდეგ საუკუნის მესამედზე მეტმა განელო
 მახსენდება 1945 წლის გაზაფხული. სამამულო ომი დასასრულს
 უახლოვდებოდა ახლად მქონდა დაწყებული მუშაობა საქართველოს
 სახელმწიფო მუზეუმში, რომელსაც შემდეგ სიმონ ჯანაშიას სახელი
 ეწოდა.

ერთ დღეს — ეს იყო 11 აპრილი — მუზეუმში ატყდა ჩოჩქოლი,
 ხმა გავრცელდა: — განძი მოიტანესო.

მუზეუმის ეზოში საბარგო მანქანებმა შემოაგრიალეს საფრანგე-
 თიდან დაბრუნებული ქართული საუნჯე, რომელმაც თითქმის საუკუ-
 ნის მეოთხედი დაყო უცხოეთში. განძს მცველად მოჰყვა საბჭოთა
 ოფიცრების ფორმაში გამოწყობილი ორი ახალგაზრდა. რას ვიფიქრებ-
 დი, თუ დაახლოებით 28 წლის შემდეგ მომიხდებოდა მათი ახლოს გა-
 ცნობა და საუბარი ჩამოტანილ საუნჯეზე

საუნჯე მოათავეს საქართველოს მუზეუმის № 3 სეიფში, რო-
 მელიც მაშინ „მეტეხის“ მუზეუმის (მოგვიანებით საქართველოს სსრ
 ხელოვნების მუზეუმი) დროებით სარგებლობაში იმყოფებოდა.

სამი დღის შემდეგ, 14 აპრილს, საქართველოს სსრ სახალხო კომი-
 სართა საბჭომ გამოიტანა დადგენილება საფრანგეთიდან სამშობლოში
 დაბრუნებული განძეულობის მიმღები კომისიის შექმნის შესახებ. ამ
 სამუზეუმო ფასეულობათა მიმღები კომისიის თავმჯდომარე იყო საქარ-
 თველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი სიმონ ჯანაშია,
 წევრები: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებუ-
 ლი ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. მგა-
 ლობლიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი
 ა. აფაქიძე (კომისიის მდივანი), საქართველოს კომუნისტური პარტიის
 ცენტრალური კომიტეტის ლიტერატურისა და ხელოვნების სექტორის
 გამგე ს. ჭილაია და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი
 შ. ამირანაშვილი. სახკომსაბჭომ დაავალა კომისიას სამუზეუმო ფასე-
 ულობათა მიღების აქტისა და მუზეუმებს შორის განძეულობის განა-
 წილების პროექტის წარმოდგენა.

საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის არქივში დაცულია საქმე, რომელსაც ეწოდება: „მასალები საფრანგეთიდან დაბრუნებული ქართული სამუზეუმო განძეულობის შესახებ“. იგი შეიცავს ს. ჯანაშიას თავმჯდომარეობით მოქმედი კომისიის მოღვაწეობის მასალებს. კომისია შეუდგა მუშაობას თავისი დაარსებიდან ორი დღის შემდეგ — 16 აპრილს. მან ჩაატარა 57 პლენარული სხდომა; დამატებითი მუშაობა ჩატარდა ქვემოკომისიათა სხდომებზე. თავისი მოღვაწეობა კომისიამ დაასრულა 29 დეკემბერს, ე. ი. კომისიის მუშაობამ რვათენახევარს გასტანა.

კომისიის პირველი და მთავარი მიზანი იყო დაბრუნებული განძის მიღება და აღწერა. პარიზიდან ჩამოტანილი აღმოჩნდა განძეულობის შემცველი 44 ყუთი და ერთი შეკვრა, ე. ი. განძის შემცველი 45 ერთეული. 4 ივლისს კომისიამ მიიღო ნიუტების კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც უნდა შედგენილიყო ნიუტების კომისიისეული სია (ეს სია შედგენილ იქნა რუსულად და დაიბეჭდა 1946 წელს, შემდეგ ქართულად თარგმნა შ. ამირანაშვილმა). იმავე სხდომაზე კომისიამ ჩაიბარა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გადმოცემული ძვირფასი ექსპონატები — ეკატერინე დადიანის ფირუზებითა და მინანქრით შემკული ბაჯალლო ოქროს წყვილი სამაჯური, ნაწილი მისი შესანიშნავი გარნიტურისა, რომელიც ექვთიმემ პარიზში „კერძო გზით“ შეიძინა. კომისიამ ნიუტების სიაში ეს სამაჯურები ცალკე შეიტანა.

29 დეკემბერს შედგა კომისიის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც განიხილეს მუზეუმებს შორის განძეულის განაწილების საკითხი. კომისიამ შეამზადა პროექტი: საუნჯე უნდა განაწილებულიყო თბილისის სამ მუზეუმს — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, „მეტეხის“ მუზეუმსა და სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს შორის. იმავე დღეს დაიწერა კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის შემაჯამებელი აქტი. ჩანს, რომ, გარდა ჩამოტანილი განძეულობის შეჯერებისა სხვადასხვა სიებთან, კომისიას აუწონია კიდევ ოქროსა და ვერცხლის ზოგიერთი ნივთი და ნუმისმატიკური კოლექცია.

1946 წლის 23 იანვარს ს. ჯანაშიამ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობას ჩააბარა კომისიის მთელი საქმე თავისი დოკუმენტაციით, ხოლო 1947 წლის 16 იანვარს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება პარიზიდან დაბრუნებული სამუზეუმო განძეულობის განაწილების შესახებ ზემოხსენებულ სამ მუზეუმს შორის.

მთავრობის კომისიის მოღვაწეობა მხოლოდ ზემოთქმულით არ ამოიწურება. ეს მუშაობა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, როდ-

საც მოეწყო პარიზიდან დაბრუნებული ნივთების ნაწილის დროებითი გამოფენა. გამოფენა მოეწყო ჩვენი საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესის დასაკმაყოფილებლად. განძეულობა გამოფენეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დარბაზებში. გამოფენის მოწყობაში, ისევე როგორც საერთოდ, განძის ჩაბარებასა და მოვლა-პატრონობაში მონაწილეობდნენ ჩვენი მუზეუმების მეცნიერ თანამშრომლები: იროდიონ სონღულაშვილი, დავით კაპანაძე, ქრისტინე შარაშიძე, კონსტანტინე გრიგოლია, ლუბა მეფარიშვილი, ლილი ქუთათელაძე, ალექსანდრე ჯაფარიშვილი, მარგალიტა ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, ტარიელ ჩუბინიშვილი, თამარ აბრამიშვილი, ნიკო ქანთარია, აკაკი კლიმიაშვილი, მხატვარი ანასტასია ამბრიაშვილი და სხვანი.

დაუვიწყარია გამოფენის გახსნის დღე. ეს იყო 1945 წლის 15 აგვისტო. გამოფენის გახსნას წინ უძღოდა მთავრობის კომისიის თავმჯდომარის სიმონ ჯანაშიას მოხსენება. შემონახულია ამ მოხსენების სტენოგრაფიული ჩანაწერი.

ს. ჯანაშიამ თავის მოხსენებაში, რომელიც ჩვენი საუნჯის გატანისა და სამშობლოში დაბრუნების პირველ ისტორიულ ნარკვევს წარმოადგენს, მოკლედ დაახასიათა დაბრუნებული საუნჯე, გააცნო მსმენელებს ისტორია ჩვენი განძის იმ ხიფათის შესახებ, „რომელიც ქართველი ხალხის კულტურულ სიმდიდრეს ამ უძვირფასეს ძეგლებს დამოკლეს მახვილივით თავს დაკიდული ქქონდა ...“

„საყურადღებოა ისტორია ამ განძეულობის მოგზაურობისა და მისი დაცვისა საზღვარგარეთის სხვადასხვა პუნქტებში, — თქვა მომხსენებელმა. — ამ ისტორიის ვრცლად და დასაბუთებულად მოსახსენებლად ამჟამად მე, სამწუხაროდ, მასალები არ გამაჩნია, თავის დროზე ეს ისტორია დაიწერება; ერთი შეიძლება ახლა ითქვას, რომ განძეულობამ გამოიარა სრულიად განსაკუთრებული ოდისეა, ვიდრე თავის ნამდვილ პატრონს დაუბრუნდებოდა ამა თუ იმ სახით ...“.

ს. ჯანაშიას მიერ ნახმარი ეს გამოთქმა — „განძეულობის ოდისეა“ შემდეგ შემოვიდა ხმარებაში.

მსმენელები აღტაცებით შეხედნენ მომხსენებლის უკანასკნელ ფრაზას, რომ ამიერიდან დაბრუნებული საგანძური ქართველი ხალხის მიერ მტკიცედ იქნება დაცული.

გამოფენამ დამსწრე საზოგადოებას წარმოუჩინა ძველი ქართული ხელოვნების ფასეულობანი, ბრწყინვალე ნიმუშები იმ კულტურისა, რომლის განვითარება ვერ შეაჩერა უამთა სიაყემ, გარეშე მტრების ურიცხვმა შემოსევებმა და მტარვალობამ ...

მნახველთ იხილეს ძველი ქართული ხელნაწერები. აი, ზოგიერთი მათგანი:

შოთარუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ სამი მეტად ძვირფა-

სი ხელნაწერი, გატანილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმიდან: 1. გადაწერილი 1680 წელს ცნობილი კალიგრაფის ბეგთაბეგის მიერ ქართლის მეფის გიორგი XI-ის ბრძანებით; წიგნის ყველა არშიამ შემოინახა ოქროთი ნახატი ბორღიურები; წიგნი ჩასმულია ოქროთი ნატიფურ ყდაში. 2. გადაწერილი 1671 წელს. ტექსტი მოთავსებულია ფერადითა და ოქრომელნით შემოხაზულ ჩარჩოებში, ჩასმულია ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაში. 3. „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა შორის უძველესი, გადაწერილი 1646 წელს ლევან II დადიანის კარზე, იმერეთის მეფის მდივნის მამუკა თავაქარაშვილის მიერ; წიგნი ჩასმულია ტყავგადაკრულ ტიფურულ ხის ყდაში.

პროკლე დიადოხოსის „კავშირის“ თარგმანი კომენტარებითურთ, გამონივნილი ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწისა; XII—XIII სს. ხელნაწერი, ჩასმული ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაში. პეტრიწის შრომათა ეს უძველესი ხელნაწერი, ჩამოტანილი თბილისში შიომღვიმის მონასტრიდან, უცხოეთში გატანილია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმიდან.

ეფრემ მცირის თარგმანთა კრებული, ნაწერი XII საუკუნის დამდეგისათვის დამახასიათებელი ნუსხურით, ჩასმული სადა ყდაში, გატანილი საეკლესიო მუზეუმიდან.

X საუკუნის ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფის მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული, ძველი ქართული სანოტო ნიშნებით, ე. წ. „იადგარი“. ნაწერი კარგად დამუშავებულ ეტრატზე. განსაკუთრებული მნიშვნელობის უნიკალური ძეგლი, გატანილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმიდან.

„ტბეთის ოთხთავი“ — XII საუკუნის ხელნაწერი, ეტრატზე ნუსხურით ნაწერი, რესტავირებული XVIII საუკუნეში. მისი გადამწერია იოვანე ფუკარალისძე, მომგებელი (დამკვეთი) — პაულე შტბევარი. შეიცავს მახარებელთა (ევანგელისტთა) ფერად პორტრეტებს. ყდას დაკრული აქვს ქართული ხელოვნების ისტორიაში ცნობილი მოოქრული ვერცხლის მოჭედნილობა, რომელიც დაზიანებულია. მასზე გამოხატულია ჯვარცმა, ღვთისმშობელი, მოციქულები და ანგელოზები. მთელ კომპოზიციას გარს შემოვლებული აქვს ფოთლოვანი ორნამენტი. უცხოეთში გატანამდე ეს ხელნაწერი შეადგენდა სამონასტრო ქონებას.

„ბერთის ოთხთავი“ — XII საუკუნის ძეგლი. ეტრატზე ნაწერი კლასიკური ნუსხურით, შექმული მახარებელთა მინიატურული გამოსახულებებით, ჩასმული მოოქრულ ვერცხლის ყდაში, მოჭედილი

სახელოვანი ოსტატის ბეშქენოპიზარის მიერ. ყდის წინაპირზე რელიეფურადაა გამოსახული ჯვარცმა, ღვთისმშობელი, იოანე მახარებელი და ანგელოზები სათანადო კლასიკური ასომთავრული წარწერებით. იგი შემკულია ძვირფასი თვლებითა და მარგალიტის მძივით. ყდის ზურგზე რელიეფურადვეა გამოსახული ქრისტე, ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი სათანადო წარწერებით. ორივე კომპოზიცია გარსშემოვლებულია წვრილი, გრეხილი ორნამენტის ჩარჩოთი, კუთხეებს ამშვენებს ფოთლოვან-ყვავილოვანი რელიეფური შემკულობა, მოჩარჩოებული, წვრილი ორმაგი ჭედური გრეხილით. ქვედა ყდაზე ქრისტეს რელიეფის ქვემოთ ასომთავრულით ამოტვიფრულია „მოიჭედა კელითა ბეშქენ ოპიზრისაითა“. ხელნაწერი გატანილია გელათის მონასტრის საგანძურიდან.

იმავე საგანძურიდან გატანილი XII საუკუნის შესანიშნავი ძეგლი — „წყაროსთავისოთხთავი“, ეტრატზე ნაწერი კლასიკური ნუსხურით, გადაწერილი ორი გადამწერის: იოვანე ფუკარალისძის მნათისა და გიორგი სეთაის ძის ხელით, ჩასმული მოოქრულ ვერცხლის ყდაში, მოჭედილი სახელოვანი ბექა ოპიზარის მიერ. ყდის წინაპირზე რელიეფურადაა გამოსახული სათანადო ასომთავრული წარწერებით: ჯვარცმა, ღვთისმშობელი, იოანე მახარებელი და ანგელოზები; კომპოზიციას შემოვლებული აქვს ვერცხლის გრეხილი ჩარჩო; გრეხილისავე ორმაგი ჩარჩო ახლავს მოჭედილობის დანარჩენ ნაწილსაც. ყდის ქვედა ნაწილზე ტახტზე მჯდომარე ღიღებით მოსილი ქრისტეა გამოსახული, მის აქეთ-იქით — ღვთისმშობელი და იოვანე ნათლისმცემელი. ყდის ორივე ნაწილი შემკულია ძვირფასი თვლებით. ყდის ქვედა ნაწილზე ასომთავრულითაა ამოტვიფრული: „ქრისტე შეიწყალე ოქრომჭედელი ბექამ ოპიზარი“.

„გელათისოთხთავი“, XII საუკუნის შესანიშნავი ძეგლი, გატანილი გელათისავე საგანძურიდან. მისი ტექსტი ნაწერია ეტრატზე იშვიათი სილამაზის კლასიკური ნუსხურით; საწყისი ასოებისა და ზოგი გამოსაყოფი სტრიქონებისათვის ნახმარია ფერუცვლელი ოქრომელანი. ხელნაწერი შეიცავს სამასამდე მინიატურას, შესრულებულს განსაკუთრებული ოსტატობით. აღნიშნული ხელნაწერის მხატვრობა შუასაუკუნეების ქართული მხატვრობის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ძეგლად ითვლება. წინაპირზე გამოკვეთილია ჯვარცმის კომპოზიცია, შემკული ვერცხლის ბუდეში ჩასმული რამდენიმე ათეული თვლით, მომეტებულად ლალებით. ყდის ზურგზე გამოკვეთილია აღდგომის კომპოზიცია.

„ვარძიისოთხთავი“ — XII—XIII სს. ეტრატზე ნუსხურით ნაწერი, შემკული მახარებლების გამოსახულებებითა და თავსართებით. ტექსტის მცირედი ნაწილი და საწყისი ასოები შესრულებუ-

ლია ოქრომელნითა და ფერადებით. ხელნაწერის კიდევები მოტივიფრულ-მოოქრულია, ხელნაწერის მოჭედილ მასიურ ვერცხლის მოოქრულ ყდაზე რელიეფურადაა გამოსატული ღრუბლებზე ფეხდაყრდნობით ტანტზე მჯდომარე ქრისტე; კუთხეებში ოთხ მედალიონში მახარებლებია გამოსატული.

„მოქვის ოთხთავი“ მარტილის მონასტრიდან გატანილი, ნაწერი ეტრატზე ღია ყავისფერი მელნით, ნუსხურით, უხეად შემკული თავსართებითა და მინიატურებით. მომგებელია მოქვის მთავარეპისკოპოსი დანიელი, გადამწერი — ეფრემი. გადაწერილია 1300 წელს. ფიცრული ყდა ზემოდან გადაკრულია წითელი ხავერდითა და მოოქრული ვერცხლის მოჭედილობით, შიგნით კი მუყაოზე დაკრული ტყავით. მოჭედილობის ცენტრში გამოსახულია ჯვარცმა, კუთხეებში — ანგელოზები; ჯვარცმის ზემოთ ამადლებია გამოსატული, ქვემოთ მღვდელმთავარი. ჯვარცმის მარჯვნივ და მარცხნივ კი ანგელოზები. ს. ჯანაშიას თქმით — „მოქვის ოთხთავი“ იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ იგი „შესრულებულია მაშინ, როდესაც საქართველოს ნახევარ საუკუნეზე უფრო ხანგრძლივ ჰქონდა გამოვლილი მონღოლთა ბატონობის უღელი და ეს ძეგლი მჭევრმეტყველურად მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორ გრძელდებოდა ჩვენი კულტურული შემოქმედება, როგორ შეინარჩუნა ხალხმა მისი მაღალი დონე ამ უძძიმესსა და უძნელეს პირობებში“.

გარდა შესანიშნავი ხელნაწერებისა, უცხოეთში გატანილ განძში იყო რამდენიმე პირველნაბეჭდი სახარება, 1709 წელს ნუსხურად ნაბეჭდი ვახტანგის სტამბაში.

როგორც ცნობილია, სულ საზღვარგარეთ გატანილ იქნა 62 წიგნი, რომელთა დიდ ნაწილს ხელნაწერები წარმოადგენდა.

ხელნაწერებთან ერთად გამოფენილი იყო უცხოეთში გატანილი შესანიშნავი ძეგლები მატერიალური კულტურისა.

მივუთითებთ მხოლოდ რამდენსავე ექსპონატზე, ზემოსხენებული დროებითი გამოფენის მშეენებას რომ წარმოადგენდნენ. პირველ ყოვლისა არქეოლოგიურ კოლექციებზე შეეჩერდებით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან რომ იყო გატანილი. აქ იყო ფრიად ცნობილი კოლექციები: ახალგორის განძი, პანტიკაპეის კოლექცია, სტეფანწმინდის განძი, ნივთები სარგვეშიდან, ქსნის ხეობიდან, მცხეთის და მცხეთის რაიონიდან, ჩრდ. კავკასიიდან და ა. შ.

ამ კოლექციებს შორის არქეოლოგები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ახალგორის განძს, ჩვენი კულტურის დიდებულ ძეგლს, რომელსაც ძველი წელთაღრიცხვის VI—IV საუკუნეებით ათარიღებენ. განძი აღმოჩენილ იქნა ქსნის ხეობაში, ახალგორის (დღევანდელი ლენინგორის) მახლობლად, სოფ. საძეგურში, რომელიც

მღებარეობს მდ. ქსნის მარცხენა ნაპირას, იქ, სადაც აღნიშნულ მდინარეს ერთვის საძვეურის წყალი.

ამ უკანასკნელის მახლობლად მიკვლეულ მდიდრულ სამარხში დაფლული აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და თიხის ნივთები. სამარხს შემთხვევით წასწყდომიან სოფლის მცხოვრებნი, ძვირფასი ნივთები მიუთვისებიათ და ნაწილი გაუყიდათ კიდეც. ამ უკანასკნელთა მიკვლევასა და გამოსყიდვაში დიდი როლი შეასრულა ე. თაყაიშვილმა, რომელსაც მაშინ რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების მდივნის თანამდებობა ეჭირა. 1908 და 1909 წლებში მან მოახერხა ამ შესანიშნავი განძის კავკასიის მუზეუმისათვის შექმნა. ზოგი ნივთიც გათხრების გზით მოიპოვა. განძის აღმოჩენისთანავე მისი შესწავლა დაიწყო რუსმა მკვლევარმა იაკობ სმირნოვმა, რომლის წიგნი „ახალგორის განძი“ („Ахалгорийский клад“) 1934 წელს, უკვე ავტორის გარდაცვალების შემდეგ, გამოსცა გ. ჩუბინაშვილმა.

ახალგორის განძში როგორც მხატვრული, ისე არქეოლოგიური მნიშვნელობის მხრივ ი. სმირნოვი პირველ ადგილს მიაკუთვნებს წყვილ სასაფეთქლე საკიდ სამკაულს, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს წყვილი ცხენების გამოსახულებას. სამკაულის ზედა ნაწილს ქმნიან მრგვალი ვარდულები, რომელთა მაქსიმალური სიგანე 35 მილიმეტრია. ვარდულის ყვავილს წარმოქმნიან ფართოწვეტიანი ფურცლები, რომელნიც ერთმანეთს ფარავენ. წინა პლანზე გამოსასულია ჯვრისგვარად ოთხი ფურცელი, მეორეზე — კვლავ ოთხი, მაგრამ დახრილი, მათ შორის კი მოჩანს მესამე წყების ფურცლების რვა ბოლო. ყველაზე საინტერესოა სამკაულის ქვედა ნაწილი — ორი წყვილი ცხენი, მეტად სკრუპულოზურად დამზადებული. ყოველი ცხენის სხეული შედგება ორი ურთიერთ მირჩილული წინასწარ გამოჭედილი ნაწილისაგან. ცხენების ცხვირზე და გაეაზე რჩილვა ისე სუფთადაა შესრულებული, რომ არაფერი ამჩნევია. ცხენების მთელი სხეული, თავისა და გავის გარდა, შემკულია გავარსით შესრულებული სახეებით, რომელნიც, ალბათ, ცხენის გადასაფარებელს გამოსახავენ.

ი. სმირნოვის ანაზომების თანახმად, სამკაულის სიმაღლეა: ერთისა — 129,5 მმ, მეორისა — 131,5 მმ; სიმაღლე ვარდულისა, ვერტიკალური ზოლისა და უნაგირისა ერთად — 75 მმ; სიმაღლე ცხენებისა — 44,1 მმ; უნაგირის ქვედა ნაწილამდე — დაახლოებით 30 მმ; მაქსიმალური სიგრძეა — 42 მმ და 40,5 მმ. მაქსიმალური სიგანე — 29 მმ და 29,5 მმ. ერთი საკიდი იწონის 100,74 გრ, მეორე — 101,46 გრ.

ძველი ქართული ხელოვნების შედეგები — წმ. მამას (მამანტის) მ ა ლ ა რ ე ლ ი ე ფ უ რ ი (მ ო რ ე ლ ი ე ფ უ რ ი) გ ა მ ო ს ა ხ უ ლ ე ბ ა, გატანილი გელათის მონასტრიდან, რომელსაც ცნობილი რუ-

სი ხელოვნების ისტორიკოსი, ხატების დიდი სპეციალისტი ნ. კონდაკოვი XI—XII საუკუნეებით ათარიღებს, გ. ჩუბინაშვილი — XI საუკუნის დამდეგით, ხოლო შ. ამირანაშვილი — VI—VII საუკუნეების პერიოდით. გ. ჩუბინაშვილი უწოდებს მას „უნიკალურ ვერცხლის ჭედურ ტონდოს“ (დისკოს). მისი გაზომვის თანახმად, მრგვალი ვერცხლის ფირფიტის დიამეტრია 20,5 სმ და იგი 407 გრამს იწონის.

იმისათვის, რომ გამოსახულებისათვის მეტი შთამბეჭდაობა მიეცათ, ოქროთი დაუფერიათ მხოლოდ ნაწილები: წმ. მამას შარავანდელი, ჯვარი, თმა, ჩასაცმელი, ლომის ფაფარი. ესაა ვერცხლზე ქართული პლასტიკის შესანიშნავი კმნილება: მაღალი რელიეფი ზოგან სკულპტურულ გამოსახულებას უახლოვდება.

გამოფენილ ექსპონატთა შორის იყო მარტიელის მონასტრიდან გატანილი შესანიშნავი განძი — ოთხი ნივთი. ისინი მარტიელის მონასტერშივე ინახულა ნ. კონდაკოვმა და დ. ბაქრაძის დახმარებით აღწერა.

ერთი მათგანია სამღვდელმთავრო გულსაკიდი ოქროს საკეცი ჯვარი (14,3 X 10 სმ), მასში მოთავსებულია ჯვარი, ნაკეთები „ძელისაგან ჭეშმარიტებისა“. ჯვრის წინა მხარეზე შუაში მთელი ტანითაა გამოსახული ღვთისმშობელი ყრმით ხელში; ჯვრის მკლავებზე გამოსახულია წელზევითა ნახევარფიგურები ოთხი მახარებლისა. ფიგურული გამოსახულებანი საკვეთითაა შესრულებული ოქროზე და შემდეგაა მიმაგრებული ოქროს ფონზე. შარავანდედები და კვარცხლბეკი, რომელზედაც ღვთისმშობელი დგას, ისევე, როგორც ორი ვარდული ღვთისმშობლის ორსავე მხარეს, ტიხრული მინანქრისაა. ჯვრის ზურგზე გამოსახულია ჯვარცმა. ქრისტე შემოსილია გრძელი უსახელოებო კვართით. მას ოდნავ აქვს დახრილი თავი, თვალები გახელილი აქვს. იგი გამოსახულია ცისფერი ჯვრის მინანქრის ფონზე; მისგან მარჯვნივაა ღვთისმშობლის წელზევითა ნახევარფიგურა, სამი მეოთხედით შეილისაყენ მიბრუნებული, სევდის ნიშნად ხელები გაშვებული აქვს. ქრისტეს მარცხნივაა მწუხარე იოანეს წელზევითა ნახევარფიგურა. ზემოთ გამოსახულია მიქელ მთავარანგელოზი, ქვემოთ — გაბრიელ მთავარანგელოზი. ყველა ფიგურის შარავანდედები და ჯვარი მინანქრითაა ნაკეთები; ფიგურული გამოსახულებები ამოკვეთილია ოქროზე და შემდეგაა მიმაგრებული ოქროს ფონზე. ჯვარი მდიდრულადაა შემკული ძვირფასი თვლებითა და მარგალიტის ასხმებით. ხელოვნების ამ შედევრს VIII—IX საუკუნეებს აკუთვნებენ. იგი 369 გრამს იწონის³.

³ ნ. კონდაკოვი ამ ჯვრის შესახებ წერს: «Трудно было бы дать даже приглядительное понятие о необыкновенной красоте самых фигур, высокой чистоте и осмысленности их... стилия; никакой рисунок не может передать всей тонкости экспрессии и стилистичности черт, овалов, драпировки...»

მეორეა სამღვდელმთავრო გულსაკიდი საკეცი ოქროს ჯვარი (13,1 X 9,4 სმ), ღვთისმშობლის, წმ. დიმიტრის, წმ. ნიკოლოზისა და იოანე ოქროპირის მინანქრის ფიგურული გამოსახულებებით, მოჭედული ძვირფასი თვლებით, რომელსაც X საუკუნით ათარიღებენ, მისი წონაა 268,5 გრ.

მესამეა ოქროს მედალიონისებრი ჯვრის მსგავსად მომრგვალებული ფორმის პანაგია (7,7 X 5,2 სმ), შემკული მარგალიტის ორი ასხმით. მედალიონზე წარმოდგენილია „ჯოჯოხეთის წარტყვევნა“. გამოსახულებები შესრულებულია ტიხრული მინანქრით. პანაგიას X საუკუნით ათარიღებენ, იგი 69 გრ იწონის.

დაბოლოს, მარტილური განძის მეოთხე ნივთია სახატესნაირი ოქროს მართკუთხა სანაწილე (6,4 X 3,5 სმ), რომლის ხუფი და ნაპირები შემკულია ძვირფასი თვლებით. სანაწილეზე გამოსახულია მჯდომარე ქრისტე. სანაწილეს X საუკუნით ათარიღებენ. მისი წონაა 155 გრ.

მეფე დავით კურაპალატის ჯვარი. ვერცხლის მოჭრული დიდი ჯვარი ასომთავრული წარწერებით. ჯვრის წინა მხარეზე წარწერაა: „ქრისტე აღიდე დღეგრძელებით დავით კურაპალატი. ამინ.“ ჯვარს ზურგზე წარწერილი აქვს მისი გამომჭედავი ოსტატის სახელი: „ასათ მოქმედი“.

გ. ჩუბინაშვილი მაღალ შეფასებას აძლევს ასათ მოქმედის დიდად ნიჭიერ ოსტატობას და ჯვარს X საუკუნის უკანასკნელ ოცდაათწლეულს აკუთვნებს. ჯვარი შემთხვევით ყოფილა აღმოჩენილი. იგი უპოვია 1898წელს გორის მაზრის სოფელ ბრილის მცხოვრებ გლენს პეპო ქართველიშვილს ძველი მარნის კედლის დანგრევისას და გადაუცია ადგილობრივი ეკლესიისათვის, საიდანაც ეს უკანასკნელი გადაეგზავნა საეკლესიო მუზეუმს, რომელიც სხვა ექსპონატებთან ერთად აღწერა მოსე ჯანაშვილმა საეკლესიო მუზეუმის ნივთების მის მიერ შედგენილ კატალოგში.

დავით აღმაშენებლის ჯვარი. გამოტანილია გელათიდან. ჯვარი ნაკეთებია ვერცხლის ერთი მთლიანი მოოქრული ფირფიტისაგან, აქვს ოთხი მართკუთხა მკლავი; ჯვრის სიმაღლე 42,2 სანტიმეტრია. ჯვრის ზურგი სრულიად სადაა. წინამხარე შემკულია გამოსახულებებით. ჯვრის ოთხსავე მკლავს ამშვენებს მრგვალი მედალიონები, რომლებშიც წმინდანების გამოსახულებებია სათანადო წარწერებით. ზემო მკლავზე ერთი მეორის გვერდით ორი ანგელოზია გამოსახული; მათ ქვეშ მედალიონია წმ. პეტრეს გამოსახულებით; მარცხენა მკლავზე ერთმანეთის გვერდზეა ორი მედალიონი მათე და შარკოზ მახარებლების გამოსახულებებით; მარჯვენა მკლავზე, აგრეთვე, ორი მედალიონია ერთმანეთის გვერდზე — ლუკა და იოანე მახარებლების გამოსახულებებით; ქვედა მკლავზე ერთი მეორის ქვეშაა

განლაგებული ორი მედალიონი წმ. ბარბარეს და წმ. პავლეს გამო-
სახულებებით. ჯვარის მკლავები შემკულია თვლებით.

ჯვარის ქვედა მკლავის ძირშია 4,7 სანტიმეტრის სიმაღლის ოქროს
ფირფიტა, რომელზედაც ნ-სტრიქონიანი ასომთავრული (ყოველი
ასო შიგნით მოსვეადებულია) წარწერაა: „ღმერთო, ყოვლისა დამბა-
დებელო, აღიდე შენ მიერ გუიერგუინოსანი დავით, აფხაზთა და ქარ-
თველთა, ჰერთა და კახთა მეფე, მზე ქ^ეენანობისაი⁴. ამინ“.

გ. ჩუბინაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებით, გელათური
ჯვარი, რომელსაც, გადმოცემის თანახმად, დავით აღმაშენებელი ლა-
შქრობებში ყოველთვის თან დაატარებდა, გაცილებით უფრო ადრე
უნდა იყოს გამოჭედილი, შესაძლებელია ბაგრატ III-ის დროს ანდა
უფრო ადრეც, IX საუკუნეში. ჯვარი ძველი დროიდან იყო მოსილი
ძღვეამოსილების სახელით. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელს მხო-
ლოდ შეუშკია თავისი წარწერით ძველადვე სახელმწიფოებრივი ჯვარი.

თ ა მ ა რ მ ე ფ ე ს გ უ ლ ს ა კ ი დ ი ჯ ვ ა რ ი. ხობის მონასტრი-
დან გამოტანილი ბაჯალლო ოქროს ჯვარი (6,7 X 4,1 სმ). შედგება ოთ-
ხი თლილი ზურმუხტისაგან, რომელთა კიდეებზე და ცენტრში ჩასმუ-
ლია ხუთი მსხვილი ლალი; ჯვარის მკლავებს შორის დამაგრებულია ოთ-
ხი მსხლისებრი მსხვილი მარგალიტი; ორი ასეთივე მარგალიტი განლა-
გებულია აქეთ და იქით იმ სახსრისა, რომელიც აერთებს ჯვარს აყუ-
რულ მძივთან. ჯვარის ზურგზე სვეადითაა შესრულებული ასომთავრუ-
ლი წარწერა: „ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯუარისაო, შენითა წინ[წარ]-
ძღომითა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალ-
სა თამარს“.

იქვე ესვენა ოქროს ორკარედი კილობანი (14 X 11 სმ), შემკული
ძვირფასი თვლებით (ფირუზი, საფირონი, იაგუნდი, ამეთეისტო),
რომელშიც ჯვარის სახედ ჩაჭრილ ბუდეში ინახებოდა თამარის ჯვარი.
ეს კილობანი დაუმზადებიათ თამარ მეფის შეკვეთით. 1927 წელს
მთავრობის სპეციალურმა კომისიამ ეს ჯვარი თავისი სასვენებლით ორ
მილიონ ოქროს მანეთად შეაფასა.

გამოფენაზე იყო XVI საუკუნის ორი შესანიშნავი ძეგლი, ორივე
დამზადებული აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონ ჩხეტიძის დაკვეთით.
ორივე გატანილი გელათიდან.

პირველი მათგანია ცნობილი ბ ი ჭ ვ ე ნ ტ ი ს ღ ე თ ი ს მ შ ო ბ-
ლ ი ს ხ ა ტ ი. გელათში ინახულა ეს ხატი არაერთმა ცნობილმა მეცნი-
ერმა, მათ შორის ნ. კონდაკოვმა და აღწერა იგი (ხატის ზომაა 40 X 32
სმ). ხატის ზედაპირზე ცენტრში გამოსახულია ღვთისმშობელი მთელი
ტანით, მარცხენა ხელზე მჯდომი ყრმით; მის გარშემო ლამაზ ორნამენ-

⁴ იმ დაქარაგმებულ სიტყვაში აკაკი შანიძემ ამოიკითხა: „ქრისტიანობისაი“.

ტშია ჩანასკეული გამოსახულებანი და ასომთავრული წარწერები. ზემოთ, მარცხნივ და მარჯვნივ გამოსახულნი არიან მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზები, ქვემოთ — იოანე ნათლისმცემელი და იოანე ოქროპირი.

ხატი უხვადაა შემკული ძვირფასი თვლებით — ფირუზით, ლალით, საფირონით, კვარცით და სხვ. ხატის ვერცხლის ზურგზე ასომთავრულით ამოკვეთილია 14-სტრიქონიანი წარწერა, რომელიც იუწყება, რომ ხატი შეამკო ოქროთი, თვლებითა და მარგალიტით „ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზმან ევდემონ ჩხეტისძემან“ და დაასვენა „ტაძარსა წმინდასა ღმრთისმშობლისასა ბიჭუინტისასა“ 1568 წელს; წარწერაში იხსენიებიან: „დადიანი მამია ... და ძე მისი დადიანი ლეონ ...“, ე. ი. ოდიშის მბრძანებლები მამია III დადიანი და ლევან I მამიას ძე დადიანი, რომელიც მბრძანებლობდა 1532 — 72 წლებში. ეს ხატი გ. ჩუბინაშვილს მიაჩნია XVI საუკუნის ქართული ოქრომკვდლობის აღმავლობის ნიმუშად.

მეორეა ევდემონ ჩხეტისძისავე დაკვეთით დამზადებული ე. წ. გელათის მონასტრიდან. ჯვარი შედგება 11 ასასხმელი ნაწილისაგან. უცხოეთში გაიტანეს იგი დაშლილად და დაშლილადვე ჩამოიტანეს სამშობლოში. დაუშლელ მდგომარეობაში ჯვარი (25,3 X 17,5 სმ) ემყარება მომცრო სფეროს (დიამეტრი — 4,3 სმ), რომელიც, თავის მხრივ, დაყრდნობილია წმ. ნაწილების მოსათავსებელ სიონზე (16 X 8,4 სმ); ეს უკანასკნელი ემყარება მოზრდილ სფეროს (დიამეტრი — 5,8 სმ), რომელიც წამოცმულია ძეწკვიან ოქროს მილაკზე (სიგრძე — 14,3 სმ.).

მათი გაგრძელებაა ერთი მეორეზე წამოსაცმელი სამი მოზრდილი სფერო და სამიც მილაკი, რომელნიც შეადგენენ ჯვრის ტარს. ტარზე ასაცმელი მოზრდილი სფეროები და მილაკები ორნამენტირებულია. ჯვრის წინა მხარეზე გამოსახულია ჯვარცმა ასომთავრული წარწერით; ჯვარცმა გარშემოვლებულია მარგალიტებით, ლალებითა და ფირუზებით; ქრისტეს ფერხთან ჩასმულია დიდი კვარცი. ჯვრის ოთხივე მკლავის ბოლოებთან შედალიონებია, რომლებზედაც გამოსახულნი არიან სათანადო წარწერებით: მთავარანგელოზი, ღვთისმშობელი, იოანე მახარებელი და წმ. ნიკოლოზი. ჯვრის ზურგზე მოთავსებულ სტილიზებულ 18-სტრიქონიან წარწერაში იხსენიებიან: „მეფეთა მეფე პანკრატი“, „დედოფალი მართა“ და „ძე მათი მეფეთა მეფე გიორგი“, ე. ი. იმერეთის მეფე ბაგრატ III, მისი თანამეცხედრე დედოფალი მართა და ძე მათი, იმ დროს, მბრძანებელი გიორგი II (1563 ან 1564 — 1585); იმავე წარწერაზე იხსენიებიან: „დადიანი მამია“, „დედოფალი ელისაბედ“ და „ძე მათი ლეონ“, ე. ი. მამია III დადიანი, მისი თანა-

მეცხედრე ელისაბედი და ძე მათი, იმ დროს მბრძანებელი ლევან I მამიას ძე დადიანი (1532—72).

ერთ-ერთ მოზრდილ სფეროზე გაკეთებულ სტილიზებულ 4 სტრიქონიან წარწერაში იხსენიებიან „შვილი მეფეთ მეფისა ვახტანგ“, „მამია გურიელი“ და „ძე მისი გურიელი როსტომ“, ე. ი. იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის ძე და ბაგრატ III-ის ძმა ვახტანგ, მამია I გურიელი და ძე მისი, იმ დროს მბრძანებელი როსტომ მამიას ძე გურიელი (1534—64).

მეორე, ასეთსავე მოზრდილ სფეროს თავზე ამოკვეთილ წარწერაში იხსენიება ჯვრის დამამზადებელი ოსტატი მამნე და მისი მეუღლე („წმიდაო ღმერთო შეიწყალე სული ოქრომჭედლისა მამნესი, მეუღლისა მისისა ოლიმპიასი“). ხოლო მომცრო სფეროზე ამოკვეთილ 4-სტრიქონიან მოხედავებულ წარწერაში მოხსენიებულია: „აფხაზეთისა კათალიკოზი ევდემონ, რომელმან შექმნა ჯვარი ესე“.

წარწერების ურთიერთ შეჯერებიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძის (გარდ. 1578) დაკვეთით ეს საწინამძღვრო ჯვარი (უცხოეთში გატანამდე გელათში დაცული) გამოუჭედნა ოქრომჭედელ მამნეს 1563 ან 1564 წელს, ე. ი. გელათური საწინამძღვრო ჯვარი 4 ან 5 წლით ადრე ყოფილა გამოჭედილი ბიჭვინტის ღვთისმშობლის ხატზე.

გამოფენილი იყო ისტორიულ პირთა იარაღი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმიდან გატანილი: მეფე ერეკლე II-ის ხმალი და კაჟიანი თოფი, ალექსანდრე ბატონიშვილის ხმალი და კაჟიანი თოფი, მდივანბეგ სოლომონ ლიონიძის ხმალი, იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ II-ის კაჟიანი თოფი და სხვ.

იქვე იყო თვალწარმტაცი სილამაზის მქონე სამკაული, რომელიც ოდესღაც სამეგრელოს ღედოფლის ეკატერინე დადიანის — პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულის საკუთრებას წარმოადგენდა. ესაა ეკატერინეს გარნიტური: დიადემა, კულონი, საყურე და სამაჯურები. ექვთიმე თაყაიშვილმა ამ ნახელავს უწოდა: „ქართულ-სპარსული მინანქრის“ ნაკეთობა.

მთავარი ამ სამკაულთაგანი — სამეგრელოს დედოფლის დიადემა 156,4 გრამს იწონის. ჩვენი განძის შემცველი ყუთების გახსნისას, 1934 წელს ფრანგმა იუველირმა-ექსპერტმა ლენზელერმა შემდეგნაირად აღწერა ეს სამკაული: „ოქროს მომინანქრული დიადემა შედგება სახსრებით აწყობილი ხუთი ნაწილისაგან. თეთრი მინანქრის ფონი მორთულია კვადრატულად განლაგებული წითელი და მწვანე ფოთლებითა და ყვავილებით, რომელთა ცენტრში ჩასმულია თვლები ან განცალკევებულად, ანდა ვარდულებად. დიადემის თავშია მოჭედილი თერთმეტი სამყურა, ფირუზებით მოჭედილი. ზურგი მომინან-

ქრულია ყვაელებითა და ფრინელებით. XVIII საუკუნის სპარსული ნახელავი“. ამ სამკაულს 1868 წელს აღტაცებაში მოუყვანია პარიზელე-ბი, პარიზის გაზეთებში დაბეჭდილია კიდევ ცნობები ეკატერინეს დია-დემის შესახებ.

ასეთივე ნაკეთობაა კულონი, რომელიც 65 გრამს იწონის. ლენზელერი ასე აღწერს მას: „ნაჭედი ოქროს დიდი კულონი, დაკბი-ლული ფარის ფორმისა; თავში მოქცეულია სამყურა. ნაბეჭდ ფოთლო-ვან ორნამენტს შუა განლაგებულ ბუდეებში ჩასმულია ფირუშები ... ქვემოთ ჰკიდია ფირუშებით შემკული შვიდი ფოთოლაკი ... XVIII საუკუნის სპარსული ნახელავი“.

წყვილი საყურე, რომელთაგან თითო იწონის 54,82 გრამს. ლენზელერი მას ასე აღწერს: „წყვილი ოქროს საყურე. ოთხ ფირუ-შის ვარდულს ქვეშ მოთავსებულია პირველი ოქროს მართკუთხედი, მის ცენტრში ფირუშის თვალია და მას ეყრდნობა ორი ფირუშით მოჭედილი მსხლისდაგვარი ფოთოლაკი. ეს მართკუთხედი დაკავშირე-ბულია 5 ფირუშის თელისაგან შემდგარი ღერძით მეორე მართ-კუთხედთან, რომელიც მწვანეადაა მომინანქრული. შემკულია 8 ფირუ-შით — გვერდებზე და ქვემოთ ჰკიდია ფირუშებით შემკული ხუთი ფო-თოლაკი ... XVIII საუკუნის სპარსული ნახელავი“.

ეკატერინე დადიანის გარნიტურის ეს სამი სამკაული მემკვიდრე-ობით დარჩა მის ასულს სალომეს, პრინც აშილ მიურატის (ნაპოლეონ I-ის დის შვილიშვილი) მეუღლეს; სალომეს გარდაცვალების შემდეგ გარნიტური მემკვიდრეობით მიიღო სალომეს ასულმა ანტუანეტ, ანუ ბებე მიურატმა; ხოლო ამ უკანასკნელისაგან შეიძინა ექვთიმე თაყაი-შვილმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისათვის, რაშიც ექვთიმეს დახმარებია ამიერკავკასიის ბანკი, რომლის დირექტორად ყოფილა იასონ ლორთქიფანიძე, ცნობილი მწერ-ლის ნიკო ლორთქიფანიძის უფროსი ძმა და ექვთიმეს დიდი მეგობარი, მოგვიანებით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა გან-ყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი და ისტორიკოსი. ამ მუზეუმის სხვა განძეულობასთან ერთად ეკატერინეს გარნიტურის ეს სამი სამკაული გატანილ იქნა საფრანგეთში.

რაც შეეხება ეკატერინეს გარნიტურის მეოთხე სამკაულს — ასეთსავე ნახელავ წყვილ სამაჯურს, რომელთაგან ერთი იწონის 97,1 გრამს, მეორე — 102,02 გრამს, ეს სამკაული განძისაგან დამოუკიდებ-ლად გავიდა პარიზში; იქ „კერძო გზით“ შეიძინა იგი ექვთიმე თაყაი-შვილმა და, როგორც ზემოთ იყო ნახსენები, 1945 წლის 4 ივლისს გადაუგზავნა განძის მიმღებ კომისიას თავის მეგობრის იროდიონ სონ-დულაშვილის ხელით.

წიგნებთან და ექსპონატებთან ერთად იყო ეროვნული გალერეიდან

გატანილი რამდენიმე სურათი, მათ შორის ცნობილი ფრანგი მხატვრის ჟაკ-ლუი დავიდის (1748—1825) სურათის ესკიზი; მასზე გამოსახულია ნაპოლეონ ბონაპარტი — პირველი კონსული, რომელიც ხევს ამიენის ტრაქტატს; ესკიზი, რომელზედაც ენერგიული და ამაყი ნაპოლეონია გამოსახული, განსაკუთრებით ყოფილა დაფასებული თვით დავიდის მიერ.

ცნობილი გერმანელი მხატვრის ლუკა კრანახ-უფროსის (1472—1553) „უთანასწორო ქორწინების“ თემაზე სურათი, ფერწერა ხეზე (85 X 57,5 სმ), რომელსაც უწოდებენ „მაჭანკალს“, ხოლო გ. ჩუბინაშვილი — „გასაყიდ სიყვარულს“.

ცნობილი გერმანელი მხატვრის სრისტიან-ვილჰელმ-ერნსტ დიტიხის (1712—74) ორი, ტილოზე შეთით ნახატი სურათი, ერთნაირი ზომისა (38 X 29 სმ). ერთი წარმოადგენს მოხუცი მამაკაცის, მეორე მოხუცი ქალის პორტრეტულ გამოსახულებას.

ცნობილი ფრანგი მხატვრის პიერ-პოლ პრიუდონის (1758—1823) მიერ შეთით ტილოზე შესრულებული ფერწერული პორტრეტი (25 X 16 სმ) გამოჩენილი ფრანგი დიპლომატი ტალეირანისა.

გამოფენაზე იყო სხვა სურათებიც. როგორც ცნობილია მართო ეროვნული (სამხატვრო) გალერეიდან უცხოეთში გატანილი იყო 18 სურათი.

კიდევ ბევრი რამ იყო იმ დღეს საინტერესო, მაგრამ ეს გამოფენა ხომ უცხოეთში გატანილი საუნჯის მხოლოდ მცირედ ნაწილს შეადგენდა.

დაუვიწყარია დამსწრეთა აღფრთოვანება, გამომხატველი საყოველთაო აღტაცებისა. ეს იყო ჭეშმარიტად ეროვნული შეიმი ...

დაუვიწყარია მოხუცი, რომელიც ჯოხზე დაყრდნობილი, კოჭლობით დააბიჯებდა გამოფენილ საუნჯესა და მის დამთვლიერებლებს შორის, თავმომწონედ შეკუყრებდა ერთსაცა და მეორესაც. მას მართლაც ბევრი რამ ჰქონდა საამაყო. იგი იმ დღის გმირი იყო. ()

ექვთიმე თაყაიშვილმა არა მარტო უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი საუნჯის გადარჩენაში, არამედ შეძლო კიდევ მისი შევსება, მას თან ჩამოჰყვა, თვითონ ცოცხალი „ექსპონატი“ და მოწმე იქცა იმ ამბისა, რაც გადახდა თავს ქართულ განძს, ამ ამბების ისტორიკოსი და არქივის შემქმნელი.

აი, რას სწერდა რამდენიმე თვის შემდეგ, 1946 წლის 3 ივნისს, თვითონ ექვთიმე თბილისიდან პარიზში ერთ თავის მეგობარს: „უკვე

ურთი წელი გავიდა, რაც ჩვენ მშვიდობიანად ჩამოვედით და უზადოდ ჩამოვიტანეთ ჩვენი განძეულობა და ჩავაბარეთ საქართველოს მუზეუმს. კომისიამ, შემდგარმა აკადემიკოსების, პროფესორების და მუზეუმის დირექტორის მიერ ს. ჯანაშიას თავმჯდომარეობით შეამოწმეს ყველა ნივთები აქოურ კატალოგებთან და მაქოურ ჩვენ და ფრანგების მიერ შედგენილ სიებთან. ყველაფერი რიგზე ზუსტად გამოვიდა, ერთი კინძისთავიც არ დაგვკლებია, როგორც მაქოურმა ჩვენმა შედარებამაც ეხად ჰყო. შემდეგ მოაწყვეს საჯარო გამოფენა ჩამოტანილი განძეულობისა, რომელმაც დიდი ინტერესი და კმაყოფილება გამოიწვია. ხელმეორედ მოწყობილი გამოფენა ზოგიერთი ნივთებისა ეხლაც გრძელდება ...“⁵

§ მეორე დღეს, 1946 წლის 4 ივნისს, ეჭეთივე დაახლოებით ამახვე სწერდა საბჭოთა გენერალური კონსულის მოვალეობის შემსრულებელს პარიზში ა. ა. გუზოესკის: «Уже прошел год как мы с Вами (როგორც ქვემოთ დავინახავთ, გუზოესკიც ჩამოყვება განძეულობას თბილისში), с уважаемым П. А. Шария и профессором Амиранашвили благополучно прибыли в Тбилиси и привезли музейные сокровища Грузии. Комиссия из академиков и профессоров разобрала вещи, сверила их со всеми списками и каталогами, все найдено в целости и сохранности, как мы в этом убедились и в Паряже. Мы не потеряли даже единой булавки. Потом устроили выставку привезенных сокровищ, что вызвало необыкновенную радость и довольство...»

რ ა დ ა ი ფ ე რ ა ჩ ვ ე ნ ი ბ ა ნ ძ ი ს
შ ე ს ა ხ ე ბ ღ ა რ ა წ ყ ა რ ო ე ბ ი
მ ო ზ ვ ე ე კ ო ვ ე ბ ა მ ი ს ი
ი ს ტ ო რ ი ი ს შ ე ს ა ს წ ა ვ ლ ა დ



ქართული განძის გატანის, საფრანგეთში მისი 24-წლიანი თავგადასავლისა და სამშობლოში დაბრუნების შესახებ არაერთხელ დაწერილა და ბევრი რამ გამოქვეყნებულა. წერდნენ მეცნიერები, ჟურნალისტები. ამ საკითხის შესახებ ყველაზე ადრეულ ისტორიულ ნარკვევს წარმოადგენს სიმონ ჯანაშიას მოხსენება, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წაიკითხა მან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1945 წლის 15 აგვისტოს, განძის გამოფენის გახსნის დღეს. ამ მოხსენების სტენოგრაფიული ანგარიშის სამი პირი დაცულია ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. ს. ჯანაშიას ნარკვევი შეიცავს განძის გატანისა და დაბრუნების მოკლე ისტორიას, აგრეთვე თვით განძის მოკლე დახასიათებას.

გამოქვეყნებული ნარკვევებიდან ყველაზე უფრო საგულისხმოა ექვთიმე თაყაიშვილის თანამემწის გიორგი ლომთათიძის მიერ სიყვარულითა და საქმის დიდი ცოდნით დაწერილი ნარკვევი, მოთავსებული ექვთიმესადმი მიძღვნილ 1966 წელს გამოცემულ კრებულში, რომელშიც განძის გატანა-დაბრუნების საკითხს სათანადო ადგილი დაეთმო. გ. ლომთათიძე (თავის მეუღლე ნინო ლოლობერიძესთან ერთად) 1948—52 წლებში თანამშრომლობას უწევდა ექვთიმეს ახალ-ახალი ლიტერატურის გაცნობაში, მასალების შეკრებაში, მოფიქრებულ ნაშრომთა დაწერაში, რედაქტირებასა და დასაბუჟდალ მომზადებაში. დიდია გ. ლომთათიძის როლი ექვთიმეს მოგონებების ჩაწერაში; თამამად შეიძლება ითქვას, რომ გ. ლომთათიძის გარეშე ჩვენ შეიძლება ბევრი რამ ექვთიმეს ცხოვრებიდან არც გვცოდნოდა. მოგვიანებით გ. ლომთათიძემ ამ საკითხს კიდევ რამდენიმე ნარკვევი მიუძღვნა.

საგულისხმოა შ. ამირანაშვილის, შ. ბაღრიძისა და რ. მეტრეველის ნარკვევები. ჩვენი განძის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი რ. მეტრეველისა და შ. ბაღრიძის 1962 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში — „ექვთიმე თაყაიშვილი“ და აკაკი სურგულაძის 1977 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში — „ექვთიმე თაყაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა)“.

შევჩერდეთ პირველწყაროებზე.

პირველ ყოვლისა, ესაა ექვთიმე თაყაიშვილის პირადი არქივი, რომელიც მან უანდერძა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, ხოლო აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით გადაეცა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს, სადაც იგი დაამუშავა გ. ლომთა-თიძის დახმარებითა და კონსულტაციით ელენე კელენჯერიძემ; მანვე გამოაქვეყნა 1972 წელს ექვთიმე თაყაიშვილის არქივის აღწერილობა, რომელსაც დაურთო ექვთიმეს ნაშრომთა ბიბლიოგრაფია, შედგენილი თვით ექვთიმეს მიერ (ექვთიმეს ნაშრომთა ბიბლიოგრაფია ცალკე წიგნაკად პირველად ე. კელენჯერიძემ 1953 წ. გამოაქვეყნა).

ექვთიმე თაყაიშვილის არქივი ძალიან მდიდარია. ექვთიმეს ჩვეულებად ჰქონდა შეენახა მის ხელში მოხვედრილი ყველა დოკუმენტი და მიღებული წერილი, ხოლო თუ თვითონ უგზავნიდა ვისმე, გადაწერდა ხოლმე და შავს იტოვებდა.

ჩვენს ხელში მოხვედრილი წყაროები შეიძლება დაიყოს რამდენ-სამე კატეგორიად.

1. ე. თაყაიშვილის მოგონებები და მემუარული ხასიათის ჩანაწერები, ექვთიმეს მიერ პირადად ან კარნახით ჩაწერილი როგორც მისი ემიგრაციაში ყოფნისას, ასევე ექვთიმეს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. ასეთებია ექვთიმეს მოგონება — „პირადი ჩემი მოგზაურობა თბილისიდან საფრანგეთში“, რომელიც ჩაწერილი უნდა იყოს 1921 წლის 11 მაისის შემდეგ, ამ თარიღის ახლო ხანებში, საფიქრებელია, მარსელში; ექვთიმეს ნარკვევი — „სქემატიური ცნობები ჩემი ცხოვრების შესახებ“, ჩაწერილი 1922 წელს ან მის ახლო ხანებში, სოფელ ლევილში, რომელიც 26 კილომეტრითაა დაშორებული პარიზიდან და წარმოადგენდა ემიგრაციაში ექვთიმეს სამყოფელს; ექვთიმეს კარნახით (მომეტებულად შედია ლამბაშიძის ხელით) ჩაწერილი მოგონება — „სამუზეუმო განძეულობის წამოღება საფრანგეთში“, რომელიც წარმოადგენს ჩვენი განძის საფრანგეთში გატანის ფრიალ დეტალურ აღწერას და დათარიღებულია 1944 წლის 23 სექტემბრით (ეს მოგონება, დაცული პარიზში მოღვაწე კ. სალიას არქივში, ამ უკანასკნელმა 1972 წელს გამოუგზავნა ხელნაწერთა ინსტიტუტს); ექვთიმეს ხელით ნაწერი შესავალი მის იერ 1946 წელს გაკეთებული მოხსენებისა. მან ეს შესავალი ასე დაასათურა: „პროგრამა მოხსენებისა“.

მოხსენება ექვთიმემ გააკეთა თბილისის უნივერსიტეტში 1946 წლის ივნისში, თემაზე: „ევროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები ქართულ სიძველეთა შესახებ“. ამ მოხსენებაში ექვთიმემ მოკლედ მიმოიხილა განძის გატანისა და დაბრუნების ისტორია და თავისი მიმოწერა და მოლაპარაკებანი საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლებთან 20-იან წლებში. იქვეა ექვთიმეს მოგონება,

კარნახით ჩაწერილი 1949 წელს; ექვთიმეს მოგონება — „განძეულობის გატანა და შენახვა საფრანგეთში და მისი დაბრუნების ისტორია“, რომელიც კარნახითაა ჩაწერილი, საფიქრებელია, 1952 წლის ნოემბერში (ეს მეტად მნიშვნელოვანი მოგონება ორჯერაა გამოქვეყნებული: რ. მეტრეველისა და შ. ბაღრიძის მიერ 1967 წელს და გ. ლომთათიძის მიერ — ე. თაყაიშვილის „რჩეული ნაშრომების“ I ტომში); ე. თაყაიშვილის მოგონება გერმანელი ნაცისტების მიერ მის ბინაზე ჩატარებული ჩხრეკის შესახებ, რომელიც კარნახითაა ჩაწერილი, საფიქრებელია, 1952 წელს (გამოქვეყნებულია გ. ლომთათიძის მიერ ზემოხსენებულ 1952 წლის ნოემბრის მოგონებასთან ერთად, ექვთიმეს „რჩეული ნაშრომების“ I ტომში) და სხვ.

2. ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა დამიანე ჯგუშისათან (1923), შალვა ამირანაშვილთან (1923), ვუკოლ ბერიძესთან (1935), გერმანე მგალობლიშვილთან (1936), პიერ ჟოდონთან (1945), იოსებ გიგოლაშვილთან (1946), ალექსანდრე ბოგომოლოვთან (1946), ალექსანდრე გუზოვსკისთან (1946).

3. ექვთიმე თაყაიშვილის განცხადებები:

ექვთიმეს განცხადება-თხოვნა საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (პ. -ე. ფლანდენის) სახელზე, 1935 წლის 6 მაისს.

ექვთიმეს სტატიის შავი პირი, რომელიც შეიცავს მის პასუხს ქართულ ემიგრანტულ გაზეთ „თეთრი გიორგის“ 87-ე ნომერში (1935 წლის მაისი) მოთავსებულ შეკითხვაზე ჩვენი საუნჯის შესახებ. ექვთიმეს ეს სტატია ასე აქვს დასათაურებული: „ერთი შეკითხვის გამო“.

აკაკი ჩხენკელისა და ექვთიმე თაყაიშვილის საჯარო განცხადება — „ეროვნული განძეულობის თაობაზე“, დაწერილი 1936 წლის 15 ივლისს.

ექვთიმე თაყაიშვილის განცხადება-თხოვნა საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის (ლეონ ბლუმის) სახელზე, 1937 წლის 19 იანვარს და სხვ.

4. განძის დაბრუნების საკითხთან დაკავშირებული მიმოწერა და დადგენილებები (1935—36, 1945, 1947).

5. განძის ჩაბარება-აღწერების ოქმები და აქტივობი.

ქ. მარსელში ე. თაყაიშვილის, ი. ელიგულაშვილის, ზ. ავალიშვილისა და ა. დეკანოზიშვილის შემადგენლობით შექმნილი კომისიის ოქმში (შავი), რომელიც 1921 წლის 11 მაისს უნდა იყოს შედგენილი.

გატანილი განძეულობის სია, შედგენილი მარსელში იმავე კომისიის მიერ, საფიქრებელია, 1921 წლის 11 მაისს ან ამ თარიღის ახლო ხანებში.

სამუზეუმო და სხვა ნივთების შემცველი ყუთების სია, ნაწერი ექვთიმეს ხელით და დათარიღებული 1924 წლის 17 აგვისტოთი.

უცხოეთში გატანილი განძეულობის სია, შედგენილი თბილისში 1927 წლის გაზაფხულზე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისიის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს განსახკომის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის გამგე ვუკოლ ბერიძე, ხოლო კომისიის წევრებად იყვნენ გიორგი ჩუბინაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, სერგი გორგაძე და მხატვრები — ჰენრიკ პრინევსკი და იოსებ შარლემანი. კომისიამ არა მარტო შეადგინა გატანილი განძეულობის სია, არამედ შეაფასა კიდეც იგი ოქროს მანეთებში. სია შეტანილ იქნა გაიოზ დედარიანის მიერ 1931 წლის დამდევს გამოცემულ კრებულში — „მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში, მასალები და დოკუმენტები“, საიდანაც გადაიბეჭდა და გამოქვეყნდა 1931 წლის 22 თებერვლის გაზეთ „კომუნისტის“ 45 (3000)-ე ნომერში.

პარიზში ქართული განძეულობის გახსნისა და აღრიცხვის ოქმების შემცველი აქტი, ე. წ. აღმწუსხავი ოქმი, შედგენილი ფრანგულად, 1934 წლის 19 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე.

განძის ჩაბარების ოქმი, შედგენილი ფრანგულ და რუსულ ენებზე, 1944 წლის 9 დეკემბერს პარიზში, სსრკ საელჩოს შენობაში.

დაბრუნებული განძეულობის სია, შედგენილი რუსულად 1945 წელს და გამოქვეყნებული ს. ჯანაშიას რედაქციით 1946 წელს, ხოლო ქართულად, ზოგიერთი შემოკლებით, შ. ამირანაშვილის მიერ 1968 და 1978 წლებში.

ნ. ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა პ ი რ თ ა მ ო გ ო ნ ე ბ ე ბ ი და მ ე მ უ ა რ უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ჩ ა ნ ა წ ე რ ე ბ ი. შალვა ამირანაშვილის ნარკვევები, გამოქვეყნებული სხვადასხვა დროს (1967, 1968, 1970); გამოუქვეყნებელი მოგონებები პეტრე შარიასი, გიორგი გეგელიასი, აკაკი ნიჟარაძისა, კოლია მელაძისა, თეიმურაზ შავდიასი, მანანა მჭედლიშვილისა, მარიამ ალშიბაია-გოგორიშვილისა, სიმონ გოგიჩაიშვილისა, მიხეილ მამფორიასი, ნინო ნიჟარაძისა, გამოქვეყნებული მოგონება იოსებ შვეგრელიძისა (1969).

როგორ იკრიბებოდა ჩვენი საუნჯე



ჩვენი სამშობლო არაერთხელ ყოფილა აოხრებული შემოსეული მტრის მიერ, რომელიც არა მარტო ხოცავდა მის შვილებს და აოხრებდა მის მიწა-წყალს, არამედ ანადგურებდა ძველი კულტურის ძეგლებს. კულტურის ძეგლების განადგურება კი ძლიერი ხერხია ერის სულიერი გაჩინაგებისა, ვინაიდან, ვინც ვერ შეისწავლის თავისი ერის წარსულს, იგი ვერც მის აწმყოსა და მომავალში გაერკვევა.

საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ ჩვენმა ერმა ზული მოითქვა, დაისვენა ამ შემოსევათაგან, მოიშუშა ჭრილობები. რუსული კულტურის გეშეობით მან აღადგინა თავისი კავშირი დასავლურ კულტურასთან. ეს კავშირი ძველისძველი დროიდან არსებობდა, მაგრამ უცხოელ მტარვალთა შემოსევების წყალობით თითქმის სრულიად მოშლილი იყო. იწყო გაფურჩქენა ხალხის ნიჭმა... მაგრამ ახლა ჩვენს კულტურულ ძეგლებს სხვა საშიშროება დაემუქრა. დასავლეთის ქვეყნებში დიდად გაიზარდა მათდამი ინტერესი, ამან გაუხსნა „სამოღვაწეო“ ასპარეზი ყოველგვარ გაიძვერა და ქურდბაცაცა არა-შზადებს, ისინი ჩალის ფასად იძენდნენ ანდა იპარავდნენ განძეულობას და ეზიდებოდნენ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სადაც გატანილ განძეულობაში დიდ თანხებს ღებულობდნენ. ამ „ოპერაციებში“ მონაწილეობის მიღებას არ თაკილობდნენ დიდი თანამდებობის პირნიც — „სასულიერონიცა“ და „სამოქალაქონიც“.

კარგადაა დახასიათებული ეს გაქურდვა და გატანა ქართული განძეულობისა ექვთიმე თაყაიშვილის წერილში, რომელიც მან საფრანგეთიდან მოსწერა მოსკოვში ქართველ საბჭოთა მოღვაწეს — საქართველოს სსრ აკადემიურ საქმეთა წარმომადგენელს რუსეთის სფს რესპუბლიკაში — დამიანე ჯგუშვიას 1923 წლის 10 აპრილს.

უნდა მოგახსენოთ, — იწერებოდა ექვთიმე, — რომ საქართველოს სიძველენის ცარცვა სისტემატურად სწარმოებდა და იმდენი ძეგლებია საქართველოდან გატაცებული, რომ ეხლა მესამედის მიგნებაც ძნელია. ოთხი მეხუთედი ზვენიგოროდსკის, ბოტკინის და ბალა-

შევის კოლექციებისა⁶ საქართველოს მონასტრებიდან არის მოტაცებული. ესენი ბიზანტიურ-ქართული ხელობის მინანქრიანი ნივთებისაგან შესდგებიან... ამის გამო, მე რომ უნივერსიტეტიდან ტფილისში ჩამოვედი⁷, დ. ბაქრაძესთან ერთად მოხსენება-საჩივარიც წარუდგინეთ მთავრობას, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქციეს, ვინაიდან ეკზარხოსი ერთა საქმეში და ზვენიგოროდსკიმ თავისი კოლექციის მდიდრული გამოცემა ალექსანდრე III-ს უძღვნა. მერმე თქვენ მოგეხსენებათ, რომ ზვენიგოროდსკის კოლექცია სამასი ათას მანეთად მორგანმა იყიდა და ესლა ნიუ-იორკის მუზეუმში ინახება და ზოგ ეტიკეტებს აწერია: „ჯუმათის მონასტრიდან“. ბოტკინის კოლექციაც გამოცემულია, მაგრამ ის რუსეთიდან გატანილი არ არის⁸.

არ ვიცი, რა ბედი ეწია ბალაშევის კოლექციას, ხოლო დანამდე-ლებით შემიძლია ვთქვა, რომ კონდაკოვის მიერ ზვენიგოროდსკის კოლექციის გამოცემის სათაურში რომ ღვთისმშობლის ხატის სურათია მოთავსებული, ის ხატი ბალაშევის კოლექციას ეკუთვნის და საქართველოდან არის გატაცებული. მისი მეორე სურათი მხატვრის ვასილი-ევის ალბომშიც მოიპოვება, რომელიც ესლა აქ (ე. ი. პარიზში — გ. ყ.) კერძო პირს აქვს. ამ ალბომში მარტო გელათის, ქუთაისის, შემოქმედის და ჯუმათის ნივთების სურათებია მოქცეული და სხვა არაფერი. დიდ სამსახურს გაუწევთ საქართველოს სიძველენის საქმეს, თუ ბოტკინის და ბალაშევის კოლექციების გზა-კვალს მიაგნებთ და საქართველოს დაუბრუნებთ...⁹

პეტერბურგში, ალექსანდრე III-ის მუზეუმში ბევრი ნივთია საქართველოდან გატანილი. სხვათა შორის ომიანობის დროს 1916 თუ 1917 წელს ერთმა აგენტმა დასტყუვა ხევსურეთის ხევისბერებს

⁶ ეს შესანიშნავი მინანქრის კოლექციები მოხსენიებულია შ. ამირანაშვილის მონოგრაფიაში ქართული მინანქრების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე. ამის შესახებ მოკლე მოგონება შეტანილი შ. ამირანაშვილის წიგნში — „საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება“, იხ. გვ. 3—6 (1968 წ. გამოც.), გვ. 3—9 (1978 წ. გამოც.).

⁷ როგორც ცნობილია, ე. თაყაიშვილმა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი დაასრულა 1887 წლის სექტემბერში და იმავე წლის ოქტომბერში მიიწვიეს თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში ლათინურის, ბერძნულისა და გეოგრაფიის მასწავლებლად.

⁸ ბოტკინის შესანიშნავი კოლექცია ქართული მინანქრებისა, საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით, 1923 წელს დაუბრუნდა სამშობლოს. იხ. შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დას., თხზ., გვ. 5—6 (1968 წ. გამოც.), გვ. 7—8 (1978 წ. გამოც.).

⁹ ქართული ეკლესია-მონასტრების ძარცვის მრავალი შემთხვევაა მოყვანილი ნ. დურნოვის წიგნაკში — „ქართული ეკლესიის ბედი-იბადა“, რომელიც გამოიცა მოსკოვში 1907 წელს. იხ. Н. Н. Дурново, Судьбы Грузинской церкви, М., 1907, გვ. 5—6, 10—22, 39—40 და სხვ.

საუცხოვო ვერცხლის ღოჭები და სხვა ჭურჭელი. დაბრუნებისას აგენტმა ღამე სოფ. სტეფანწმინდაში ღენერალ გიორგი ყაზბეგისას გაათია, მას აჩვენა ნივთები და ისიც უთხრა, თუ როგორ მოატყუა ხევისბერები, უფრო დიდი დაბალი [ხარისხის] ვერცხლის ჭურჭელი მივეციო და ამას დაეხარბენო. გიორგი ყაზბეგმა მე ამის გამო წერილი მომწერა, და მოხოვა ყურადღება მიმექცია ასეთი ცარცვისათვის, თანაც დასძენდა, რომ მას ასეთი მშვენიერი ფორმის ვერცხლის ძველი ჭურჭელი თავის ღლეში არ ენახა. მე ყაზბეგს ვუსაყვედურე, რომ ჭურჭელი მისას იყო და აგენტს დაანება, იმის მაგიერ, რომ გაეჩერებია, ხევისბერები დაეხარბებია და მათთვის აეხსნა საქმე. . .“

სწორედ ამ ძარცვა-გლეჯასა და გაქურდვას გულისხმობდა ექვთიმე თაყაიშვილი, როცა იგი საფრანგეთში ყოფნის წამს, 1936 წლის 25 ნოემბერს გამოქვეყნებულ თავის „მიმართვაში ქართველებისადმი“, წერდა:

„იყო დრო, როცა ჩვენი ინტელიგენცია ერთობ გულგრილად უცქეროდა ქართულ საკულტურო ნაშთებს და თავს არ იწუხებდა მათი შეგროვებისა და გამოცემისათვის. ამ გულგრილობამ დიდძალი პირველხარისხოვანი ძეგლები დაგვიკარგა. . . ქართული სულიერი, გონებრივი და მატერიალური კულტურა რთულია, მრავალმხრივია და ბევრ რაშიმე მეტად თავისებურია, იშვიათია პატარა ერი, რომელსაც ასეთი მდიდარი ძველი კულტურა ჰქონდეს. ამ კულტურამ გადაარჩინა ქართველი ერი მოსპობას ჟამთა ვითარების აბოზოქრებული ქართველისაგან. მისცა უნარი სიმბიციისა, გამძლეობისა და ყოველი ჭირის გადატანისა. . . . ამიტომ ყველა მოვალე ვართ ხელი შევუწყოთ ჩვენი კულტურის საფუძვლიანად შესწავლას, რაც, პირველ რიგში, უნდა გამოიხატოს საკულტურო მასალების შეკრებაში და უკვე შეკრებილის გამოქვეყნებაში; უამისოდ ჩვენ ვერ აღვადგენთ ჩვენი კულტურის ნამდვილ სახეს და ვერ შევიგნებთ მის ცხოველყოფელ ძალას. . .“

იმ მიზნით, რომ ჩვენი განძეულობის ძარცვა-გლეჯა აღკვეთილიყო და გადარჩენილიყო ის, რაც ჯერ არ იყო გაძარცვული, მაგრამ რასაც დაკარგვა მოელოდა, თუ არ უპატრონებდნენ, ქართული კულტურისა და სიძველეთა მოყვარულებმა იწყეს ამ სიძველეთა — ძველი ხელნაწერებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების შეკრება და სამუზეუმო კოლექციებისათვის საფუძვლის ჩაყრა. დიდია ღვაწლი ამ მხრივ რაფიელ ერისთავისა, დიმიტრი ბაქრაძისა, თედო ჟორდანიასი, ექვთიმე თაყაიშვილისა, მოსე ჯანაშვილისა და სხვა მოღვაწეთა, რომელნიც სრულიად უანგაროდ და გატაცებით ემსახურებოდნენ, დიდ მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად, ქართული ეროვნული საუნჯის გადარჩენის საქმეს.

ამავე მიზნით — კულტურული, ისტორიული ძეგლების გადარჩენის, დაცვისა და შესწავლისათვის — დაარსებულ იქნა საზოგადოებები და მათი მუზეუმები. რუსი და ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მეცადინეობით გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დამდეგს საფუძველი ჩაეყარა კავკასიურ ანუ კავკასიის მუზეუმს, რომელიც რევოლუციის შემდეგ (1919 წ.) იქცა საქართველოს მუზეუმად. დიდი როლი შეასრულა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, მისმა მუზეუმმა (დაარსდა 1879 წელს) და დიმიტრი ბაქრაძის თაოსნობით დაარსებულმა (1888 წ.) საეკლესიო მუზეუმმა. ძალიან დიდია ამაგი ძველი საბუთების, ხელნაწერებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების შეკრების საქმეში ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1907 წელს დაარსებულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და მისი მუზეუმისა.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმები მდებარეობდნენ თბილისის უნივერსიტეტის ამჟამინდელი პირველი კორპუსის მესამე სართულზე, ხოლო საქართველოს მუზეუმს ცალკე შენობა ჰქონდა¹⁰.

¹⁰ საქართველოს მუზეუმი დაარსდა 1919 წლის აგვისტოში და მას გადაეცა კავკასიის მუზეუმის კოლექციები და მთელი ქონება. საქართველოს მუზეუმის პირველ დირექტორად დანიშნა კავკასიის მუზეუმის ყოფილი თანამშრომელი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ნოე ყიფიანი, ხოლო მუზეუმის 24 მეცნიერ-თანამშრომელს შორის იყვნენ ცნობილი მეცნიერები: გ. ჩუბინაშვილი, ალ. თვალკრელიძე, ივ. ჩხიკვილი, ელ. ქიქოძე, სოლ. იორდანიშვილი, შ. ამირანაშვილი, დ. გორდევი, ბ. შიშკინი და სხვანი; ცნობილი მხატვარი ვეგ. ლანსერე, ტაქსიდერმისტი კრელი. მუზეუმის მდივნებად მუშაობდნენ 1920 წლამდე სოლ. იორდანიშვილი, შემდეგ — მაკალათია. მაშინვე განახლდა მუზეუმის ახალი შენობის აგება, რაც დაწყებული იყო რამდენიმე წლით ადრე. ამ შენობაში, რომლის ფასადი (რეკონსტრუირებული ცნობილი ზუროთმოქმედის ნ. პ. სევეროვის ხელმძღვანელობით) გადაკურებს შ. რუსთაელის პროსპექტს, დღესაც მოთავსებულია ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. ეს ნაგებობა შეექვსე შენობაა, რომელშიც იმყოფებოდა მუზეუმი თავისი არსებობის მანძილზე. მისი წინაპრის კავკასიური (ანუ კავკასიის) მუზეუმის პირველ ბინას წარმოადგენდა ალ. ჭავჭავაძისა და გრიბოედოვის ქუჩების გადაკვეთაზე (ამჟამად ალ. ჭავჭავაძის ქ. № 6, გრიბოედოვის ქ. № 16) მდებარე ფართო აივნებიანი ორსართულიანი სახლი, რომლის მეორე სართულზე 1852 წლის აგვისტოში დაფუძნდა მუზეუმი, სადაც სამი წლის შემდეგ, 1855 წლის სექტემბერში გაიხსნა პირველი პატარა ამუზეუმო გამოფენა.

ამ სახლს ამჟამინდელი მემორიალური დაფა, რომელზედაც იხსენიება მუზეუმის ერთ-ერთი ფუძემდებელი — გამოჩენილი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე რაფიელ ერისთავი.

მოგვიანებით, 1929—30 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებს შეუერთდა თბილისის უნივერსიტეტის შენობის მესამე სართულზე მოთავსებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო და საისტორიო-საეთნოგრაფიო

ხელოვნების ძეგლების გადარჩენისა და შესწავლის საქმეში დიდი როლი შეასრულა ცნობილი ქართველი მოღვაწის დიმიტრი შევარდნაძის მიერ რევოლუციის შემდეგ დაარსებულმა საქართველოს ეროვნულმა (სამხატვრო) გალერეამ, რომელმაც დაიკავა რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ყოფილი კავკასიის სამხედრო-ისტორიული მუზეუმის, ე. წ. „დიდების ტაძრის“ („Храм Славы“) შენობა.

ამ მუზეუმებისა და სიძველეთა საცავების ფონდების საფუძველზეა შექმნილი ამჟამინდელი ცნობილი სამი მეტად მნიშვნელოვანი ქართული კულტურის ძეგლთა დამცველი და შემსწავლელი კერა: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

მოწინავე საზოგადოება დიდი გულისყურით ეკიდებოდა ყველა ქართულ განძთსაცავს, ცდილობდა მათ მოეღა-პატრონობასა და დაცვას. გარდა ხსენებული მუზეუმებისა, რევოლუციამდე დიდძალი განძეული იყო დაცული საქართველოს ეკლესია-მონასტრებში და კერძო კოლექციებში. ამ უკანასკნელთაგან, ვფიქრობთ, ყველაზე მდიდარ კულტურულ საგანძურს წარმოადგენდა მინგრელსკის, ანუ სამეგრე-

საზოგადოების მუზეუმთა ძვირფასი კოლექციები, ბოტანიკური ბაღის მუზეუმის კოლექცია და ფოტოგრაფ ერმაკოვის ფოტო-სურათების მდიდარი კოლექცია.

მასშვე შევიდა დაუღალავი ქართველი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე რიონიშვილის (1846—98) მიერ XIX საუკუნის 80-იან წლებში დაარსებული კერძო მუზეუმის (მასაც „კავკასიური მუზეუმი“ ეწოდებოდა) კუთვნილი ექსპონატები (იარაღი, პურპელი, ნუმისმატიკური კოლექცია და სხვ.), რომელიც 1912 წელს გადაეცა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს, და აგრეთვე ა. რიონიშვილის მიერ გადაღებულ ისტორიულ ძეგლთა და ნაგებობათა ფოტო-სურათების ძვირფასი კოლექცია, რომელიც 1925 წელს შეიძინა ერმაკოვმა და ამ უკანასკნელის კოლექციასთან ერთად ახლა შეუერთდა საქართველოს მუზეუმის კოლექციებს.

კავკასიისა და საქართველოს მუზეუმების შესახებ იხ. Радде Г. И., Краткий очерк истории развития Кавказского музея, Т., 1891; Ган К. Ф., Биография Г. И. Радде, «Museum Caucasicum», VI, Т., 1912; ნოე ყიფიანი, მუზეუმის მოქმედების მოკლე ანგარიში, საქართველოს მუზეუმის „მოამბე“, № 1, 1922; გიორჯიანი, კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბ., 1951; Г Ч и т а л. Сокровища грузинской культуры, «Заря Востока». 1967, 11. V, № 109; შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის დიდი საუნჯე, ვახ. „კომუნისტი“, 1967, 11. V, № 109; В. Д ж а п а и д з е, Сокровищница Грузин, «Вечерний Тбилиси», 1967, 10. V, № 107; ნ. ჩერქეზიშვილი, საუკეთესოები კერა, „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 19. V, № 21.

ალექსანდრე რიონიშვილის მოღვაწეობას მიეძღვნა საარქივო საქმის დაუღალავი მუშაის განსვენებულ ბესარიონ ტაბიძის მონოგრაფია. იხ. ბ. ტაბიძე, ალექსანდრე რიონიშვილი, თბ., 1962.

ა

ლოს ყოფილი მთავრის დადიანის ქონება. ამ მეტად მდიდარი ქონების ნაწილი ჯერ კიდევ რევოლუციამდე შეეიდა ჩვენი ეროვნული საგანძურის ფონდში. ასე, მაგალითად ნიკო დავითის ძე დადიანმა, „დიდ ნიკოდ“ წოდებულმა, 1888 წელს შესწირა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ხელნაწერების თავისი მეტად მდიდარი კოლექცია¹¹. მოგვიანებით დადიანთა მემკვიდრეებმა ზოგი რამ გაყიდეს. ამ მხრივ საყურადღებოა ბედი ეკატერინე დადიანის შესანიშნავი ოქროს სამკაულების გარნიტურისა, რომელიც ზემოთ იყო ნახსენები.

ეტყობა ზუგდიდის ეკატერინესეული სასახლიდან განძეულობა სხვა ვზითაც ვადიოდა¹².

დიდძალი განძეულობა იქნა გამოზიდული ზუგდიდის ეკატერინესეულ სასახლიდან მენშევიკური მთავრობის განკარგულებით 1919 წლის დეკემბერში. ამის შესახებ მოგვითხრობენ არა მარტო მოგონებანა, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დროის ზუგდიდელი პედაგოგის სიმონ გოგიჩაიშვილის მოგონება (და ს. გოგიჩაიშვილისავე მონათხრობის საფუძველზე ჩაწერილი მ. მამფორის მოგონება). არამედ საარქივო მასალებიც, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს ექვთიმეს პირად არქივში დაცული ორი დოკუმენტი: ექვთიმე თაყაიშვილისათვის გაცემული მანდატი და სასახლიდან განძის გამოშტანი კომისიის „ოქმი“, ანუ საანგარიშო მოხსენება, შედგენილი ე. თაყაიშვილის მიერ მთავრობაში წარსადგენად (არქივში დაცულია აქანგარიშის ორი შავი).


ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ექვთიმე თაყაიშვილსა და დამფუძნებელი კრების კიდევ ერთ წევრს დაევალათ ზუგდიდში მინგრელსკის სასახლის ქონების დათვალიერება, ცნობაში მოყვანა და ობილისში გადატანა იმ ნივთებისა, რომელთაც ისინი საჭიროდ ცნობდნენ „არქეოლოგიური“ ან სხვა რაიმე ოვალსაზრისით. ე. ი. ამ ნივთების ისტორიული ღირებულების მიხედვით (იმ დროს ტერმინით „არქეოლოგია“ აღნიშნავდნენ ყოველგვარ ისტორიულ სიძველესა

¹¹ იხ. იონა მეუნარკას თხზ. „დავით დადიანი და მისი დრო“, გამოცემული ს. ციციშვილის მიერ სათაურით: „სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი“, თბ., 1939, გვ. 138; სერგი ჭილაია, შერეული (ქრონიკა), თბ., 1973, გვ. 24—26, 28—29.

¹² საყურადღებოა ამ მხრივ ერთი ფაქტი, მოხსენიებული სიმონ გოგიჩაიშვილის მოგონებაში, სახელდობრ, როდესაც ზუგდიდის ეკატერინესეული სასახლის სამალავში ჩაუმარავეთ განძეულობა (ამაზე იხ. ქვემოთ), ნიკო ნიკოს ძის („პატარა ნიკო“) მოურავს ელაღიშურ ალშიბაას დაუტოვებია „რამდენიმე ოქროს საგანი, მათ შორის რუსეთის მთავრობის მიერ ნაჩუქარი ოქროს ხმალი“. ეს განძეულობა ელ. ალშიბაას პეტროგრადში ჩაუტანია ნუოსათუია გადასაცემად. ძვირფასი საგნები იქ დაკარგულა (იგივე ცნობა აქვს ზეტანელი თავის მოგონებაში, ს. გოგიჩაიშვილის ნაშრომის მიხედვით, მიხეილ მამფორას).

და სიძველთმცოდნეობას). მიიღეს რა 1919 წლის 8 დეკემბერს ეს დაეაღება, საფიქრებელია, 14 დეკემბერს ისინი გამგზავრებულან იბილისიდან და მეორე დღეს, 15 დეკემბერს ზუგდიდს ჩასულან. 15, 16 და 17 დეკემბერს მათ უგროვებით ცნობები სამალაისა და იქ დამალული ძვირფასი ნივთების შესახებ. მაგრამ სამალაეს მიაკვლიეს მხოლოდ მაშინ, როდესაც 20 ან 21 დეკემბერს ზუგდიდს ჩავიდა მინგრელსკის მოქრაიი და მიუთითა სამალაეზე.

მსოფლიო ომის დასაწყისში მინგრელსკის განძეულობა დაცული ყოფილა ზუგდიდის ეკატერინესეული სასახლის ზემო სართულის ორ



ზუგდიდის ეკატერინესეული სასახლე. ძველი ხელი

ოთხეულს. მოთავსებულ „სალაროში“, სხვა ნივთებთან ერთად (ჭურჭეული, ვანუები, ნოსები, ტყაფეული, ფარდები, სურათები, სარკეები და სხვა რაილი). 1914 წლის დეკემბერში, როდესაც დაიწყო თურქ-ოსმ. ჯარების შეტევა რუსეთის კავკასიის არმიის წინააღმდეგ სარიცხამის მიზართულებით და მოსალოდნელად მიუჩნევიათ თურქთა შეჭრა სამეგრელოში, მოურავს გამოუყვია ოქრო-ვერცხლის ნივთები, რომელნიც მას ყველაზე ძვირფასად მიაჩნდა, ჩაულაგებია 4 ყუთში და ელახერნის ღეთისმშობლის ვეებერთელა ხატთან ერთად მოუთავსებია ჯერ სასახლის ქვემო სართულის საყინულეში, შემდეგ კი იმავე ქვემო სართულის სამზარეულოში ღრმა და მაღალი კუთხის განჯინაში, რო-

მელიც ამოქოლაგით ორი ფენა აგურით, გაჯით შეუღესიით და, მენიღების მიზნით, შეუღებიათ ისევე, როგორც შეღებელი იყო კედელი.

ე. თაყაიშვილის კომისიაში, რომელსაც ეკეთიმე უწოდებს „სამეგრელოს თავადის განძეულობის აღმწერ კომისიას“, შედიოდნენ თეითონ ე. თაყაიშვილი, მასთან ერთად ჩასული წევრი დამფუძნებელი კრებისა, ზეგლიდის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე ლეო შენგელაია (ცნობილი მწერალი ლეო ქიანელი) და ადგილობრი-



ზეგლიდის ნიკოსელი სასახლის ხედი

ვი საზოგადოებრივი ორგანიზაციების რამდენიმე წარმომადგენელი. 21 დეკემბერს კომისიას შეუღლია დაღეკელი კარი ეკატერინეს სასახლისა, დაუღლია სასახლის ზემო სართულის ოთახები, შემდეგ ჩასულა ქვემო სართულის სამაზრეულოში, სადაც მოურავს უჩვენებია სამალავი. გამოუნგრევიათ განჯინის ამოქოლილი პირი. შიგ აღმოჩენილა ოთხი ყუთი, სავსე ოქროს და ვერცხლის ნივთებით, და ცალკე ვლახერნის დიდი ზატი თავის „კიოტი“ ანუ კიდობნით. კომისიას დაწვრიღებით აღუნუსხია ამ ყუთებში ჩალაგებული ძვირფასი ნივთები ცალკე სიით. მეორე დღეს, 22 დეკემბერს კომისიას დაუთვალეირებია სასახლის ზემო სართულის ოთახები და აღუნუსხია „უმთავრესი სავნები და ნივთები ამ ოთახებისა“ (წვრიღმანების აღნუსხვა შეუძლებელი იყო. კომისია ჩქარობდა). შემდეგ კომისიას დაუთვალეირებია ზემო სართულის სალარო, ორ ოთახში მოქეუელი, და შეუღგენია სალაროში დაცული „თვალსაჩინო ნივთების სია“ ერთ ოთახში დაგროვილი იყო „სასადილო, საჩაიე და საყავე მოწყობილობა მრავალი, აგრეთვე დიდრონი

კილობნები ნოხებით, ტყავებით, ფარდებით და სხვ., მეორეში — დიდძალი ჭურჭელი ბროლისა, ყანწები, სურათები, სარკეები და სხვადასხვა ნივთები.

კომისიის გადაწყვეტილებით თბილისში გადაიტანეს ვლახერნის ხატი, სამალავში დაცული ნივთები, აგრეთვე „ხატები, სამი სახარება და ყანწები ვერცხლით შემკობილნი, ვერცხლის ნივთები და ერთი ღვთისმშობლის ხატი“ — ეკლესიიდან¹³.

ზუგდიდის ეკატერინესეულ სასახლეში კიდევ დარჩა დიდძალი ნივთები, ჭურჭელი, ხელნაწერები, წიგნები, ყურნალები, ნოტები. მრავალი მეტად ძვირფასი ექსპონატი, რომელთა საფუძველზე, ისევე, როგორც დადიანების სხვა სასახლეებში (სალხინო, გორდი) შემონახული განძეულობის საფუძველზე ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ აკაკი ჭანტურიამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელშეწყობით, საფუძველი ჩაუყარა სამეგრელოს მუზეუმს — ამჟამინდელ ზუგდიდის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს.

¹³ ზუგდიდის ეკატერინესეული სასახლიდან 1919 წლის დეკემბერში გამოტანილი განძეულობა, ისევე, როგორც ეკატერინე დადიანის გარნიტურის სმკაულები (ღაღღმა, საყურეები, კელონი), რომელნიც უცხოეთში გაიტანეს, როგორც საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმის განძეულობა და ჩვენთვის უცნობი გზით უცხოეთში გასული ომზე გარნიტურის სამაჭურები, უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ შევიდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში. ხოლო მისი ნაწილი ამჟამინდელ მუზეუმის სეიფის გამოყენას

ზუგდიდის ეკატერინესეული სასახლიდან გატანილი განძეულობის ოდენობაზე წარმოდგენას გვაძლევს ამ განძეულობის საერთო წონა. როგორც იხსენებს პეტრე შარია, როდესაც 1945 წლის აპრილის დამდეგს განძეულობა უნდა დაეწყო თეიმურაზ ნავაზე სამშობლოში წამოსაღებად, აუწონიათ და ზუგდიდის სასახლის ვერცხლეულის საერთო წონა 900 კილოგრამი გამოსულა.

1945 წლის 15 აგვისტოს გაკეთებულ მოხსენებაში ს. ჯანაშიამ ასე დაახასიათა ზუგდიდის სასახლიდან გამოტანილი განძეულობა და განსაკუთრებით ვერცხლის ჭურჭლის კოლექცია: „...სპეციალურად უნდა დაეახსებო შენაწინავე კოლექცია ქართული სუფრის ჭურჭლისა, უმთავრესად ვერცხლეულის; განსაკუთრებით ბლომად მოდის ისინი სამეგრელოს მთავართა ოჯახიდან, უპირატეს — დავით დადიანისა და მისი მეუღლის ეკატერინე ჭავჭავაძის ასულისეული. სიტყვამ მოიტანა და უნდა მოვახსენოთ: საერთოდ დავით და ეკატერინე დადიანების ოჯახი წარმოდგენილია უაღრესად საყურადღებო ექსპონატებით, რომელნიც ჩვენ საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ დიდი ქართველი ფეოდალის ოჯახი, ერთადერთი თითქმის ამ ოჯახთა შორის, რომელიც შეტანალებად დაურბეველი გადარჩა“.

ქართული საუნჯის უცხოეთში გატანა




თბილისიდან გამგზავრება

თბილისიდან განძეულობის გატანა ხდებოდა დიდი აჩქარებისა და ნერვიულობის ატმოსფეროში. ასეთი აჩქარებისა და პანიკის განწყობილება ასახულია ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებში. ექვთიმეს მოგონებებისა და ქრონოლოგიური ჩანაწერების მიხედვით დგინდება, რომ 1921 წლის 20 თებერვალს, საღამო ჟამს, მენშევიკების მთავრობის მეთაურს წინადადება მიუცია ექვთიმე თაყაიშვილისათვის, რომელიც დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი და, ამავე დროს, მუზეუმების ზედამხედველი იყო, ხაზინის ქონებასთან ერთად, თბილისიდან ქუთაისში გაეტანათ ძვირფასი სამუზეუმო ქონებაც. თანაც მოუთხოვია, რომ ეს ქონება მეორე დღის 11 საათისათვის მიეტანათ რკინიგზის სადგურზე.

ე. თაყაიშვილს მაშინვე შეუყრია თბილისის მუზეუმების გამგეები და მათი „მრჩევლები“ ამ სპასუხისმგებლო თათბირის მონაწილენი ყოფილან: თვით ე. თაყაიშვილი, რომელიც ამავე დროს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის განაგებდა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის გამგე დავით კარიჭაშვილი, საეკლესიო მუზეუმის გამგე მოსე ჯანაშიელი, საქართველოს მუზეუმის გამგე ნოე ყიფიანი, აგრეთვე მათი „მრჩევლები“ და ეროვნული (სამხატვრო) გალერეის წარმომადგენლები. შეკრების მონაწილენი დამორჩილებულან მთავრობის მეთაურის განკარგულებას სამუზეუმო ნივთების თბილისიდან ქუთაისის ევაკუაციის შესახებ.

ქართველი ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენელთაგან, როგორც ჩანს, ბევრი არ იზიარებდა აზრს თბილისიდან განძეულობის გატანის აუცილებლობის შესახებ. ექვთიმე იხსენებს თბილისის უნივერსიტეტის რექტორ ივანე ჯავახიშვილთან საუბარს თბილისიდან განძის გატანის დღეს, 21 თებერვლის დილას. ამ შეხვედრისას ივ. ჯავახიშვილს განძეულობის თბილისიდან გატანის თაობაზე, გარკვეული მოსაზრებით, გამოუთქვამს თავისი უარყოფითი შეხედულება. „მაგრამ ეს, რასაკვირველია, მიღებულ გადაწყვეტილებას ვერ შეცვლიდა“, — დასძენს ექვთიმე.

ერთ-ერთ მოგონებაში ექვთიმე იხსენიებს იმ მოტივს, თუ რატომ დათანხმდნენ ექვთიმეც და მუზეუმთა ხელმძღვანელებიც მენშევიკური მთავრობის მეთაურის წინადადებას განძის თბილისიდან გატანის შესახებ. როგორც ჩანს, მათი გადაწყვეტილება გამომდინარეობდა იმ პანიკური შიშისაგან, რომელსაც ავრცელებდნენ საბჭოთა ხელისუფლების მტრები. ამ ხმების თანახმად, მენშევიკური მთავრობის თბილისიდან ევაკუაციისას სამუზეუმო განძეულობა თითქოსდა საფრთხეში ჩაყარდებოდა. გამომდინარე აქედან, 20 თებერვალს, საღამოს, მუზეუმთა ხელმძღვანელებთან საუბრისას ექვთიმეს მათი ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ ნიეთების ქუთაისში საევაკუაციოდ მომზადებისას კჰონოდათ „სახეში ზარტო ოქრო-ვერცხლის და ძვირფასი თვლების ნიეთები და არა სხვა ძვირფასი საისტორიო და საარქეოლოგიო ნიეთები, როგორც არის ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები, სურათები და სხვა ...“, რათა ამ ოქრო-ვერცხლისა და ძვირფას თვლებიან ნიეთებს საეჭვო პირთა ყურადღება არ მიეპყრო



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918 წელს

ექვთიმეს მოგონებიდან ირკვევა, რომ მუზეუმთა ხელმძღვანელებისათვის, ისევე, როგორც თვით ექვთიმესათვის, ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო ქუთაისში გაგზავნილი განძეულობის შემდგომი ბედ-იღბალი, ხოლო „საზღვარგარეთ გაგზავნაზე არც გვიფიქრიაო“, — შენიშნავს ექვთიმე.

მუზეუმთა მუშაკებს 21 თებერვლის წინა ღამეს სრულიად არ უძინიათ, უმუშავნიათ „დაუცხრომლად“ და მეორე დღეს, 21 თებერვ-

ლის დილას 8 საათზე ყუთები სამუზეუმო ქონებით გამზადებული და დაბეჭდილი იყო. აქ ლაპარაკია უნივერსიტეტის შენობის მესამე სართულზე მოთავსებული სამი მუზეუმის — საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ქართლ-კახეთის სამღვდლოების თბილისის საეკლესიო მუზეუმის განძეულობაზე.

ამ სამი მუზეუმიდან გასატანად სულ გამზადებული ყოფილა 10 ყუთი და ერთი დიდი კალათი. აქედან ექვს ყუთსა და დიდ კალათში ჩალაგებული ყოფილა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის განძეულობა, სამ ყუთში — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმისა და ერთშიც — საეკლესიო მუზეუმისა. ყუთები დაუბეჭდიათ ლუქის ბეჭდებით. როგორც ეს ამოიკითხა პარიზის ბანკში 1934 წლის 4 ოქტომბერს ექსპერტად მიწვეულმა პარიზში მყოფმა ქართველმა ისტორიკოსმა შალვა ბერიძემ, ამ ათ ყუთზე ქართულად წარწერილი ყოფილა: „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი“, ხოლო ყუთებზე დასმულ ლუქის ბეჭდებზე აღბეჭდილი ყოფილა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავი“ ყველა ეს აღნიშნულია პარიზულ 1934 წლის აღმწესხავ ოქმში. რაც შეეხება დიდ კალათს, მასში ჩაუწყყვითა დავით სარაჯიშვილის სამგლოვიარო ვერცხლის გვირგვინები — „ერთი კალათი ვერცხლის გვირგვინებით, რომელნიც დავით სარაჯიშვილის კუბოს ამკობდა“, — ჩაიწერა ამ კალათის შესახებ ექვთიმე¹⁴.

21 თებერვალს დილაადრიან თბილისის უნივერსიტეტის შენობაში, აღნიშნული სამი მუზეუმის სამყოფელში, დაუთვალეირებია ექვთიმეს ეს განძი და შეუტყვია, რომ მუზეუმთა ხელმძღვანელებს, წინააღმდეგ მისი მითითებისა, ყუთებში ჩაუწყყვითა „ოქრო-ვერცხლისა და თვალმარგალიტის ნივთებთან ერთად ძვირფასი ხელნაწერებიც“ (ხელნაწერები ჩაულაგებიათ ათიდან ორ ყუთში). ექვთიმეს, ცხადია, ეს არ მოსწონებია, მაგრამ აჩქარების პირობებში შეუძლებლად მიუჩნევია გახსნა-გადალაგება. თუ როგორი აჩქარებით გაიგზავნა ქუთაისს თბილისის მუზეუმების განძეულობა, ამას მოწმობს არა მარტო ის გარე-

¹⁴ ეს დიდი კალათი, რომელშიაც ჩაუწყყვით დ. სარაჯიშვილის 27 სამგლოვიარო ვერცხლის გვირგვინი, ნაკეთები მუხისა და დაფნის ფოთლების მავაკად, რომელთაგან ზოგს შუაში გაკეთებული ქქონია ვერცხლისავე პალმის ტოტი, შეადგენდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის კუთვნილებას; ხოლო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის კუთვნილ ერთ ყუთში ყოფილა კიდევ, აკაკი წერეთლის მემორიალურ ნივთებთან ერთად, ვერცხლის ხუთი სამგლოვიარო გვირგვინი, ნაკეთები დაფნის, მუხისა და პალმის ტოტების მსგავსად. ამ ხუთიდან ა. ხახანაშვილისა ყოფილა სამი, იაკობ გოგებაშვილისა და ილია ქავკავაძისა — თითო.

მოება, რომ ყუთებში ბევრი რამ ისეთიც ჩაალაგეს, რაც არ იყო წასა-
 ლები, არამედ ისიც, რომ თბილისის მუზეუმებს ვერ მოუსწრიათ
 საევაკუაციო ნივთების სიის შედგენა და ყუთების გასაღებების გადა-
 ცემაც კი დავიწყებიათ განძის გამყოლთათვის მუზეუმებმა ვერ
 მოასწრეს ვერც სიის გადმოცემა ჩვენთვის და ვერც გასაღებების. ევა-
 კუაცია მოულოდნელი იყო“, — წერს ექვთიმე 1935 წლის მაისში
 პარიზში დაწერილ სტატიაში — „ერთი შეკითხვის გამო“

ექვთიმე თაყაიშვილი. 1927-იანი
 წლებს დამდეგო



ყუთები თბილისის უნივერსიტეტის შენობიდან 21 თებერვალს
 დილის 9 საათზე გაუტანიათ რკინიგზის სადგურზე. ცოტათი მოგვი-
 ანებით ამ 11 ერთეულს — 10 ყუთსა და ერთ კალასს — შემატებია
 კიდევ ორი: ორ ჯოხზე გაკეთებული ერთი შეკერა ეროვნული (სამხა-
 ტვრო) გალერეის 18 სურათისა და საქართველოს მუზეუმის (ყოფ-
 კავკასიის მუზეუმის) განძეულობა, ჩალაგებული ცეცხლგამძლე მძიმე
 თუჯის ყუთში, რომელიც, სიმძიმის გამო, ძნელად გადასატანი ყოფი-
 ლა. ამ ყუთზე პარიზის ბანკში 1934 წლის 4 ოქტომბერს შ. ბერიძეს
 ამოუკითხია ქართული წარწერა: „საქართველოს მუზეუმი“

საქართველოს მუზეუმის გამგეს ნ. ყიფიანს 21 თებერვლის დი-
 ლის 10 საათზე ეს თუჯის ყუთი მიუტანია სამხატვრო გალერეის შე-
 ნობაში და იგი გალერეის 18 სურათის შეკვრასთან ერთად სადგურზე
 გაუტანიათ.

გარდა თბილისის მუზეუმების განძეულობით დატვირთული ყუთებისა, კალათისა და ეროვნული გაღვრიის 18 სურათისა საღვურზე მიუზიდათ ზუგდიდის ეკატერინესეული სასახლის განძეულობით დატვირთული 7 ყუთი, თბილისის სასახლის განძეულობა, მოთავსებული აგრეთვე 7 ყუთში, ყოფილი რუსული პოლკების ქონებით¹⁵ დატვირთული 7 ყუთი. სულ ამ კატეგორიის ქონება ჩალაგებული ყოფილა 37 ყუთში, რომელთაგან დოკუმენტებში ასახვა პოვა მხოლოდ ზემოთ ხსენებულმა 21 ყუთმა¹⁶. საღვურშივე გაიტანეს გაუქმებული რუსული ეკლესიების ქონებით დატვირთული 6 ყუთი¹⁷ დაბოლოს, გასაგზავნად გამზადებული ყოფილა სახაზინო ქონება, რომელსაც მენშევიკური მთავრობა თავის კუთვნილ „სავალუტო ქონებად“ თვლიდა. ექვთიმე თაყაიშვილი გაკვირით იხსენიებს ამ „სავალუტო ქონებას“. ერთგან იგი შენიშნავს, რომ ამ ყუთებში ელაგა მომეტებული „ხაზინაში დაგროვილი ვერცხლის მადნეულობა ალავერდის ჭარხნიდან და შემოწირული ვერცხლის ნივთები“; მეორეგან ზღ. ზოხსენიებულნი აქვს: „ხაზინის 112 ყუთი ქარხნების ვერცხლეულით“ მაგრამ ჩვენი სახელოვანი მეცნიერის ეს ცნობა ზუსტი არ უნდა იყოს, რაც, როგორც ეტყობა, იმიტ აიხსნება, რომ ექვთიმეს ნაკლები აინტერესებდა „მთავრობის კუთვნილი სავალუტო ქონება“ და ლეიტანურად მას არც შეხებია.

რასაკვირველია, ექვთიმეს მიერ „სავალუტო ქონებად“ მოქმენიებული „ქარხნების ვერცხლეული“ და „შემოწირული ვერცხლის ნივთები“ გამოსარიცხი არაა. მაგრამ ხაზინის ქონებაში ვერცხლეულითან ერთად ბლომად ყოფილა ოქროც. ამას მოწმობს ე. თაყაიშვილის არქივშივე დაცული დოკუმენტები.*

¹⁵ ეს იყო ყაზარდის მე-80 ქვერთი პოლკის, კერძის 79-ე ქვერთი პოლკის და კავალერიატის ესკადრონის ქონება.

¹⁶ ჩვენთვის უცნობი დარჩა, ვისი და რა ქონება ელაგა ამავე კატეგორიის ღანარჩენ 16 ყუთში. ვინაიდან, როგორც ნახსენები იქნება, ეს ყუთები 1921 წლის 21 მაისს გამოიტანეს საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებიდან და სახაზინო ქონებასთან ერთად მოახდინეს მისი. როგორც „არასამუზეუმო ქონების“, ლიკვიდაცია. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

¹⁷ ამ კატეგორიის ქონება საქართველოდან მის ევაკუაციამდე, როგორც ჩანს, დაცული იყო თბილისში, სახელმწიფო ბანკში, რადგან ამ ქონებით დატვირთულ ყუთებს დამშული ქონით ბანკის ნომრები და პლომებიც

* შეგალითად, ექვთიმესათვის, როგორც განძის მცველისათვის, ქუთაისში გატეხულ მოწმობაში ან სავალუტო ქონების შესახებ ნახსენები იყო, რომ მას, ექვთიმე თაყაიშვილს, მიაქვს საზღვარგარეთ მენშევიკური მთავრობის კუთვნილი „ოქროვან ვერცხლი ზოდებად და მონეტებად“; ისევე როგორც სხვა ძვირფასი ნივთები, ხოლო მარსელში მომწინავე კომისიის ოქმში იგივე სავალუტო ქონება მოხსენიებულია როგორც 112 ყუთი ხაზინის ოქრო-ვერცხლისა“.

აღსანიშნავია, რომ მარსელში მომუშავე კომისიამ, რომლის შე-
სახებ ქვემოთ იქნება ნახსენები, თავის ოქმში ჩაწერა, რომ „ხაზი-
ნის ამ ყუთების შინაარსი დაწვრილებით არის
წარმოდგენილი ცალკე სიით“ ამ „ცალკე სიის“ მიკვლევა
ამჟამად ხერხდება. იგი აღმოჩნდა ჩვენი ცნობილი მწერლის ნიკო
ლორთქიფანიძის არქივში¹⁸ და, საფიქრებელია, ამ არქივში მოხვდა
ნიკოს ძმის, ისტორიკოსის, ეკონომისტისა და საზოგადო მოღვაწის
იასონ ლორთქიფანიძის მეშვეობით. ი. ლორთქიფანიძე იყო
ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო შემდეგ საქართველოს სახელმწიფო
ბანკის მმართველი (1927 წლამდე). როგორც ეტყობა მას შემოუნა-
ხავს და თავის ძმისთვის გადაუცია ერთად აკინძული ორი დოკუმენ-
ტი: სახაზინო, ანუ სავალუტო ფასეულობათა თბილისში შედგენილი
სიის ნაწილი, რომლის გადარჩენაც მან შეძლო და ამ ფასეულობათა
ქუთაისში გადაბარების ოქმი.

სია ასეა დასათაურებული: „სია იმ საფასურთა და საგანძეთა,
რომელიც თბილისის ხაზინამ სახელმწიფო ბანკის გამგეობის თანა-
დასწრებით ჩააბარა მთავრობის რწმუნებულთ“ სიას ხელს აწერენ:
გენშევიკური მთავრობის, საქართველოს სახელმწიფო ბანკის, თბილი-
სის ხაზინის, ქუთაისის ხაზინისა და სახელმწიფო კონტროლის წარმო-
მადგენლები. როგორც იყო ნახსენები, ნ. ლორთქიფანიძის არქივმა
შემოგვინახა ამ სიის მხოლოდ ნაწილი, მასში შეტანილია 42 ყუთსა და
ერთ ტომარაში დაცული ქონება, რომლის საერთო წონა 139 ფუთსა
და 14 1/2 გირვანქას, ანუ 2229 კილოგრამსა და 800 გრამს შეად-
გენდა. ამ ყუთებსა და ტომარაში ელაგა ოქროს ზოდები, მებღები,
ორდენები, მინაქრიანი ორდენები, ჯვრები, საათები, ბეჭდები და
მონეტები; ვერცხლის ზოდები, მებღები, ორდენები, სხვადასხვა ნიე-
თები და მონეტები.

მთელი ქონება — სამუზეუმო და სახაზინო — თბილისიდან გაის-
ტუმრეს მატარებლით ქუთაისს 1921 წლის 21 თებერვალს, დილის 11
საათზე. იმავე დღეს, 21 თებერვალს, საფიქრებელია, საღამოჟამს ეს
ქონება ქუთაისში ჩაუტანიათ და ქუთაისის ხაზინის შენობაში მოჟ-
თავსებიათ. იქ გენშევიკური მთავრობის კუთვნილებად გამოცხადებუ-
ლი სახაზინო, ანუ სავალუტო ქონება დაულაგებიათ ქუთაისის ხაზი-
ნის ცალკე განყოფილებაში და, საფიქრებელია, თან გაყოლილი სიების
მისეღვით შეუჯამებია იქ შედგენილ ოქმში კომისიას, რომელშიაც
შედლიდნენ ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო კონტროლის, ქუ-

¹⁸ ყველა ამის შესახებ ქვემოთ იქნება ნათქვამი. იხ. ნ. მერაბიშვილი, ისევ გურ-
ლის საოჯახო არქივიდან, გაზეთი „კომუნისტი“, 2 ნოემბერი 1982; №251 (18.493);
გიორჯოვლიანი, ლემდე უნობი ერთი დოკუმენტი. გაზეთი „თბილისი“, 17
იანვარი 1983, №15 (9033) და გაზეთი „სამშობლო“, 1983 წლის იანვარი, №2 (567).

თაისის ხაზინისა და თბილისის ხაზინის წარმომადგენელი. ეს ოქმიც, ისევე, როგორც სახაზინო ქონების სიის ნაწილი, შედგენილი თბილისში, ინახება ნ. ლორთქიფანიძის საოჯახო არქივში. ოქმი 1921 წლის 21 თებერვლითაა დათარიღებული და მასში აღრიცხულია: 70 ყუთი და 507 ტომარა ფულითა და საფასვით, 11 ტომარა საეკლესიო ნივთებით, 19 ჩანთა ოქროთი, 5 ჩანთა ვერცხლით და ბოლოს 6 ხატი.

მოგვიანებით ყველა დოკუმენტში იხსენიება, რომ სახაზინო, ანუ სავალუტო ქონება ჩალაგებული ყოფილა 100 ყუთისა და 12 ტომარაში (ხოლო სტამბოლში ამ 12 ტომარის ქონება გადაულაგებიათ ამდენივე ყუთში) როგორც ეტყობა, 30 ყუთში გადაულაგებიათ ტომარებისა და ჩანთების ქონება, ამას გარდა დარჩენილა კიდევ ქონება, რომელიც ჩალაგებული ყოფილა 12 ტომარაში.

სად გადაალაგეს ტომარები და ჩანთები დიდ ყუთებში, ძნელი სათქმელია. შეიძლება ეს გააკეთეს ქუთაისის ხაზინაში, ხოლო შესაძლებელია უკვე თბილისშივე და ის გარემოება, რომ ზემოხსენებულ ოქმში მაინც მოიხსენიეს, ყუთებისაგან განსხვავებით, 518 ტომარა და 24 ჩანთა, ალბათ იმით შეიძლება აიხსნას. რომ ეს ტომარები და ჩანთები გაუხსნელად ჩალაგეს ყუთებში, გარდა 12 ტომარისა.

უკეთუ ტომარებისა და ჩანთების ყუთებში ჩალაგებას ქჷონდა აღგილი თბილისში, მაშინ თბილისიდან გატანილი იქნებოდა 154 დიდი ყუთი, 12 ტომარა, ერთი დიდი კალათი და ერთიც სურათების შეკვრა, ე. ი. სულ 168 საცავი ერთეული; ხოლო თუ გადალგება ქუთაისში მოხდა, მაშინ გამოდის, რომ თბილისიდან გაუტანიათ 124 დიდი ყუთი, 518 ტომარა, 24 ჩანთა, ერთი დიდი კალათი და ერთიც სურათების შეკვრა, ე. ი. 668 საცავი ერთეული.

თბილისიდან განძის ქუთაისში გატანის შემდეგ მალე, 25 თებერვლის წინა ღამეს იქითკენვე გაემგზავრნენ მენშევიკური მთავრობა და დამფუძნებელი კრების წევრები, ხოლო უკანასკნელებთან ერთად ექვთიმე თაყაიშვილი, ამ კრების თავმჯდომარის ერთ-ერთი ამხანაგი.

ქუთაისში

ქუთაისში ექვთიმე თაყაიშვილს გაუტარებია ხუთი დღე — 25 თებერვლიდან 2 მარტის დღამდე, ხოლო თბილისიდან ჩამოტანილ განძეულობას და სხვა ქონებას ქუთაისის ხაზინაში დაუყვია რვა დღე — 21 თებერვლიდან. ამასთანავე მათთვის ქუთაისში ყოფნის თითქმის ბოლო დღემდე გარკვეული არა ყოფილა განძის საბოლოო ბედი: დანამდვილებით არ იყო ცნობილი, გაიტანდნენ თუ არა მას უცხოეთში. როგორც ჩანს, ყოყმანობდნენ. რაც შეეხება ექვთიმეს, იგი, საერთოდ, არც აპირებდა საზღვარგარეთ გამგზავრებას...

ჯერ კიდევ თბილისური განძისა და სხვა ქონების მიღებამდე, 1920 წლის დამლევს, ქუთაისის ხაზინას შემატებია მეტად ძვირფასი განძეულობა დასავლეთ საქართველოს მონასტერთა საცაგებიდან — მარტვილიდან და გელათიდან. მაგრამ გელათის მონასტრის განძეულობა ჩამოუტანია არაკომპეტენტურ პირს, რომელსაც ძვირფას ნივთებთან ერთად გელათიდან წამოუღია ნაკლებ ღირებულებით. ამიტომ მენშევიკური მთავრობის ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს კ. კანდელაკს უთხოვინია ექვთიმესათვის გელათიდან და მარტვილიდან გადმოტანილი ნივთების გადარჩევა და წასაღები ნივთების ყუთებში ჩალაგება. გელათისა და მარტვილის ნივთები — ქუთაისის ხაზინაში მყოფი — ექვთიმეს გადაურჩევია მთავრობისა და ქუთაისის ხაზინის წარმომადგენელთა თანადასწრებით. გადარჩევას ესწრებოდა ქუთათელ მიტროპოლიტ ნაზარის წარმომადგენელიც. სამონასტრო ნივთების გადარჩევა ქუთაისის ხაზინაში ორ დღეს გაგრძელებულა: „ორი დღე შეუსვენრად, დილიდან საღამომდის ვმუშაობდით“, — იხსენებს ექვთიმე. ის, რაც ექვთიმეს სამუშეუმოდ უცენია, ყუთებში ჩაულაგებიათ, დაუბეჭდიათ და ვაგზალზე გასაგზავნად გაუმზადებიათ; ხოლო დანარჩენი ქონება ხელწერილით ჩაუბარებიათ მიტროპოლიტ ნაზარის წარმომადგენლისათვის, მიტროპოლიტი ნაზარი, ისევე როგორც ქართველი სამღვდელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, წინააღმდეგი იყო ქართული სამონასტრო განძეულობის უცხოეთში გატანისა. ჯერ ერთი, მათი დაკარგვისა ეშინოდათ, და მეორეც, არ ენდობოდნენ მენშევიკებს. საქართველოს კათალიკოს ლეონიდეს მონასტრებიდან განძის გამოტანის თაობაზე კონფლიქტი ჰქონია მენშევიკური მთავრობის მეთაურთან, მას არ გაუტანებია ექვთიმესათვის სიონის ეკლესიის განძეულობა, რომელიც იმ დროს ქუთაისში ჰქონდა ჩატანილი. საფიქრებელია, იგი არც გელათისა და მარტვილის განძეულობას გაატანდა, მის ხელთ რომ ყოფილიყო. მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე გამოტანილი იყო ხსენებული მონასტრებიდან, ქუთაისის ხაზინაში ინახებოდა მენშევიკური მთავრობის განკარგულებაში, რომელიც სამღვდლოებას ნაკლებად უწევდა ანგარიშს.

სამონასტრო ქონება ქუთაისის ხაზინაში ჩაულაგებიათ მომცრო ყუთებში, რომელთა რიცხვი ცხრაშეტი იყო.

ქუთაისშივე, განძის გატანის წინა დღეს, I მარტს საბოლოოდ გადაწყვეტილა განძის შემდგომი ბედ-იღბალი: მენშევიკური მთავრობისა და დამფუძნებელი კრების მიერ ამორჩეულ კომიტეტს, რომელიც პარტიების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა, გამოუტანია დადგენილება განძის ბათუმში გატანისა და იქ ფრანგულ კრეისერზე მოთავსების შესახებ.

საფიქრებელია, რომ იმავე დღეს, ე. ი. 1 მარტს, პარტიების წარმომადგენელთა კომიტეტის კრებაზე გადაწყდა საკითხი უცხოეთში გასატანი განძეულობის მეთვალყურის შესახებაც. როგორც ექვთიმე იხსენებს, ამ საკითხს დიდი კამათი გამოუწვევია: ყოველი პარტიის წარმომადგენელი თურმე თავიანთ კანდიდატს ასახელებდა. ბოლოს, კ. კანდელაკის წინადადებით, შეთანხმებულან ექვთიმე თაყაიშვილის კანდიდატურაზე. მიუხედავად იმისა, რომ ექვთიმე ემიგრანტობას სრულადაც არ აპირებდა, კ. კანდელაკს დაუყოლიებია იგი გაპყლოდა განძეულობას. ეტყობა, ექვთიმეზე იმოქმედა არა მარტო კ. კანდელაკის არგუმენტმა, რომ განძის ვაყოლაზე მის მიერ უარის თქმის შემთხვევაში „განძეულობის გატანა გაძნელებოდა“, არამედ მისმა პირადმა რწმენამ: „მე შეშინოდა რაიმე ხიფათი არ მოსვლოდა ჩვენს მუზეუმის ნივთებს, ვინაიდან ჩემს გარდა ამ ნივთებს კარგად ვერავინ იცნობდაო“, — იხსენებდა ექვთიმე ძალაუვნებურად მომისდა ემიგრანტობა, — იხსენებს მეორეგან ექვთიმე, — რათა არ მოეშორებოდო ჩვენი ერის სასიქადულო კულტურულ საგანძურს, დამეცვა იგი ყოველგვარი საფრთხისაგანო“

მენშევიკურ მთავრობას ექვთიმესთან ერთად განძის მეთვალყურედ გაუნწესებია თავისი ფინანსთა მინისტრის ამხანაგი (თანამუშევრ) იოსებ ელიგულაშვილი. განძის მეთვალყურედ, არსებითად, ექვთიმე თაყაიშვილი იყო. რაც შეეხება ი. ელიგულაშვილს, მას ევალეზობდა, უნთავრესად, სახაზინო ქონების მოვლა-პატრონობა და, ამავე დროს, ექვთიმესათვის სამუზეუმო განძეულობის მოვლაში დასმარების აღმოჩენა.

ამგვარად, 1921 წლის 1 მარტიდან ექვთიმე უკვე იურიდიულადაც ითვლებოდა ჩვენი საუნჯის მეთვალყურედ და ზედამხედველად. პირველი მარტითაა დათარიღებული მენშევიკური მთავრობის მიერ ექვთიმესათვის გაცემული ფრანგულ ენაზე ზელის მანქანაზე ნაბეჭდი მოწმობა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგს ექვთიმე თაყაიშვილს მიაქვს საზღვარგარეთ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კუთვნილი ოქრო-ვერცხლი ზოდებად და მონეტებად, ისევე, როგორც სხვა ძვირფასი ნივთები, რათა ჩააბაროს ისინი ევროპის ბანკებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით“, და რომ ამ განძის „გამგებლობის უფლება ეკუთვნის აღნიშნული რესპუბლიკის მთავრობას“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართული განძის პატრონად ცხადდებოდა მენშევიკური მთავრობა.

ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რა ხიფათში ჩაავლო ამ იურიდიულმა სტატუსმა ჩვენი განძეულობა მაშინ, როდესაც შეიცვალა ქართული მენშევიკური „მთავრობის“ მიმართ საფრანგეთის მთავრობის დამო-

კიდებულება. მაგრამ ეს ხიფათი ჯერ შორს იყო. იმ დროს საფრანგეთს სათავეში ედგა არისტიდ ბრიანი — „უენევის სულის მოციქული“, ფრიად ანტისაბჭოურად განწყობილი. იგი, ცხადია, მზად იყო სტუმართ-მოყვრულად მიედო ლტოლვილი ქართველი მენშევიკები და, ამასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, მითითებაც მისცა საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელს.

სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქუთაისში ამ გადაწყვეტილების მიღებისას მენშევიკებზე დიდი გავლენა მოახდინა საფრანგეთის მთავრობის „სრულუფლებიანმა მინისტრმა“ (დესპანმა) და „უზენაესმა კომისარმა ამიერკავკასიაში“ აბელ შევალემ¹⁹, რომელმაც ალბათ თავისი მთავრობის სახელით დაარწმუნა მენშევიკების მთავრობა ესარგებლა საფრანგეთის მთავრობის „სტუმართმოყვარეობით“ და ფრანგულივე კრეისერით გაეტანა ჩვენი საუნჯე ბათუმიდან საფრანგეთში.

2 მარტის წინა ღამე ქუთაისის ხაზინაში გაუთვევით ექვთიმე თაყაიშვილს, კ. კანდელაკს, ი. ელიგულაშვილს, თბილისის ხაზინის წარმომადგენელს და ქუთაისის ხაზინის თანამშრომლებს. თბილისიდან ჩამოტანილ და ქუთაისის ხაზინაში მყოფ, მათ შორის სამონასტრო ქონების შემცველი ყუთებისათვის მათ საერთო ნუმერაცია გაუკეთებიათ და ამის შემდეგ დაუწყიათ განძის სადგურში გაზიდვა სანდო გადამზიდავებსა და შოფრებს შიშვე ავტომანქანებით; ე. თაყაიშვილი და კანდელაკი აგზავნიდნენ ყუთებს ხაზინის შენობიდან, ხოლო ელიგულაშვილი და თბილისის ხაზინის წარმომადგენელი სადგურზე იბარებდნენ მათ, რის შემდეგ აწყობდნენ ვაგონებში.

გადაზიდვა ხდებოდა დიდი აჩქარებით, რადგან მოსახლეობის მითქა ამოთქმას ვრიდებოდნენ. სურდათ 2 მარტის წინა ღამეს დაეტვირთათ ვაგონები განძეულობით და უთენია გაეტანათ იგი მატარებლით ბათუმის მიმართულებით. მაგრამ ეს განზრახვა ვერ განუხორციელებიათ. აჩქარებაში მარტვილის ფსადაუდებელი განძით დატვირთული პატარა ყუთი ვაგონში ჩადგმისას მოქცეულა მეორე ყუთქვეშ, თვალს მიჰფარებია და თავზარდაცემულ ექვთიმეს იგი დაკარგულად ჩაუთვლია ... “შე თავზარი დამეცა, — იხსენებს ექვთიმე, — ჯერ არ გამოგსულვართ ქუთაისიდან და საუკეთესო განძეულობის იაშჩიკი აღარა ჩანს! ამაზედ მეტი უბედურება და მარცხი შე ვერ წარმომედ-

¹⁹ როგორც იმდროინდელ თბილისურ გაზეთებში მოთავსებული ცნობებიდან იჩვენება. აბელ შევალე (და არა „შევალე“, როგორც მას ზოგჯერ იხსენიებენ) გამოცდილი, 50 წლის ასაკს მიღწეული დიპლომატი ყოფილა. დიპლომატიური მოღვაწეობის დაწყებამდე იგი ყოფილა პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი და გამოქვეყნებული ჰქონია გამოკვლევები ისტორიასა და ლიტერატურაში.

ვინა. ძლიერ აელეღლი გადავსწყვიტე, რომ აღარ გამოვსულიყავი ქუთაისიდან, მანამ იმ ყუთს არ იპოვიდენ" კ. კანდელაკს მინც დაუყოლიებია ექვთიმე ვაჟყოლოდა განძს (ეს ძვირფასი ყუთი აღმოუჩენიათ 5 მარტს, ბათუმში, ყუთების ვაგონებიდან კრეისერზე გადატანისას).

ამ თვალსმიფარებული ყუთის ქუთაისის ქუჩებზე ამო ძებნაში კარგა დრო დაკარგულა. ამასობაში გათენებულა კიდეც. საღგურზე ხალხი შეყრილა, ატეხილა ნონქოლი და მითქმა-მოთქმა: მიდიან, მიაქვთ ჩვენი ავლა-დიდება და ჩვენ უსახსროდ და უპატრონოდ ვეტოვებენო. უკმაყოფილება და აღშფოთება რომ დიდი იყო, ეს იქიდანაც ირკვევა, რომ განძის წაღების მიმართ მტრულ დაძოკიდებულებას არ მალავდა თურმე თვით განძის მცველად გაყოლილი ექვსი კაციც კი, რომელნიც მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის „საგანგებო რაზმიდან“²⁰ იყენენ. ე. ი. განსაკუთრებით სანდოდ ითვლებოდნენ მენშევიკური მთავრობისათვის.

მართალია, ექვთიმეს ვერ უბედავდნენ ვერაფრის თქმას, მაგრამ ი. ელიგულაშვილისა და ექვთიმეს მეუღლის გასაგონად ხმაბლდა ლაპარაკობდნენ თურმე: ყველა ჩვენი სიმდიდრე, ჩვენი საცხოვრებელი ამათ მიაქვთ და ჩვენ შვირ-მწყურვალს გვტოვებენ. არა, ამას ვერ მოვითმენთ, ვერ გავუშვებთო ისინი, რომ „მოეათაფლა“, ელიგულაშვილი იძულებული იყო თურმე მათთვის ცოტ-ცოტა ფული ეძლია.

ტანჯვით მოგზაურობამ დღე-ნახევარს გასტანა. 3 მარტს საღამოთი მატარებელმა ბათუმს მიაღწია. ქუთაისიდან ბათუმს ჩაიტანეს სულ 187 საცავი ერთეული: 154 მოზრდილი და 19 მომცრო ყუთი (მომცრო ყუთებში ელაგა ქუთაისიდან გატანილი საზონასტრო ქონება, აქედან აღბათ ერთი იყო მარტვილის ქონებით დატვირთული, დანარჩენი თვრამეტი — გელათური ქონებით), 12 ტომარა, ერთი დიდი კალათი და სურათების ერთი შეკერა.

ბათუმში

ექვთიმეს მოგონებებიდან და ქრონოლოგიური ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ჩვენს საუნჯეს დაუყვია ბათუმში შვიდ დღე-ნახევარი.

²⁰ ასე უწოდებს აქ ამ რაზმს ექვთიმე. ჩვეულებრივ კი მას „განსაკუთრებულ რაზმს“ უწოდებდნენ. იხ. „მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში. მასალები და დოკუმენტები“, კრებული, შედგენილი გაიოზ დევდარიანის მიერ, თბ., 1931, გვ. 143, 152, 154, 186, 189, 190, 199, 227, 284, 358, 420, 446, 451. აღნიშნულ კრებულში იგი მხოლოდ იხილად ადგილას იხსენიება „საგანგებო რაზმად“ იხ. იქვე, გვ. 153, 475.

„ სადამოს 3 მარტს მივედით ბათუმში, — იხსენიებს ერთ მოგონებაში ექვთიმე, — ჩვენი ვაგონები ვაგზლიდან შორს დააყენეს. მე ტელეფონით ვაცნობე ქალაქის გამგეს²¹ რომ მცველები გამოეგზავნა ვაგონებისათვის, რომლებშიაც განძეულობა იყო მოქცეული. დამპირდა, მაგრამ არავინ გამოეგზავნა. ელიგულაშვილს იქ ბინა ჰქონდა, სადაც მამა და ოჯახობა ცხოვრობდა; ის იქ წავიდა და მე და ჩემი მეუღლე მარტო დავრჩით ვაგონებში. რაზმელებიც გაქრნენ...“. ამგვარად განძის მცველად დარჩენილა ორი ხნიერი ადამიანი — ექვთიმე და მისი მეუღლე, რომელთაც უძილოდ გაუტარებიათ არა მარტო 3 მარტის ღამე, არამედ მთელი მეორე დღეც — 4 მარტი. მხოლოდ 5 მარტს განძით დატვირთული ვაგონები მიუყენებიათ ნავსადგურისათვის და დაუწყიათ ვაგონებში მოთავსებული ყუთების გადაზიდვა ფრანგულ კრეისერზე.

ამ დროს ბათუმში ჩასულა კიდევ რამდენიმე ვაგონი დატვირთული ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონებით. გამოუცხადებიათ: „ესენიც უნდა მოთავსდეს კრეისერზეო“ მაგრამ ადგილის უქონლობის გამო ბორჯომიდან ჩატანილი ყველა ყუთი ექვთიმეს ვერ მოუთავსებია კრეისერზე. მას იქ მოუთავსებია ბორჯომის სასახლეების მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც 27 ყუთში ჩალაგებულ 2300-მდე ძვირფას წიგნს შეიცავდა²², მაგიდის, საწოლისა და საშხარეულოს აუარებელი

²¹ იმ დროს „ქალაქის გამგელ“ ბათუმში, ე. ი. საქართველოს მენშევიკური მთავრობის „საგანგებო რწმუნებულად“ (მას „საგანგებო კომისარსა“ და „ვენერალ-გუბერნატორსაც“ უწოდებდნენ) იყო მენშევიკური მთავრობის ყოფილი სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე. იხ. გ. დევიდარიანის დასახელებული კრებული — „მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში. მასალები და დოკუმენტები“, გვ. 195, 230, 480, 485, 491.

²² ეს დიდი მთავრისეული ბიბლიოთეკა ჩვენი მთავრობის სპეციალურმა კომისიამ 1927 წელს ორას ათას ოქროს მანეთად შეაფასა. ექვთიმე იხსენებს, რომ მას ჯერ კიდევ მენშევიკების მმართველობაში გადაუწყვეტია ბორჯომის ბიბლიოთეკის გადმოტანა საქართველოს საზღვრებში ან უნივერსიტეტში და სათანადო ნებათაც მიღწია, მაგრამ შემდეგ ამ წამოწყების განხორციელება ვეღარ მოუხერხებია, საფიქრებელია, ვერ მოუხერხებია. ექვთიმე მალაღ შეფასებას აძლევს ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ბიბლიოთეკას; მისი სიტყვით, ბიბლიოთეკა „ფრიად მნიშვნელოვანია იმეათი გამოცემებით რუსულ და ევროპულ ენებზე“. მასშია წიგნები, ამსახველი „განსაკუთრებით ნაპოლონ I-ის ეპოქისა“, თუმცა „საკმაოდ მოიპოვება სხვა საყურადღებო გამოცემებიც“ გარეგნულად ბიბლიოთეკის წიგნები კარგადაა მოვლილი: „წიგნები, მცირეოდენის გამოცემებით, დამოსილია ყლებით, ზოგჯერ მდიდრულით“.

ამჟამად, ამ ბიბლიოთეკის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაშია დაცული. ესაა მეტად ძვირფასი წიგნები რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

ქვემოთ ნახსენები იქნება, როგორ და როდის დაბრუნდა ბიბლიოთეკა საქართველოში.

თეთრეულით დატვირთული 6 ყუთი; შინის, ბროლის, ფაიფურისა და ფაიანსის დიდძალი ჭურჭლით დატვირთული 11 ყუთი; კავკასიური, სპარსული, ევროპული 41 ნოხით დატვირთული 3 ყუთი; თითო ყუთი ფიტულებითა და ოთახის ქანდაკებებით; ბრინჯაოს, სპილოს ძვლის, ბროლის, მარმარილოს, ფაიფურისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით (საათები, ვაზები, სასანოლევები, საფერფლეები და სხვ.) დატვირთული 3 ყუთი. სულ გამოდის 25 ყუთი. ე. ი. კრეისერზე მოუთავსებით 52 ყუთი ბორჯომის სასახლეებისეული ნივთები. სასახლეების გამგის მეტისმეტი „გულმოდგინებით“ აიხსნება ის ვარემოება, რომ ძვირფას, ღირებულ ქონებასთან ერთად, ბორჯომის სასახლეებიდან გამოუტანიათ ისეთი ნივთებიც, რომელთა გატანა სრულიად არა ღირდა. „მე ახლა გოცებული ვარ, — იხსენებდა ექვთიმე შოგვიანებით ბორჯომის სასახლეების გამგის ამგვარი „გულმოდგინების“ შესახებ, — როგორ მოასწრო ამ ახალგაზრდა ადამიანმა დეტალურად, სიტყვა-სიტყვით, აესრულებინა მთავრობის თავმჯდომარის განკარგულება. როგორც შემდეგ, ამ ნივთების აღნუსხვის დროს, მარსელში დაერწმუნდი. იქ დაეიწყებულ იყო უბრალო სამზარეულოს ჩვრებიც.“

ბორჯომის სასახლისეული ქონებიდან ექვთიმეს კრეისერზე არ მოუთავსებია და ბათუმში დაუტოვებია ყველა ყუთი დატვირთული ირზის რქებითა და 7 ყუთი სურათებით. უადვილობის გარდა, აქ, როგორც ჩანს, სხვა მოსაზრებასაც ქონია ადგილი: „თითქმის არც ირზის რქებსა და არც ბორჯომისეულ სურათებს დიდ ღირებულებას არ აკლავდნენ. „ის ნივთები, რომელიც ჩვენ კრეისერზე ვერ მოვითავსეთ, — იხსენებდა მოგვიანებით ექვთიმე ამ სურათების შესახებ, — შეიცავდა სურათებს ნაპოლეონის მარშლებისა, მისი წინისტრებისა და მისი ისტორიისა, ხოლო ეს სურათები იყო კობიოევი ლეიბის სურათებისა და ამიტომ დიდ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ.“

ცხადია, ასეთი შეფასება იმით აიხსნება, რომ აჩქარებამ არ მისცა ექვთიმეს საშუალება კარგად გარკვეულიყო ამ სურათებში, რომელთა შორის იგი ნახავდა არა მარტო „ნაპოლეონის მარშლებისა და მინისტრების სურათებს“ და არც მარტო „კობიოებს“ თბილისური 1945 წლის სიის თანახმად, სულ ბორჯომის სასახლეებიდან გატანილი იყო 91 სურათი. ჩვენ შევძელით საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დასავლეთ ევროპისა და რუსული ხელოვნების განყოფილებების საინვენტარო წიგნების მიხედვით 37 სურათის შემოწმება²³. ამათგან 70 ფერწერულია და 3 გრაფიკული. დედანია 41. ცნობილია 16 სურათის

²³ თბილისურ 1945 წლის სიაში 91 სურათიდან, რომლებიც ბორჯომის სასახლეებიდანა გამოტანილი, ვერ მივაკვლიეთ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ვერც ფონდებში, ვერც საინვენტარო ჩანაწერებში 18 სურათს.




ახალგორის განძი, აღმოჩენილი 1908 წელს ქსისის ხეობაში ძვ. წ. აღრ. VI—IV
საუკუნეებში.

Ахалгорийский клад, найденный в 1908 году в ущелье р. Ксани. VI—IV
века до н. э.

Trésor d'Akhalgori, découvert en 1908 dans les gorges de la Ksani, VI.^e—
IV.^e siècles av. notre ère.






ახალგორის ვახში, აღმოჩენილი 1908 წელს ქსნის ხეობაში. ძვ. წ. აღრ. VI—IV
საუკუნეები.

Ахалгорный клад, найденный в 1908 году в ущелье р. Ксани. VI—IV
века до н. э.

Trésor d'Akhalgori, découvert en 1908 dans les gorges de la Ksani, VI.^e—
IV.^e siècles av. notre ère.



თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტი. თანამედროვე ხედი.
Тбилисский государственный
университет. Современный вид
Université d'Etat de Tbilissi
Aspect actuel.



ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თანა-
მედროვე ხედი.
Государственный музей Грузии им. С. Н. Джанашиа. Сове-
ременный вид
Musée national de Géorgie S. Djanachia. Aspect actuel.





„იადგარი“ — შიქაელ მოდრეკილის საგლობელთა კრებული. X საუკუნის ხელნაწერი. ეტრათი (38×29 სმ), ფურც. 72გ.

«Иадгари» — сборник песнопений Микаэля Модрекили, рукопись X века, пергамент (38×29 см), лист 72 г

Iadgari — recueil de chants d'église de Mikhaél Modrékili, manuscrit du X^e siècle, parchemin (38×29 cm). f. 72 g.

ტბეთის სახარება. XII საუკუნის ხელნაწერი. ეტრათი (27×19,5 სმ). მოოქრული ვერცხლის კედური ყდის ზემო ნაწილი. Тбетское Евангелие, рукопись XII века, на пергаменте (27×19,5 см)



Evangile de Tbéti, manuscrit du XII^e siècle, sur parchemin (27×19,5 cm).



„ვეფხისტყაოსანი“. XVII
საუკ. ხელნაწერის მინია-
ტურა.

Миниатюра из поэмы
Руставели «Витязь в
тигровой шкуре». Руко-
пись XVII века

Miniature du poème de
Roustaveli, „Le Cheva-
lier à la peau de tigre“.
Manuscrit du XVII^e
siècle.



„ვეფხისტყაოსანი“, გადაწერილი
1646 წელს ლევან II დადიანის
კარზე მამუკა თავაქარაშვილის
მხედრით. 8v (27x17 სმ)

«Витязь в тигровой шкуре»,
переписанный в 1646 году при
дворе Левана II Дадияни кал-
лиграфом Мамука Тавакара-
швили. Лист 8v (27x17 см)

„Le Chevalier à la peau de tigre“,
recopié en 1646 à la cour
de Lévan II Dadiani, par le
calligraphe, Mamouka Tavaka-
rashvili (27x17 cm)



ილია ჭავჭავაძის სამგლოვიარო ვერცხლის გვირგვინის დაფნის ფოთლი (სიგრძე — 8 სმ)

Серебряный лавровый лист (длина 8 см) из траурного венка Ильи Чавчаваძე

Feuille de laurier en argent (longueur 8 cm) provenant de la couronne mortuaire d'Iliia Tchavchavadzé.

დავით სარაჯიშვილის სამგლოვიარო ვერცხლის გვირგვინი (57X43 სმ)

Траурный серебряный венок Давида Сараджишвили (57X43 см)

Couronne mortuaire en argent de David Saradjichvili (57X43 cm).



იაკობ გოგებაშვილის სამგლოვიარო ვერცხლის გვირგვინი (43X37 სმ)

Траурный серебряный венок Якова Гогобашвили (43X37 см)

Couronne mortuaire en argent de Iakob Goguëbachvili (43X37 cm).

ალექსანდრე ხახანაშვილის სამგლოვიარო ვერცხლის გვირგვინი (52X42 სმ)

Траурный серебряный венок Александра Хаканашвили (52X42 см)

Couronne mortuaire en argent d'Alexandre Khal.banachvili' (52X42 cm).



დავით კურაპალატის წინგასაძღოლი ქედური ვერცხლის მოოქრული ჯვრის წინა მხარე. X საუკუნის დამლევის ნაკეთობა (27,2×16,2 სმ). ქვემო მკლავზე ასომთავრული წარწერაა: „ქ[რისტე] ა[დი]ღე დღეგარ[ქ]ლემით დ[ავით] კურაპალატი ა[მინ]“.

Лицевая сторона выносного чеканного серебряного позолоченного креста Давида Куропалата. Произведение конца X века (27,2×16,2 см). Внизу надпись асомтаврули: «Христе, возвеличь во многолетии Давида Куропалата, аминь»

Le côté face de la croix de vermeil en repoussé de David Kouropalate. Oeuvre de la fin du X^e siècle (27.2X16,2 cm).



დავით კურაპალატის ჯვრის ზურგი. ქვემო მკლავზე დეკორში ასომთავრულითაა ჩაქსოვილი. „ასათ მოქმედი“.


Оборотная сторона выносного креста Давида Куропалата. Внизу в декор вплетена надпись асомтаврули: «Асат моxmеди» (мастер Асат)

Le revers de la croix de David Kouropalate.

მეფე ერეკლეს თოფი სპი-
ლოს ძვლის კონდახით
(სიგრძე — 149 სმ).

Ружье царя Ираклия II
с прикладом из слоно-
вой кости (длина
149 см)

Le fusil du roi Irakli II
avec crosse en ivoire
(longueur — 149 cm).



ალექსანდრე ბატონიშვი-
ლის ხმალი (სიგრძე ტ-
რიანალ — 92,9 სმ).

Сабля царевича Алек-
сандра (длина вместе
с рукоятью 92,9 см)

Le sabre du tsarevitch
Alexandre (longueur
poignée comprise—92,
9 cm).

მეფე ერეკლეს ხმალი (სი-
გრძე ტარიანალ — 96,5
სმ)

Сабля царя Ираклия II
(длина вместе с руко-
ятью 96,5 см)

Le sabre du roi Irakli II
(longueur, poignée co
mprise,—96,5 cm).



მეფე ერეკლეს ხმლის
პირი, ზარნიშოანი მხედრე-
ლი წარწერით

Лезвие сабли царя
Ираклия II, на нем над-
пись мхедрули золотой
насечкой

La lame du sabre du roi
Irakli II portant, inci-
sée en or, une inscripti-
on en mkhédrouli.



ვერცხლის (ადგილ-ადგილ ოქროთი დაფერილი) დისკო
წმ. მამას (მამანტის) ჰორელიეფური გამოსახულებით. XI
საუკუნის დამდეგის ძეგლი (დიამეტრი — 20,5 სმ, წონა —
407 გრამი).

Серебряный (местами позолоченный) диск с горельеф-
ным изображением св. Мамы (Мамая). Памятник на-
чала XI века (диаметр 20,5 см, вес 407 г)

Disque en argent (partiellement en vermeil) avec l'image
en haut-relief de St Mama (Mamaï). Monument du
début XI^e siècle (diamètre—20.5 cm, poids—407 gr).


მდივანბეგ სოლომონ ლიონიძის ხმალი (სიგრძე ტარიანად
— 97 სმ)

Сабля мдиванбега (канцлера) Соломона Лионидзе
(длина вместе с рукоятью 97 см)

Le sabre du mdivanbeg (chancelier) Solomon Lionidzé
(longueur, poignée comprise —97 cm).



სამხატვრო გალერეა: თანამედროვე ხედი.
Художественная галерея. Современный вид
Galerie d'art. Aspect actuel.





ხრისტიან-ვილჰელმ-ერნსტ დიტ-
რიხი (1712—74), მოხუცი ქალის
პორტრეტი. ტილო, ზეთი (38×
29 სმ)

Христиан-Вильгельм-Эрнст
Дитрих (1712—74). Портрет
старухи. Холст, масло (38×
×29 см)

Christian-Guillaume-Ernst Diet-
rich (1712—74). Portrait d'une
vieille femme. Toile, peinture
à l'huile (38X29 cm).

ხრისტიან-ვილჰელმ-ერნსტ დიტ-
რიხი (1712—74), მოხუცი მამა-
კაცის პორტრეტი. ტილო, ზეთი
(38×29 სმ).

Христиан-Вильгельм-Эрнст Ди-
трих (1712—74). Портрет ста-
рика. Холст, масло (38×
×29 см)



Christian-Guillaume-Ernst Diet-
rich (1712—74). Portrait d'un-
vieillard. Toile, peinture à
l'huile (38X29 cm).



პიერ-პოლ პრიუდონი (1758—
1823), ფრანგი დიპლომატის
შარლ-მორის დე ტალეირან-პერი-
გორის პორტრეტი. ტილო, ზეთი
(25×16 სმ)


Пьер-Поль Прюдон (1758—
1823). Портрет французского
дипломата Шарля-Мориса де
Тalleyран-Перигора. Холст,
масло (25×16 см)

Pierre-Paul Prud'hon (1758 —
1823). Portrait du diplomate


XVII საუკუნის უცნობი გერმან-
ელი მხატვარი, „საჯიზნო“. ტი-
ლო, ზეთი (43×32 სმ).

Неизвестный немецкий худож-
ник XVII века. «Конюшня».
Холст, масло (43×32 см)

Peintre allemand inconnu du
XVII^e siècle. „L'écurie“. Toi-
le, peinture à l'huile (43X32 cm)



ლიკანის სასახლე, თანამედროვე ხედი
Ликанский дворец. Современный вид
Le Palais de Likani. Aspect actuel.



ბერთის სახარება, XII
საუკუნის ხელნაწერი, ეტ-
რატი (22,5×17 სმ). ბეშ-
ქენ ოპიზრის ხელით მო-
პედილი მოჭრული ვერ-
ცხლის ყდის წინა მხარე
Бертское Евангелие. Рукопись
XII века, на пергаменте (22,5×
×17 см). Верхняя часть сереб-
ряного позолоченного чеканно-
го оклада работы Бешкена
Опизари

L'Évangile de Berti. manuscrit
du XII^e siècle, sur parchemin
(22,5×17 cm).



ბერთის სახარების ყდის
ზურგი

Нижняя часть оклада Берт-
ского Евангелия

La partie inférieure de la couver-
ture de l'Évangile de Berti.



წყაროსათვის სახარება. XII
საუკუნის ხელნაწერი, ეტრატა
(25×18 სმ). ბეჭა ოპიზრის ხე-
ლით მოქედილი მოოქრული
ვერცხლის ყდის წინა მხარე.
Цкароставское Евангелие. Ру-
копись XII века на пергамен-
те (25×18 см). Верхняя часть
серебряного позолоченного че-
канного оклада Бека Опизар-
ри

L'Évangile de Tskarostavi. Ma-
nuscript du XII^e siècle sur
parchemin (25X18).




წყაროსათვის სახარების ყდის
ზურგი

Нижняя часть оклада Цкаро-
ставского Евангелия

La partie inférieure de la couver-
ture de l'Évangile de Tskaros-
tavi.


წყაროსთვის სახარების
ფურცელი 72v
Цкароставское Еванге-
лие. Лист 72 v
L'Evangile de Tskarostavi
f. 72 v.



ვარძიის სახარება. XII—XIII საუკ. ხელნაწერი, ეტრბტი (23×
18 სმ), ფურც. 119v

Вардзийское Евангелие. Рукопись XII—XIII вв. на пергаменте
(23×18 см). Лист 119v

L'Evangile de Vardzia. Manuscrit des XII^e—XIII^e siècles sur
parchemin (23X18 cm). f. 119 v.





დავით აღმაშენებლის წინგასაძლოლი ვერცხლის მოჭრული ჯვარის წინა მხარე. X—XI საუკ. ძეგლი (42,2×34 სმ). ქვედა მკლავის ძირშია 4,7 სმ სიმაღლის ოქროს ფირფიტა 6-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერით

Лицевая сторона выносного чеканного серебряного позолоченного креста Давида Строителя. Памятник X—XI вв. (42,2×34 см). Внизу золотая пластинка высотой в 4,7 см с 6-строчной надписью асомтаврული

Côté face d'une croix de vermeil en repoussé de David le Bâtitteur. Monument des X^e—XI^e siècles (42,2X34 cm).

დავით აღმაშენებლის წინგასაძლოლი ჯვარის ოქროს ფირფიტის 6-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „ღმერთო ყოველთა დამბადებელო აღიღე შენ მიერ გვიერ ლგუინოსანი დავით აფხაშთა და ქართველთა ჰერლითა და კახთა მეფე მისე ქრისტეანობისა ამინ“

Золотая пластинка выносного креста Давида Строителя с 6-строчной надписью асомтаврული: «Боже, творец всего сущего, возвеличь тобой венчанного Давида, царя абхазов и картов, эров и кахов, сьлнце христианства, аминь»

Plaque en or de la croix de David le Bâtitteur avec inscription en 6 lignes en assomtavruli.



ავტორი; ცხრა დანატა ჯ. დიუმ, ორი — კ. ფილიპოვმა და თითო — დ. ლევიციმ, ე. პ. ბერნ-ბელკურმა, რ. ფრენცმა, ტ. ლაურენსმა და ა. პეტერსმა. 25 სურათ-დენის ავტორი უცნობია. 32 სურათი — პირია გადასატული ცნობილი მხატვრების სურათებიდან; გამამხატვეებს შორის იხსენიება ლ.-უ. შპერმანი, რომლის ფუნჯს, თანახმად საინვენტარო ჩანაწერებისა, ეკუთვნის 7 სურათის პირი. შემოსხენებული 73 სურათიდან ნაოლეონი და მისი გენერლები ასახულნი არიან 34 სურათზე, რომელთაგან ყველა არაა „კოპიო“, ე. ი. პირი, 4 — დედანია, მათ შორის ერთის ავტორი ცნობილია (ესაა ე. პ. ბერნ-ბელკურის „ნაოლეონის გადადგომა“, შესრულებული 1886 წელს).

მაგრამ მარტო ზორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონება არ დამატებია თბილისიდან და ქუთაისიდან გატანილ განძეულობას. ბათუმშივე ჩაუტანიათ ერთი პატარა ყუთი, დატვირთული ხობის მონასტრის ნივთებით, რომელიც მანამდე ინახებოდა ახალსენაკის (დღევ. ცხაკაია) ხაზინაში. ხობის მონასტრის განძეულობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იქ იყო თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარი, თავისი ოქროს ორკარედი კიდობნითურთ.

5 მარტს განძეულობით დატვირთული ყუთები აბელ შევალეს განკარგულებით მოუთავსებიათ ფრანგულ კრეისერ „ერნესტ რენანზე“ ბუნებრივი იყო, განძთან ერთად კრეისერზე მისი მცველების მოწყობაც, მაგრამ, მიუხედავად ე. თაყაიშვილის თხოვნისა, იგი და ი. ელიგულაშვილი კრეისერზე არ მოუთავსებიათ; შევალესა და კრეისერის კაპიტანს ერთმანეთში მოულაპარაკებიათ და უარი უთქვამთ ექვთიმესაძის იმის მომიზეზებით, რომ კრეისერი სამხედრო დავალებებს ასრულებდა შავ ჭაღზე, ამიტომ არასამხედრო პირის მასზე მოთავსება შეუძლებელიაო. ანავე ღროს შევალეს დაპირება მიუცია, რომ როდესაც კრეისერი სტამბულისაკენ გამგზავრებას დააპირებდა, იგი აცნობებდა განძის მცველებს და მათ აუცილებლად მოათავსებდა კრეისერზე.

ექვთიმეს კიდევ ერთი ღამე გაუტარებია ვაგონში, უკვე უგანძოდ, რადგან განძით დატვირთული ყუთები კრეისერზე ეწყო, ისინი სიით ჰქონდა ჩაბარებული კაპიტანს, რომელმაც განძს მცველები დაუყენა.

„ერნესტ რენანზე“ მოთავსებული ყუთების საერთო ოდენობა, ჩვენი ვარაუდით, 240 უნდა ყოფილიყო.

მეორე დღეს, 6 მარტს, ექვთიმე მეუღლითურთ ბათუმის სასტუმროში დაბინავებულა, სადაც მათთვის გაჭირვებით უშოვნიათ ერთი ოთახი. ისინი და ი. ელიგულაშვილი, რომელიც საკუთარ ოჯახში ცხოვრობდა, ხუთ დღეს ელოდნენ კრეისერის გასვლას და, ცხადია, არ უფიქრიათ, რომ ფრანგებს შეეძლოთ პირობის დარღვევა.

უცხოეთში გამგზავრება სტამბულში ბზა მარსელამდე

აბელ შევალემ იმუხანათა და დაპირება არ შეასრულა ...

საფრანგეთის ექსდესპანი, ჩანს, განძის წაღებაზე გაცილებით უფრო მეტ მზრუნველობას იჩენდა, ვიდრე მისი მცველების წაყვანაზე. იგი არხენინად წაბრძანდა ბათუმიდან „ერნესტ რენანი“ და წაიყვანა თან არა განძის მცველები, რომელთაც ამის მტკიცე პირობა მისცა, არამედ... მენშევიკური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი (თანაშემწე) კ. საბასტარაშვილი, რომელთანაც, ალბათ, სამსახურებრივ ამბებთან დაკავშირებით, პირადი მეგობრობა ანდა კარგი დამოკიდებულება აკავშირებდა. შევალემ არც კი ჩათვალა თავი მოვალედ ეცნობებინა ექვთიმესათვის, რომ კრეისერის ბათუმიდან გასვლა გადაწყვეტილია 11 მარტს...

კრეისერი რომ გასვლას აპირებდა შეუტყვია ი. ელიგულაშვილს. იგი მაშინვე მიჭრილა ექვთიმესთან და უთქვამს: დაუყოვნებლივ უნდა წავიდეთ კრეისერზე, რადგანაც იგი ახლავე გადისო. სამივე — ექვთიმე მეუღლითურთ და ი. ელიგულაშვილი სასწრაფოდ მისულან პორტში ერთი საათით ადრე, ვიდრე დანიშნული ყოფილა კრეისერის გასვლა, მაგრამ გვიანლა იყო: თავზარდაცემულმა მგზავრებმა დაინახეს, რომ გემი უკვე გამგზავრებულყო და საკმაოდ მოშორებით მიმავალი მოჩანდა. ამავე დროს, მათდა საუბედუროდ, ცუდი ამინდი იყო: ქროდა საშინელი ცივი ქარი, წვიმდა. პორტის გამგეებს ურჩევიათ გულგახეთქილი მცველებისათვის მოტორიანი ნავით დასწეოდნენ კრეისერს. მართლაც ჩამსხდარან „მოტორში“ (მეორეგან ექვთიმე მას „პატარა კატერს“ უწოდებს), მაგრამ „მოტორი“ კრეისერს აბა როგორ დაეწეოდა? ამო დევნამ ნახევარ საათს გასტანა. ამასობაში ქარმა და წვიმამ იმატა, მგზავრები გაითოშნენ სიცივისაგან. მოტორიანი ნავის წამყვანმა გამოუცხადა მათ, რომ ბენზინი ელევა და უკან თუ არ დავბრუნდით, დასაბრუნებელი საწვავი შეიძლება აღარც კი გვეყოსო, და მას ძლიერძლივობით მოუყვანია დატანჯული და გათოშილი მგზავრები პორტში.

ექვთიმე მეუღლითურთ სასტუმროში დაბრუნებულა, ხოლო ი. ელიგულაშვილს აუღია ბილეთები იუგოსლავურ პატარა კერძო გემზე და იმავე დღეს, 11 მარტს საღამო ჟამს გასულან ამ პატარა გემით ბათუმიდან, მიუხედავად იმისა, რომ მგზავრები გაუფრთხილებიათ ზღვის მოსალოდნელი ღელვისა და შესაძლებელი ხიფათის შესახებ. მართლაც შუალამისას დაწყებულა საშინელი ღელვა, რომელიც დღენახევარს გაგრძელებულა; გემი ისე ირწეოდა თურმე, რომ ჭურჭელი ცვიოდა და იმტვრეოდა. მგზავრები ცუდად გამხდარან. ერთხანს ისეთი კრიტიკული მომენტიც დამდგარა, რომ კაპიტანს გადარჩენის იმე-

დი დაპყრობის და მისი განკარგულებით დატანჯულ მგზავრებს „გადასარჩენი ფრთები“ შეუბამთ. მაგრამ ორი საათის შემდეგ ტაროსი ცოტათი შენელებულა და 14 მარტს საღამო ჟამს ჩასულან სტამბულს, სადაც წინა დღეს, ე. ი. 13 მარტს მიცურებულა „ერნესტ რენანი“. მაშასადამე, განძს კრეისერით ორი დღე უცურვია, ხოლო განძის მცველებს პატარა სომალდით — სამი დღე.

სტამბულში ექვთიმე და მისი მეუღლე მოუთავსებიათ საქართველოს საკონსულოში, რომელსაც განაგებდა ექვთიმეს ყოფილი მოწაფე და შემდეგ საფრანგეთში ლტოლვილობისას მისი განუყრელი მეგობარი იოსებ გოგოლაშვილი. მას და მის მეუღლეს, ასევე ექვთიმეს ყოფილ მოწაფეს, დიდი სტუმართმოყვარეობით მიუღიათ დატანჯული მგზავრები, რომელთაც დაჰყვეს სტამბულში დაახლოებით 6 დღეს — 14 მარტის საღამოდან 20 მარტამდე²⁴

სტამბულში განძის მცველებს ელოდათ იმედის ახალი გაცრუება: გამტყუნდა მათი იმედი, რომ სტამბულიდან მაინც გაემგზავრებოდნენ განძთან ერთად „ერნესტ რენანი“. სტამბულელ ფრანგ ხელისუფალთ განკარგულება გაუციათ კრეისერის ნაცვლად ჩვენი განძი სტამბულიდან მარსელამდე გადაეტანათ ფრანგული სამხედრო-სატრანსპორტო გეზით, რომელსაც ჰქონდა ვიეტნამური სახელწოდება „ბიენ-ჰოა“ (ბიენ-ჰოა სამხრეთ ვიეტნამის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი ქალაქია; იმავე სახელწოდებისაა პროვინცია, რომლის ცენტრს ეს ქალაქი წარმოადგენს). ამ განკარგულების გაცემას, ცხადია, უკანასკნელ როლს არ შეასრულებდა აბელ შევალე, რომელიც იმ დროს სტამბულში იმყოფებოდა.

ექვთიმეს არქივმა შემოგვინახა საყურადღებო დოკუმენტი — „ბიენ-ჰოას“ კაპიტნის პიერ ვანდიეს 1921 წლის 18 მარტით დათარიღებული ბრძანება, ფრანგულად, ხელის მანქანით ნაბეჭდი, შტამპიან ქალაქზე. კაპიტნის ბრძანებაში ჩაწერილია: „კავკასიაში საფრანგეთის უზენაესი კომისრის (ე. ი. ა. შევალეს — გ. ე.) შუამდგომლობით ბატონები თაყაიშვილი — საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი, მეუღლითურთ, და ელიგულაშვილი — საქართველოს ფინანსთა მინისტრის ამხანაგი, გაემგზავრებიან „ბიენ-ჰოათი“ ქართული განძის თანხლებისათვის. მათი მოგზაურობის ხარჯებს კისრულობს საგარეო საქმეთა უწყება. ისინი დაიშვებიან მეთაურის სუფრაზე. „ბიენ-ჰოას“ გამგზავრება დანიშნულია კვირას, 1921 წლის 20 მარტს“. ბრძანების ასლები მიეცათ: „ბ. თაყაიშვილს, ბ. ელიგულაშვილს და ბ. შევალეს“.

²⁴ სტამბულში ყოფნისას ექვთიმეს მოუსწრია ძველი ქალაქის ისტორიული ძეგლების, განსაკუთრებით კი აია-სოფიას — VI საუკუნის ბიზანტიური ხუროთმოძღვრების შედევრის, წმ. სოფიოს შესანიშნავი ტაძრის დათვალიერება.

ბრძანებიდან ჩანს, რომ ორი დღით ადრე გემის სტანბულიდან გამგზავრებამდე, 18 მარტს, ა. შევალეს შუამდგომლობით განძის მცველები მოუწყვიტათ ფრანგულ სამხედრო-სატრანსპორტო გემ „ბიენ-ჰოაზე“, მათი გადაყენის ხარჯები უკისრია საფრანგეთის საგარეო საქმეთა უწყებას და მგზავრებისათვის ნება დაურთავთ ესარგებლათ გემის კაპიტნის სუფრით. ამ უკანასკნელი გარემოების შესახებ ექვთიმე წერს, რომ „გემის კაპიტნის სუფრით სარგებლობა თურმე დიდი პატივი იყო“, ვინაიდან კაპიტანი „სხვა არავისთან სუფრას არ იზიარებდა, არც თავის თანაშემწესთან. ამას მათი დიდი პრესტიჟი და დისციპლინა მოითხოვდა თურმე“.

მაგრამ, საერთოდ ამ გემით მოგზაურობა, ცხადია, მიანცლაძინც სასიამოვნო პერსპექტივას არ წარმოადგენდა: ჯერ ერთი, გემი უნდა გაცურებულყო მარსელისაკენ არა პირდაპირი გზით, არამედ შემოვლით, რადგან ამ სამხედრო-სატრანსპორტო გემის ცურვის მიზანი იყო საფრანგეთისა და მისი მოკავშირეების განმგებლობაში მყოფი სახმელთაშუაზღვაო პორტების ჩამოვლა, იქიდან ომში დაჭრილებისა და ავადმყოფების მიღება, მათი მარსელში მიყვანა; მეორეც, მოგზაურობა უხიფათო არ ჩანდა, ვინაიდან „ბიენ-ჰოა“ იყო, ექვთიმეს სიტყვით, „დიდი დაძველებული გემი“, რომლის შესახებ თვით მისი კაპიტანი პიერ ვანდიე „ცუდი აზრის“ ყოფილა და მას გზაში უთქვამს: გემი მეტისმეტად დაძველებულია და რამდენიმე რეისის შემდეგ ხმარებიდან გამოვალ (როგორც ექვთიმეს მოგვიანებით გახეთიდან შეუტყვია, ეს მართლაც ასე მომხდარა).

როგორც იხსენებდა ექვთიმე, იგი მეუღლითურთ და ი. ელიგულა-შვილი „ბიენ-ჰოაზე“ პატივით მიუღიათ. ექვთიმე უქებს პიერ ვანდიეს სტუმართმოყვარეობას: „საბედნიეროდ კაპიტანი დიდად პატიოსანი და თავაზიანი აღმოჩნდა“, „დიდის ყურადღებით და პატივისცემით გვეპყრობოდა ... , ყოველი სადილის შემდეგ დიდხანს არ გვიშვებდა, გვებასებოდა“. ჩანს, ფრანგი კაპიტანი პ. ვანდიე ჭეშმარიტად ფრანგულ თავაზიანობას იჩენდა მათდამი: კარგად, ალერსიანად ეპყრობოდა, სადაც კი მოისურვებდნენ, მოტორიანი ნავით გადასვამდა ხოლმე ნაპირზე ქალაქების დასათვალიერებლად ...

პ. ვანდიეს ბრძანებიდან ვგებულობთ, რომ განძის მცველების სტამბულში ჩასვლის მეხუთე დღეს, 18 მარტს, ისინი „ბიენ-ჰოაზე“ მოუთავსებიათ. საფიქრებელია, ერთდროულად ან შეიძლება უფრო ადრეც გადაიტანეს განძი ამავე გემზე კრეისერ „ერნესტ რენანიდან“, როგორც ჩანს, სტამბულში „ბიენ-ჰოაზე“ მოათავსეს არა მარტო „ერნესტ რენანი“ ჩატანილი განძი და სხვა ქონება, არამედ ბორჯომის სასახლეების ქონების ის ნაწილიც, რომელიც ექვთიმემ ბათუმში დატოვა და ეს ქონებაც დანარჩენს შეუერთეს. ეტყობა, სტამბულში მო-

გვიანებით ჩატანილი ეს ბორჯომისეული ქონება გადაურჩევიათ, მომეტებული ნაწილი ირმის რქებისა დაუტოვებიათ სტამბულშივე, ქართველ კათოლიკეთა მონასტერში, ხოლო სურათებით დატირთული 7 ყუთი, რომლებშიც ეწყო 91 სურათი და 2 ყუთი ირმის რქებით, „ერნესტ რენანი“ მიტანილ განძეულობასთან და დანარჩენ ქონებასთან ერთად, მოუთავსებიათ „ბიენ-ჰოაზე“.

ნივთების „ბიენ-ჰოაზე“ დალაგებისას შეუმჩნევიათ, რომ სახაზინო ქონების, მომეტებულად ვერცხლეულის შემცველი ტომრები, რომელთაც ვერ გაუძლეს ნივთების სიმძიმეს, დახეულა; ამიტომ მათში ჩალაგებული ნივთები ახლად გაკეთებულ ყუთებში გადაუწყვიტათ — დახეული 12 ტომარა შეუცვლიათ ამდენივე ყუთით. ეტყობა სტამბულშივე ჩაუწყვიათ ახლად გაკეთებულ ყუთში საქართველოს ეროვნული გალერეის 18 სურათიც, რადგან სურათების შეკვრა, რომელიც თბილისიდან გაიტანეს, დოკუმენტებში აღარ იხსენიება და, როგორც ჩანს, მარსელში ეს სურათები ყუთში ჩალაგებული ჩაუტანიათ.

სულ სტამბულიდან „ბიენ-ჰოას“ გადაუტანია განძითა და სხვა ქონებით დატირთული 248 ყუთი და ერთიც დიდი კალათი, დ. სარაჯიშვილის სამგლოვიარო გვირაგინებით.

მიუხედავად იმისა, რომ „ბიენ-ჰოა“ ძალიან მოძველებული გემი იყო და საცაა ხმარებიდან უნდა გამოსულიყო, იგი მშვიდობით ჩასულა საფრანგეთში. ამისათვის ხელი შეუწყო კარგ ამინდს; ამინდი არეულა მხოლოდ ორიოდე დღით ადრე მარსელში მისვლამდე.

20 მარტს „ბიენ-ჰოა“ გასულა სტამბულიდან და სამი დღის ცურვის შემდეგ, მცირე აზიის გარშემოვლით, 23 მარტს მიცურდა ზღვისპირა ქალაქ მერსინში, ანუ მერსინაში. 25 მარტს მიცურებულან სირიის ძველ ქალაქ ალექსანდრეტში, ანუ თურქულად ისკენდერონში. 27 მარტს „ბიენ-ჰოა“ გაჩერებულა სირიის ძველ ქალაქ ბეირუთში, რომელიც ამჟამად სირიისაგან გამოყოფილი ლიბანის რესპუბლიკის დედაქალაქია. ბეირუთში „ბიენ-ჰოა“ შეჩერებულა ოთხ დღეს. 31 მარტს მას დაუტოვებია ამ ქალაქის ნავსადგური და კურსი დასავლეთისაკენ აუღია. ხუთი დღის ცურვის შემდეგ, 5 აპრილს გემი მიცურებულა ტუნისის საზღვაო ქალაქ ბიზერტაში, რომელიც დაუტოვებია სამი დღის შემდეგ, 8 აპრილს²⁵.

²⁵ ისევე, როგორც სტამბულში ყოფნისას, ექვთიმე მოგზაურობისას იმყოფილებდა თავის ცნობისმოყვარობას, როგორც ისტორიკოსი და სიძველეთა მოყვარული. ამაში მას დიდად უწყობდა ხელს პიერ ვანდოე: მგზავრების სურვილისამებრ, იქ, სადაც გემი არ უნდა შეჩერებულა, თავაზიანი კაპიტანი მოტორიანი ნავით (ექვთიმე „კატერს“ უწოდებს) გადასემდა ხოლმე ქალაქების დასათვალიერებლად. ხოლო იქ, სადაც გემი ჩერდებოდა თავის დანიშნულებისამებრ (დაქრილთა და დაჯავებულთა საფრანგეთში

ბიზერტიდან გასვლისას ამოვარდნილა ქარი და ზღვა გაფუჭებულა, იმდენად, რომ კაპიტანი ვანდიე და მისი თანაშემწე, როგორც იხსენებს ექვთიმე, ბაქანს ვერ შორდებოდნენო. ამავე დროს კინალამ გემი კიდევ ერთ ხიფათს არ გადააქიდებია: ბიზერტიდან გასვლისას კაპიტანს მიუღია რადიოგრაფია, რომლითაც მას უბრძანებდნენ კუნძულ კორსიკისაკენ გამგზავრებას, სადაც მას უნდა მიეღო მონაწილეობა გასაჭირში მყოფი რომელიღაც ფრანგული გემის გადაარჩენაში. ამ ცნობას შეუწუხებია პ. ვანდიე, რომელსაც უთქვამს მგზავრებისათვის: კორსიკის მახლობლად „შკერები“ (წყალქვეშა კლდეები) არისო. ცხადია, ეს უსიამოვნო ამბავი კაპიტანზე არანაკლებ შეაწუხებდა და საგონებელში ჩააგდებდა განძის მცველებს: განძს ახალი საფრთხე დაემუქრა ... მაგრამ, საბედნიეროდ, 4 საათის შემდეგ (მეორე მოგონების თანახმად, ნახევარი საათის შემდეგ) კაპიტანს მეორე რადიოგრაფია მიუღია: კორსიკისაკენ წასვლა საჭირო აღარ არისო.

ჩვენ საუნჯისა და საქართველოდან გატანილი დანარჩენი ქონების გადაზიდვა — ხმელეთითა და ზღვით — გაგრძელებულა 48 დღეს.

წასაყვანად), ექვთიმეს უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა დაეკმაყოფილებინა თავისი ცნობისმოყვარეობა. როდესაც „ბიენ-ჰოა“ სამი დღით შეჩერდა ტუნისის პორტ ბიზერტაში, ექვთიმეს და ი. ელიგულაშვილს დაუთვალე რეზიდათ ძველი კართაგენის ნანგრევები, სადაც წინათ გათხრები წარმოებდა, ძველი ცირკის შენობა და რომაული წყალსადენი, რომელიც, ფრანგების მიერ მისი შეკეთების შემდეგ, წყლით ამარაგებდა ბიზერტას და ა. შ.



ჩვენი განძის თავგადასავალზე მარსელში, სადაც მოუხდება ყოფნა ცამეტი წლის განმავლობაში, მოთხრობილია ექვთიმე თაყაიშვილის ზოგონებებსა და სხვა დოკუმენტებში, მათ შორის ექვთიმეს წერილში ეუკოლ ბერიძისადმი, რომელიც 1935 წლის 9 აპრილითაა დათარიღებული.

ჯერ კიდევ გემ „ბიენ-ჰოას“ მარსელში ჩასვლამდე ექვთიმეს გზიდან გაუგზავნია პარიზში დეპეშა მენშევიკური „მთავრობის“ დესპან აკაკი ჩხენკელისათვის და უთხოვია მისთვის, გამოეგზავნა პარიზიდან მარსელში რამდენიმე კაცი — საქართველოს ლეგაციის წარმომადგენელი, რომლებიც განძის მცველებთან — ე. თაყაიშვილთან და ი. ელიგულაშვილთან ერთად წესრიგში მოიყვანდნენ ჩატანილ ქონებას, აღნუსხავდნენ მას, გამოყოფდნენ სამუზეუმო განძეულობას „მთავრობის ქონებისაგან“ და ყველას თავის შესაფერ ადგილს მიუჩინდნენ.

ასევე გზიდან გაუგზავნია დეპეშა გემ „ბიენ-ჰოას“ კაპიტანს პ. ვანდიეს „მარსელის მთავრობისათვის“, ე. ი. ქ. მარსელის მუნიციპალური აღმინისტრაციისათვის და საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებისათვის, რათა დაეხვედრებინათ საიმედო სამხედრო დაცვა, რომელიც უზრუნველყოფდა განძეულობის გადაზიდვას გემიდან ბანკის შენობაში.

ორივე დეპეშას სასურველი შედეგი გამოუღია: როდესაც „ბიენ-ჰოა“ მარსელის ნავსადგურს მიადგა, განძს და მის მცველებს უკვე ელოდნენ როგორც ა. ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი პირები, ისევე საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილების წარმომადგენლები და საიმედო დაცვაც.

1921 წლის 10 აპრილს საღამო ეამს გემი მარსელის ნავსადგურში შევიდა. განძის მცველებს ეს ღამე გემზე გაუტარებიათ. მეორე დღეს, 11 აპრილს გემზე ასულან ბანკის წარმომადგენლები და აკ. ჩხენკელის მიერ გაგზავნილი პირები. მარსელის მუნიციპალურ აღმინისტრაციას დაუხვედრებია ყველაზე სანდო სამხედრო ნაწილი — „სენეგალის პოლკი“, რომელსაც ალყის შემორტყმით გადაუტანია ბანკში ქართული განძეულობა. ექვთიმე აქებს ამ სამხედრო ნაწილს: „სენეგალის პოლკი ... ყველაზე უპატიოსნეს პოლკად იყო მიჩნეული საფრან-

გეთის მთავრობის მიერ. ფრანგებიც თავიანთი ქონების გადატანაში მხოლოდ მათ ენდობოდნენო“. „სენეგალელი მსროლელნი“ (Tiraillleurs sénégalais) წარმოდგენდნენ საკმაოდ ცნობილ ფრანგულ კოლონიურ სამხედრო ერთეულებს, რეჟიმანებს (ლეგიონებს), რომლებიც კოჰპლექტდებოდნენ დასავლეთ აფრიკისა და ეკვატორული აფრიკის ფრანგული კოლონიური სამფლობელოების შავკანიანი მოსახლეობით. ამ სამხედრო ერთეულებს ასეთი სახელწოდება მიენიჭათ, რადგან მათ თავდაპირველ ბირთვს შეადგენდნენ სენეგალის მკვიდრნი.

ბანკში შეზიდულ ქართულ განმეულობასა და სხვა ქონებას, ჩალაგებულს 248 მომეტებულად დიდი ზომის ყუთსა და ერთ დიდ კალათში, დაუკავებია საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილების არა მარტო ოთახები, არამედ კორიდორებიც და ძლივს დატეულა.

განძის მცველები — ე. თაყაიშვილი მეუღლითურთ და ი. ელიგულაშვილი იმავე 11 აპრილს მოთავსებულან მარსელის სასტუმრო „რეჟინაში“. რაც შეეხება ა. ჩხენკელის მიერ მივლენილ წარმომადგენლებს საქართველოს ლეგაციისა, ესენი იყვნენ პროფესორი ზურაბ ავალიშვილი და ანდრია დეკანოზიშვილი. პირველი მათგანი ცნობილი ქართველი მეცნიერი-იურისტი და ისტორიკოსი იყო. მან ჯერ კიდევ რეპოლუციამდე გაითქვა სახელი პეტერბურგში თავისი პროფესორული და ჟურნალისტური მოღვაწეობით; ხოლო იმ დროს, რომელზედაც აქაა საუბარი, იგი 47 წლისა იყო და, ექვთიმეს მოწმობით, „მენშევიკების მთავრობის საქმის მწარმოებლად“ მუშაობდა პარიზში. რაც შეეხება ანდრია დეკანოზიშვილს, როგორც ჩანს, მას ექვთიმესთან დიდი ხნის ნაცნობობა და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა. არქივში დაცულია ზ. ავალიშვილისა და ა. დეკანოზიშვილის წერილები ექვთიმესადმი.

აქაი ჩხენკელს ამ თავისი ორი წარმომადგენლის ხელით წერილი გაუგზავნია ექვთიმესათვის, რომლითაც მითითება მიუცია, რომ განძის მცველებსა და საქართველოს პარიზული ლეგაციის წარმომადგენლებს გადაერჩიათ „ყველა წამოღებული ნივთი“; რასაც ისინი „სამუზეუმოდ“ სცნობდნენ, ცალკე ყუთებში მოეთავსებინათ და მისი, დესპანის სახელით მიებარებინათ შესანახად საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებაში; ხოლო რასაც ისინი „სამუზეუმოდ“ არა სცნობდნენ და რაც „რესპუბლიკის მთავრობის ქონებას შეადგენდა“, ცალკე აღენუსხათ.

ასე შედგა მარსელში კომისია ოთხი კაცის შემადგენლობით, რომელთაგან ორი — ე. თაყაიშვილი და ი. ელიგულაშვილი დანიშნულნი იყვნენ განძის მცველებად ჯერ კიდევ საქართველოში, პირველი — დამფუძნებელი კრების, მეორე — მენშევიკური მთავრობის მიერ;

ორი — ზ. ავალიშვილი და ა. დეკანოზიშვილი მენშევიკური მთავრობის პარიზული ლეგაციის წარმომადგენელი იყვნენ. კომისიას შესასრულებელი ჰქონდა ძალიან რთული სამუშაო: ბანკში ელაგა აუარებელი ქონება, თანაც სამუზეუმო ნივთები და „მთავრობის ქონება“ არეული ყოფილა ერთმანეთში.

კომისიის მუშაობამ მთელ თვეს გასტანა. მუშაობა განძის მარსელში ჩატანისთანავე და ბანკის შენობაში დალაგებისთანავე, ე. ი. 1921 წლის 11 აპრილიდან დაწყებულა. ქონება გადაარჩიეს, აღრიცხეს, ჩაალაგეს ყუთებში, რომლებიც დანომრეს. ექვთიმეს პირად არქივში ინახება კომისიის ოქმის შავი. ეს ოქმი შედგენილი უნდა იყოს იმ დღეს, როცა კომისიამ დაასრულა თავისი მუშაობა, ე. ი. 11 მაისს.

კომისიას არ გაუხსნია „მთავრობის ქონებით“, მომეტებულად ოქრო-ვერცხლით დატვირთული 112 ყუთი, თბილისის მუზეუმებისა და ეროვნული გალერეის ქონების შემცველი 13 ყუთი (ანდა 12 ყუთი და ერთი დიდი კალათი). კომისიის ოქმში ასეა ახსნილი ამ ყუთების გაუხსნელობის მიზეზი: „... ხაზინის 112 ყუთი და მუზეუმების 13 ყუთი არ გაგვიხსნია, ვინაიდან ხაზინის ამ ყუთების შინაარსი დაწერილებით არის წარმოდგენილი ცალკე სიით და მუზეუმების ყუთების შინაარსი ცნობილი იყო“, „ყუთებს აჯდომ მუზეუმების და ხაზინის ბეჭდები, მაგრამ როგორც ეტყობა, „ცალკე სიაში“ შეტანილი ყოფილა მხოლოდ სახაზინო, ანუ საკალატო ქონებით დატვირთული ზემოხსენებული 112 ყუთი და სწორედ ამ „ცალკე სიის“ ნაწილია დატული დღეს ნიკო ლორთქიფანიძის საოჯახო არქივში, რაც ზემოთ ვახსენეთ. ხოლო სამუზეუმო განძეულობით დატვირთული ყუთების, უფრო სწორად — 12 ყუთისა და ერთი დიდი კალათის გაუხსნელობის ჭეშმარიტ მიზეზს ექვთიმე ხსნის პარიზში 1935 წლის მაისში დაწერილ ნარკვევში — „ერთი შეკითხვის გამო“, იქ წერია: „... 13 ყუთი, ტფილისის მუზეუმებიდან წაშლებული და დაბეჭდილი მუზეუმების ბეჭდით, კომისიას არ გაუხსნია, ვინაიდან მუზეუმებმა ვერ მოასწრეს ვერც სიის გადმოცემა ჩვენთვის და ვერც გასაღებების. ევაკუაცია მოულოდნელი იყო“.

მაშასადამე, თბილისის მუზეუმების განძის შემცველი ყუთების გაუხსნელობა იმით კი არ იყო განპირობებული, რომ „მუზეუმების ყუთების შინაარსი ცნობილი იყო“ (ქვემოთ დავინახავთ, რომ სინამდვილეში ამ ყუთების შინაარსი ცნობილი შეიქმნა მხოლოდ 1931 წლის თებერვალში, როდესაც მათი შემცველი ნივთების სია გამოქვეყნდა თბილისში, გაზეთ „კომუნისტში“), არამედ იმით, რომ პანიკის, აჩქარებისა და დაბნეულობის პირობებში, რაც თან სდევდა მოულოდნელ ევაკუაციას, განძის მცველთა და გამყოლთათვის ვერ მოუ-

სწრიათ სიის ვადაცემა (თუ ასეთი სიები, საერთოდ, შედგენილი იყო) და ყუთების გასაღებების ვადაცემაც კი დავიწყებიათ.

მაშასადამე, კომისიას გაუხსნელად და შეუმოწმებლად დაუტოვე-ბია 125 ყუთი და ამ ყუთებში მოთავსებულ ქონებაზე კომისიას არა-ვითარი მუშაობა არ უწარმოებია. სამაგიეროდ, კომისიას გაუხსნია დანარჩენი 124 ყუთი, ნივთები გადაურჩევია და სამუზეუმო ფონდში მოუთავსებია ველათის, მარტვილის, ხობის მონასტრების, ზუგდიდისა და თბილისის სასახლეების ნივთები; ყველა ის ნივთი, რომელიც მენ-შევიკურ მთავრობას „ხაზინაში ჰქონდა შეგროვილი სხვადასხვა გაუქ-მებულ დაწესებულებათაგან და რომელთაც ახლობელი თუ შორეული მნიშვნელობა ჰქონდა მუზეუმებისათვის, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის თუ ხელოვნების თვალსაზრისით“, ე. ი. ხაზინის ის ნივ-თები, რომელთაც ჰქონდათ რაიმე სამუზეუმო მნიშვნელობა. ნივთე-ბი დაწერილებით აღუნუსხავთ, შეუდგენიათ მათი სია და ყუთებში ჩაუ-ლაგებიათ; ამავე დროს ზოგიერთ ყუთში ჩაწყობილი განძეულობა ახლებურად გადაულაგებიათ: სახელდობრ, როგორც ირკვევა, კომისი-ას გადაულაგებია ძვირფასი სამონასტრო განძეულობა (ველათის, მარ-ტვილისა და ხობისა) 20 მცირე ზომის ყუთიდან 6 დიდ ყუთში, რის გამოც ყუთების ოდენობა თოთხმეტით შემცირებულა და გახსნილი 124 ყუთის ნაცვლად დარჩა 110 ყუთი, ხოლო ქონების სათავსო ერთე-ულების საერთო ოდენობა (გახსნილი და გაუხსნელი) 249-ის ნაცვ-ლად შეიქმნა 235.

ამ 110 ყუთსა და თბილისის მუზეუმებისა და ეროვნული გალერე-ის ქონების შემცველ 13 ყუთში, ე. ი. სულ 123 ყუთში მოთავსებული ქონება კომისიას გაუნაწილებია ხუთ — A, B, C, E და S — კატე-გორიად. ხოლო შინაარსის მიხედვით კომისიას ყუთებში ხუთ „დარ-გად“ დაუნაწილებია: „1. სამუზეუმო, 2. საბიბლიოთეკო, 3. სარეალი-ზაციო, 4. საეკლესიო და 5. რომელთ დანიშნულება გადაწყვეტილი არ არის“.

A კატეგორიისად კომისიას მიუჩნევია თბილისის მუზეუმებისა და ეროვნული გალერეის განძეულობით დატვირთული 13 გაუხსნელი ყუთი. ცხადია, ეს ყუთები კომისიას „სამუზეუმოდ“ უცენია.

B კატეგორიისთვის კომისიას მიუკუთვნებია ზუგდიდისა და თბი-ლისის სასახლეების, აგრეთვე ყოფილი რუსული პოლკების ქონება, ჩალაგებული 37 ყუთში, რომელთაგან 20 ყუთი (ამათში ზუგდიდის სასახლისეული — 7 ყუთი, თბილისის სასახლისეული — 7 ყუთი და რუსული პოლკებისა — 6 ყუთი) კომისიას უცენია „სამუზეუმოდ“, 16 ყუთი — „სარეალიზაციოდ“ და ერთიც (B 32, ყოფ. ყაბარდოული მე-80 ქვ. პოლკის ქონება), საფიქრებელია, ისეთად, „რომელთ დანი-შნულება გადაწყვეტილი არ არის“.

C კატეგორიაში კომისიას შეუყვანია დახურული რუსული ეკლესიების ქონება, მოთავსებული ნ ყუთში, რომელიც უცენია „საეკლესიო“ ხასიათისად.

E კატეგორიისად კომისიას მიუჩნევია გელათის, მარტვილისა და ხობის საგანძურებიდან გამოტანილი ხელნაწერები და ნივთები, რომლებიც აღრე მოთავსებული ყოფილა 20 მცირე ზომის ყუთში, ხოლო კომისიამ გადააწყო 6 ჩვეულებრივ დიდი ზომის ყუთში. ცხადია, იგი კომისიას უცენია „სამუზეუმოდ“.

S კატეგორია კომისიას განუსაზღვრია ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონების შემცველი 61 ყუთით, რომელთაგან 27 ყუთი შეიცავდა წიგნებს და კომისიამ მიიჩნია საბიბლიოთეკო ხასიათისად, ხოლო დანარჩენი 34 ყუთი ნაწილობრივ ისეთად „რომელთ დანიშნულება გადაწყვეტილი არ არის“, ნაწილობრივ ისეთად, რომელიც „სამუზეუმოდ“ იყო განკუთვნილი.

მთლიანად ამ 123 ყუთის ქონება, მისი ღირებულების მიხედვით, კომისიას ორ ჯგუფად გაუყვია: მისი აზრით, ნაკლებ ძვირფასი ქონების შემცველი 68 ყუთი (B 32, C 1—6, S 1—61) 1921 წლის 7 მაისს კომისიას მიუბარებია მარსელში „ქონების გადატანის ეროვნული საზოგადოებისათვის“ და კომისიის წევრთა „თანადასწრებითა და ზედამხედველობით“ ისინი მოუთავსებიათ ამ საზოგადოების საწყობში; ხოლო უფრო ძვირფასი ქონებით დატვირთული 55 ყუთი (A 1—13, B 1—31, 33—37, E 1—6), ისევე, როგორც მენშევიკური მთავრობის „კუთვნილი“ ოქრო-ვერცხლისა და სხვა სავალუტო ქონების შემცველი 112 ყუთი, ე. ი. სულ 167 ყუთი, კომისიას 11 მაისს ჩაუბარებია საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებისათვის.

ბანკში დატოვებული ყუთები კომისიას დაუბეჭდია საქართველოს წარმომადგენლობის ბეჭდით. 11 მაისსავე კომისიას შეუღვენია თავისი ოქმი, რომლისთვისაც დანატების სახით დაურთავს კომისიის მიერ ბანკში გახსნილი 124 ყუთის შემცველი ნივთების აღწერა და მათი გადანაწილება ახლებური ნუმერაციით. ამ დოკუმენტებმა ჩვენამდე არ მოაღწია (ისევე, როგორც ბანკის ქვეთარმა გემ „ბიენ-ჰოას“ კაპიტნისაგან ქართული ქონების შემცველი ყუთების ჩაბარების შესახებ, რომელიც გაცემული იყო, ალბათ, 1921 წლის 11 აპრილს და „ქონების გადატანის ეროვნული საზოგადოების“ ქვეთარმა მარსელში ჩატანილი ქონების არასამუზეუმო ნაწილის შემცველი 68 ყუთის ჩაბარების შესახებ, რომელიც გაცემული იყო 1921 წლის 7 მაისს), მაგრამ მას რამდენადმე უნდა ასახავდეს ე. თაყაიშვილის არქივში შემონახული საყურადღებო დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება: „პირი დოსიესი (ორიგინალის), სადაც არის აღნიშნული სია შენახულ ქონებისა მარ-

სელში" და რომელსაც ჩვენ პირობითად მარსელურ 1921 წლის მაისის სიას ვუწოდებთ.

ექვთიმეს არქივმა შემოგვინახა ასლი საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილების ქვეთრისა ანუ ხელწერილისა ქართული ქონების შემცველი 167 ყუთის ჩაბარების შესახებ. ქვეთარი ფრანგულადაა ნაწერი, მისი ტექსტი ვილაციის ხელითაა გადაწერილი და ამ გადამწერის ხელით ქართულადაა დასათაურებული: „ბანკის კვიტანცია“. ბანკის მიერ კომისიის წევრთა — ე. თაყაიშვილის, ი. ელიგულაშვილის, ზ. ავალიშვილისა და ა. დეკანოზიშვილის სახელზე გაცემულ ქვეთარში, ანუ ხელწერილში ნათქვამია, რომ მათ, „მოქმედებდნენ რა საქართველოს მთავრობის რწმუნებით“, ჩააბარეს ბანკს 167 ყუთი დალუქული, როგორც საქართველოს პარიზული წარმომადგენლობის, ისე თბილისის ხაზინის ქართული წარწერიანი ბეჭდებით. ბანკი, თავის მხრივ, არ კისრულობდა არავითარ პასუხისმგებლობას ამ ყუთების არც შინაარსზე და არც წონაზე.

ბანკში ამ ყუთების ჩაბარებითა და ოქმის შედგენით კომისიამ დაასრულა მუშაობა და მისი წევრები — ე. თაყაიშვილი, ი. ელიგულაშვილი, ზ. ავალიშვილი და ა. დეკანოზიშვილი პარიზს გაემგზავრნენ. ცოტა ხნის შემდეგ საფრანგეთის დედაქალაქში ჩასულა ლტოლვილი მენშევიკური მთავრობა. ზურაბ ავალიშვილი და იოსებ ელიგულაშვილი ხელახლა გაუგზავნიათ მარსელში სახაზინო ქონების ლიკვიდაციისათვის. ექვთიმესთვისაც უთხოვნიათ მათ გაპყლოდა, მაგრამ ექვთიმეს უარი უთქვამს: „ჩემი საქმე გავათავევ“.

ზ. ავალიშვილსა და ი. ელიგულაშვილს 21 მაისს ბანკში დატოვებული 167 ყუთიდან გამოუყვიათ და გამოუტანიათ 128 ყუთი. ამთგან 112 ყუთში ეწყო მენშევიკური მთავრობის მიერ თავის „კუთვნილებად“ გამოცხადებული სავალუტო ქონება, მომეტებულად ოქრო-ვერცხლი. ზოლო 16 ყუთი. დატვირთული იყო B კატეგორიის იმ ქონებით, რომელიც კომისიამ „სარეალიზაციო“ კატეგორიისად ცნო (ასეთები ყოფილა B კატეგორიის ყუთები № № 2, 4, 6, 8—12, 15, 17, 19—21, 25, 28, 37). ამ 16 ყუთის შესახებ საარქივო დოკუმენტები ამის შემდეგ სდუმან. სხენებული 128 ყუთი ზ. ავალიშვილსა და ი. ელიგულაშვილს მიუბარებიათ მარსელის „გარდ-მებლისათვის“ (ავეჯის საცაფი საკანი), სადაც მათ მენშევიკური მთავრობის „კუთვნილი“ ვერცხლეულობა გადაიდნიათ და მთელი ქონება გაუყიდიათ 1. 200. 000 მანეთად²⁶.

²⁶ ამ ფელის ნაწილთ მენშევიკურმა ექსმთავრობამ, საფიქრებელია, 1922 წლის ზაჯხელში, შეიძინა მამული და ორსართულიანი სახლი სოფ. ლევილში, რომლის შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი.

საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებაში დარჩა სამუზეუმო განძეულობის შემცველი 39 ყუთი. თუ როგორ გამოიყურებოდა გარეგნულად ჩვენი განძეულობის შემცველი ყუთები, ამაზე წარმოდგენას გვაძლევს პარიზში ჩვენი განძის გახსნისას შედგენილი აღმწესხველი ოქმები. პირველ ოქმში, რომელიც შედგენილია 1934 წლის 19 სექტემბერს, იხსენიება, რომ ყველა ყუთი გარსშემოვლებული იყო თოკით ან მათეულით, რომელთა კიდეზე დადებული იყო წითელი ლუქის მრგვალი ბეჭედი, ფრანგული წარწერით: „საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა — პარიზი“. ხუფები დალურსმული ყოფილა და ედო კლიტეები. ამას გარდა, როგორც ზემოთ იყო ნახსენები, თბილისის მუზეუმთა ყუთებზე, ერთის გარდა, ქართულად წარწერილი ყოფილა: „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი“ და ამ ყუთებზე დასმულ ლუქის ბეჭედზე აღბეჭდილი ყოფილა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავი“; ხოლო საქართველოს მუზეუმის მძიმე თუჯის ყუთზე (A 13) წარწერილი ყოფილა: „საქართველოს მუზეუმი“.

ჩვენ უკვე ვახსენეთ, რომ ეს გარემოება — ყველა ყუთისათვის (გარდა ერთისა) ერთნაირი წარწერის გაკეთება და ერთნაირი ლუქის ბეჭედების დადება მოულოდნელ ვეაკუაცოიასთან დაკავშირებული აჩქარებით აიხსნება, თორემ თერთმეტი ყუთიდან, რომლებიც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის წარწერას ატარებდა, ამ საზოგადოების მუზეუმის კუთვნილი ქონებით დატვირთული იყო მხოლოდ შვიდი (A 1, 3, 4, 7, 8, 10 და 12), დანარჩენი ოთხიდან სამში ელაგა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ქონება (A 5, 9 და 11) და ერთშიც — საეკლესიო მუზეუმებისა (A 6); თბილისური წარწერები სრულიად არა ჰქონია ეროვნული გალერეის სურათების შემცველ ყუთს (A 2), რომელშიც სურათების შეკვრა, როგორც ეტყობა, სტამბულში ჩაალაგეს და თვით ყუთიც სტამბულშივე იყო გაკეთებული.

მაშასადამე, მარსელში 1921 წლის აპრილსა და მაისში მოზუმავე კომისიის მოღვაწეობის შედეგად საქართველოდან 248 ყუთითა და ერთი დიდი კალათით ჩატანილ ქონებას, რომელიც, კომისიის მიერ სამონასტრო ქონების ახლებურად გადალაგების შედეგად, ჩალაგებული აღმოჩნდა სულ 235 ყუთში (ან 234 ყუთსა და ერთ კალათში), ასეთი ბედი ეწია: ქონების გადატანის ეროვნულ საზოგადოებას 7 მაისს ჩაბარდა 68 ყუთი (B 32, C 1—6, S 1—61), საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებას 11 მაისს ჩაბარდა 167 ყუთი, რომელთაგან 21 მაისს გატანილ იქნა და ავეჯის საცავ საკანს ჩაბარდა, ხოლო შემ-

დევ გაიყიდა 128 ყუთი (მთავრობის სავალუტო ქონება — 112 ყუთი და B კატეგორიის 16 ყუთი); 21 შაისის შემდეგ ბანკში დარჩა 39 ყუთი (A 1—13; B 1, 3, 5, 7, 13, 14, 16, 18, 22—24, 26, 27, 29—31, 33—36; E 1—6).

ეს 39 ყუთი ჩვენი საუნჯით მიბარებული იყო საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებაში მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლისა და პარიზში მისი დესპანის აკაკი ჩხენკელის სახელით და ყუთებს დადებული ჰქონდათ საქართველოს პარიზული წარმომადგენლობის (ლეგაციის) ლუქის ბეჭედი. ამ განძის შენახვისათვის საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას უნდა ეხადა წლიურად 2. 500 ფრანკი და გადაუხდია კიდევ, მაგრამ მხოლოდ ერთი წლის ქირა.

ჩვენი საუნჯით დატვირთულ ყუთებს წილად ხვდათ ცამეტი წელიწადი გაეტარებინათ საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილების სეიფში.

გეოთხედ საუკუნოვანი
„ოდისმის“ „მშვიდობიანი
პერიოდი“



უცხოეთში ჩვენი განძის ყოფნის პირველი 13 წლის პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ უცხოეთში ყოფნის ისტორიის „მშვიდობიანი პერიოდი“, ე. ი. პერიოდი, როდესაც ჩვენს საუნჯეს ჯერ თითქოს არ ემუქრებოდა განსაცდელი და ქართველი ემიგრანტული მენშვეიკური მთავრობა „მტკიცედ“ გრძნობდა თავს მის პატრონად.

განძისა და სხვა ქონების მარსელში ჩაბარების, ესე იგი, 1921 წლის 11 მაისის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი მეუღლითურთ პარიზს ჩასულა. თავდაპირველად ქართველი მენშვეიკური ემიგრანტული „მთავრობაც“ და ე. თაყაიშვილიც საფრანგეთის დედაქალაქში ბინადრობდნენ. იქ მათ სამყოფელს წარმოადგენდა ქართული ლეგაციის ბინა, ე. წ. „ლეგაციის ოტელი“, მდებარე ვიქტორ პიუგოს პარსპექტზე, № 44 სახლში. ამ მისამართითა აქვს ექვთიმეს მიღებული მის არქივში დაცული ერთი წერილი ზ. ავალიშვილისა, დათარიღებული 1922 წლის 24 იანვრით. რაც შეეხება მარსელში დატოვებულ ქონებას, განძის შემცველი 39 ყუთი ბანკის სეიფში ელაგა, ხოლო დანარჩენი ქონებით დატვირთული 68 ყუთი ქონების გადატანის ეროვნული საზოგადოების საწყობში (გამორიცხული არაა, რომ ქონების ნაწილი სხვა საცავეებში ყოფილიყო შესანახად მიზარებული).

დააზღოებით ერთი წლის შემდეგ ექვთიმეს ბინა შეუცვლია: იგი გადასახლებულა მენშვეიკების მიერ ახლად შეძენილ სახლსა და მამულში, რომელიც მდებარეობდა პარიზიდან სამხრეთით 26 კილომეტრით დაშორებულ სოფელ ლევილში; იქ გადაიტანა თავისი საზაფხულო რეზიდენცია მენშვეიკურმა ექსმთავრობამ. თავის მოკლე ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში, რომელსაც მან უწოდა „სქემატიური ცნობები ჩემი ცხოვრების შესახებ“, ექვთიმემ ჩაიწერა: „... როცა აქ, საფრანგეთში დავაარსეთ ქართული კერა სოფელ ლევილში, 1922 წელს, მას აქეთ აქ ვიმყოფები, ამ სოფელში“.

ექვთიმემ აქ მიუთითა მხოლოდ წელი, თვე არ მიუთითებია. ცხადია, ეს უნდა მომხდარიყო 1922 წლის 24 იანვარის შემდეგ, როდესაც

ზ. ავალიშვილმა მისწერა ექვთიმეს წერილი ლეგაციის ბინაზე პარიზის მისამართით. ლევილში დასახლების დროს აზუსტებს მარსელური, 1921 წლის სიის ორი მინაწერი, გაკეთებული ნოხების შემცველი ორი — S 22 და S 24 ყუთების ჩანაწერებისათვის, რომლებშიაც აღნიშნულია, რომ ეს ნოხები „გადაეცა ლევილის მამულს 2 აგვ. 1922“. ამ მინაწერიდან ჩანს, რომ 1922 წლის 2 აგვისტოს ნოხების შემცველი ორი ყუთი გადაუტანიათ ლევილის მამულში. მაგრამ, ცხადია, ნოხებთან ერთად ერთდროულად გადაიტანეს მთელი ის ქონება, რომელიც 1921 წლის 7 მაისიდან ეწყო მარსელში ქონების გადატანის ეროვნული საზოგადოების საწყობში.

რაკი 1922 წლის აგვისტოს დამდეგს მოხდა ლევილში ქონების გადატანა მარსელიდან, ცხადია, მამული შეიძინეს ამაზე ცოტა ადრე მაინც, ვთქვათ, ივნისის ან ივლისის თვეში, ე. ი. 1922 წლის ზაფხულში. სწორედ აგვისტოს დამდეგს ამ მამულში და იქ მდებარე ორსართულიან სასლში გადაუტანიათ ეს ქონება.

მაგრამ „ქონების გადატანის ეროვნულ საზოგადოებაში“ მოთავსებული მთელი ქონება როდი გადაუტანიათ ლევილში.

ექვთიმეს წერილიდან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის გ. მგალობლიშვილისადმი, რომელიც 1936 წლის 23 იანვრითაა დათარიღებული და ამავე წლის 16 მარტით დათარიღებული წერილიდან თბილისის უნივერსიტეტის რექტორისადმი, ირკვევა, რომ 27 ყუთი, დატვირთული ბორჯომისა და ლიკანის სასალეების ბიბლიოთეკით, რომელიც მოითვლიდა 2. 264 (ან ცოტა მეტ) წიგნს — რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე — გადაუტანიათ მარსელიდან, აღნიშნული საზოგადოების საწყობიდან, პარიზის მახლობლად ერთ-ერთი სოფლის საწყობში. სოფელში, ალბათ იმიტომ, რომ პარიზში წიგნების შენახვა გაცილებით უფრო ძვირად დაუჯდებოდათ, მით უფრო, რომ ისედაც წიგნების შენახვა საკმაოდ ძვირი დაჯდომიათ: მათ შენახვაზე და გადატანაზე, ექვთიმეს ზემოხსენებული წერილების თანახმად, ამ ახალ სამყოფელ ადგილას დახარჯულა 10. 000 ფრანკამდე. ამაში, ცხადია, შედიოდა ის ქირა, რაც გადაუხადეს წიგნების შენახვისათვის მარსელში „ქონების გადატანის ეროვნულ საზოგადოებას“, ის, რაც დაიხარჯა წიგნების გადაზიდვაზე პარიზის მახლობელ სოფლის საწყობში, მათ შენახვაზე დაახლოებით 14 წლის განმავლობაში (1922 წლის ზაფხულიდან 1936 წლის ზაფხულამდე).

ახლა თუ ჩვენ S კატეგორიის ამ 27 ყუთს გამოვაკლებთ 68-ს, რჩება 41 ყუთი, რომლებიც ლევილში გადაუტანიათ. ლევილშივე დაბინავებულია თავის მეუღლითურთ ექვთიმეც, რომელსაც ახლად

შეძენილი ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე დაუთმეს ორი ოთახი²⁷.

როგორც ჩანს, მარსელიდან ლევილში შემოსხენებული 41 ყუთის გადატანისთანავე იქ წამოჭრილა საკითხი ამ ყუთებში მოთავსებული ქონების მომავალი ბედ-იღბლის შესახებ. ეს იყო C კატეგორიის 6 ყუთი — რუსული ეკლესიების ქონებით, S კატეგორიის 34 ყუთი — ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების ქონებით და ერთი ყუთიც B კატეგორიის ქონებით.

ლევილში ეს ყუთები ორ კატეგორიად გაუნაწილებიათ:

1. ყუთები, რომლებშიც დაცული ქონების გაყიდვა ქართული კულტურისათვის საზიანოდ მიუჩნევიან. ასეთ ყუთებს მარსელურ 1921 წლის მაისის სიაში ექვთიმეს ხელით ქიმიური ფანქრით წინ მიწერილი აქვთ: „მუზეუმის“ ან „სამუზეუმო“. ასეთი მინაწერები გაკეთებული აქვს C კატეგორიის ექვსსავე ყუთს, რომლებშიც, თანახმად მარსელური 1921 წლის მაისის სიისა, ეწყო 25 საეკლესიო წიგნი და 264 სხვადასხვა საეკლესიო დანიშნულების ჭურჭელი და ნივთი (ხატები, ხატის პერანგები, ჯვრები, საცეცხლურები, ბარძიმები, ფეშხუმები, შანდლები და სხვ.) და S კატეგორიის 14 ყუთს, სახელდობრ, ყუთებს, რომლებიც შეიცავდნენ სურათებს (7 ყუთი 91-ზე მეტი სურათით), ნაპოლეონის ბრინჯაოს ქანდაკებას (1 ყუთი), ირმის რქებს (2 ყუთი), პებლების კოლექციას (1 ყუთი), ვაზებს, საათებსა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს (3 ყუთი). მაშასადამე, ასეთი კატეგორიისად უცენიათ სულ 20 ყუთში მოთავსებული ქონება.

2. ყუთები, რომლებშიც დაცული ქონება ნაკლები კულტურული ღირებულების მქონედ უცენიათ და რომლის გაყიდვა ქართული კულტურისათვის საზიანოდ არ მიუჩნევიან. ამ ყუთებს მარსელურ 1921 წლის მაისის სიაში არა აქვთ მიწერილი „სამუზეუმო“. ასეთებია B კატეგორიის ერთი ყუთი (B 32) და S კატეგორიის 20 ყუთი, სახელდობრ, ყუთები, რომლებიც შეიცავდნენ მაგიდის, საწოლისა და სამზარეულოს თეთრეულს (6 ყუთი), მინის, ბროლის, ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭელს (11 ყუთი), ნოხებს (3 ყუთი), ე. ი. სულ „არასამუზეუმოდ“ უცენიათ ლევილში ჩატანილი ქონება, მოთავსებული 21 ყუთში.

²⁷ ლევილში მცხოვრებ ექვთიმეს წერილებს უგზავნიდნენ ასეთი მისამართით: „ლევილი ორჯზე, მონღერის გავლით (სენისა და უაზის დეპარტამენტი), ეიულ ფერას ქუჩა, № 10.

პატარა ქართული კოლონია, ანუ როგორც ე. თაყაიშვილმა უწოდა მას — „ქართულ ღერა“, სოფელ ლევილში დღესაც არსებობს. „შატო“ წარმოადგენს მოზრდილ ორსართულიან სახლს, რომლის მახლობლადაა ქართველია სასაფლაო.

როგორც ჩანს, ლევილში ქონების ჩატანის შემდეგ ამ 21 ყუთში ჩაწყობილი ქონება გაუყიდიათ. ამ ქონების ლიკვიდაცია დასრულებულა არა უგვიანეს 1924 წლის აგვისტოსი, ვინაიდან 1924 წლის 17 აგვისტოს სიაში, რომელიც ლევილში უნდა იყოს შედგენილი, S კატეგორიის ამ სამი ჯგუფის ყუთების შესახებ ჩაწერილია: „ლევილში გახსნეს და ლიკვიდაცია უქნეს“, ხოლო ამავე სიაში B 32 ყუთს, სადაც კი იგი იხსენიება, ირიბად აქვს ყველგან გადასმული ხაზი, ალბათ ნიშნად იმისა, რომ ამ ყუთში მოთავსებული ნივთები რეალიზებული იყო.

ამის შემდეგ გაუყიდავი დარჩა „სამუზეუმოდ“ ცნობილი C და S კატეგორიის 20 ყუთის ქონება. მაგრამ, როგორც ჩანს, ე. თაყაიშვილს მოსთხოვეს, გამოეყო სარეალიზაციოდ ლევილის მამულში მყოფი კიდევ რამდენიმე ყუთის ქონება. ექვთიმე იძულებული გამხდარა დათმობაზე წასულიყო და 1924 წლის 17 აგვისტოს სიაში მას რეალიზებული ყუთების სიის ქვეშ მიუწერია: „ლიკვიდაცია შეიძლება, თუ გაჭირდა საქმე, თუმცა ეს სასურველი არ არის“ და შემდეგ ჩამოთვლილია S კატეგორიის 6 ყუთი.

მაშასადამე, ექვთიმე დაუთანხმებიათ, რომ გაყიდულიყო კიდევ 6 ყუთის ქონება, რომელიც სამ ჯგუფს შეადგენდა: ვაზებს, საათებსა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებს (S 29, 42 და 47); ბრინჯაოს ქანდაკებას (S 14), ირმისა და სხვა რქებს (S 10 და 13). ცხადია, რაკი ექვთიმე დაითანხმეს, რეალიზაციას არ დააყოვნებდნენ...

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ S 14 ყუთში მოთავსებული ცხენზე ამხედრებული ნაპოლეონის ბრინჯაოს ქანდაკება არ გაუყიდიათ, ალბათ იგი ვერ გაიყიდა, რადგან, როგორც 1921 წლის მაისის სიაშია ჩაწერილი: ნაპოლეონის ცხენს ფეხები დამტკრე-ვია („ცხენის ფეხები გატეხილია“). ქვემოთ ნახსენები იქნება, რომ პიტლერული ოკუპაციის ჟამს ექვთიმეს ბინაზე მოწყობილი ჩხრეკვი-სას ჩხრეკვის მომწყობლებმა „მიაკვლიეს“ ამ ქანდაკებას

საფიქრებელია, დანარჩენი 5 ყუთის ქონება — ვაზები, საათები და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები — ბრინჯაოსი, სპილოს ძვლისა, ბროლისა, მარმარილოსი, ფაიფურისა და სხვ., აგრეთვე რქები — ირ-მისა და სხვ. — გაყიდეს. მაშასადამე, იმ 20 ყუთს, რომლებიც, თანახმად 1924 წლის 17 აგვისტოს სიისა, ჯერ არ იყო გაყიდული, და-აკლდებოდა კიდევ 5 ყუთი და ამის შემდეგ ლევილში დარჩებოდა მხო-ლოდ 15 ყუთი, აქედან ექვსი ყუთი C კატეგორიისა და ცხრაც S კატეგორიისა, რომელთაგან შეიდი შეიცავდა 91-ზე მეტ სურათს. ერთი ნაპოლეონის ბრინჯაოს ქანდაკებას და ერთიც პეპლების კოლექ-ციას. ეს ყუთები დაულაგებიათ ლევილში ექვთიმეს ბინაზე. ამ ბინას ღღესაც უჩვენებენ მიმსვლელთ ლევილში მცხოვრები ქართველები.

კ. მელაძე, რომელმაც ინახულა ექვთიმეს ბინა იქიდან წამოსვლის წინ, ახსენებს, რომ ექვთიმეს ბინა „მუზეუმივით ყოფილა მოწყობილი კედლებზე ეკიდა დიდი სურათები... სურათები ბლომად ყოფილა...“ მელაძეს ეს სურათები საკუთარი ხელით ჩამოუხსნია კედლიდან.

კიდევ უფრო სრულად აღწერს ექვთიმეს ბინას მანანა მჭედლიშვილი, ანტიიიტლერული მოძრაობის აქტიური მონაწილე ქართველი ქალი, რომელიც 1943 წლის დამლევდიან ექვსი თვის განმავლობაში თავს აფარებდა ექვთიმეს ბინას, უვლიდა მოხუცს, მდიეობდა კიდევ — უკითხავდა და წერდა მისი კარნახით. აი, როგორ აღწერს იგი თავის მოგონებაში ექვთიმეს საცხოვრისს: „ლევლიში შემოღობილ ბაღში იდგა დიდი სახლი, რომელშიაც ქართველებს ბინები ჰქონდათ დანაწილებული, ათიოდე ოჯახს ბაღი ნამდვილი ქართული გეგონებოდათ, მათ თავიანთი ხელით დაურგავთ ხეხილი.“

ექვთიმე ძალიან ღარიბად ცხოვრობდა, მას რიგ-რიგობით უვლიდნენ ქართველები, უსუფთავებდნენ, საჭმელს უმზადებდნენ... სახლის მეორე სართულზე ექვთიმეს ორი ოთახი ჰქონდა, ერთში იდგა ხის საწოლი, რბილი სკამები, ერთი ტანსაცმლის კარადა, ორი მაგიდა: ერთი საწერი და მეორე — უბრალო, ეწყო ღოქები და სხვა ჭურჭელი და ელაგა დიდი ყუთები (არ ვიცი, რა ეწყო იმ ყუთებში, არ შევკითხვარ). იმ ოთახში ეძინა ექვთიმეს. მეორე ოთახში იდგა წიგნებით სავსე თაროები, ერთი მაგიდა და ერთიც ხის სკამი... ორივე ოთახში კედლებზე ეკიდა სურათები შეოქრული ჩარჩოებით...”

ეს მოგონებები ასახავენ ექვთიმეს ლევლიში ცხოვრების ბოლო პერიოდს და დაახლოებით ოცი წლით არიან დაშორებულნი იმ ამბებიდან, რომელთაც ჩვენ ახლა აღვწერთ. იმ დროს ექვთიმე არ იყო მარტო. მასთან ერთად მის ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა მისი განუყრელი მეგობარი ნინო თაყაიშვილი (გარდაიცვალა 1931 წლის ივლისში). მაგრამ, საფიქრებელია, ამ წლების განმავლობაში ბინა და მისი მოწყობილობა დიდად არ შეიცვლებოდა, მხოლოდ მოძველდებოდა

მ. მჭედლიშვილისა და კ. მელაძის მოგონებებიდან ჩანს, რომ, როგორც ეტყობა, სურათების შემცველი 7 ყუთი გაუხსნიათ და სურათები ორივე ოთახის კედლებზე დაუკიდიათ; თუ, როგორც საფიქრებელია, გახსნეს შვიდივე ყუთი, მაშინ 91-ზე მეტი სურათი უნდა ყოფილიყო დაკიდებული, რაც მართლაც, მუზეუმის შთაბეჭდილებას მოახდენდა. ასე მოიქცნენ ალბათ არა მარტო იმიტომ, რომ ოთახში შეემცირებინათ დიდი ყუთების რაოდენობა, არამედ იმიტომაც, რომ ჩამოკიდებული სურათი გაცილებით უკეთ ინახება, ვიდრე ყუთში ჩადებული. ამის შემდეგ ექვთიმეს საწოლ ოთახში დარჩებოდა სულ 8 ყუთი, რომელთაგან 6 ყუთში ეწყო რუსული ეკლესიების ქონება (C I—6), ერთ ყუთში

ნაბოლოონის ბრინჯაოს ქანდაკება (S 14) და ერთშიც — პეპლების კოლექცია (S 36). თავის მოგონებაში ნაცისტი ოკუპანტების მიერ მის ბინაში მოწყობილი ჩხრეკის შესახებ თვითონ ექვთიმე იხსენებს: „მე მედგა ჩემს ოთახებში დიდი ყუთები საეკლესიო ნივთებისა და სხვა საარქეოლოგიო საგნებისა...“

საფიქრებელია, მარტო სურათებისა და ამ ყუთების თავშესაფარს არ წარმოადგენდა ექვთიმეს ლარიბული ბინა. როგორც ირკვევა ექვთიმეს ზემოხსენებული მოგონებიდან, პიტლერელების მიერ მის ბინაზე მოწყობილი ჩხრეკის დროს გესტაპოელს, სხვათა შორის, გულმოდგინედ გაუსინჯავს მის ბინაზე მენშევიკების საბუთები და უნახავს მიწერ-მოწერა მეორე ინტერნაციონალთან. ექვთიმეს ეს ფრაზა გვაფიქრებინებს, რომ მენშევიკების არქივი ანდა მისი ნაწილი მაინც ყოფილა დატული ექვთიმეს ბინაზე, კერძოდ, ქართველი მენშევიკების მიმოწერა მეორე ინტერნაციონალთან.

სმები მენშევიკური ემიგრაციის პირველ წლებში საქართველოდან გატანილი ქონების გაყიდვის შესახებ ვრცელდებოდა და შეშფოთებას იწვევდა როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთში გადასხვეწილ ჩვენს თანამემამულეთა შორისაც.

ფიქრობდნენ რომ იყიდებოდა თვით საუნჯე...

მეორე მხრივ, განძს არაერთხელ შეექმნა საფრთხე სხვადასხვა მტერ-„მოყვარისაგან“. ექვთიმე თაყაიშვილი განსაკუთრებული გულმოდგინებით ცდილობდა, რომ საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებაში დატულ ჩვენს განძს არავითარი, სულ მცირე საფრთხეც კი არ დაშუქრებოდა. ვინც კი თავისი თვალთი იხილა ექვთიმეს დამოკიდებულება ჩვენს განძში შემავალი ნივთებისადმი (მაგ., გ. გეგელია და ა. ნიჟარაძე), ერთხმად აღნიშნავენ ექვთიმეს რაღაც „ავადმყოფურ“ მზრუნველობას და სიყვარულს ამ ნივთებისადმი. უმთავრესად ექვთიმეს გავლენით ეთქვა უარი ყველა იმათ, ვისაც სურდა რაიმე გზით განძის ნაწილის ხელში ჩაგდება. ასეთ ცდებს ჰქონდა ადგილი ნიუ-იორკის მუზეუმისა და ბრიტანეთის მუზეუმის მხრე. უარი ეთქვათ ცნობილ ფრანგ ბიზანტოლოგ გაბრიელ მილესათვისაც კი, რომელმაც ოთხჯერ ნივთების ფოტოგრაფიულად გადაღების ნებართვა (მისთვის. ექვთიმეს მობოდიშებით განუცხადებია: „...ყუთები მუზეუმების ბეჭდებით არის დაბეჭდილი და გადმოცემული შესაძლავს და ჩვენ მოვალე ვართ ისე გაუხსნელად პატრონთ ჩავაბაროთ“); ასევე უარი ეთქვა ამერიკელებსაც, რომელთაც მიუმართათ ემიგრანტული მთავრობისათვის თხოვნით, ნება დაერთოთ მათთვის გაეტანათ ქართული განძეულთა ფილადელფიის საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც უნდა მოწყობილიყო 1926 წლის ივნის-დეკემბრის თვეებში.

ექვთიმე არავის რთავდა ნებას შეხებოდა განძს. იგი თავის თავსაც კი არ აძლევდა ამის ნებას. „თქვენ კარგად იცით, — სწერდა იგი ვუკოლ ბერიძეს 1935 წლის 9 აპრილს, — ... როგორ მიყვარს ქართულ სიძველენზე მუშაობა, მაგრამ ჩემს თავს ნება ვერ მივეცი, რომ რომელიმე ნივთი ან ხელნაწერი წამომელო და ჩემი შესწავლის ობიექტად გამეხალა იმ შიშით, რომ ის ხელნაწერი ან ნივთი არ დამკარგოდა...“.

ამავე დროს ექვთიმეს საქართველოდან მიუვიდა მეტად სასიხარულო ცნობები, აქედან, რევოლუციამდე მეფის რუსეთში გატანილი განძეულობის სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

1922 წლის ზაფხულში საქართველოს საბჭოთა მთავრობამ რუსეთის სფსრ მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა საქართველოს დაბრუნებოდა მეფის რუსეთში სხედასხვა დროს გატანილი და წიგნთსაცავეებსა და მუზეუმებში დაცული ქართული ხელნაწერები და ექსპონატები. ვ. ი. ლენინის ინიციატივით მაშინვე იქნა გამოტანილი რსფსრ ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება რუსეთიდან ქართულ სიძველეთა და ხელნაწერთა დაბრუნების შესახებ. ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად შეიქმნა კომისია, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდნენ რსფსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილე, ცნობილი ისტორიკოსი მიხეილ პოკროვსკი და საქართველოს სსრ აკადემიურ საქმეთა წარმომადგენელი რუსეთის სფს რესპუბლიკაში დამიანე ჯგუშია. ექსპერტებად მიწვეულნი იყვნენ, რუსეთის მხრივ — აკად. ს. ოლდენბურგი და პეტროგრაძის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ა. გენკო, საქართველოდან განათლების კომისარიატმა და უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ მიაველინეს პროფესორები კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე და სარგის კაბაძე (უკანასკნელი შემდეგ მივლენილ იქნა ჩრდილო კავკასიაში, 1914 წელს თბილისიდან გატანილი არქივების დაბრუნების თაობაზე). კომისიის მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი პავლე ინგოროყვა, იური მარი, შალვა ამირანაშვილი. დ. ჯგუშიას მოადგილედ ენერგიულად მუშაობდა ისტორიკოს თედო ჟორდანიას ვაჟი, მოგვიანებით ცნობილი გინეკოლოგი იოსებ ჟორდანიას. საბჭოთა მთავრობისა და რუსეთის სფსრ განათლების სახალხო კომისარიატის და პირადად მ. ნ. პოკროვსკის ენერგიული მხარდაჭერით, საქართველოს 1923 წელს დაუბრუნდა შესანიშნავი ხელნაწერები და განძეულობა, მათ შორის ქართული მინანქრების დიდებული კოლექცია — ვ. პ. ბოტკინისა, რომელიც თავის დროზე შეადგინეს გელათის, მარტვილისა და ჯუმათის საგანძურებიდან გატანილი მინანქრებისაგან²⁸.

²⁸ ამ საკითხზე არაერთხელ აქვს გამოქვეყნებული ცნობები ამ ამბების მონაწილე შ. ამირანაშვილს თავის მონოგრაფიაში ქართული მინანქრების შესახებ, რომელიც

ამ ამბებით აღფრთოვანებულ შალვა ამირანაშვილს მოსკოვიდან 1923 წლის 17 მარტს წერილი მიუწერია თავის მასწავლებელ ექვთიმე თაყაიშვილისათვის, რომელშიც მან მოუთხრო ექვთიმეს დიდად გასახარელი ამბები. ეს წერილი ექვთიმეს არქივშია დაცული. ექვთიმე თაყაიშვილის არქივმა შემოგვინახა მეორე ღირსშესანიშნავი წერილიც, რომელიც შ. ამირანაშვილის წერილზე ორი თვით ადრე მოსკოვიდანვე იყო გაგზავნილი ექვთიმესათვის. ესაა დამიანე ჯგუშიას წერილი დათარიღებული 1923 წლის 15 იანვრით.

აცნობებდა რა რუსეთიდან ქართული განძის დაბრუნების შესახებ, დ. ჯგუშია სწერდა ექვთიმეს: „დღეს კი მე მინდა მოგმართოთ თქვენ, რათა შესრულოთ თქვენი დიდი მოქალაქეობრივი მოვალეობა: საქართველოს სიძველეთა სვე-ბედი საზღვარგარეთ თითქმის თქვენზეა დამოკიდებული, და ამისათვის მათი საქართველოში ხელუხლებლად დაბრუნება სწორედ თქვენს პირად მოვალეობას შეადგენს. საქართველოს საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს ოფიციალური წინადადებით მიმართოს მენშევიკებს სიძველეთა დაბრუნების შესახებ,... მაგრამ ჩვენ გავიგეთ, რომ საქართველოს სიძველენი იქ საიდუმლოთ გქონიათ შენახული და ამისათვის ფართო, ოფიციალურ ლაპარაკს შეუძლია დიდი საშიშროება მიაყენოს მათ უკან დაბრუნებას. რომ საფრანგეთის მთავრობა ამა თუ იმ მიზეზის გამო აღნიშნულ სიძველეებს ხელში ჩაიგდებს — ეს თქვენთვისაც ცხადია, ამიტომ სიფრთხილე მეტად საჭირო არის. მიუხედავად ასეთი შესაფერი, საიმედო და კეთილსინდისიერი მეთვალყურისა როგორც თქვენ ბრძანდებით, დღევანდელ მლელვარე ევროპაში ქართულ სიძველეთა სვე-ბედი მცირე რამ შემთხვევაზეა დამოკიდებული. ამისათვის ყველაფრის, რაც თქვენ გაბარიათ, დაუყოვნებლივ ჩამოტანა საქართველოში, და თქვენი ჩამოსვლაც თქვენი პირდაპირი მოვალეობის გასაგრძელებლად უნივერსიტეტში დღემდე ცარიელ კათედრაზე — აუცილებელი და საჩქარო საქმეა...“

წერილი წინასწარმეტყველურია: საბჭოთა საქართველოს აკადემიურ საქმეთა წარმომადგენელმა იგრძნო, განჭვრიტა ის, რაც ჩვენს საუნჯეს დაატყდა თავს 11 წლის შემდეგ. იგი მხოლოდ სწორად არ იყო ინფორმირებული იმის შესახებ, რომ განძის „სვე-ბედი“ ექვთიმეზე

დაიბეჭდა ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე. ქართულად ამის შესახებ მან გამოაქვეყნა მოკლე მოგონება თავის ნარკვევში, რომელიც მიუძღვნა ჩვენს განძს.

1971 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეში“ გრ. კაკაბულიძემ გამოაქვეყნა კორნელი ექვთიმეის მოხსენებითი ბარათი, წარდგენილი 1923 წლის I თებერვალს. ამჟამად საქართველოს სსრ ლიტერატურული არქივის დოკუმენტური ეპოხანე გურგენიძე აშხადებს სათანადო დოკუმენტების პუბლიკაციას, რომლის საყურადღებო მასალები მან ჩვენ გავვაცნო. ფრიად საინტერესო ცნობებს შეცავენ ცნობილი ისტორიკოსის სერგეი გორგაძის შვილის დავით სერგის ძე გორგაძის გამოუქვეყნებელი მოგონება.

არ იყო დამოკიდებული, რადგან ბანკში ჩაბარებული საუნჯის პატრონად ითვლებოდა ქართველი ემიგრანტული მთავრობა და განძი მისი სახელით იყო იქ შეტანილი.

ექვთიმემ უპასუხა დ. ჯგუშის წერილით, რომელიც იმავე 1923 წლის 10 აპრილითაა დათარიღებული. დ. ჯგუშის წერილის მთავარი საგნის შესახებ ექვთიმემ შემდეგი უპასუხა: „.....თავ საგანს თქვენი წერილისა შეადგენს წინადადება, რომელსაც მაძლევთ: დაებრუნდე საქართველოში და მოვიტანო სიძველენი, რომელნიც მთავრობამ (იგულისხმება მენშევიკური, ემიგრანტული მთავრობა.—გ. უ.) ვეროპაში წამოიღო ევაკუაციის დროს. და თქვენ ასე გაქვთ წარმოდგენილი, თითქოს ეს ჩემზე იყოს დამოკიდებული. მაგრამ ეს ასე არ არის. სიძველენი წამოღებულ იქმნა მთავრობისა და დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით. მე დამფუძნებელი კრების თხოვნით გამოუყვევი ნივთებს, როგორც მეთვალყურე. დაბრუნება ნივთებისა შეიძლება მხოლოდ მთავრობის დადგენილებით. უამისოდ მე არ მაქვს უფლება მივიღო ნივთები, არც საშუალება შევასრულო ეს საქმე. როდესაც მთავრობა გადასწყვეტს დაბრუნებას, მე, რასაკვირველია, მოვალეობათ მივიჩნევ დაებრუნდე და ნივთები ჩამოვიტანო, მიუხედავად ყოველგვარი პირადი დაბრკოლებისა და უსიამოვნებისა. მაგრამ, მე თუ მკითხავთ, თქვენ მიერ განზრახული მომართვა მთავრობისადმი (იგულისხმება ემიგრანტული მთავრობა — გ. უ.) სიძველენის დაბრუნების შესახებ ამჟამად უშედეგოდ დარჩება და ამიტომ არ გირჩევთ. თქვენ მართალი ხართ, რომ მეტი ხმაურობა ამის გამო საქმისათვის სახეირო არ იქნება. ისე შეიძლება დაგარწმუნოთ, რომ წალებული სიძველენი ხელუხლებელია და კარგად დაცული. ბევრი ნივთებიც შეემატეთ სამუხეუმო ფონდს ...“

წერილი მოწმობს, რომ ექვთიმე სრულიადაც არ აცხადებს უარს სამშობლოში დაბრუნებაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეძლებდა განძის ჩამოტანას, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ესაძებოდა მას შესაძლებლად, თუ მენშევიკების დაყოლიება მოხერხდებოდა, რაც იმ პირობებში ექვთიმეს, სავსებით სწორად, შეუძლებლად ეჩვენებოდა. როდესაც ექვთიმე ამშვიდებდა დ. ჯგუშის განძი „ხელუხლებელია და კარგად დაცული“, ცხადია, იგი ვერ ითვალისწინებდა იმ განსაცდელს, რომელიც მოელოდა ჩვენს საუნჯეს. ვერც წარმოედგინა, რომ საფრანგეთის დემოკრატიული რესპუბლიკა განიზრახავდა ოდესმე ჩვენი განძის ხელყოფას. ამიტომ ამ მხრივ ოპტიმისტურად იყო განწყობილი.

დ. ჯგუშისა და ე. თაყაიშვილის მიმოწერის შემდეგ განვლო სამმა თუ ოთხმა წელმა და საბჭოთა საქართველოს მთავრობას კვლავ უცდია ასეთივე მოლაპარაკება გაემართა ექვთიმესთან მისი და განძის სამ-

შობლოში დაბრუნების თაობაზე. ამის შესახებ ექვთიმემ მოუთხრო თავის მოხსენებაში თბილისის უნივერსიტეტში შეყრილ აუდიტორიას 1946 წლის ივნისში. ექვთიმემ გაიხსენა, რომ როდესაც საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი დავით კანდელაკი ჩასულა პარიზს, ექვთიმესთან მიუგზავნია იმ დროს პარიზში სამეცნიერო მივლინებით მყოფი გიორგი ნიკოლაძე (ექვთიმე მას პროფესორად იხსენიებს, თუმცა მაშინ იგი ჯერ დოცენტი იყო). დ. კანდელაკმაო, გაიხსენა ექვთიმემ, „პროფესორი გიორგი ნიკოლაძე²⁹ გამომიგზავნა და მთხოვა დაებრუნებულიყავი. მე უპასუხე: უნივეთბოდ მე დაბრუნება არ შემიძლია და ნიუთებს ამჟამად მენშევიკები არ მომცემენ მეთქი. ხელმეორედ გამომიგზავნა ნიკოლაძე, დასტოვე ნიუთები, თქვენ საჭირო ხართ და წამოდიო. მე კატეგორიული უარი მივეცი ..., იქ უნდა ვიყო, სადღე ნიუთები არის, და რა გარანტია გვაქვს, რომ უჩემოდ ნიუთები არ განიადება მეთქი ...“

როდის აწარმოა დ. კანდელაკმა გიორგი ნიკოლაძის შუამავლობით მოლაპარაკება ექვთიმესთან?

როგორც იხსენებს რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევეტოვისა, უფროსი და გიორგი ნიკოლაძისა, გიორგი ვაემგზავრა პარიზს 1926 წლის სექტემბერში, ხოლო დაბრუნდა სამშობლოში 1928 წლის სექტემბერში ან ოქტომბერში. ეს ცნობა სავსებით დასტურდება საარქივო დოკუმენტებით.

გიორგი ნიკოლაძემ საფრანგეთში დაყო (თუ არ ჩავთვლით მის ჩასვლას ნიკო ნიკოლაძესთან ერთად პარიზს 1926 წლის შემოდგომაზე) 1927 წლის იანვრიდან 1928 წლის აგვისტომდე. ამ ოცი თვიდან იგი პარიზში არ იმყოფებოდა 1927 წლის ზაფხულის თვეებში. საფიქრებელია, გიორგი ნიკოლაძემ ინახულა ექვთიმე თაყაიშვილი ლევილში, სადაც იგი ორჯერ ჩასულა დავით კანდელაკის ღწვალებით, ან 1927 წლის იანვრიდან-მაისამდე, ანდა 1927 წლის შემოდგომიდან — 1928 წლის მაისამდე, უკიდურეს შემთხვევაში, — ივნისამდე. აი სწორედ ამ პერიოდში, უფრო კი 1927 წლის იანვრიდან მაისამდე უნდა მომხდარიყო ექვთიმეს მიერ მოხსენიებული მისი შეხვედრები გიორგი ნიკოლაძესთან.

²⁹ ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ცნობილი მათემატიკოსის, ინჟინერ-მეტალურგის, სპორტმენისა და მთამსვლელის გიორგი ნიკოლაძის (1888—1931) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. А. Н. Боголюбов Георгий Николаевич Николадзе, изд. «Наука», М., 1973 და ამავე თხზულების ქართული თარგმანი — ა. ნ. ბოგოლიუბოვი, გიორგი ნიკოლაძე, თბ., 1978.

გიორგი ნიკოლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საყურადღებო ცნობები მოგვაწოდებს ნ. ნიკოლაძის უფროსმა დამ პროფ. რ. უ. ს. უ. და ნ. ი. კ. ლ. ა. ძ. პ. ო. გ. ი. ს. ა. მ. და პროფ. ქუეი ძ ი ძ ი შ ვ ი ლ მ ა.

სამშობლო გაფაციცებით აღევნებდა თვალყურს უცხოეთში გატანილი განძეულობის ბედ-იღბალს. პირველ ყოვლისა, საჭირო იყო უცხოეთში გატანილი საუნჯის ცნობაში მოყვანა, აღრიცხვა. ასეთი სახის სამუშაო, შ. ამირანაშვილის მოგონების თანახმად, დაწყებულა საქართველოში თითქმის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე.

დაიწყეს მუზეუმთა საინვენტარო წიგნებიდან ამოწერა გატანილი განძეულობისა და სიების შედგენა. შედგენილა სიები საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმებიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან, ეროვნული გალერეიდან და ეკლესია-მონასტრების საგანძურებიდან გატანილი განძეულობისა. ეს სიები 1927 წლის გაზაფხულზე დაუზუსტებია და გატანილი განძი ოქროს მანეთებით შეუფასებია საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გამოყოფილ სპეციალურ კომისიას, რომლის თავმჯდომარე იყო საქართველოს განსახკომის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის გამგე ვუკოლ ბერიძე, წევრები — გიორგი ჩუბინაშვილი, ეროვნული გალერეის დირექტორი დიმიტრი შევარდნაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი სერგი გორგაძე, მხატვრები ჰენრიკ პრინეესკი და იოსებ შარლემანი. ამ სიების რუსული თარგმანი, ზოგიერთი შემოკლებით, დაცულია არქივში, ხოლო მათი ქართული ტექსტი სრულად გამოაქვეყნა გაიოზ დევდარიანმა 1931 წლის დამდეგს გამოცემულ თავის კრებულში³⁰, მეცამეტე თავად³¹.

აღსანიშნავია, რომ გ. დევდარიანის კრებულში გამოქვეყნებული სიები უფრო სრულია, ვიდრე არქივში დაცული მათი რუსული თარგმანი; სახელდობრ, გ. დევდარიანის კრებულში მითითებულია სიებში შეტანილი ყოველი ნივთის, ხელნაწერისა და სურათის მუზეუმისეული ნომერი და კომისიის მიერ მისთვის დადებული ფასი; არქივში დაცული სიების რუსულ თარგმანში კი ნივთებს, ხელნაწერებსა და სურათებს მიწერილი აქვთ მხოლოდ სამუზეუმო ნომრები, კომისიისეული შეფასება გამოტოვებულია. გ. დევდარიანის კრებულის მიხედვით, ეს სიები გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ 1931 წლის 22 თებერვალს. (№45/3000). იქ ყოველ ნივთს მითითებული აქვს კომისიის მიერ და-

³⁰ „მეწვევიების ბატონობის დღენი საქართველოში, მასალები და დოკუმენტები“. კრებული, შედგენილი გაიოზ დევდარიანის მიერ, თბ., 1931. შემდგენლის წინასიტყვაობა დათარიღებულია 1931 წლის იანვრით. იხ. აღნიშნული კრებულის გვ. 11.

³¹ ეს თავი კრებულში ასეა დასათარგმნელი: „საქართველოს გამარჯვებულნი“. იხ. გ. დევდარიანის ხსენებული კრებული, გვ. 494—527.

დებული ფასი, სამაგიეროდ, გამოტოვებულია გატანილ ნივთთა, ხელნაწერთა და სურათთა სამუზეუმო ნომრები.

სულ განათლების სახალხო კომისარიატის სპეციალურ კომისიას მიეღი ჩვენი საუნჯე შეუფასებია 10 471 770 ოქროს მანეთად. როგორც ეს ამ სიებმათვის თანდართული შენიშვნებიდან ირკვევა, სიები ფრიად არასრულია: მათში არა ყოფილა ასახული ხაზინიდან, სახელმწიფო ბანკიდან, სასოფლო-სამეურნეო და შინამრეწველობის მუზეუმებიდან გატანილი ქონება; არ იყო შეფასებული აკაკი წერეთლისა და ალექსანდრე ხახანაშვილის ნივთები; სიებში ვერ პოვა ასახვა გელათის საგანძურის ხელნაწერების კომისიისეულმა შეფასებამ, რადგან კომისიას მიუღია მათ შესახებ ცნობები თავისი მუშაობის დასრულების შემდეგ. ჩვენი მხრით უნდა დავუმატოთ, რომ სიებში არაა ასახული დიდძალი ქონება, რომელიც გამოტანილი იყო ზუგდილის, ბორჯომისა და თბილისის სასახლეებიდან, ყოფილი რუსული პოლკების ქონება და ბევრიც სხვა.

ვფიქრობთ, ჩვენი ნარკვევიდან მკითხველი დარწმუნდა, რომ გატანილი ქონების ნაწილი მართლაც გაიყიდა უცხოეთში. ეს ქონება გაიყიდა ნაწილ-ნაწილ 1921 წლის მაისიდან 1924 წლის აგვისტოს ახლო ხანებამდე. 235 ყუთიდან, რომელნიც მარსელში აღრიცხა კომისიამ, გაყიდულა 154 ყუთის ქონება და დარჩა ბანკში, ლევილის მამულში და პარიზის მახლობელ სოფლის საწყობში მხოლოდ 81 ყუთის ქონება, აქედან ბანკში — 39 ყუთი, ლევილის მამულში — 15 ყუთი და პარიზის მახლობელი სოფლის საწყობში წიგნებით დატვირთული 27 ყუთი.

ამგვარად, მართალია, სამუზეუმო საუნჯე არ გაყიდულა, სამაგიეროდ, გაიყიდა უცხოეთში გატანილი მთელი ქონების ორ მესამედამდე. ამიტომ ჩვენი საზოგადოების შემოფოთება და გულისტკივილი „განძით ვაჭრობის“ გამო სავსებით გასაგებია და გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებულ პუბლიკაციას არც გამოუწვევია ექვთიმეს თუნდაც ოდნავი წყენა. პირიქით, ექვთიმემ ასეთი გამომხაურება, ეტყობა, დადებით მოვლენად ჩათვალა. ექვთიმეს უშოვნია გაზეთ „კომუნისტის“ 1931 წლის 45-ე ნომრის სამი ეგზემპლარი და ისინი პირად არქივში შეუნახია. მოგვიანებით, როდესაც ექვთიმე დაიწყებს ბრძოლას ჩამორთმეული განძის დაბრუნებისათვის, იგი სხვა საბუთებთან ერთად გამოიყენებს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სიასაც და, ამ მიზნით, იგი ამ სიას ფრანგულად გადაათარგმნინებს კიდეც.

აღნიშნული სიების გამოქვეყნება ექვთიმეს იმიტომაც გაუხარდებოდა, რომ მას აკლდა სწორედ თბილისის მუზეუმების, ე. ი. A კატეგორიის ყუთებში ჩალაგებული განძეულობის აღწერა, ვინაიდან

თბილისიდან ასეთი სიები არ გაუტანებიათ, მარსელში კი ეს ყუთები, რომელთაც დადებული კქონიათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის ლუქის ბეჭედი, არ გაუხსნიათ. მარსელში კომისიამ შეადგინა B და E კატეგორიის განძეულობის სია—მარსელური 1921 წლის მაისის სია,

ახლა ხარვეზი შეაესო „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა სიამ — თბილისურმა 1927 წლის სიამ, რომელშიც აღწერილი იყო მთლიანად A კატეგორიისა და, ნაწილობრივ, E კატეგორიის განძეულობა. ამავე დროს ექვთიმეს ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისათვის, რომ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სიას არა მარტო აკლდა სისრულე, არამედ შეფასებითაც ზოგიერთი ნივთი უფრო ძვირად უნდა შეფასებულიყო. ჩანს, ასეთსავე აზრს იზიარებდა კომისიის ზოგიერთი წევრიც. ასე, მაგალითად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის ს. გორგაძის აზრით ამ მუზეუმიდან გატანილი მდიდარი ნუმიზმატიკური კოლექცია თავისი ნამდვილი ღირებულების შესამედდაც კი არ ყოფილა შეფასებული კომისიის მიერ.

საფრანგეთის მთავრობა ეუფლებს ქართულ საუნჯეს



ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების დამდევიდან საერთაშორისო ვითარება მკვეთრად შეიცვალა. გერმანიაში გზას იკაფავდა ნაცისმი, რომელიც კონტრრევოლუციური გადატრიალების მეშვეობით დაეპატრონა კიდევ ძალა-უფლებას (1933 წლის იანვარი). ამან შეცვალა დასავლეთი სახელმწიფოების დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი.

საბჭოთა კავშირთან დაახლოების ტენდენცია, პირველ ყოვლისა, ახასიათებს საფრანგეთს. საფრანგეთში საბჭოთა კავშირთან დაახლოების ტენდენციას ხელი შეუწყო, აგრეთვე, მისმა შინაგანმა განვითარებამ, დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციამ და ანტიფაშისტური მოძრაობის გაძლიერებამ, რამაც ჩაშალა ფაშისტური პუტჩი (1934 წლის თებერვალი).

საბჭოთა კავშირთან დაახლოების ტენდენციას სათავეში ედგა საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ედუარდ ერიო, რომელმაც, ჯერ კიდევ თავისი პირველი კაბინეტის ხანაში, ცნო საბჭოთა კავშირი (1924). ხოლო ერიოს შესამე კაბინეტის ხანაში, 1932 წლის 29 ნოემბერს პარიზში ხელმოწერილ იქნა სსრკ და საფრანგეთს შორის ურთიერთ თავდაუსხმელობის პაქტი, რატიფიცირებული 1933 წლის თებერვალში.

საფრანგეთის საბჭოთა კავშირთან დაახლოების პოლიტიკა ერიოს შემდეგაც გაგრძელდა და ისეთი რეაქციონერეც კი, როგორიც იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (მაღე ამის შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეც) პიერ ლაჟალი, იძულებული შეიქნა 1935 წლის 2 მაისს დაედო საბჭოთა კავშირთან ურთიერთდახმარების პაქტი.

ცხადია, საფრანგეთის დაახლოებას საბჭოთა კავშირთან არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა სხვადასხვა ემიგრანტულ ანტისაბჭოთა „მთავრობების“ მდგომარეობაზე; ისინი თავს აფარებდნენ საფრანგეთს, ადრე ოფიციალურად ცნობილი იყვნენ საფრანგეთის მთავრობის მიერ და სარგებლობდნენ მისი სტუმართმოყვარეობით. სსრკ — საფრანგეთის თავდაუსხმელობის პაქტის მეხუთე მუხლით ორივე სახელმწიფო კისრულობდა პატივი ეცათ ყოველმხრივ ურთიერთის სუვერენიტეტი-

სათვის, არავითარ შემთხვევაში არ ჩარეულიყვნენ ურთიერთის შინაგან საქმეებში. ორივე მხარე კისრულობდა ვალდებულებას, „არ შეეკმნა, მხარი არ დაეჭირა, არ მოემარაგებინა, არ მოეხდინა სუბსიდირება და არ დაეშვა თავის ტერიტორიაზე არც სამხედრო ორგანიზაციები, რომელთაც მიზნად ჰქონდათ მეორე მხარის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა, არც ორგანიზაციები, რომელნიც იჩემებდნენ ყველა მისი ტერიტორიის ან მისი ნაწილის მთავრობის ან წარმომადგენლის როლს“.

პაქტის ეს მუხლი ეხებოდა ქართველ ემიგრანტულ „მთავრობასაც“. ამას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია შეშფოთება იმ ქართველი ემიგრანტებისა, რომელთათვისაც არ იყო სულერთი საქართველოდან გატაცებული და საფრანგეთში გატანილი საუნჯის ბედი. ამასთან დაკავშირებით, შეუდგენიანთ კომისია სამი კაცის — ექვთიმე თაყაიშვილის, სამსონ ფირცხალავას და გიორგი გვაზავას — შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ემსჯელა განძის თაობაზე³². კომისია შეკრებილა 1933 წლის 4 მარტს, ე. ი. სსრკ — საფრანგეთის თავდაუსხმელობის პაქტის რატიფიკაციიდან დაახლოებით სამი კვირის შემდეგ და ჰქონია მსჯელობა განძის შესახებ, რაც აისახა გ. გვაზავას ხელით ნაწერ მოხსენებით ბარათში, რომელიც ასეა დასათაურებული: „საქართველოს განძეულობის შესახებ“. ეს მოხსენებითი ბარათი გ. გვაზავას 7 აპრილს წარუდგენია განსახილველად კომისიის დანარჩენი ორი წევრისათვის.

გ. გვაზავას მოხსენებითი ბარათიდან სრულიად არა ჩანს, რომ ქართველ ემიგრანტთა წრეებში იმ დროს ყოფილიყოს განძის საბჭოთა საქართველოსათვის დაბრუნების რაიმე სურვილი. კომისიამ მიზანშეწონილად და საუკეთესო გამოსავლად მიიჩნია განძეულობის საფრანგეთში დატოვება. ამის შემდეგ აკაკი ჩხენკელს, ვითარცა მენშევიკური „მთავრობის“ დესპანს ქართული ლეგაციის დახურვის წინ მიუმართავს კიდევ 1933 წლის 28 ივნისს სათანადო განცხადებით საფრანგეთის მთავრობისათვის. ამ განცხადებით ა. ჩხენკელი შეახსენებდა საფრანგეთის მთავრობას ქართული განძის მნიშვნელობას და შესთხოვდა მის დაცვას...

³² როგორც ცნობილია, ექვთიმე თაყაიშვილი და გიორგი გვაზავა იყვნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები, სამსონ ფირცხალავა კი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისა. სამივე იყო დამფუძნებელი კრების წევრი. ძნელია მტკიცება იმისა, რატომ არ იყვნენ შეყვანილნი ამ კომისიაში მენშევიკური პარტიის წარმომადგენლები. შეიძლება მენშევიკთა მესვეურნი ასე მოიქცნენ, რათა ამ თავსატეხი საქითხის გადაწყვეტილის სხვა პარტიებისათვის დაეკისრებინათ მძიმე პასუხისმგებლობა.

ამით ხელიდან იქნა გაშვებული უკანასკნელი, მათზე დამოკიდებული შესაძლებლობა განძის სამშობლოში დაბრუნებისა.

ახლოვდებოდა ის დრო, როცა უნდა გამართლებულიყო დ. ჯგუშვიას წინასწარგანჭვრეტა და ის, რაც მან ექვთიმეს მისწერა: „საფრანგეთის მთავრობა ამა თუ იმ მიზეზის გამო აღნიშნულ სიძველეებს ხელში ჩაიგდებს“.

ასეთ „მიზეზად“, უფრო სწორად, საბაბად იქცა ობოლენსკაიას მიერ აღძრული სასამართლო პროცესი, რომელიც ორჯერ იქნა წამოწყებული: პირველად წარმოებდა 1934 წლის 8 მარტიდან 8 მაისამდე, მეორედ — 1936 წლის დამლევიდან 1941 წლის 19 თებერვლამდე, ე. ი. მთელმა პროცესმა შეიდ წულს გასტანა.

ჩვენ შევეძლით დაახლოებით მაინც აღგვედგინა ამ პროცესის ისტორია ექვთიმეს მოგონებების, ნარკვევების, ჩვენი საუნჯის შემცველი ყუთების გახსნის აქტისა და პირველი, 1934 წლის 19 სექტემბრის ოქმის შესწავლის საფუძველზე.

რამდენიმე ხნით აღრე პარიზში საქართველოს ლეგაციის გაუქმებამდე, საფიქრებელია, სსრკ — საფრანგეთის ურთიერთ თავდაუსხმელობის პაქტის დადების (1932 წლის 29 ნოემბერი) ან მისი რატიფიკაციის (1933 წლის თებერვალი) შემდეგ, ნიკო დავითის ძე მინგრელსკის („დიდი ნიკოს“) ასულსა და უკანასკნელ მინგრელსკის, ნიკო ნიკოს ძის (1917 წელს გარდაცვლილი „პატარა ნიკოს“) დას სალომეს, თავად ალექსანდრე ობოლენსკის ქვრივს, მიუმართავს თხოვნით ქართველი ემიგრანტული მთავრობისათვის, რათა მას და მის შვილებს, როგორც მინგრელსკების უკანასკნელ შთამომავალთ, დაბრუნებოდათ საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებაში მოთავსებული ქართული განძეულობის ის ნაწილი, რაც გამოტანილი იყო ზუგდიდის სასახლის საგანძურიდან.

ცხადია, ობოლენსკაიას ამ თხოვნის შესრულებაზე უარი უთქვამთ იმ მოტივით, რომ მისი ძმის გარდაცვალების შემდეგ, დამფუძნებელი კრების 1920 წლის 31 დეკემბრის დეკრეტის ძალით, მინგრელსკის ქონება საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა, ხოლო ბანკში ინახებოდა ამ ქონების ის ნაწილი, რომელიც სამუზეუმო ფონდში იყო გადარიცხული.

უარის მიღების შემდეგ, ობოლენსკაიას საქმე გაუსაჩივრებია სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში. როგორც ირკვევა, ამ ქალის ზურგს უკან მდგარან და მას დახმარებას უწყევდნენ არისტოკრატიის წარმომადგენლები და გავლენიანი ხალხი (საფიქრებელია, მომეტებულად ესენი იყვნენ რუსი ემიგრანტები, თუმცა, ეტყობა, ზოგიერთი ქართველი თავადიშვილიც კადრულობდა ასეთ საქმეს); ზოგი მათგანი ობოლენსკაიას საქმის თანამონაწილე გამხდარა და

დიდი ფულიც დაუხარჯია, ცხადია, იმ იმედით, რომ პროცესს მოიგებდნენ და ამ დანახარჯს ერთი ათად აინახლაურებდნენ ყოფილი დადიანისეული ქონების ხარჯზე.

ობოლენსკაიას და მის წამქეზებლებს „რეფერეს პროცედურის“³³ წესით მიუმართავთ სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს თავმჯდომარისათვის, რათა მას წინასწარი განაჩენის, ე. წ. „რეფერეს“ წესით დაექვაყოფილებინა მისი სარჩელი. სარჩელის მოტივად, ექვთიმეს მოგონების თანახმად, მოიყვანეს ის მოსაზრება, რომ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას უფლება არა ჰქონდა ჩამოერთმია ქონება მინგრელსკისათვის, რომელიც „რუსეთის ქვეშევრდომი იყო და არა საქართველოსი“. ობოლენსკაიას სარჩელი მიმართული ყოფილა როგორც ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლების—ყოფილი დესპანის აკაკი ჩხენკელისა და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგუშკორის წინააღმდეგ (ბანკში ხომ განძი შეტანილი იყო ა. ჩხენკელის სახელზე), ისევე საფრანგეთის ბანკის წინააღმდეგ, ვინაიდან იგი იყო შემნახველი ქართული განძისა.

ობოლენსკაიას შეუტანია თავისი სარჩელი 1934 წლის 8 მარტს. მაგრამ მოულოდნელად მოსარჩელე წააწყდა ისეთ ძლიერ მოწინააღმდეგეს, რომელსაც სარჩელის შეტანისას პლბათ არც ელოდა. ეს იყო ფრანგი მოხელე პიერ ჟოდონი. ამ პიროვნებამ დიდი როლი შეასრულა ჩვენი განძის ბედ-იღბლის საქმეში და 10 წელს იყო მის მცველად, ამიტომ მოკლედ შეეჩერდებით მის ვინაობაზე. ჟოდონი იყო ფრიად გავლენიანი პირი, აღჭურვილი საფრანგეთის მთავრობის დიდი ნდობით. მას იმ დროს სჭერია ორი საპასუხისმგებლო თანამდებობა: ყოფილა საფრანგეთის მთავრობის მთავარი აგენტი შერეულ საერთაშორისო სასამართლოებში და, ამავე დროს, მას სჭერია „საფრანგეთში უპატრონოდ მიტოვებულ რუსულ ქონებათა, უფლებათა და ინტერესთა დროებითი განმგებლის“ თანამდებობა.

ჟოდონი განაგებდა რუსეთის იმ „უპატრონო ქონებას“, რომელიც საფრანგეთის მთავრობას ჰქონდა „დროებით“ ჩაგდებული ხელში და რომლის მომავალ ბედს უკავშირებდნენ რუსეთის რევოლუციამდელი გადაუხდელი ვალების საკითხის გადაწყვეტას, ე. ი. იმ ქონებას, რომელ-

³³ „რეფერეს“, ანუ „რეფერეს პროცედურა“ საფრანგეთში ეწოდება ისეთ სასამართლო პროცედურას, რომლის დროს სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება ენიჭება, გადაუდებელ შემთხვევაში გამოიტანოს წინასწარი განაჩენი საქმის არსებითად გაურჩევლად; საქმე წყდება პირველ ინსტანციაში. სასამართლოს თავმჯდომარე სპეციალურად დანიშნულ სხდომაზე უსმენს გამოძახებულ მოდავე მხარეებს და გამოაქვს თავისი განაჩენი, რომელსაც ეწოდება „რეფერეს-დენანსი“. ეს განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს ორი კვირის განმავლობაში, მაშინ საქმე ირჩევა ჩვეულებრივი სასამართლო წესით და საბოლოოდ წყდება.

საც არსებითად არა „დროებით“, არამედ სამუდამოდ თავისად თვლიდა საფრანგეთის მთავრობა. ამ საპასუხისმგებლო პოსტზე ჟოდონი დანიშნულა სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებით 1924 წლის 22 ოქტომბერს. ე. თაყაიშვილი და ა. ნიჟარაძე, რომელნიც პირადად კარგად იცნობდნენ პ. ჟოდონს, ძალიან დადებითად ახასიათებენ ამ ფრანგს, უქებენ მას იშვიათ პატიოსნებას.

1934 წლის 21 აპრილს, ე. ი. ობოლენსკაიას სარჩელის შეტანიდან თვენახევრის შემდეგ, პ. ჟოდონს, საფრანგეთის მთავრობის სახელით ყალბა დაუდია ბანკში მიბარებული მთელი ქართული განძისათვის. ამიტომ ახლა ობოლენსკაიას სარჩელი მიმართული შეიქნა, ერთდროულად, ამ ფრანგი მოხელის წინააღმდეგაც.

სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს თავმჯდომარეს ობოლენსკაიას სარჩელის გარჩევისას გამოუძახია აკაკი ჩხენკელი და ვეგენი გეგეჭკორი. მაგრამ, არსებითად, ნამდვილ სასამართლო პროცესს არცა ჰქონია აღვილი: ეს იყო საქმის გარჩევა „რეფერეს წესით“.

სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს თავმჯდომარეს არ შეუწყნარებია ობოლენსკაიას „მოტივები“, სამაგიეროდ, მიუპყრია ყური ფრანგი მოხელისათვის, რომელსაც განუცხადებია სასამართლოში, რომ „ქონება, მოთავსებული ბანკში საქართველოს სახელმწიფოს მიერ, ე. ი. მეანაბრის მიერ, რომელიც აღარ არსებობს, შეადგენს საფრანგეთში უპატრონოდ მიტოვებულ რუსულ ქონებას, ხოლო ამგვარი ქონების განმგებელი იგია, ჟოდონი. ამიტომ ჟოდონს მოუთხოვია განძის მის განმგებლობაში გადაცემა. ობოლენსკაიას უარი ეთქვა მის სარჩელზე და სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს თავმჯდომარეს 1934 წლის 8 მაისის „რეფერეს განაჩენით“ საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებაში მოთავსებული ქართული განძეულობით დატვირთული 39 ყუთი დაუქვემდებარეს ჟოდონის „დროებით განმგებლობას“.

პირში ჩალაგამოვლებული „უგანათლებლესი თავადის“ ასული-სათვის „ნება დაურთაეთ“, უკეთუ მოისურვებდა, ცდილიყო სასამართლო წესით აღდგინა თავისი უფლებები მის „კუთვნილ“ ნივთებზე... პირში ჩალაგამოვლებულნი დატოვეს ქართველი ექსდესპანი და ექსმინისტრიც. მათი ჩვენება სასამართლოში, არსებითად, გამოიყენეს მხოლოდ ობოლენსკაიას წინააღმდეგ. გამოიყენეს მათი მოტივირება, რომ საქართველოს რესპუბლიკა უფლებამოსილი იყო მოეხდინა შინგრესკის ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადება და შერე უკვე მათ... აღარაფერი ჰკითხეს.

მაგრამ რა საფუძველზე შეიტანეს ქართული განძი „საფრანგეთში უპატრონოდ მიტოვებული რუსული ქონების“ კატეგორიაში? ალბათ გამომდინარე იმ „ლოგიკიდან“, რომ საქართველო რევოლუციამდე რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო; შემდეგ, მართალია, საფრანგეთმა „ცნო“ საქართველოს რესპუბლიკა, მაგრამ ახლა ხომ გამოაცხადეს იგი „არარსებულად“, ე. ი. დაუბრუნეს იგი ძველ რევოლუციამდელ იურიდიულ სტატუსს?!

ერთი სიტყვით, საფრანგეთის მთავრობამ, მასთან შეთანხმებით მოქმედი სასამართლოს მეშვეობით, საქმე ისე გადაწყვიტა როგორც საპიროდ მიიჩნია საკუთარი ინტერესებისათვის. ვერ გაჭრა ა. ჩხენკელის 1933 წლის 28 ივნისის მუდარამ. . . ლტოლვილთა ილუზიებისათვის „კეთილი მასპინძლის“ შესახებ 1934 წლის 8 მაისის „რეფერეს განაჩენს“ სასიკვდილო ლახვარი უნდა ჩაეცა.

რა იმოქმედეს ამის შემდეგ ემიგრანტული მთავრობის მესვეურებმა? საფრანგეთის კანონმდებლობა ანიჭებდა მათ უფლებას აპელაციის წესით გაესაჩივრებინათ საქმე ორი კვირის განმავლობაში. მაშასადამე, რაკი „რეფერეს განაჩენი“ გამოტანილი იყო 1934 წლის 8 მაისს, შეიძლებოდა საქმის გასაჩივრება იმავე წლის 22 მაისამდე, მაგრამ ემიგრანტული „მთავრობის“ მესვეურნი, როგორც ეტყობა, დაფაცურდნენ დაგვიანებით და ხელიდან გაუშვეს გასაჩივრებისათვის დაწესებული ვადა. . . ენერგიულ ფრანგ მოხელეს აღარ დაუყოვნებია და მოუთხოვია ბანკისათვის „აპელაციის წესით გაუსაჩივრებელი სასამართლო განაჩენის“ განხორციელება. როგორც ჩანს, ჟოდონს ოთხ თვეზე ნაკლები დრო დასჭირდა იმისათვის, რომ საბოლოოდ მოეგვარებინა ეს საკითხი: მაისის დამლევს (ალბათ არა უადრეს 1934 წლის 22 მაისისა) მან წაუყენა თავისი მოთხოვნა საფრანგეთის ბანკს, რომლის მარსელის განყოფილებაში იყო დაცული ჩვენი საუნჯე. ჩვენი განძის შემცველი 39 ყუთი მარსელიდან პარიზს ჩამოიტანეს, დააწყვეს ბანკის მთავარ შენობაში, რომელიც მდებარეობდა კრუა-დე-პტი-შანის ქუჩაზე, № 39 სახლში.

ბიერ ჟოდონის მიერ ჩვენი განძის ჩაბარება ასახულია სათანადო აქტში და აღმწერს ხველ ოქმებში, რომლებშიაც კონსტატირებულია პარიზის ბანკში ქართული განძეულობის შემცველი ყუთების გახსნა და აღწერილია მათი შინაარსი. ოქმებში საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი ჩვენი განძი და ეს ყველაზე უფრო საფუძვლიანი აღწერაა უცხოეთში გატანილი ჩვენი საუნჯისა იმ აღწერათა შორის, რაც კი ჩვენს ხელთ ყოფილა.

ბიერ ჟოდონისათვის განძის ჩაბარებას აწარმოებდა არა „კომისია“ ან „სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენელი“, როგორც ეს შე-

უტყვია ექვთიმეს, არამედ ერთადერთი მოხელე — სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს უისიე (სასამართლო აღმასრულებელი) ფერნან-მარი-ფილიპ ბერლენი, ხოლო განძის აღწერას აწარმოებდა იმავე სასამართლოს ექსპერტი-ეუველირი რობერ ლენზელერი.

1934 წლის 19 სექტემბრის ოქმში აღწერილია ყუთების გახსნა: ამ დღეს 14 საათზე ბანკის შენობაში შეკრებილი ჟოდონი, ბერლენი და ლენზელერი საფრანგეთის ბანკის რწმუნებულებმა ჩაიყვანეს ბანკის მიწისქვეშა სეიფებში. გააღეს სამი ოთახი, რომლებშიც ელაგა ქართული განძით დატვირთული 39 ყუთი, თითო ოთახში მდგარა ცამეტი ყუთი. ყოველი ყუთი გარშემოვლებული ყოფილა თოკით ან რკინის მავთულით; ხოლო ყუთების კიდებზე მიმაგრებული ყოფილა მრგვალი წითელი ლუქის ბეჭედი, ფრანგული წარწერით: „საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა. — პარიზი“.

ოქმში აღნიშნულია, რომ ყუთები კარგ მდგომარეობაში დახვდათ და ბეჭდები — დაუზიანებელი. ამ შემოწმების შემდეგ ჟოდონს გაუცია განკარგულება ყუთების გახსნის შესახებ. მის ხელქვეით მოხელეს მოუხსნია ყუთებისათვის მავთულები და თოკები და ამოუძვრია მათი ხუფებიდან ლურსმნები, ხოლო ბანკის ზეინკალს გაუღია ყუთების კლიტეები. შემდეგ, ყუთების გაღებისთანავე, ყოველი ყუთიდან ამოულაგებიათ, რაც შიგ ელაგა.

როგორც 4 ოქტომბრის სხდომაზე ამოიკითხა შ. ბერიძემ, A კატეგორიის ყუთებსა და დიდ კალათს ჰქონია წარწერა: „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი“, ხოლო ერთსაც (A 13 უნდა იყოს) — „საქართველოს მუზეუმი“. ამ კატეგორიის ყუთებს დადებული ჰქონიათ ორ-ორი ლუქის ბეჭედი, გარდა პირველი 19 სექტემბრის ოქმში მოხსენიებული საქართველოს პარიზული დიპლომატიური წარმომადგენლობის ბეჭდისა, მეორეც — „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისა“.

ლენზელერის მიერ ჩენი განძის აღწერა გაგრძელებულა სამ კვირას. სულ ჰქონიათ 14 შეკრება. პირველი შეკრება ჩატარებულა 1934 წლის 19 სექტემბერს, უკანასკნელი — 9 ოქტომბერს. რობერ ლენზელერი, როგორც ჩანს, თავისი საქმის დიდი მცოდნე და საკმაოდ მრავალმხრივი სპეციალისტი ყოფილა. მან კარგად და დეტალურად აღწერა არა მარტო საიუველირო ძვირფასი ნივთები, არამედ მას კარგად სცოდნია მხატვრობაც, რასაც მოწმობს A 2 ყუთში მოთავსებული 18 სურათის აღწერა. სხვა ექსპერტებისათვის ჟოდონს მიუმაართავს მხოლოდ ორ შემთხვევაში: 27 და 29 სექტემბრის სხდომებზე მიუწვევიათ სენის დეპარტამენტის სასამართლოს ექსპერტი-ნუმიზ-

მატიკოსი ფლორანეი A 13 და A 10 ყუთებში მოთავსებული ნუმიზ-
მატიკური კოლექციების შესამოწმებლად; ხოლო 4 და 8 ოქტომბრის
სხდომებზე მიუწვევიათ ისტორიკოსი შალვა ბერიძე, რომელსაც იც-
ნობდნენ, როგორც სააზიო საზოგადოების წევრს; ჟოდონს მისთვის
დაუქისრებია ქართული და რუსული წარწერების ამოკითხვა და თარგ-
მნა. ამის წყალობით ლენზელერს შეუტანია ოქმში რამდენიმე ქარ-
თული-ხელნაწერის მინაწერებისა და ნივთებზე ამოკვეთილი ქართული
წარწერების ფრანგული თარგმანი.

შ. ბერიძის თარგმანებმა მიგვაკვლევინა რამდენიმე ხელნაწერისა
და წარწერაანი ნივთისათვის, რომელნიც ეწყო E კატეგორიის ყუ-
თებში. ამას გარდა, შ. ბერიძეს გადაუთარგმნია A კატეგორიის ყუ-
თებზე თბილისში გაკეთებული წარწერები, მათი სამუხეუმო კუთვ-
ნილების შესახებ და ამ ყუთებზე დადებულ ლუქის ბეჭდებზე ამოკ-
ვეთილი წარწერა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებე-
ლი საზოგადოების წიგნთსაცავისა“.

ყუთებიდან განძის ამოლაგებისა და ლენზელერის მიერ ნივთებისა
და წიგნების აღწერის შემდეგ, ექვთიმეს მოწმობით, მთელს ჩვენს
განძი დაუწყვეიათ საფრანგეთის ბანკის მთავარ შენობაში — კრუა-დე
პტი-შანის ქუჩაზე მდებარე №39 სახლში. იგი დაულაგებიათ ერთ პა-
ტარა ოთახში თაროებზე მიჯრით.

ყუთების გახსნასა და ნივთების აღწერას ემიგრანტული ქართვე-
ლი ექსმთავრობის წარმომადგენელნი არც კი დაასწრეს. ამასთან
დაკავშირებით ექვთიმე გულსტიკივლით აღნიშნავდა თავის ერთ
სტატიაში: „არც აკაკი ჩხენკელი, რომლის სახელზე ყუთები იყო
ბანკში დადებული, არც ევგ. გეგეჭკორი, რომელიც მოაპსუხედ სულში
იყო დაბარებული, არ მიუპატიჟნიათ ყუთების გახსნის დროს, რათ
ინებეს ეს, ჩემთვის გაუგებარია!“. ამასვე სწერს იგი ვუკოლ ბერიძე-
საც. მაგრამ ჩვენთვის ასეთი „უყურადღებობა“ და ანგარიშის გა-
უწველობა ქართველი ემიგრანტული „მთავრობისათვის“ სრულიად
გასაგები უნდა იყოს: მენშევიკური მთავრობა „არარსებულად“ იყო
გამოცხადებული, განძი მრეკუთვნა მის „დროებით“ განმგებელ პიერ
ჟოდონს. რა ანგარიში უნდა გაეწია ფრანგ მოხელეს ამის შემდეგ
არარსებული მთავრობისათვის?!

რაც შეეხება ქართველი ემიგრანტული „მთავრობის“ წარმომად-
გენლებს — აკ. ჩხენკელსა და ევგ. გეგეჭკორს — ისინი ჩვენების მისა-
ცემად გამოიხმო სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართ-
ლოს თავმჯდომარემ. მათ მისცეს ეს ჩვენება, რითაც გაუადვილეს
საქმე ჟოდონს, რომელიც, არსებითად, იყო მთავარი მოწინააღმდეგე
ობოლენსკაიასი; ამ უკანასკნელის მიერ 1934 წლის 8 მარტს აღძრუ-
ლი სარჩელის წინააღმდეგ გამოვიდა თავისი 21 აპრილის სარჩელით

და ყადაღა დაადო ბანკში ჩვენს განძს. ასეთ შემთხვევაში ა. ჩხენკელი და ე. გეგეჭკორი მოპასუხებიდან იქცნენ, არსებითად, მხოლოდ მოწყვეტადა.

ექვთიმესათვის ა. ჩხენკელის მიერ გაგზავნილი წერილიდან, რომელიც 1934 წლის 19 სექტემბრამდე უნდა იყოს დაწერილი (მაშინ, როდესაც ჩვენი განძის შემცველი ყუთები პარიზში ჩამოტანილი, მაგრამ ჯერ გაუხსნელი ყოფილა), ირკვევა, რომ მენშევიკურ მთავრობას ამ დროს ვეჭილი აუყვანია. ასეთად მოუწვევიათ საფრანგეთის პარლამენტის ქვემო პალატის დეპუტატი შ. პომარე. „ჩვენი დამცველი მოსიე პომარე საფრანგეთის ქვემო პალატის დეპუტატი იყო“, — იხსენებდა მოგვიანებით მის შესახებ ექვთიმე. თავის წერილებში ექვთიმესადმი ა. ჩხენკელი პომარეს ყველგან იხსენიებს როგორც „აჟუეს“ (საფრანგეთში განასხვავებენ ორი სახის დამცველს — „აჟუესა“ და „აღვოკატს“).

საქმის წარმოებისათვის, როგორც ჩანს, პომარეს მოუთხოვია სხვადასხვა დოკუმენტი, მათ შორის მენშევიკური მთავრობის მიერ ექვთიმე თაყაიშვილისათვის ქუთაისში 1921 წლის 1 მარტს გაცემული ფრანგულად ნაწერი მოწმობა იმის შესახებ, რომ მას საზღვარგარეთ მიჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კუთვნილი ოქრო-ვერცხლი და სხვა ძვირფასი ნივთები ევროპის ბანკებში ჩასაბარებლად. ალბათ ამავე „აჟუეს“ მოთხოვნითვე ათარგმნინა ექვთიმემ ქართულიდან ფრანგულ ენაზე ჩვენი განძეულობის მარსელური 1921 წლის მაისისა და თბილისური 1927 წლის სია (გამოქვეყნებული გაზეთ „კომუნისტი“ 1931 წლის 22 თებერვალს). სივების ეს ფრანგული თარგმანები ხელის მანქანაზეა ნაბეჭდი, მათი თითო ეგზემპლარი შემოგვინახა ექვთიმეს არქივმა. ორივე სიის თარგმანში ექვთიმეს შეუტანია თავისი შესწორებები და დამატებები.

ამგვარად, ექვთიმეს დოკუმენტებით შეუიარაღებია ქართველების ვეჭილი—აჟუე შ. პომარე, მაგრამ, საფიქრებელია, ამ უკანასკნელმა ეს დოკუმენტები ვერც გამოიყენა, რადგან საქმის გასაჩივრება დაგვიანებული იყო...კანონით დაწესებული ვადა ამოიწურა და „არარსებულად“ გამოცხადებულმა ქართველმა ემიგრანტულმა „მთავრობამ“, არსებითად, დაკარგა ყოველგვარი უფლებები ჩვენს საუნჯეზე.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, როდესაც ნივთების აღწერის შემდეგ, განძი მკვიდრად გადავიდა პიერ ჟოდონის ხელში და იგი მოათავსეს საფრანგეთის ბანკის შენობაში, თავაზიან ფრანგს მაინც შეუწყნარებია ქართველების თხოვნა და მიუწვევია ისინი განძის დასათვალიერებლად. როგორც ექვთიმეს 1935 წლის მაისში დაწერილი სტატიიდან ჩანს, განძი დაუთვალიერებია ბანკის პატარა ოთახში ხუთ კაცს: აკ. ჩხენკელს, ევგ. გეგეჭკორს, კ. კანდელაკს, ე. თაყაიშვილსა და ი. გოგო-

ლაშვილს. შათ მხოლოდ თვალი გადაუვლიათ თაროებზე მიჯრით და
ლაგებული საუნჯისათვის. უთხოვნიათ შემოწმება, ჟოდონი შეპირე-
ბია კიდევ, მაგრამ, ცხადია, შემოწმება ვერ მოხერხდა და, როგორც
ექვთიმე წერდა, ეს შეუძლებელიც ყოფილა „სიციწროვის გამო“



საუნჯის დაბრუნებისათვის ბრძოლა



შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა საუნჯის მეთვალყურე ექვთიმე თაყაიშვილი მოემართა საქართველოს საბჭოთა მთავრობისათვის, ვინაიდან რეალური დახმარება მხოლოდ აქედან იყო მოსალოდნელი. ექვთიმემ მიმართა თავის ძველ ნაცნობს პროფესორ ვუკოლ ბერიძეს, რომელსაც ეკავა საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის გამგის თანამდებობა. ვ. მ. ბერიძის ღვაწლი ქართულ მეცნიერებაზე მზრუნველობის საქმეში საყოველთაოდ იყო ცნობილი, კარგად იყო ცნობილი ექვთიმესათვისაც და იგი მას საესე-ბით ენდობოდა.

ექვთიმეს პირველი წერილი ვუკოლ ბერიძისადმი დათარიღებულია 1935 წლის 9 აპრილით. წერილში ექვთიმე გადმოსცემდა განძის ისტორიას — დაწყებულს მისი გატანიდან და დასრულებულს მისი გადასვლით საფრანგეთის მთავრობის ხელში და ყუთების გახსნით პარიზის ბანკში. „ეხლა კი მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა, — წერდა ექვთიმე, — ნივთები უპატრონოდ არის გამოცხადებული. მე აღარა მაქვს საშუალება და უფლება ნივთების დაცვას და ჯეროვანად შენახვას მეთვალყურეობა გაუწიო. ნებაც რომ მქონდეს, ფიზიკური მდგომარეობა არ მაძლევს ამის შეძლებას, მოვხუციდი, ფეხიც დავიშავე, ძლივს დაედივარ. დღეს ვარ, ხვალ აღარ ვიქნები და ჩემთვის მეორე სიკვდილი იქნება, თუ ის ნივთები ან მისი ნაწილი დაგვეკარგა! თქვენ უწყით, თუ რა წილი მიღევს მე მათ შეკრებაში, და მათი დღევანდელი მდგომარეობა მტანჯავს, ვერ დავმშვიდდები, მანამ ის ნივთები საქართველოს არ დაუბრუნდება და მუზეუმებს არ ჩაბარდება“.

ექვთიმე იწერებოდა, რომ დასახული მიზნის — ნივთების დაბრუნების — განსახორციელებლად იგი თვითონაც აპირებდა მიემართა საფრანგეთის მთავრობისათვის და მას მიზანშეწონილად მიაჩნდა ერთდროულად სათანადო შუამდგომლობა აღძრულიყო საბჭოთა საქართველოს მხრივაც. აცნობდა რა ვ. ბერიძეს იმ არგუმენტებს, რომლებითაც აპირებდა იგი თავისი განცხადება-თხოვნის დასაბუთებას, ექვთიმე მოითხოვდა, რომ ერთდროულად საფრანგეთის მთავრობას წარსლოგენოდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შუამდგომლობა და გან-

ცხადებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (როგორც წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმისა და საეკლესიო მუზეუმის „კანონიერი მემკვიდრის“), საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის, ეროვნული გალერეისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გაბგეობათაგან. ექვთიმე თხოულობდა, რაც შეიძლება სწრაფად ყოფილიყო გაგზავნილი საქართველოდან სათანადო შუამდგომლობა და საჭიროდ მიაჩნდა, საკითხის დადებითად გადაჭრის შემთხვევაში, განძის მისაღებად საქართველოდან პარიზს გაგზავნილიყო მცირე კომისია, რომელშიც შევიდოდა ორი-სამი კაცი და, მათთან ერთად, ვუკოლ ბერიძე. ამ კომისიას, ექვთიმეს აზრით, თან უნდა ჩაეტანა სათანადო საბუთები (მუზეუმების წესდებები და კატალოგები). თავის 1952 წლის ნოემბრის მოგონებაში ექვთიმე იხსენიებს, რომ მან მოსთხოვა ვ. ბერიძეს პარიზს გაეგზავნათ „ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორთაგან შემდგარი დეპუტაცია“.

ვუკოლ ბერიძისათვის წერილის გაგზავნასთან ერთად ექვთიმემ გადადგა მეორე ფრიად სერიოზული ნაბიჯი: თავისუფალი მოქმედებისათვისა და საფრანგეთის მთავრობისადმი მიმართვისათვის მას სჭირდებოდა იურიდიული დასაბუთება თავისი უფლებისა ჩვენს საუზნაზე. ამ მიზნით ექვთიმეს მიუმართავს ემიგრანტული „მთავრობისათვის“, რათა მას უარი ეთქვა ამიერიდან განძის საქმეებში ჩარევაზე და იმ თავის უფლებაზე, რომელიც სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს თავმჯდომარის „რეფერეს განაჩენმა“, ფაქტიურად, არაარაობად აქცია.

ექვთიმეს არქივში დაცულია სათანადო დოკუმენტი. ესაა ამონაწერი მენშევიკების „მთავრობის“ 1935 წლის 10 აპრილის სხდომის ოქმიდან, მისი ფრანგული თარგმანითურთ. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ამ თარიღამდე, საფიქრებელია, ორიოდე დღით ადრე, ექვთიმეს მიუმართავს თავისი განცხადებით ემიგრანტული „მთავრობის“ მეთაურისათვის, მოუთხოვია, რომ ამიერიდან მენშევიკურ „მთავრობას“ უარი განეცხადებინა ქართული განძეულობის მესვეურობაზე და ეს უფლებები მისთვის გადმოეცა. როგორც ჩანს, ეს განცხადება მენშევიკებს ჰკუპაში დაუჯდათ: რას კარგავდნენ, გარდა შიშზე პასუხისმგებლობისა ქართველი ერისა და ისტორიის წინაშე. მათ ხომ სრულიად დაკარგული ჰქონდათ მიტაცებული განძის დაბრუნების იმედი.

1935 წლის 10 აპრილს შემდგარა მენშევიკური „მთავრობის“ სხდომა, რომელსაც ზუთი კაცი დასწრებია. მათ მიერ მიღებულ დადგენილებაში დასაბუთებული იყო ექვთიმე თაყაიშვილის უფლებები ქართულ განძეულობაზე. „ბ-ნი თაყაიშვილი, — ნათქვამი იყო ამ დადგენილებაში, — აქ ერთადერთი წარმომადგენელია საქართველოს მუზეუმების, ამ უკანასკნელების მიერ ნდობით იყო აღჭურვილი, მას

მიანდვეს მუზეუმებმა ზრუნვა ამ ქონებაზე..., ამიტომ ბ-ნ ე. თაყაიშვილს აქვს უფლება ჩაერიოს ამ საქმეში და მიიღოს ის ზომები, რომელსაც საჭიროდ დაინახავს ამ ქონების დასაცავად, ხოლო მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებში თვითონ იქნება სრული პასუხისმგებელი აღნიშნულ ქონების მუპატრონეთა (ე. ი. მუზეუმებისა და ეროვნული გალერეის. — გ. ჟ.) და საქართველოს წინაშე“.

ახლა დავსვათ კითხვა: ჰქონდა თუ არა რაიმე რეალური მნიშვნელობა 1935 წლის 10 აპრილის აქტს? ვფიქრობთ, ჰქონდა: ამ აქტით ყოფილი მთავრობა იძულებული შეიქმნა სამშობლოდან უცხოეთში გატანილი ქართული საუნჯის დაცვის ერთადერთ პასუხისმგებელ პირად ექვთიმე თაყაიშვილი გამოეცხადებინა. ამიერიდან ექვთიმეს შეეძლო ემოქმედა ამ საქმეში როგორც ერთადერთ პასუხისმგებელ პირს. მოხუც მეცნიერს არ შეშინებია ეკისრა ეს მეტად მძიმე პასუხისმგებლობა ისეთ მომენტში, როდესაც განძის დაბრუნების საქმე სრულიად უიმედო ჩანდა.

აღსანიშნავია, რომ 1935 წლის 10 აპრილის სხდომის ოქმის ამონაწერი, მისი ფრანგული თარგმანითურთ, ექვთიმესთვის გადაუციათ დიდი დაგვიანებით, მხოლოდ 25 დღის შემდეგ — 5 მაისს. „მთავრობა“ არ ჩქარობდა. სამაგიეროდ ექვთიმე ძალიან ჩქარობდა. მეორე დღესვე, 6 მაისს დაუსრულებია მას თავისი განცხადება-თხოვნის წერა საფრანგეთის მთავრობის მეთაურის სახელზე, რომელიც, საფიქრებელია, უკვე ერთი თვით ადრე, აპრილის დამდეგს ჰქონდა მოფიქრებული და შეიძლება დაწერილიც კი, რადგან იგი ამ თავის განცხადებას იხსენიებს უკვე ვუკოლ ბერიძისადმი მიწერილ წერილში, რომელიც 1935 წლის 9 აპრილითაა დათარიღებული.

ექვთიმეს არქივში დაცულია ამ განცხადების როგორც ფრანგული პირები, ისე რუსული ტექსტები. თავის განცხადება-თხოვნაში საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სახელზე (ეს პოსტი მაშინ ეკავა პიერ-ეტენე ფლანდენს, რომელიც სათავეში ედგა „დემოკრატიული ალიანსის ჯგუფს“ და არ გამოირჩეოდა დემოკრატიული სიმპათიებით. ხოლო მის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა აშკარა რეაქციონერს — პიერ ლავალს).

მოახსენებდა რა საფრანგეთის მთავრობის მესვეურს ქართული განძის წარმოშობის, მისი კუთვნილების, ევაკუაციისა და ჩამორთმევის გარემოებათა შესახებ, ექვთიმე მოითხოვდა განძის საქართველოს მუზეუმებისათვის დაბრუნებას და ამ თავის მოთხოვნას ასაბუთებდა შემდეგი არგუმენტებით: 1. ქართული განძეულობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მენშევიკური მთავრობის კუთვნილება და, მაშასადამე, ამ მთავრობის არცნობასთან დაკავშირებით — არ შეიძლება მისი „უპატრონოდ“ გამოცხადება. განძე-

უღობა შეადგენს კუთვნილებას ქართული მუზეუმებისას, რომელთაც იგი მხოლოდ დროებით, ევაკუაციისა და დაცვისათვის, მიაბარეს ყოფილ მენშევიკურ მთავრობას, ცნობილ თავის დროზე საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის მიერ. 2. ქართულ განძეულობას საერთო არაფერი აქვს საფრანგეთში უპატრონოდ მიტოვებულ რუსულ ქონებასთან, რადგან იგი ევაკუირებულია დამოუკიდებელი საქართველოდან. 3. განძეულობა ევაკუირებულია საფრანგეთის მთავრობისა და მისი დესპანის აბელ შევალეს ხელშეწყობით, მაშასადამე საფრანგეთის მთავრობას ეკისრება გარკვეული მორალური ვალდებულება ქართველი ერის წინაშე. 4. საქართველო ამჟამად შედის სსრკ-ის შემადგენლობაში და სარგებლობს ავტონომიით. საქართველოს მუზეუმებს დაუბრუნდათ რევოლუციამდე რუსეთში გატანილი სხვადასხვა სამუზეუმო განძეულობა. საბჭოთა წყობილების პირობებში ხელი არ ეშლება საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებას, რომლის ცენტრს თბილისის უნივერსიტეტი წარმოადგენს. 5. ქართველი მეცნიერები ემზადებიან შოთა რუსთაველის 750 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილესათვის და ამზადებენ „ვეფხისტყაოსნის“ სამეცნიერო გამოცემას, რაც ძალიან ძნელია იმ სამი უძველესი და უძვირფასესი ხელნაწერის გარეშე, რომელნიც საფრანგეთში გატანილ დანარჩენ განძეულობასთან ერთად პარიზშია. 6. განძეულობა საფრანგეთის ბანკის შენობაში დამაკმაყოფილებლად ვერაა დაცული; პარიზში იგი უარესადაა დაცული, ვიდრე იყო დაცული მარსელში, სადაც ნიეთები, ბამბით შეფუთული, ეწყობა ყუთებში; ამჟამად ისინი ერთმანეთზეა უწყესრიგოდ დაყრილი ბანკის პატარა დარბაზის თაროებზე, მტერიანდება და ზიანდება.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ე. თაყაიშვილი, ვითარცა საქართველოს მუზეუმთა წარმომადგენელი, თხოვნით მიმართავდა საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რათა ქართველ ერს დაბრუნებოდა მისი წმიდათაწმიდა საუნჯე.

თუ ჩვენ გადავაკლებთ თვალს ექვთიმეს ამ არგუმენტაციას, მთავარი არგუმენტი აქ ისაა, რომ ქართული განძი შეადგენდა საკუთრებას არა მენშევიკური მთავრობისა, არამედ კერძო საზოგადოებებისა და მუზეუმებისა და იგი მხოლოდ დროებით შესანახად ჰქონდა მიბარებული მენშევიკურ მთავრობას, ამიტომ ამ უკანასკნელის „არასებულად“ გამოცხადების შემდეგ განძი უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ პატრონებს.

როგორც ჩანს, ამ გარემოების მოყვანა არგუმენტად ურჩია ექვთიმეს ქართველების ვეჟილმა პომარემ. „ჩვენი დამცველი მოსიე პომარე ... , — იხსენებდა ექვთიმე თავის 1952 წლის ნოემბრის მოგონებაში, — მარწმუნებდა, მთავრობას არ შეუძლია ეს განძეულობა მი-

ითვისოსო, თუკი დავუმტკიცებთ, რომ ყველაფერი ეს ეკუთვნოდა კერძო საზოგადოებებსო“.

1935 წლის 6 მაისით დათარიღებული თავისი განცხადება-თხოვნა მინისტრთა საბჭოს კანცელარიისათვის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისათვის გადასაცემად, თანახმად ექვთიმეს ქრონოლოგიური ჩანაწერებისა, მას ჩაუბარებია ორი დღით გვიან, 8 მაისს.

ვფიქრობთ, ექვთიმე სავსებით დაიმედებული იყო, რომ ამგვარი დასაბუთების შემდეგ საფრანგეთის მთავრობა — ქართველთა „კეთილისმყოფელი“ და ქართველ ემიგრანტებზე „მზრუნველი“ — შესისმენდა ამ ვედრებას და დაუბრუნებდა ქართველ ერს მის წმიდათა-წმიდა საუნჯესს.

ექვთიმე, ცხადია, მოუთმენლად მოელოდა პასუხს როგორც ამ თავის განცხადება-თხოვნაზე, ისე ვუკოლ ბერიძისათვის გაგზავნილ წერილზე. ვ. ბერიძის პასუხის ცდა ექვთიმეს თენახევარს დასჭირდა. 1935 წლის 26 მაისს მან მიიღო ვუკოლის საპასუხო, 10 მაისით დათარიღებული წერილი. ამ წერილით ვუკოლ ბერიძე ატყობინებდა ექვთიმეს, რომ მისი განცხადება განძის თაობაზე მან გადასცა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს და რომ „უკვე გადაიდგა სათანადო სასწრაფო ნაბიჯები აღნიშნულ სიძველეთა საბჭოთა საქართველოში დაბრუნებისათვის“. ამავე დროს, ქართველ მეცნიერთა სახელით, ვ. ბერიძე სთავაზობდა ნოზუც მეცნიერს სამშობლოში დაბრუნებას და აქ თავისი ნაყოფიერი მეცნიერული კვლევის გაგრძელებას.

ეს უკვე მესამე წინადადება იყო ექვთიმესათვის საბჭოთა მთავრობის მიერ შეთავაზებული სამშობლოში დაბრუნების შესახებ, დ. ჯგუშუიას (1923) და კ. კანდელაკის (1927—28) მიერ შეთავაზებულ წინადადებების შემდეგ, რაზედაც ზემოთ მოვიხსენიეთ.

მიუღია თუ არა ვ. ბერიძის წერილი, 1935 წლის 26 მაისს, ექვთიმეს აღარ დაუყოვნებია და იმავე დღეს მიუწერია მისთვის. ვუკოლ ბერიძისადმი მიწერილ ამ მეორე წერილიდან ირკვევა, რომ სამშობლოში დაბრუნების წინადადებაზე ექვთიმე გარკვეულ პასუხს არ იძლეოდა. მას ეს არც მიაჩნდა მნიშვნელოვან საკითხად. მთავარი იყო სამშობლოსათვის განძის დაბრუნება, ამას თვლიდა ექვთიმე თავის ერთადერთ, თანაც უკანასკნელ ვალად მშობლიური ერის წინაშე. იგი იწერებოდა: „ერთადერთი მიზანი ეხლა ჩემი ის არის როგორმე ეს ნივთები უკლებლად ჩაგაბაროთ და შემდეგ ჩემი მისია გათავებული იქნება“. ექვთიმე დიდი კმაყოფილებით უქებდა ღვაწლს ქართველ საბჭოთა მეცნიერებს, რომელნიც „ჩვენი ქვეყნის წარსულის და აწმყოს შესწავლას ასე ღირსეულად ემსახურებით“-ო; მოხუცი მეცნიერი უთვლიდა მათ: „მე სადაც არ ვიყო, თქვენთანა ვარ სულით და

გულით", მაგრამ თქვენ მანდ „ველარ გამოგადგებით, ვინაიდან დრომ თავისი გაიტანა, მოვხუციდი და დაეძაბუნდი, ის აღარა ვარ რაც ვიყავი, ... ზედმეტი ბარგი ვიქნები“. ამიტომ სწერდა ვუკოლს: „გთხოვთ ჩემს შესახებ თქვენს გულწრფელ სურვილებს ამ საქმეს (განძის დაბრუნებას — გ. ე.) ნუ დაუკავშირებთ“.

ამ წერილთან ერთად ექვთიმეს ვუკოლისათვის გადმოუგზავნია ფლანდენისათვის მიერთებული განცხადება-თხოვნის პირი.

ექვთიმეს წერილიდან, სხვათა შორის, ირკვევა, რომ იმ დროს განძის სამშობლოში დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით ქართველ ემიგრანტთა შორის ორი მიმდინარეობა ყოფილა: პირველს შეადგენდნენ ისინი, ვის გულშიც დიდი იყო ჭეშმარიტად პატრიოტული გრძნობები და რომელნიც ამ გრძნობებს თავიანთ პარტიულ და ანტისაბჭოურ განწყობილებაზე მალლა აყენებდნენ. ისინი მომხრენი ყოფილან განძის სამშობლოში დაბრუნებისა; მეორენი კი ამის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ბრალს სდებდნენ კიდეც ექვთიმეს, თითქოს იგი ცდილობდა განძის დაბრუნებას ეგოისტური მიზნით, რათა გაეკაფა გზა სამშობლოში დასაბრუნებლად (სხვათა შორის, შესაძლებელია, ამითაც აიხსნება, რომ ექვთიმე მაშინ თავს იკავებდა სამშობლოში დაბრუნებაზე). პირველთ იგი „შეგნებულებს“ უწოდებდა, მეორეებს — „შეუგნებელთ და ბოროტებს“ და წერს: „შეგნებული ხალხი ამ საქმეში ჩემთანაა, შეუგნებელნი და ბოროტნი კი ათას ჭორებს აერცელებენ ჩემს შესახებ“.

დასასრულ, ექვთიმე აცხადებდა, რომ მას განზრახული ჰქონდა მიემართნა ქართველებისადმი კარგად განწყობილ ცნობილ დეპუტატებისათვის, მათ შორის ერიოსთვისაც.

საფრანგეთი განიცდიდა დიდ პოლიტიკურ კრიზისს, ახლოვდებოდა პიტლერიზმის საშიშროება, რომლის მიმართ მემარჯვენე და რეაქციული წრეები აშკარა სიმპათიებით იყვნენ განწყობილნი, ხოლო ამავე დროს იზრდებოდა მასების პოლიტიკური აქტივობა, რომელსაც დიდი ბიძგი მისცა 1934 წლის თებერვალში ფაშისტური პუტჩის ჩაშლამ. იმავე თვეში მოეწყო საყოველთაო გაფიცვა, ხოლო 27 ივლისს კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა ხელი მოაწერეს ერთობლივი მოქმედების პაქტს. ცხადია, ამ განწყობილებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ფლანდენის მთავრობისა და მისი საგარეო საქმეთა მინისტრის — რეაქციონერი ლავალის მიერ 1935 წლის 2 მაისს საბჭოთა კავშირთან ურთიერთდახმარების პაქტის ხელმოწერა. იმავე წლის 14 ივლისს კომუნისტურმა, სოციალისტურმა და რადიკალ-სოციალისტურმა პარტიებმა შექმნეს სახალხო ფრონტი, რომელმაც 1936 წლის 26 აპრილსა და 3 მაისს საპარლამენტო არჩევნებზე გამარჯვებას მიაღწია....

ექვთიმე ფიქრობდა, რომ პოლიტიკურმა კრიზისმა განაპირობა საფრანგეთის მთავრობის პასუხის დაგვიანება (ამ აზრს გამოთქვამს იგი 1935 წლის მაისში დაწერილ თავის ნარკვევებში). როგორც უკვე ვთქვით, 1935 წლის 8 მაისს ექვთიმემ მიართვა ფლანდენს თავისი განცხადება, მაგრამ იმავე თვეში ფლანდენის კაბინეტი გადადგა და, ვფიქრობთ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ არც მოიცალა ექვთიმეს განცხადებისათვის. იენისის დამღეგს მთავრობას სათავეში ჩაუდგა ლავალი, რომლის ამ მეორე კაბინეტმა შვიდ თვენახევარს იარსება (1935 წლის 7 ივნისიდან 1936 წლის 22 იანვრამდე). ცხადია, არც ამ პოლიტიკოსმა მოიცალა ექვთიმეს განცხადებისათვის. ამ განცხადებას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს და გინდაც გასცნობოდნენ მას, საფრანგეთის მესვეურნი სრულიადაც არ აპირებდნენ ჩვენი საუნიჯის დაბრუნებას...

ეტყობა ექვთიმე არ იჯდა გულხელდაკრეფილი და ცდილობდა როგორმე მიექცია საფრანგეთის მთავრობის ყურადღება. როგორც თავის მეორე წერილში სწერდა ვუკოლ ბერიძეს, ექვთიმე აპირებდა მიემართა ერიოსათვის. ამ გავლენიან პოლიტიკოსს იმ დროს ეკავა როგორც ფლანდენის, ისე შემდეგ ბუისონისა და ლავალის კაბინეტებში „სახელმწიფო მინისტრის“³⁴ პოსტი. სწორედ მისდამი უნდა იყოს მიწერილი ექვთიმეს ხელით რუსულად ნაწერი განცხადება (იგი შემდეგ ფრანგულად უნდა გადათარგმნილიყო).

მართალია, განცხადება არაა დათარიღებული და არცაა ცნობილი რომელ მინისტრს მიმართავს ექვთიმე (განცხადება იწყება მიმართვით: „ბატონო მინისტრო“, სახელის მოუხსენიებელი), მიუხედავად ამისა, შესაძლებელია დადგენა თარიღისაც და ადრესატისაც. ფრაზა, რომლითაც იწყება განცხადება: „ბატონო მინისტრო, აი უკვე შვიდ თვეზე მეტია, რაც მივმართე საფრანგეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ბატონ თავმჯდომარეს მემორანდუმ-თხოვნით...“, მიგვითითებს, რომ განცხადება დაწერილია 1935 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ან დამლევს, ე. ი. ლავალის მეორე კაბინეტის მმართველობის ეამს; ხოლო ადრესატი რომ უდავოდ ერიოა, ამას გვაფიქრებინებს არა მარტო ის მოსაზრება, რომ ექვთიმე აპირებდა ამ პოლიტიკოსისათვის მიმართვას, არამედ ისიც, რომ განცხადების ადრესატი

³⁴ „სახელმწიფო მინისტრის“ უპორტფელო მინისტრსაც უწოდებდნენ. „სახელმწიფო მინისტრის“ არ ევალუბოდა რომელიმე სამინისტრო უწყების გაძღოლა, მისი როლი, არსებითად, პოლიტიკური იყო: იგი დიდი გავლენით სარგებლობდა კაბინეტში, მთავრობის მეთაურის არყოფნაში მას შეეძლო შეეცვალა იგი ან ეხელმძღვანელა სხვა დასხვა სამინისტრო უწყების კოორდინაციისათვის და ინტერმინისტრიალური კომიტეტებისათვის, რომელთა მზიანს შეადგენდა გადაუდებელი და მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა.

უდავოდ ძალიან გავლენიანი მინისტრი იყო; ამავე დროს იგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვინაიდან ასეთს ექვთიმე იხსენიებს როგორც მესამე პირს. ყველაზე გავლენიანი მინისტრი კი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის შემდეგ ლავალის, ისევე, როგორც ამის წინამორბედ, ფლანდენის კაბინეტში იყო ერთი. დაბოლოს, ამაზევე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ექვთიმე იხსენიებს ადრესატს როგორც „ბატონ მინისტრს“, ამ მინისტრის უწყების მიუთითებლად, და, როგორც ცნობილია, სწორედ „სახელმწიფო მინისტრის“ თანამდებობა იყო ისეთი, რომელსაც არ ევალდებოდა რაიმე სამინისტრო უწყების გაძღოლა. ერთის ეკავა ეს პოსტი ფლანდენის კაბინეტშიაც, როდესაც 1935 წლის მაისში ექვთიმემ მთავრად თავისი განცხადება-თხოვნა, ამიტომ იმ კაბინეტის პოლიტიკაზეც იგი ერთგვარად პასუხისმგებელი იყო.

ექვთიმეს, ამ თავის განცხადებასთან ერთად, მიუერთებია ერთი-სათვის პირი ფლანდენისათვის წარდგენილ განცხადება-თხოვნისა. ამ-ყარებდა რა იმედს ერთის „ურყევ სამართლიანობაზე“ და „ქართველი ხალხის ინტერესებისადმი კეთილ თანაგრძნობაზე“, ექვთიმე სთხოვდა მინისტრს დახმარებასა და შეწევნას საქართველოსათვის მისი საუნჯის დაბრუნების საქმეში.

ჩვენთვის უცნობია, გაეცნო თუ არა „ქართველ ერზე მზრუნველი“ სახელმწიფო მინისტრი ექვთიმეს ამ განცხადებას. ყოველ შემთხვევაში რეზულტატი იგივე იყო, რაც საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისადმი ამაზე შეიღი თვით ადრე წარდგენილი „მემორანდუმ-თხოვნისა“. ექვთიმეს პასუხიც კი არ აღირსეს!

* * *

ამასობაში საბჭოთა საქართველოს მთავრობა გულხელდაკრეფილი არ მჯდარა. საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, რომ ვუკოლ ბერიძეს თავის წერილში ტყუილად არ უცნობებია ექვთიმესათვის: „უკვე გადაიდგა სათანადო სასწრაფო ნაბიჯები .. სიძველეთა საბჭოთა საქართველოში დაბრუნებისათვის“.

ექვთიმეს პირველი, 1935 წლის 9 აპრილით დათარიღებული, წერილის მიღებისთანავე, ვუკოლ ბერიძეს 26 აპრილს გადაუცია იგი საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის — ცაკის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძისათვის, რომელსაც იმავე დღეს გადაუგზავნია იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და მოუთხოვია, სასწრაფოდ ყოფილიყო მიღებული ზომები განძეულობის დასაბრუნებლად. ფილიპეს საესებით მართებულად მიაჩნდა, რომ ამ საკითხის გადაჭრა შეიძლებოდა მხოლოდ სსრკ საგა-

რეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ჩარევითა და დახმარებით. ხოლო იმჟამინდელ მომენტს განძის დაბრუნებისათვის ცაკის თავმჯდომარე ხელსაყრელად მიიჩნევდა.

საქმეს მიეცა მსვლელობა. საარქივო საქმეებიდან ჩანს, რომ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოუჩენია ჩვენი საუნჯის დაბრუნებაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვერმანე მგალობლიშვილს; არქივმა შემოგვინახა ჩვენი განძის თაობაზე გ. მგალობლიშვილის მიმოწერა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელ მუშაკებთან. ამ მიმოწერიდან ირკვევა, რომ ექვთიმეს 1935 წლის 9 აპრილის წერილის მიღების შემდეგ შეუენზადებიათ სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი მიმართვისათვის დასართავი მასალები: უთარგმნიათ რუსულად ექვთიმეს წერილი და განძეულობის სია, შედგენილი თბილისში 1927 წელს, და მის საფუძველზე შედგენილი ვრცელი მოხსენებითი ბარათი, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარის ხელმოწერით.

ამავე დროს გ. მგალობლიშვილის დავალებით სათანადო ცნობები შეუკრებია სსრკ სახბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. სვანიძეს, რომელსაც უცნობებია გ. მგალობლიშვილისათვის, რომ საქმის აღძვრისათვის საჭირო იყო საქართველოს სსრ მთავრობის მიერ სათანადო მინდობილობის გაცემა. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ამის შემდეგ უმსჯელია ამ საკითხზე და, ვინაიდან საქმის აღძვრისათვის პოლიტიკური ვითარება მას ხელსაყრელად უცენია, დაუდგენია ეთხოვა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის, რათა მას უახლოეს დროს დაესვა ეს საკითხი საფრანგეთის მთავრობის წინაშე და გაუცია კიდეც სათანადო რწმუნებულება სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილის ნ. კრესტინსკის სახელზე. გ. მგალობლიშვილის პირველი წერილი ნ. კრესტინსკისადმი 1935 წლის 11 სექტემბრითაა დათარიღებული. ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენელთან პირად საუბარში 21 სექტემბერს კრესტინსკის დაუდასტურებია, რომ „ქართული განძეულობის დაბრუნების თაობაზე მოლაპარაკებისათვის ვითარება ხელსაყრელია“. ნ. კრესტინსკის მიუცია სათანადო დავალება საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობისათვის პარიზში და გადაუგზავნია მისთვის გ. მგალობლიშვილის 11 სექტემბრის წერილისათვის თანდართული მთელი მასალა.

ერთდროულად საქართველოს მთავრობას მიუვლენია პარიზს განძის საკითხთან დაკავშირებით თავის წარმომადგენლად ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ბიქტორ კვიტაშვილი.

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ, როგორც ჩანს, ბ. კვიტაშვილის მივლენა გადაუწყვეტიათ უკვე 1935 წლის სექტემბერში; ოქტომბრის შუა რიცხვებში ან ამ თვის დასაწყისს გამგზავრებული იგი და ნოემბრის შუა რიცხვებში უნდა იყოს პარიზს ჩასული. დაახლოებით ორი თვე გაუტარებია მას საფრანგეთის დედაქალაქში. 1936 წლის იანვრის შუა რიცხვებში, არა უგვიანეს 20 იანვრისა, იგი გამოგზავრებულია სამშობლოში და თებერვლის შუა რიცხვებში, არა უადრეს 9 თებერვლისა, თბილისში ჩამოსულა. პარიზში ჩასვლისას ბ. კვიტაშვილს დაუმყარებია კონტაქტი საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან; როგორც იხსენებდა მოგვიანებით ექვთიმე, „ზრუნვა განძეულობის დაბრუნების შესახებ“ მიანდევს საბჭოთა წარმომადგენელს საფრანგეთში ვლადიმერ პოტიომკინსა და ბ. კვიტაშვილს.

საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის დავლებით ბ. კვიტაშვილს კონტაქტი დაუმყარებია ექვთიმესთან: მასთან საკონსულტაციოდ იგი სამჯერ ჩასულა ლევილში, მაგრამ, ეტყობა, კარგად ვერ გარკვეულა საქმეში (ექვთიმე თავის მოგონებაში იხსენებდა ბ. კვიტაშვილის შესახებ: იგი იყო „კარგი ადამიანი, მაგრამ განძეულობის საქმეში ნაკლებ ჩახედული“). მაშინ საბჭოთა წარმომადგენელს ვლადიმერ პოტიომკინს, თანახმად ექვთიმეს 1952 წლის ნოემბრის მოგონებისა, გაუგზავნია ლევილში თავისი მდივანი³⁵ და ამ მდივნის პირით უთხოვია ექვთიმესათვის გაეცნო მათთვის, ე. ი. საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მუშაკებისათვის და ბ. კვიტაშვილისათვის საქმის ვითარება.

ექვთიმეს გადაუცია ბ. კვიტაშვილისათვის განძის საქმესთან დაკავშირებული ყველა მის ხელში მყოფი მასალა: პირი თავისი განცხადება-თხოვნისა ფლანდენის სახელზე (ამ განცხადების მეორე პირი ექვთიმემ ზომ ვ. ბერიძეს გადმოუგზავნა), განძეულობის მარსელური 1921 წლის მაისის სიისა და თბილისური 1927 წლის სიის ფრანგული თარგმნები (ამ ორი სიის ფრანგულად თარგმნა დასჭირდათ ობოლენსკაიას მიერ წამოწყებულ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით) და პირი სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს დადგენილებისა (1934 წლის 8 მაისის „რეფერეს განაჩენი“). ექვთიმე თვითონაც ჩასულა პარიზში და იქ თითქმის მთელ თვეს (საფიქრებელია, ესაა 1935 წლის დეკემბერი) დარჩენილა, გაუცვნი

³⁵ შესაძლებელია, ექვთიმეს მიერ ელ. პოტიომკინის მდივად მოხსენიებული მუშაკი საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა იყო ამ წარმომადგენლობის მრჩეველი გირშფელდი, რომელსაც დაკისრებული ჰქონია ბორჯომის ბნლიოთეის საქართველოში გადმოგზავნის საქმე. საფუძველს მოკლებული არ იქნებოდა დაგვესვა კითხვა მასვე ზომ არა ჰქონდა დაკისრებული ჩვენი განძის საკითხის მოგვარება?

საქმის ვითარება და არსი საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მუშაკებისა და ბიქტორ კვიტაშვილისათვის. ექვთიმეს უთხოვინია საბჭოთა წარმომადგენლობისათვის საქმის დაჩქარება.

მაშინვე შეუთავაზებია ექვთიმეს ბ. კვიტაშვილისათვის და საბჭოთა წარმომადგენლობისათვის ბორჯომის სასახლეებიდან გამოტანილი ბიბლიოთეკის მიღება. მაგრამ ბ. კვიტაშვილს პარიზში ყოფნისას ეს საქმე ვერ მოუგვარებია: როგორც ჩანს, ბ. კვიტაშვილს ჯერ უკისრია ბიბლიოთეკის გამოსაგზავნი „ხარჯის გაღება“ და საბოლოოდ ამ საქმესთან დაკავშირებით ექვთიმეს შეხვედრა მასთან ვერ მომხდარა. ლევილიდან ტელეფონით ლაპარაკით რომ არაფერი გამოსულა, ექვთიმე სპეციალურად ჩასულა პარიზს, მაგრამ ბ. კვიტაშვილი მას იქ აღარ დახვდებოდა; ორი დღე უძებნიათ და მერე უთქვამთ: „პარიზში აღარ არის, წასულა“.

საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობა აყოვნებდა საფრანგეთის მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრას; საფრანგეთის მთავრობა პასუხს არ იძლეოდა ექვთიმეს განცხადებებზე. ფლანდენისა და შემდეგ ერიოსათვის წარდგენილმა განცხადებებმა ნაყოფი ვერ გამოიღო. ყოველივე ეს აღშფოთებდა მოხუცს.

ეს თავისი გულისტკივილი ექვთიმემ გამოხატა წერილში გერმანე მგალობლიშვილისადმი, რომელიც 1936 წლის 23 იანვრითაა დათარიღებული. „თქვენის დავალებით სამჯერ მინახულა ბ-მა კვიტაშვილმა. ყველაფერი მას დაწერილებით გავაცანი და საქმის ვითარებას სამუზეუმო ნივთების შესახებ ის მოგახსენებთ“, — სწერდა ექვთიმე გ. მგალობლიშვილს. — „როცა ბ-ნ ვუკოლ ბერიძისაგან მივიღე პასუხი ჩემ მიმართვაზე, რომ შესაფერი სწრაფი ნაბიჯები ნივთების დაბრუნების შესახებ გადადგმულიაო, — განაგრძობდა ექვთიმე, — მე მაშინვე საფრანგეთის მთავრობას მემორანდუმში წარვუდგინე³⁶. გარემოება აუხსენი და მოვითხოვე ნივთების დაბრუნება პატრონებისათვის, ესე იგი მუზეუმებისათვის. მე მინდოდა ჩემი და თქვენი მოთხოვნა ერთმანეთს შეხვედროდა, მაგრამ სამწუხაროდ ესლა გამოირკვა, რომ თქვენი ხელისუფლებისაგან ჯერჯერობით შუამდგომლობა არ აღძრულა. უხერხული მდგომარეობა გამოდის, მე ვასახელებ პატრონებს და ვამტკიცებ, რომ განძეულობა მათ ეკუთვნის, და ვთხოვლობ მათ დაუბრუნდეს, ხოლო პატრონები და მათი წარმომადგენელი კი სდუმან და მოთხოვნილებას არ აღგენენ. მე მესმის, საბჭოთა წარმომად-

³⁶ შესაძლებელია, გარკვეული მოსაზრებით, ექვთიმემ აქ კემმარტიგების წინაშე განზრახ შესცოდა, როცა წერდა, რომ მან საფრანგეთის მთავრობას მემორანდუმში წარუდგინა ე. ბერიძისაგან პასუხის მიღების შემდეგ. ვუკოლ ბერიძის პასუხი მან მიიღო 1935 წლის 26 მაისს, განცხადება-თხოვნა ფლანდენის სახელზე კი 8 აპრილს ჩააბარა...

გენელს პარიზში და საფრანგეთის მთავრობას აუარებელი პირველხარისხოვანი პოლიტიკური საქმეები აქვთ და ჩვენი საქმისათვის არ სცალიათ ჯერჯერობით, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ საქმეს უსათუოდ აენებს, ამიტომ გთხოვთ, რაც თქვენგან შეიძლება ცდა არ დააკლოთ, რომ ამ საქმეს მსვლელობა მიეცეს, რომ მოკლე დროში ჩვენ სასარგებლოდ დაბოლოვდეს. იურიდიული და ზნეობრივი მხარე ჩვენი აშკარაა, და თუ სეინდისს გადალაზავენ და ძალადობით სხვის კერძო მობარებულს ნივთებს მიითვისებენ, ეს ყაჩაღობა იქნება და მე მგონია ამას არ ჩაიდენენ...“.

გარდა განძის საქმისა, ექვთიმე სწერდა გ. მგალობლიშვილს ბორჯომის ბიბლიოთეკის შესახებაც და აჩქარებდა წამოეღოთ იგი საქართველოში: „დიდხანს მარსელში ინახებოდა ეს წიგნები, მერმე პარიზის მახლობლად სოფელში გადმოიტანეს, ათი ათას ფრანკამდი არის მის შენახვაზე და ჩამოტანაზე დახარჯული; და თუ მოკლე დროში ეს არ მოგვარდა, უსათუოდ ლიქვიდაცია მოხდება მისი. გულით მოწადინებული ვარ არც ეს დაუკარგო ჩვენს უნივერსიტეტს, მაგრამ საქმე ენლა თქვენზეა დამოკიდებული“.

ექვთიმეს წერილიდან ჩანს, რომ იგი მაინც იმედს არ კარგავდა: იმედოვნებდა, რომ საბჭოთა წარმომადგენლობისა და საქართველოს მთავრობის ენერგიული დემარშების შემთხვევაში საფრანგეთის მთავრობა „სეინდისს არ გადალაზავდა“, „ძალადობით სხვის კერძო მობარებულს“ არ მიითვისებდა, „ყაჩაღობას“ არ ჩაიდენდა

ექვთიმეს ეს წერილი არქივშია დაცული. იგი, როგორც ეტყობა, ყურადღებითაა გადაკითხული: საყურადღებო ადგილები-საივის გ. მგალობლიშვილს წითელი ფანქრით გაუსვამს ხაზი. საერთოდ, როგორც ჩანს, გ. მგალობლიშვილი ძალიან შეაფიქრებინა ექვთიმეს წერილმა. ამ წერილმა დაარწმუნა იგი, რომ საბჭოთა წარმომადგენლობას პარიზში ჯერ არა კქონდა გადადგმული სათანადო ნაბიჯები განძის დასაბრუნებლად. ასევე მიუქცევია მას ყურადღება ბორჯომის ბიბლიოთეკის საკითხისთვისაც.

ექვთიმეს წერილის მიღებისთანავე გ. მგალობლიშვილმა გაუგზავნა ნ. კრესტინსკის მეორე წერილი, დათარიღებული 1936 წლის 9 თებერვლით. აცნობებდა რა, რომ ე. თაყაიშვილმა წარუდგინა საფრანგეთის მთავრობას მოხსენებითი ბარათი, გ. მგალობლიშვილი დაბეჯითებით სთხოვდა ნ. კრესტინსკის, დაეჩქარებინა განძის თაობაზე საქართველოს საბჭოთა მთავრობის შუამდგომლობის დადებითად გადაწყვეტა. ერთდროულად გ. მგალობლიშვილმა ამიერკავკასიის

სფსრ მუდმივ წარმომადგენელსაც წერილით სთხოვა დაეჩქარებინა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა. ჯერ კიდევ არა ჰქონდა პასუხები მიღებული თავის წერილებზე, რომ 26 თებერვალს გ. მგალობლიშვილმა ვაუვზაუნა ახალი წერილები ნ. კრესტინსკის და ა/კ სფსრ წარმომადგენელს და აცნობა მათ იმ შემთხვევითი ამბების შესახებ, რაც ბ. კეიტაშვილმა პარიზიდან ჩამოუტანა. „... ვშიშობ, რომ თქვენს დავალებას სრულუფლებიანი წარმომადგენლობა პარიზში არ უთმობს საქმის წარმატებით წარმართვისათვის საჭირო ყურადღებას“, — სწერდა გ. მგალობლიშვილი. იგი დაბეჯითებით სთხოვდა ნ. კრესტინსკის „განსაკუთრებული ყურადღება“ მიექცია ამ საქმისათვის და დაეუღლებინა საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობისათვის პარიზში მოსალოდნელი სასამართლო პროცესისათვის შემზადება.

გ. მგალობლიშვილმა თავის 1936 წლის 9 თებერვლის წერილის პასუხად მიიღო ნ. კრესტინსკის 20 თებერვლით დათარიღებული წერილი, რომლითაც იგი იტყობინებოდა: „...წინასწარი სამუშაო საქმის ვითარების გამორკვევის მიზნით ჩვენი პარიზელი ამხანაგების მიერ ჩატარებულია, მაგრამ, ვინაიდან ჩვენი ურთიერთობა საფრანგეთთან ლავალის მთავრობის ხელისუფლების სათავეში ყოფნის უკანასკნელი თვეების განმავლობაში გაუარესდა, ამხანაგებს არ გადაუდგამთ ოფიციალური ნაბიჯები, რათა არ წასწყდომოდნენ უარყოფით პასუხს, რომლის დაძლევა შემდეგ უფრო გაძნელებოდა. ამჟამად, შეიქმნა რა ჩვენდამი უფრო მეგობრულად განწყობილი მთავრობა, მე ვწერ ამხ. პოტიომკინს იმის შესახებ, რომ გატარდება თუ არა საფრანგეთ-საბჭოთა პაქტის რატიფიკაციის საკითხი პალატაში და სენატში, დაუყოვნებლივ ოფიციალურად დასვას საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე საკითხი საფრანგეთში სექვესტრის ქვეშ მყოფ განძეულობათა თქვენი მუზეუმებისათვის დაბრუნების შესახებ“.

ბ. ლავალის მთავრობა გადადგა 1936 წლის 22 იანვარს, ხოლო ორი დღის შემდეგ თავისი მეორე კაბინეტი შეადგინა რადიკალ-სოციალისტმა ალბერ სარომ, რომელიც სათავეში ედგა ხელისუფლებას 1936 წლის 24 იანვრიდან 4 ივნისამდე. თებერვალ-მარტის თვეებში უნდა მომხდარიყო სსრკ-საფრანგეთის ურთიერთდახმარების პაქტის რატიფიკაცია საფრანგეთის პარლამენტის მიერ. სწორედ ეს გარემოება მიაჩნდა კრესტინსკის ხელსაყრელად და, როგორც მისი წერილიდან ჩანს, მას მითითება ჰქონია მიცემული ვლ. პოტიომკინისათვის, რომ მოხდებოდა თუ არა პაქტის რატიფიკაცია, დაუყოვნებლივ დაესვა ქართული განძეულობის დაბრუნების საკითხი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე.

როგორც ნ. კრესტინსკი, ისევე სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე, დასავლეთის განყოფილების გამგე. ა. ნეიმანი, რომელთანაც მიმოწერა კქონდა ჩვენი განძისა და ბორჯომის ბიბლიოთეკის თაობაზე გ. მგალობლიშვილს, საესებით სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ ჩვენი განძის ბედი დამოკიდებული იყო საფრანგეთ-სსრკ ურთიერთობაზე. გ. მგალობლიშვილის მიერ ნ. კრესტინსკისათვის 26 თებერვალს გაგზავნილი წერილის პასუხად ა. ნეიმანმა საქმალად საფუძელიანად აცნობა გ. მგალობლიშვილს საქმის ვითარება.

„აღნიშნული განძეულობანი, — იწერებოდა ა. ნეიმანი 28 მარტს, — ნამდვილად შეიქმნა სასამართლოში საქმის განხილვის საგნად... ვინმე ობოლენსკიას სარჩელის გამო. მაგრამ ეს გარემოება განძეულობის მიღების საკითხში არ ქმნის რაიმე ახალ სიძნელეებს... პირველ ყოვლისა, სასამართლომ უარი უთხრა ობოლენსკიას სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ეს გარემოება, განძეულობის საფრანგეთის მთავრობის ხელში გადასვლასთან ერთად, როგორც ჩანს, უფრო ხელსაყრელ ვითარებასაც კი ქმნის ემიგრანტების მხრივ განძეულობის რაიმე ახალი ხელყოფის ცდებისაგან გარანტიის თვალსაზრისით. განძეულობათა ცნობა „რუსულ უპატრონო ქონებად“ ნიშნავს, რომ ისინი გადაეცა განმგებლობაში სპეციალურ ადმინისტრატორს, რომელიც განაგებს ამავე კატეგორიის მთელ ქონებას. „რუსული უპატრონო ქონების“ ამ ფონდის საბოლოო ბედს საფრანგეთის მთავრობა უკავშირებს რევოლუციამდელი ვალუბის საკითხის გადაწყვეტას. მაგრამ ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენლობას მიცემული აქვს მითითება დაბეჯითებით მოითხოვოს, რომ საქართველოს სამუზეუმო განძეულობა, როგორც კულტურული და ეროვნული მნიშვნელობის მქონე, არ შეიძლება გაუთანაბრდეს ამ ფონდში მყოფ დანარჩენ ფასეულობებს, რომელთაც საფრანგეთის მთავრობა უდგება როგორც ფასეულობებს, რომელნიც შეიძლება თავის დროზე კომერციულად რეალიზებულ იქნენ.

გამომდინარე აქედან, სრულუფლებიანი წარმომადგენლობა წააყენებს მოთხოვნას, რათა საქართველოს კუთვნილი სამუზეუმო განძეულობა გამოეყოს „რუსული უპატრონო ქონების“ ფონდს და გადაეცეს საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობას ახლავე. ამ საკითხის დადებითად გადაჭრა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთის მთავრობაზე, რომელსაც ექვემდებარება აღნიშნული ფონდის ადმინისტრატორი. მთავრობის გადაწყვეტილება, რასაკვირველია, არსებითად დამოკიდებული იქნება საფრანგეთთან ჩვენს ურთიერთობათა პოლიტიკურ ვითარებაზე. ამიტომ სასურველი არ იქნებოდა საკითხის აღძვრა პაქტის საბოლოო რატიფიკაციამდე, მით უმეტეს, რომ მთავრობა თუ ერთხელ და ერთხელ დაადგა უარყოფით თვალსა-

ზრისს, შემდგომში მას ნაკლები თავისუფლება ექნება დადებითად გადაწყვეტოს საკითხი. მაგრამ ამჟამად, პაქტის რატიფიკაციის შემდეგ სრულუფლებიან წარმომადგენლობას მითითება აქვს დასყავს საკითხი საფრანგეთის მთავრობის წინაშე უახლოეს დროში...“

ა. ნეიმანის ამ წერილიდან ჩანს, რომ სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაკები სავსებით სწორად უკავშირებდნენ ჩვენი განძის დაბრუნების საკითხს საფრანგეთ-სსრკ კავშირის ურთიერთობის პოლიტიკურ ვითარებას და ფიქრობდნენ, რომ ნაადრევად, ხელსაყრელი ვითარების დადგომამდე საკითხის დასმას შეეძლო ენო საქმისათვის. ასეთ ხელსაყრელ ვითარებად საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატსაც და საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობასაც პარიზში მიაჩნდათ საფრანგეთის პარლამენტის მიერ სსრკ-საფრანგეთის ურთიერთდახმარების პაქტის რატიფიკაცია.

იმ დროს, როცა ა. ნეიმანი ამას იწერებოდა, რატიფიკაცია უკვე ჩატარებული იყო³⁷ და, ახლა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ მიცემული მითითებების შესაბამისად, საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობას უნდა დაესვა საკითხი საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე. ეს მომხდარა კიდევ ორი დღით ადრე ა. ნეიმანის წერილის გამოგზავნამდე. თავის 1936 წლის 11 აპრილით დათარიღებული წერილით ა. ნეიმანი ატყობინებდა გ. მგალობლიშვილს: „დიპლომატიური ფოსტით, რომელიც მიღებული იყო მალე ჩვენი საუბრის შემდეგ (როგორც ჩანს, აპრილის დამდეგს მათ ჰქონიათ საუბარი ტელეფონით. — გ. ყ.) სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ გვაცნობა, რომ ქართულ სამუზეუმო განძეულობათა მიღების საკითხთან დაკავშირებით უკვე გადაიდგა ნაბიჯები. 26 მარტს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველმა (საფიქრებელია, ეს იყო წარმომადგენლობის მრჩეველი გირშფელდი—გ. ყ.) ამ საკითხზე მემორანდუმი გადასცა საგარეო საქმეთა სამინისტროს. სამინისტრო შეპაიროდა, რომ შეისწავლის მემორანდუმს და აცნობებს თავის აზრს. უკეთუ სამინისტროს პასუხი დაყოვნდა, ჩვენ ამის შესახებ მას შევახსენებთ...“.

1936 წლის 26 მარტის მემორანდუმის შინაარსი მოკლედ და გამოცემულია ა. ნეიმანის 28 მარტის წერილში. ამ მემორანდუმში დასაბუთებული უნდა ყოფილიყო, რომ საქართველოს სამუზეუმო განძეულობა, როგორც კულტურული და ეროვნული მნიშვნელობის მქონე, არ შეიძლება გაუთანაბრდეს „რუსული უპატრონო ქონების“ ფონდში

³⁷ საფრანგეთის ნაციონალური კრების (პარლამენტის) დეპუტატთა პალატამ მოახდინა პაქტის რატიფიკაცია 1936 წლის 27 თებერვალს, სენატმა — 12 მარტს. სარატიფიკაციო სიგელების გაცემა მოხდა 27 მარტს.

მყოფ დანარჩენ ფასეულობებს, რომელთა საბოლოო ბედს საფრანგეთის მთავრობა უკავშირებს რუსეთის რევოლუციამდელი ვალების საკითხის გადაწყვეტას და განზრახული აქვს მათი „კომერციული რეალიზაცია“. ამიტომ მემორანდუმი ალბათ შეიცავდა მოთხოვნას, რათა ქართული სამუზეუმო განძეულობა გამოჰყოფოდა „რუსული უპატრონო ქონების“ ფონდს და გადასცემოდა საქართველოს მთავრობას.

ჩვენთვის უცნობია, როგორ განიხილა ა. საროს მთავრობამ მემორანდუმი, ყოველ შემთხვევაში ამ „განხილვის“ შედეგი ნაკლებია: განძი არ დააბრუნეს. ამის მთავარი მიზეზი იყო არა ის, რომ საფრანგეთის მთავრობას კარგად ვერ „დაუსაბუთეს“ ჩვენი საუნჯის ქართული ეროვნული კუთვნილება და რომ ეს საუნჯე შეადგენდა არა უბრალო „ფასეულობას“, არამედ სამუზეუმო განძს. არა, ყველაფერი ეს საკმარის კარგად და დამაჯერებლად იყო დასაბუთებული. მთავარი შემადგერხებელი გარემოება, მთავარი დაბრკოლება, რომელიც წინ გადაეღობა მაშინ ჩვენი საუნჯის სამშობლოში დაბრუნებას, იყო არა „უსაბუთობა“ ან „ნაკლებსაბუთიანობა“, არამედ საფრანგეთის მთავრობათა (ფლანდენის, ლავალის, საროს) სურვილი: ხელიდან არ გაეშვათ ქართული საუნჯე. ა. ნეიმანი სავსებით მართალი იყო, როდესაც სწერდა გ. მგალობლიშვილს: „განძეულობის დაბრუნების საკითხი დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთის მთავრობისაგან“, ხოლო საფრანგეთის „მთავრობის გადაწყვეტილება, რასაკვირველია, არსებითად დამოკიდებული იქნება საფრანგეთთან ჩვენს ურთიერთობათა პოლიტიკურ ვითარებაზე“.

საბჭოთა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მუშაკები პარიზში ფიქრობდნენ, რომ სსრკ-საფრანგეთის ურთიერთდახმარების პაქტის რატიფიკაცია შექმნიდა იმდენად ხელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებას, რომ საფრანგეთის მთავრობა დათმობდა ქართულ საუნჯეს. მოლოდინი არ გამართლდა: საუნჯე არ დაგვიბრუნეს. ჩანს, საფრანგეთის მთავრობა, მიუხედავად პაქტის დადებისა, არ ფიქრობდა საუნჯის ხელიდან გაშვებას, ისევე, როგორც მთელი რუსული „უპატრონო ქონებისა“, აპირებდა მის მითვისებას რუსეთის მეფის მთავრობის რევოლუციამდელი გადაუხდელი ვალების საფასურში. . . ამას კიდევ ერთხელ უნდა ჩაეცა ლახვარი ექვთიმეს ილუზიებისათვის, თითქოს საფრანგეთის მთავრობა „არ იკადრებდა“ მიბარებული ქონების მითვისებას. ღიახ „ყაჩაღობა“ ჩადენილი იყო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ და ახლაც ექვთიმესთვისაც ეს ცხადი იყო.

ექვთიმეს მიერ წამოწყებულმა საქმემ დაახლოებით ერთ წელიწადს გასტანა: დაიწყო იგი ექვთიმეს 1935 წლის 9 აპრილია წერილით

და, არსებითად, დასრულდა საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მეორადონდუმის წარდგენით საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის 1936 წლის 26 მარტს. ბრძოლამ მაშინ შედეგი არ გამოიღო, მაგრამ მაინც არაა იგი მოკლებული დიდ მნიშვნელობას, რადგან მან დაამტკიცა, რომ ქართველმა ხალხმა და საბჭოთა მთავრობამ დაეწეებას არ მისცეს ჩვენი საუნჯის საკითხი და რომ არც აპირებდნენ შერიგებოდნენ საუნჯის დაკარგვას. ამას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ექვთიმეს მიერ წამოწყებული ამ საქმის უშუალო ნაყოფი იყო საქართველოსათვის ბორჯომის სასახლეებისეული მდიდარი ბიბლიოთეკის დაბრუნება. ექვთიმემ პირველად დასვა ეს საკითხი 1935 წლის დამლევს ლევილიდან პარიზში ჩასვლისას საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა და საქართველოს სსრ წარმომადგენლის ბ. კვიციანიშვილის წინაშე. შემდეგ ამაზე მოსწერა ჯერ გერმანე მგალობლიშვილს (1936 წლის 23 იანვარს) და შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის რექტორს (იმავე წლის 16 მარტს).

გ. მგალობლიშვილს ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია ექვთიმეს ამ წინადადებისათვისაც და უთხროვია ა. ნეიმანისათვის განძის საქმის მოგვარებასთან ერთად ბორჯომის ბიბლიოთეკის საქმის მოგვარებაც. ა. ნეიმანს გაუცია სათანადო განკარგულება და საბჭოთა წარმომადგენლობა პარიზში შესდგომია მის შესრულებას.

ა. ნეიმანის განკარგულების სისრულეში მოყვანა დაუკისრებიათ წარმომადგენლობის მრჩეველ გირშფელდისათვის, რომელსაც ალბათ დავალებული ჰქონდა ჩვენი განძის დაბრუნების საკითხის მოგვარებაც. როგორც ჩანს, გირშფელდის ხელმძღვანელობით წარმოებდა 1936 წლის მაისში საბჭოთა წარმომადგენლობის მიერ ექვთიმესაგან წიგნების ჩაბარება, მათი შეფუთვა და სამშობლოში გამოსამგზავრებლად მომზადება. ეტყობა, წიგნები ჩაუწყვიათ ყუთებში იმავე წესითა და ოდენობით, როგორც ეწყო ისინი S კატეგორიის ყუთებში, ამიტომ ყუთების ოდენობა — 27 ყუთი — არ შეცვლილა; საფიქრებელია, წიგნები და მათი ოდენობა არც შეუმოწმებიათ, ისე შეუფუთიათ და ჩაულაგებიათ ყუთებში. გირშფელდს დაუსრულებია ექვთიმესაგან წიგნების ჩაბარება 1936 წლის 30 ივნისს და, ექვთიმეს ვარაუდით, 27 ყუთი ბორჯომის ბიბლიოთეკის წიგნებით 15 ივლისს უნდა დატვირთულიყო ზარსელში გენზე ბათუმში წამოსაღებად.

ბორჯომის ბიბლიოთეკის წიგნებმა მშვიდობით ზოლწიეს დანიშნულებისამებრ. ვ. თაყაიშვილის მეცადინეობისა და იმ ხელშეწყობის წყალობით, რომელიც ამ საქმეს აღმოუჩინეს გ. მგალობლიშვილმა, ა. ნეიმანმა და პარიზში საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მუშაკებმა, უმთავრესად წარმომადგენლობის მრჩეველმა გირშფე-

ლდმა, თბილისის უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკას შეემატა ორი ათას სამასამდე ძვირფასი წიგნი.

ბორჯომის ბიბლიოთეკის წიგნებთან ერთად ექვთიმეს ვაღმოფე-
შაენია წიგნები თავისი საკუთარი ბიბლიოთეკიდან, რომელიც მან
ლევლიში მოიწყო (ექვთიმეს ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც
მან თბილისში დატოვა, დიდი ხანია, რაც შესული იყო თბილისის
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდში). ექვთიმეს ლევლის ბიბლი-
ოთეკის ამ ვაღმოფეშაენილი წიგნებიდან, რომელთა ოდენობა 135 ცალი
ყოფილა, ყურადღებას იპყრობს 82 ცალი ექვთიმეს მიერ პარიზში
1933 წელს გამოცემული თხუშულებისა — „პარიზის ნაციონალური
ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო
დამწერლობის ნიშანი“ და „სააზიო ჟურნალის“ 1925—1935 წლების,
ე. ი. 11 წლის სრული კომპლექტი — 44 ცალი ჟურნალი²⁸.

* * *

1936 წლის 26 მარტს საბჭოთა სრულყოფილებიანი წარმომადგენ-
ლობის შემორანდუმის წარდგენით საფრანგეთის საგარეო საქმეთა
სამინისტროსათვის, არსებითად, დასრულდა ბრძოლა ჩვენი საუნჯე-
სათვის, რომელსაც აწარმოებდა საბჭოთა საქართველოს მთავრობა

²⁸ ექვთიმე თაყაიშვილი პარიზის სააზიო საზოგადოების წევრად მიიღეს 1925 წლის
13 ნოემბერს და ერთხანს საქმოდ აქტიურად მონაწილეობდა ამ საზოგადოების საქ-
მიანობაში, განსაკუთრებით 1926-27 წლებში. ამ პერიოდში მას თითქმის არ გამო-
უტროვებია საზოგადოების სხდომები, მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნით სპეციალურად
უხლებოდა ლევლიდან პარიზში ჩასვლა. ამავე პერიოდში ექვთიმე მოხსენებთაც
გამოსულა სააზიო საზოგადოების სხდომაზე, რომელიც მოუწვევიათ 1927 წლის 11
თებერვალს; ექვთიმე თაყაიშვილს გაუკეთებია მოხსენება თემაზე: „აფხაზეთის მეფეთა
შესახებ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის ცნობების წყაროები“. ექვთიმემ წაიკითხა
ეს მოხსენება ლირსშესანიშნაუ თარიღთან დაკავშირებით: საზოგადოებამ მაშინ აღნიშნა
ასი წლისთავი მ. ბროსეს მიერ სააზიო საზოგადოების 1827 წლის 4 ივნისის სხდომაზე
წაკითხილი მოხსენება — „შენიშვნა ქართული ენის შესახებ“, რომელიც იმავე წელს
პარიზში ცალკე წიგნადაც გამოქვეყნდა და ეს იყო მაშინ ჭერ ახალგაზრდა, მომავალ-
ში დიდი ფრანგი მეცნიერის პირველი გამოკვლევა ქართული ენის შესახებ.

ექვთიმეს არქივში დაცულია ექვთიმეს ხელი ნაწერი შესავალი სიტყვა მისი 1927
წლის 11 თებერვლის მოხსენებასა — ამ სიტყვის რუსული ტექსტი და მისგან ექვთიმეს
მეორე თარგმნილი ფრანგული ტექსტი. სააზიო საზოგადოების სხდომის ოქმში ე. თაყაიშ-
ვილის მიერ წაკითხული მოხსენების შესახებ ჩაწერილია: „იმავე შემდეგ, რაც
მოხსენიებულ იქნა ხსოვნა ბროსესი, რომელმაც ერთი საუკუნეა რაც გადუნო
საზოგადოებას თავისი ღირსსახსენებელი „შენიშვნა ქართული ენის შესახებ“,
ბატონი თაყაიშვილი კთხოვლობს მოხსენებას აფხაზეთის მეფეებზე იერუსალიმის
პატრიარქ დოსითეოსის ცნობების წყაროების შესახებ“. ხოლო ოქმის დამატებაში
მთლიანადაა შეტანილი ექვთიმეს მოხსენება.

და საბჭოთა წარმომადგენლობა ექვეთიებს დახმარებითა და კონსულტაციით. ამის შემდეგ, საფრანგეთის მთავრობის უარყოფითი დამოკიდებულების გამო, საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ, როგორც ჩანს, უაზროდ ჩათვალა ამ ბრძოლის გაგრძელება და დროებით შეწყვიტა იგი. მხოლოდ რვა წელიწადნახევრის შემდეგ, როდესაც შეიქმნა ამისათვის ხელსაყრელი პირობები, საბჭოთა დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ, საბჭოთა საელჩომ საბჭოთა მთავრობის მითითებით განაახლა ეს ბრძოლა.

ამ ხნის განმავლობაში ბევრმა წყალმა ჩაიარა. . .

მიუხედავად იმისა, რომ მას უკვე მოკავშირე აღარავინ ჰყავდა, ექვთიმე თაყაიშვილი, მარტო დარჩენილი, მაინც განაგრძობდა ბრძოლას. ამ პერიოდშიც იგი შეეცადა გამოეყენებინა ყველა საშუალება, რათა საუნჯე სამშობლოსათვის დაებრუნებინა.

თავდაპირველად ექვთიმეს დაუპირებია მიემართა სასამართლოსათვის, მაგრამ შემდეგ, როდესაც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ბლუმი, ექვთიმეს გადაუფიქრია ეს განზრახვა, რადგან ბლუმის კაბინეტის შექმნამ ექვთიმეს იმედები გამოაცოცხლა.

ფრანგი სოციალისტებისა და მეორე ინტერნაციონალის ცნობილმა ლიდერმა ლეონ ბლუმმა, სახალხო ფრონტის გამარჯვების შემდეგ, 1936 წლის ივნისის დამდეგს შეადგინა სახალხო ფრონტის პირველი კაბინეტი, რომელმაც სრულ ერთ წელიწადს იარსება, რაც საფრანგეთში იმდროინდელი კაბინეტების ხშირ-ხშირი ცვლის ფონზე საკმაოდ ხანგრძლივად გამოიყურებოდა. მაგრამ ექვთიმე გრძნობდა, რომ არც ამ კაბინეტს ეწერა ხანგრძლივი არსებობა და ამიტომ ჩქარობდა. უაჰველია, ექვთიმე იმედოვნებდა, რომ ბლუმი, როგორც „სოციალისტი“, უფრო მეტ ანგარიშს გაუწევდა თავის თანამოაზრე ქართველ მენშევიკებს, ვიდრე აშკარა ბურჟუაზიული მთავრობები — ფლანდენის, ლავალისა და საროსი, რომელნიც მათ, ქართველ მენშევიკებს არაფრად აგდებდნენ.

„იმ დროს, — იხსენებს ექვთიმე თავის 1952 წლის ნოემბრის მოგონებაში, — სოციალისტი ლეონ ბლუმი გახდა მთავრობის თავმჯდომარე. ლეონ ბლუმი დიდად დაახლოებული იყო მენშევიკების მთავრობასთან. . . ერთმანეთს კოცნიდნენ შეხვედრის დროს, ამიტომ მე იმედი მომეცა, რომ ის დაგვიბრუნებდა განძეულობას. მასაც გადუგზავნე რაპორტი. . .“

როგორც სააზო საზოგადოების წევრი, ექვთიმე ალბათ ღებულობდა „სააზო ეურნალის“ ტომებს შელაუთიანი ფასით.

ეტყობა შემდეგაც, ომის შიმში წლებშიაც კი, ექვთიმე არ წყვეტდა კავშირს პარიზის სააზო საზოგადოებასთან.

ექვთიმეს არქივში დაცულია პირი ლეონ ბლუმისადმი წარდგენილი ფრანგულად შედგენილი განცხადება-თხოვნისა, რომელიც დათარიღებულია 1937 წლის 19 იანვრით. ექვთიმე ამ განცხადებაში ორითხოვნით მიმართავდა სახალხო ფრონტის მთავრობის მეთაურს: ერთი მხრივ, იგი თხოულობდა პასუხს თავის პირველ, 1935 წლის 6 მაისის განცხადება-თხოვნაზე, რომელიც წარუდგინა მან საფრანგეთის მთავრობის მეთაურს; მეორე მხრივ, ექვთიმე სთხოვდა საფრანგეთის მთავრობას, რათა, საქართველოს მენშევიკური მთავრობის ლეგაციის გაუქმებასთან დაკავშირებით, საფრანგეთის მთავრობას თვითონ ეკისრა საქართველოს მუზეუმთა ინტერესების დაცვა „ზოგიერთ კერძო პირის“ „უკანონო პრეტენზიებისაგან“.

იმედოვნებდა რა, რომ ფრანგი სოციალისტების ცნობილი ლიდერი და ქართველ მენშევიკებთან „დიდად დაახლოებული“ ლეონ ბლუმი ანგარიშს გაუწევდა თავის „პარტიულ ამხანაგებს“, ექვთიმეს არა მარტო მიუერთებოდა მისთვის „განცხადება-თხოვნა“, არამედ უახლებია კიდევ სიმონ მდივანი³⁹.

ექვთიმეს იმედებს ამჯერადაც გაქარწყლება ეწერა... „ბლუმმა უთხრა [ს. მდივანს] მაგ საქმეს განვიხილავო, მაგრამ არც განუხილავს და არც პასუხი მოუცია“, — შენიშნავს ექვთიმე იმავე მოგონებაში.

ამგვარად, სოციალისტების ლიდერმა იგივე „პასუხი“ გასცა ექვთიმეს, რაც მემარჯვენე ფლანდენმა, რეაქციონერმა ლავალმა და რადიკალების ლიდერმა ერიომ. არც ერთმა ამ პოლიტიკურ მოღვაწეთაგანმა მას ყურიც კი არ ათხოვა; საფრანგეთის მესვეურებმა, მიუხედავად მათი პარტიული კუთვნილებისა, მოხუცი ქართველი ზეცნიერი პასუხის ღირსადაც კი არა სცნეს ...

განძის საკითხში ექვთიმეს, მის მიერ დაკავებულ პოზიციასთან დაკავშირებით, სხვა უსიამოვნებანიც ხვდა წილად, როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ქართველი ემიგრაციის ერთი ნაწილი, საფიქრებელია უძეცირესობა, ეწინააღმდეგებოდა განძის სამშობლოში დაბრუნებას და ექვთიმე, როგორც ეს მისი წერილებიდან ჩანს, შიშობდა ამას არ ევნო განძის დაბრუნების საქმისათვის. სწორედ ემიგრაციის ამ ნაწილის ასეთი მტრული პოზიცია ექვთიმეს აიძულებდა მოეთხოვა საბჭოთა საქართველოს მთავრობისათვის საქმის დაჩქარება და თვითონაც, რაც შეეძლო, ცდას არ აკლებდა.

³⁹ „მასაც, — იხსენებს ექვთიმე თავის 1952 წლის ნოემბრის მოგონებაში, ლ. ბლუმის შესახებ, — გაუღვახუნე ჩემი რაპორტი და პირადად მოსალაპარაკებლად სოსიკო (საფიქრებელია ექვთიმემ უკარნახა მოგონების ჩამწერს: „სოსიკო“, ე. ი. სიმონ — გ. ე.) მდივანი ვახლე, რომელიც თურქეთში იყო ელჩად გაგზავნილი მენშევიკების მიერ“ .. ეს იყო ფედერალისტი სიმონ გურგენის ძე მდივანი, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი, მოგვიანებით ანგორაში საქართველოს მისიის მეთაური.

სხვადასხვა ჭორისა და მითქმა-მოთქმის გასაქარწყლებლად, ქართველ ემიგრანტთა საყურადღებოდ ე. თაყაიშვილს საჯარო განცხადებაც კი გაუკეთებია. ექვთიმეს არქივში დაცულია ამ განცხადების შავი. საფიქრებელია, განცხადება გამოქვეყნდა კიდევ რომელსამე ემიგრანტულ პერიოდულ ორგანოში. იგი დათარიღებულია 1936 წლის 15 ივლისით და სათაურად აქვს: „ეროვნული განძეულობის თაობაზე“.

„ამ უკანასკნელ დროს ემიგრაციაში სხვადასხვანაირი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ჭორი ვრცელდება საქართველოდან ევაკუაციის დროს უცხოეთში გამოტანილი სამუშეუშო, საეკლესიო და ისტორიულ მნიშვნელობის ნივთების შესახებ. ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია განვაცხადოთ შემდეგი ...“, — ასე იწყებოდა ეს განცხადება, რომელიც 10 მუხლს შეიცავდა. მასში მოკლედ, თეზისების სახითაა გადმოცემული ჩვენი საუნჯის უცხოეთში გატანის მთელი ისტორია. განცხადების მთავარი მიზანი იყო ხაზი გასმოდა იმ გარემოებას, რომ განძეულობა ხელუხლებელია და ნივთებს არავინ შექმნებია. სწორედ ეს იყო საჭირო ბრალდებების უარსაყოფად. თუ რაში მდგომარეობდა ეს ბრალდებები, ამაზე შეტყვევლებს განცხადების პირველი და მეხუთე მუხლები, რომლებითაც ასეთი ბრალდებები ბათილდებოდა.

როგორც ჩანს ამ მუხლებიდან, ქართველ ემიგრანტებში ვრცელდებოდა ხმები იმის შესახებ, რომ ქართული განძეულობა გამოჰქონდათ ბანკიდან, იგი იყიდებოდა, გირავდებოდა და ა. შ. ძველ ბრალდებებს ემატებოდა ახალი, წამოყენებული პირადად ექვთიმეს წინააღმდეგ: თითქოს ექვთიმეს მისწრაფება და ბრძოლა განძის სამშობლოში დასაბრუნებლად სამშობლოსაკენ „გზის გაკაფვის“ სურვილით იყო განპირობებული.

მაგრამ ექვთიმესადმი ასე ცილისმწამებლურად ყოფილა განწყობილი ქართველი ემიგრაციის მხოლოდ მცირე ნაწილი. ემიგრანტთა უმრავლესობა დიდის პატივისცემით ეპყრობოდა სახელოვან მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს. ამიტომ სწერდა ექვთიმე ვუკოლ ბერიძეს: „შეგნებული ხალხი ამ საქმეში ჩემთანააო“. ამით აიხსნება ის, რომ, მიუხედავად ხელმოკლეობისა, რომელსაც განიცდიდნენ ქართველი ინტელიგენტები ემიგრაციაში, მათ განუზრახავთ აღენიშნათ ექვთიმეს პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი, რომელიც 1937 წელს სრულდებოდა⁴⁰. ფრიად ღირსშესანიშნაეია ამის პასუხად

⁴⁰ ე. თაყაიშვილმა, როგორც პედაგოგმა, მუშაობა დაიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში ლათინურისა და ბერძნულის მასწავლებლად 1887 წლის ოქტომბერში.

ექვთიმეს მიერ დაწერილი „მიმართვა ქართულ ემიგრაციისადმი“, დათარიღებული 1936 წლის 25 ნოემბრით. მიმართვა ნაბეჭდია სტამბურად მოგრძო ფორმატის ქალაღდის ცალ გვერდზე, ორ სვეტად.

ექვთიმე მოუწოდებდა ქართველ ემიგრანტებს ხელი შეეწყოთ მისთვის მის მიერ შეკრებილი მასალების და, პირველ ყოვლისა, სამუსლიმო საქართველოს სახუროთმოძღვრო ძეგლების აღწერილობების გამოქვეყნების საქმეში. ქართული კულტურის, ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლის მნიშვნელობის შესახებ ექვთიმე წერდა:

ამჟამად, ჩვენდა საბედნიეროდ, იშვიათია ისეთი განათლებული ქართველი, რომელსაც არ შეეგნოს და რომელიც არ ცდილობდეს ქართული ისტორიის და ლიტერატურის გაცნობას. ეროვნული მიმართულება თანდათან ღვივდება და ეს თავისთავად იწვევს ქართული კულტურის შესწავლას.

ქართული სულიერი, გონებრივი და მატერიალური კულტურა რთულია, მრავალმხრივია და ბევრ რაშიმე მეტად თავისებურია. იშვიათია პატარა ერი, რომელსაც ასეთი მდიდარი ძველი კულტურა ჰქონდეს, ამ კულტურამ გადაარჩინა ქართველი ერი მოსპობას ჟამთა ვითარების აბოზოქრებული ქარტახილისაგან, მისცა უნარი სიმტკიცისა, გამძლეობისა და ყოველი ჭირის გადატანისა.

ეინც ამ კულტურას ასე თუ ისე არ იცნობს, ის არასოდეს არ იქნება ნამდვილი ქართველი, ჭეშმარიტად ქართული სულის მატარებელი, მას გადაგვარება მოელის, თუ უკვე გადაგვარებული არ არის. ამიტომ ყველა მოვალე ვართ, ხელი შევეწყოთ ჩვენი კულტურის საფუძვლიანად შესწავლას, რაც პირველ რიგში უნდა გამოიხატოს საკულტურო მასალების შეკრებაში და უკვე შეკრებილის გამოქვეყნებაში; უამისოდ ჩვენ ვერ აღვადგენთ ჩვენი კულტურის ნამდვილ სახეს და ვერ შევიგნებთ მის ცხოველმყოფელ ძალას, რომელიც იხატებოდა, პირველ ყოვლისა, მდიდარი ქართული ენის განვითარებაში, სასულიერო და საერო ლიტერატურაში, პოეზიაში, ფილოსოფიაში, ხუროთმოძღვრებაში და სხვა ყველა ხელოვნების დარგში, რჯულის და ზნეობის სიმტკიცეში, სოციალურ წყობილებაში, მეურნეობაში, ეკონომიკაში და სხვა“.

ამის შემდეგ ექვთიმე შეჩერდა ქართული კულტურული ცენტრების — წერა-კითხვის გამავრცელებელი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებების, საეკლესიო მუზეუმის, თბილისის უნივერსიტეტის დამსახურებაზე და შეეხო საკუთარ მოღვაწეობას. იგი წერს: „... ხშირად მიხდებოდა მოგზაურობა და ექსპედიციების მოწყობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. შეგროვილი დიდძალი მასალა დაცულია ჩვენს მუზეუმებში, მცირე ნაწილი გამოცემულია...

ხოლო ერთი ნაწილი მასალებისა თანა მაქვს და გამოუცემელი რჩება, საქმე კი საშუროა: დრო მიდის, მე მივიწურე აღსასრულისაკენ „ადამის ტომთა წესითა“, და ჩემს შემდეგ ამ მასალას თავს ვერავინ გაართმევს. თანა მაქვს სხვათა შორის შესანიშნავი სახუროთმოძღვრო ძეგლების გეგმები სამუსულმანო საქართველოსი და მრავალი ფოტოგრაფიული სურათი, მათ შორის ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლების სურათებიც, რომელნიც დღეს სამუდამოდ მოსპობილია და მხოლოდ ჩემი აღწერილობა და გადმოღებული სურათებია დარჩენილი. ამათ გამოცემას მპირდებოდენ ექვს დიდ ალბომად, მაგრამ ეს იმედი ეხლა გაქრა, ამაზე ოცნებაც მეტია, ვინაიდან ამას, სულ ცოტა რომ ვთქვათ, დასჭირდება ნახევარ მილიონ ფრანკზე მეტი. ისიც დიდი საქმე იქნება, თუ აღწერილობათა ტექსტები გამოვეცით. ეს შეადგენს დაახლოებით 2000 გვერდს შუა ფორმატის წიგნისას. რასაკვირველია, ეს რამდენიმე წიგნად უნდა გამოვიდეს“⁴¹.

ექვთიმე თავმდაბლად უარს აცხადებდა იუბილეზე და მიმართავდა ქართველ ემიგრანტებს, რათა მათ იუბილეს ნაცვლად გაეღოთ სახსრები ხსენებულ აღწერილობათა გამოცემისათვის.

„ახლო ხანში, — წერდა ექვთიმე, — 50 წელი შესრულდება, რაც მე საპელაგოგო დარგში დაეიწყე მუშაობა. ამის გამო ზოგმა ჩემმა ყოფილმა შეგირდებმა მომმართეს წინადადებით იუბილეს მოწყობისა, რაზედაც, რა თქმა უნდა, უარი განვაცხადე, პირველად მიტომ, რომ საიუბილეო არაფერი გამიკეთებია, მე მხოლოდ ჩემ ქართულ მოვალეობას ვასრულებდი; მეორედ მიტომ, რომ კიდევაც ღირსი ვიყო იუბილეისა, ჩვენს პირობებში, ემიგრაციაში, იუბილე ვის

⁴¹ ზემოთ ჩვენ ვახსენეთ, რომ ექვთიმემ ბორჯომის ბიბლიოთეკის წიგნებთან ერთად თბილისში გადმოგზავნა 82 ტალი მის მიერ პარიზში 1933 წელს გამოცემული თხზულებისა — „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიმუში“ ეს წიგნაკი შეიცავს მცირე ზომის 64 გვერდს და დართული აქვს 5 ტაბულა.

წინასიტყვაობიდან, რომელიც დათარიღებულია 1933 წლის 10 თებერვლით. ისიცა ჩანს, რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული იმ დროს პარიზში ქართული წიგნის გამოცემა. ექვთიმე წერს, რომ აღნიშნული წიგნაკი შედგენილი ყოფილა 1922 წელს. მისი პირველი 16 გვერდი დაბეჭდილია 1929 წელს, ე. ი. 7 წლის შემდეგ, ხოლო კიდევ 4 წლის შემდეგ, ე. ი. წიგნის შედგენიდან 11 წლის შემდეგ, 1933 წელს ექვთიმეს შესაძლებლობა მიეცემა დაებეჭდა თხზულება მთლიანად, მაგრამ „უფრო შემოკლებულად, ვიდრე განზრახული იყო“.

გაუგონია! არ ეგების!⁴² იუბილეზე მეტად ჩაეთვლი და უფრო სასარგებლოც იქნება, თუ ამ გამოცემათა საშვალუბას მომიხერხებენ“.

დიდი ქართველი პატრიოტი მოუწოდებდა: „... ვკანდიერდები, ვინაიდან ეს საზოგადო ქართული საკულტურო საქმეა და მიემართავ ყველა საზღვარს გარეთ მყოფ ქართველ ორგანიზაციებს და თვითვე საზღვარს გარეთ მყოფ ქართველს, განურჩევლად პარტიისა, კეთილინებონ და ვისაც რა შეუძლია, რამდენიც შეუძლია, დაგვეხმარონ ამ საქმეში“

„ნუ ვინ დამწამებს, — ასრულებდა ექვთიმე თავის მოწოდებას, — თითქოს მე ჩვენი ემიგრაციის სიღარიბე არ ვიცოდე. არა, ძლიერ კარგად ვიცი, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, ჩვენში საზოგადო საქმე, თუ რაზე გაკეთებულა, ისევ ღარიბი ქართველის ჯიბით და მისი ინტელიგენციის წყალობით. მდიდრები ცოტა გვეყვანდნენ და ვინც გვეყვანდა, ბევრი საიმისო არაფერი გაუკეთებიათ. თუ გული გულობს და ყველანი შეევერთდებით, საერთო წვლილითაც ამ საქმეს ეშველება. ეს არის პირველი და უკანასკნელი ჩემი თხოვნა ქართველი ემიგრაციისადმი. ვინც პატივს დაგვდებს და დაგვეხმარება ამ საქმეში, მათ ვთხოვ წინდაწინვე მიიღონ ჩემი უღრმესი მადლობა და თანაგრძნობა“.

ექვთიმეს სურდა ამ მიმართებით გაეღვიძებინა ქართველ ემიგრანტებში პატრიოტული გრძნობები, რათა მათ გაეღოთ სახსრები თავიანთი მცირე დანახოვებიდან დიდი ქართული საქმის — ექვთიმეს

⁴² მოგვიანებით, საშობლოში დაბრუნების შემდეგ, როდესაც ასეთი ღონისძიება საესეებით „ეგებოდა“, შესაძლებელი იყო და საყოველთაოდ მიღებულად ჩვენ ცნობილ მეცნიერთა ღვაწლის აღსანიშნავად, ექვთიმეს მაინც უარი უთქვამს, როდესაც მას ეს შესთავაზეს. ამის შესახებ ი. მეგრელიძე შემდეგს იხსენებს: „1948 წლის 5 იანვარს ექვთიმე თაყაიშვილს 85 წელი უსრულდებოდა (ექვთიმე დაიბადა 1863 წლის 5 იანვარს. — გ. უ.). წინასწარ ეუთხართ: იქნებ ამ თარიღის იუბილეთი აღნიშვნა მოხერხდესო. მან სასტიკი უარი თქვა. — არ გახსოვთ, რა მოგწერათ ნ. მარმა ასეთ საკითხზეო?“

— როგორ არა-მეთქი, — ეუპასუხე; — ლენინგრადიდან კონსტანტინოპოლში მიუწერე მას: თქვენი მოღვაწეობის 45 წლისთავის აღნიშვნას აპირებენ-მეთქი. ნ. მარმა კი მომწერა, მაგ საქმეში ნურც მე გამრევთ და ნურც თქვენ ჩაერევით. მე იუბილეზე არც კი მოვალა...“

— ჰოდა, მეც მაგ აზრისა ვარ, — მიპასუხა ექვთიმე.

გაღო მავიდის ყუთი, საქალაღიდან ამოიღო ნაბეჭდი ფურცლები და ერთი ეგზეპლარი მაჩუქა. შინ წაიკითხო, მითხრა. — ეს მაშინ დაეწერე, როდესაც პარიზში იუბილეს მოწყობას მიპირებდნენო.“

ი. მეგრელიძე აქ იხსენიებს სწორედ ამ მიმართვას „ქართველ ემიგრაციისადმი“ და ასე ასრულებს ამ ამბავს: „იუბილეს მოწყობაზე თბილისშიც შეეწყვიტეთ ლაპარაკი. აკაკი შანიძემ და გიორგი წერეთელმა გეთხრეს: შეხედრა მაინც მოეუწყუთო. ექვთიმემ არც ამისი ნება დაგვართო...“

მიერ შეკრებილი მასალების, განსაკუთრებით სამუსლიმო საქართველოს შესანიშნავი სახურთმოდერო ძეგლების ფოტოსურათებისა და აღწერილობათა გამოსაცემად.

როგორც ჩანს, ექვთიმეს 1936 წლის 25 ნოემბრის მიმართვას გამოეხმაურა არაერთი პატრიოტულად განწყობილი ქართველი ემიგრანტი, მათ ფული გამოუგზავნიათ ექვთიმესათვის მის მიერ შეკრებილი მასალების გამოსაცემად. ექვთიმე საკუთარ მცირე სახსრებსაც, შემთხვევით შექმნილ ფულსაც კი გადადებდა ხოლმე ამ საქმეზე. ექვთიმეს ამგვარი საქმიანობის დასახასიათებლად ფრიად საყურადღებოა მისი ანდერძი, დაწერილი 1941 წლის 25 ოქტომბერს, ნაცისტური ოკუპაციის ქაშა⁴³.

ექვთიმეს ანდერძი მოწმობს, რომ მის 1936 წლის 25 ნოემბრის მიმართვას გამომხაურება ჰქონია ქართველ ემიგრანტთა ნაწილში: სამუსლიმო საქართველოს ძეგლთა ალბომის გამოსაცემად, რისთვისაც, მისი სიტყვით, სულ ცოტა, ასი ათასი ფრანკი იყო საჭირო, ექვთიმეს სხვადასხვა პირისაგან მიუღია შემოწირულებანი. ქართველ ემიგრანტთაგან შემომწირავენად ანდერძში დასახელებულნი არიან: იოსებ დადიანი⁴⁴, კოტე კობახიძე, ინჟინერი სერგი ტარასაშვილი, გრ. ალ-შიბაია და სხვანი.

შემომწირათა შორის ყოფილან აგრეთვე ამერიკაში, სპარსეთში. თურქეთში, პოლონეთში მცხოვრები ქართველები. ემბარგოდნენ უცხოელებიც, მათ შორის ექვთიმეს ანდერძში დასახელებულნი არიან: ფრანგი პრელატი და ცნობილი ორიენტალისტი რენე გრაფენი, ინგლისელი ისტორიკოსი ალენი⁴⁵. ექვთიმე წერს: „რამდენიმეჯერ ალენმა მომაწოდა გირვანქობით შემწეობა, მე არ მითხოვია, მისით. რა თქმა უნდა, ანდრია გუგუშვილი ცდილობდა ჩემთვის“. ამავე ფონდში ჩაურთცხია ექვთიმეს ლატარიაში თავისი სამი მონაგები — სულ 28500

⁴³ ეს დოკუმენტი 1972 წელს შემოსწირა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს კ. სალიამ და გამოატანა პარიზს მიღწეებით მუიფ ელ. მეტრეველს.

⁴⁴ იოსებ იულონის ძე დადიანი, სიყრმედან ე. თაყაიშვილის დიდი მეგობარი. თავის დროის საკმაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე. მან დამთავრა პეტერბურგის სამოთხის ინსტიტუტი და მუშაობდა. როგორც ინჟინერი, ბაქოს ნავთის წარმოებაში. ემიგრანტობისას ცხოვრობდა პარიზში. ი. დადიანის გარდაცვალებიდან წლისთავზე ექვთიმეს იქაურ გაზეტში მოუთავსებია თავისი მეგობრისადმი მიძღვნილი სტატია სათაურით: „ჩუმი მოღვაწის იოსებ დადიანის ხსოვნას“. ი. დადიანის სიძე, მისი ასულის ორიენს მეუღლე იყო ნაყინბების წინააღმდეგ მებრძოლი საფრანგეთის ცნობილი გმირი დიმიტრი (ბაზორკა) ამილახვარი.

აღნიშნული შენაწირავი ი. დადიანს მიუწოდებია ექვთიმესათვის რამდენიმე დღით ადრე თავის გარდაცვალებამდე (გარდ. 1937 წლის 30 მარტს).

⁴⁵ უ. ე. დ. ალენი, ინგლისელი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა — „ქართველი ხალხის ისტორია“, რომელიც ლონდონში გამოქვეყნდა 1932 წელს.

ფრანკი. ალენის შუამდგომლობით, ვიღაც ამერიკელ მანდილოსანს გამოუგზავნია ექვთიმესათვის თვალების სამკურნალოდ 75 დოლარი და ეს თანხაც ექვთიმეს ალბომის გამოსაცემ ფონდში ჩაურიცხავს...

ალბათ ამ ფონდში შესული თანხებით მოახერხა ექვთიმემ 1938 წელს გამოცემა „თურქეთის საქართველოში“ თავისი მეორე არქეოლოგიური ექსპედიციით მოპოვებული მასალები, სათაურით: „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“ (გვ. 3—87, ხუთი ტაბულა).

* * *

ქართულ საუნჯეს, არსებითად ჩამორთმეულს საფრანგეთის მთავრობის მიერ, ამ დროს კვლავ დაემუქრა საფრთხე ნიკო მინგრელსკის მემკვიდრის მხრივ. ექვთიმე ტყუილუბრალოდ როდი სწერდა ლეონ ბლუმს: „ზოგიერთი კერძო პირი პრეტენზიას აცხადებს, რომ ბევრი ამ განძეულობიდან მათი საკუთრებაა. ერთხელ საფრანგეთის სასამართლომ უკვე უარყო ასეთი პრეტენზიები, სცნო რა ისინი უსაფუძვლოდ“. ამავე დროს ექვთიმე გამოთქვამდა იმედს: „ვიმედოვნებ, რომ საფრანგეთის მთავრობა თვითონ დაიცავს საქართველოს მუზეუმთა ინტერესებს, ხელახლა უკუაგდებს ამ უკანონო პრეტენზიებს“.

როგორც გვახსოვს, ობოლენსკაიას სარჩელით წამოწყებული პირველი სასამართლო პროცესი, რომელიც ორ თვეს — 1934 წლის 8 მარტიდან 8 მაისამდე გაგრძელდა, დასრულდა ობოლენსკაიას დამარცხებით. ამ პროცესის შედეგი მხოლოდ ის იყო, რომ განძი ჩამოერთვა მენშევიკებს და დაუქვემდებარდა ჟოდონის „დროებით“ განმგებლობას. არ გამართლდა ქართველი ემიგრანტების მოლოდინი, რომ ობოლენსკაია თავს დაანებებდა დაეიდარაბას. ამ ქალს 1936 წლის დამლევს ხელმეორედ აღუძრავს სასამართლო პროცესი. მხოლოდ ახლა ობოლენსკაიას სარჩელი მიმართული შეიქმნა განძის „დროებით“ განმგებლის პ. ჟოდონის წინააღმდეგ.



ობოლენსკაიას მიერ ხელმეორედ აღძრული სასამართლო პროცესი არ შეწყვეტილა იმ მღელვარე ამბების გამოც კი, რაც იმ დროს თავს დაატყდა საფრანგეთს.



საფრანგეთი შთელ ევროპასთან ერთად მიექანებოდა მეორე მსოფლიო ომისაკენ, რომლის მთავარი გამჩადებლები იყვნენ ჰიტლერელები. დასავლეთის სახელმწიფოების გავლენიანი ფენების რეაქციული, პროპიტლერული წაყრუებისა და „ნაურევლობის“ პოლიტიკა, არსებითად, იქცა ნაციზმის წაქეზების პოლიტიკად და ამ პოლიტიკის სავალალო შედეგები მალე იწვნიეს თვით წამქეზებლებმა ჰიტლერული გერმანია სწრაფად მიიწვედა წინ, იგი არსად შეხვედრია სერიოზულ წინააღმდეგობას: მან „ნაყლაბა“ ავსტრია (1938 წლის მარტი), შემდეგ, ინგლისისა და საფრანგეთის მესვეურთა ხელშეწყობითა და კურთხევით, — საფრანგეთის მოკავშირე ჩეხოსლოვაკია (1939 წლის მარტი); ხოლო ნახევარი წლის შემდეგ საფრანგეთის მეორე მოკავშირე, პოლონეთზე თავდასხმით 1939 წლის 1 სექტემბერს ჰიტლერულმა გერმანიამ გააჩაღა მეორე მსოფლიო ომის ხანძარი. ორი დღის შემდეგ, 3 სექტემბერს საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მოაჯრობები იძულებულნი შეიქნენ „გამოსარჩლებოდნენ“ პოლონეთს და ომი გამოეცხადებინათ გერმანიისათვის. გამოცხადებით კი გამოაცხადეს, მაგრამ კარგა ხნის, ე.წ. „უცნაური ომის“ (1939 წლის 3 სექტემბრიდან — 1940 წლის 10 მაისამდე) განმავლობაში საფრანგეთი, არსებითად, არ ომობდა. საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის უმოქმედობა გამოიყენა ჰიტლერულმა გერმანიამ და არჩეინად „გადაყლაბა“ დანია და ნორვეგია (1940 წლის აპრილი), ხოლო 1940 წლის 10 მაისს იგი თავს დაესხა საფრანგეთს, დაიპყრო ნიდერლანდები, ბელგია და ლუქსემბურგი. განვლო ერთმა თვემ და ინგლისელთა არმიის დიუნკერკის კატასტროფის (1940 წლის 4 ივნისი) შემდეგ ფაშისტურმა იტალიამაც ომი გამოუცხადა საფრანგეთს (10 ივნისი).

საფრანგეთის მესამე რესპუბლიკა, აღმოცენებული 1870 წლის 4 სექტემბერს, სულსა დაფაჟდა. 16 ივნისს ძალა-უფლება ხელში აიღო მარშალმა ფილიპ პეტენმა. მან იკისრა ნაციისტებთან თანამშრომლობა, კოლაბორაციონისტობა და მესამე რესპუბლიკის შესაფლავის როლი. მთავრობის სათავეში ჩადგომისთანავე მან ითხოვა დაზავება.

ბიჭვინტის ღვთისმშობლის ოქროს ხატი (40×32 სმ). გამოკედლილი „ყოველისა ჩრდილოეთისა და აღმზავთისა“ კათალიკოსის ევდემონ ჩხეტიძის შეკვეთით 1568 წელს

Золотая икона Бичвинтской (Пицундской) Богоматери (40×32 см), чеканенная по заказу абхазского католикоса Эвдемона Чхетидзе в 1568 году


Icone de la Vierge de Bitchvinta (Pitsounda) en or. XVI^e siècle (40X32 cm).



საწინამძღვრო წინგასადლო ოქროს ჯვარი (25,3×17,5 სმ), გამოკედლილი 1563 ან 1564 წელს ოქრომკედელ მამნეს მიერ, აღმზავთის კათალიკოსის ევდემონ ჩხეტიძის შეკვეთით.

Архиерейский выносной золотой крест (25,3×17,5), чеканный в 1563 или 1564 году золотых дел мастером Мамнэ, по заказу абхазского католикоса Эвдемона Чхетидзе

Croix de procession épiscopale en or. XVI^e siècle (25,3X17,5).



მარტვილური სამღვდელმთავრო გულსაკიდი ოქროს ჯვრის წინა მხარე (14,3×10 სმ; წონა — 369 გრ) ფიგურული გამოსახულებები ამოკვეთილია ოქროზე და შემდეგ მიმაგრებულია ოქროს ფონზე. შარავანდედები, კვარცხლბეკი, რომელზედაც დგას ღვთისმშობელი, და ღვთისმშობლის ორივე მხარეს ჯვრის მკლავებზე გამოსახული ვარდულები ტიხრული მინანქრისაა. ჯვარს მიაკეთებენ VIII—IX საუკუნეებს.


Лицевая сторона Мартвильского нагрудного архиерейского золотого креста с фигурными изображениями, выполненными по золоту резцом и затем прикрепленными к золотому фону. Нимбы и подножье, на котором стоит Богоматерь, и две розетки по сторонам Богоматери даны перегородчатой эмалью (14,3×10 см; вес 369 г). Крест относят к VIII—IX вв.

Côté face de la croix épiscopale pectorale en or avec figurines ornementales du Monastère de Martvili. On la situe aux VIII^e—IX^e siècles (14,3X10 cm, poids—369 gr).

იმავე მარტვილური სამღვდელმთავრო გულსაკიდი ოქროს ჯვრის ზურგი. მკლავები ჯვრისა, რომელზედაც ცმულია იესო, კვარცხლბეკი და ყველა ფიგურის შარავანდედები ნაკეთებია სხვადასხვა ფერის მინანქრებით: ფიგურული გამოსახულებები ამოკვეთილია ოქროზე და შემდეგაა მიმაგრებული ოქროს ფონზე

Оборотная сторона того же Мартвильского нагрудного архиерейского золотого креста. Нимбы у всех фигур и крест выполнены разноцветной эмалью; фигурные изображения резаны по золоту и затем прикреплены к золотому фону


L'envers de la même croix épiscopale en or de Martvili.



მარტივილური სამღვდელმთავრო გულსაკილი ოქროს ჯვარი, მინანქრის ფიგურული გამოსახულებებით (13,1×9,4 სმ; წონა — 268,5 გრ.). თარიღდება X საუკუნით.

Мартвильский нагрудный архиерейский золотой крест с эмалевыми фигурными изображениями (13,1×9,4 см; вес 268,5 г). Датируется X веком

Croix épiscopale pectorale en or, de Martvili. Datée du X.^e siècle. (13,1X9,4 cm, poids—268,5 gr).



ოქროს ჯვრისნაირი მომრგვალებული ფორმის პანაგია (7,7×5,2 სმ; წონა — 69 გრ.). ყველა გამოსახულება ნაკეთებია ტიბრული მინანქრით. თარიღდება X საუკუნით.

Панагия в виде золотого медальона крестообразно закругленной формы (7,7×5,2 см, вес 69 г). Все изображения выполнены перегородчатой эмалью. Датируется X веком.

Panagie for.mant un médaillon en or, cruciforme, à bouts arrondis. Datée du X.^e siècle (7,7X5,2 cm, poids—69 gr).



პირველნაბეჭდი, 1709 წლის სახარების ყდის ზედა მხარე (27,5×20 სმ). ამ სახარების პირველ პატრონად ჩანს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ნიკოლოზ აბაშიშვილი. შემდეგ წიგნი მოხვედრილა წერეთლების და, ბოლოს, დადიანების ოჯახში. ეკატერინე დადიანს, თავის ძე ნიკოსთან ერთად, მოუპედინებია წიგნი, შეუმკია თვლებით და დაუსვენებია დადიანების საზაფხულო სასახლე გორდის ეკლესიაში 1872 წლის მაისში

Верхняя часть серебряного позолоченного, украшенного камнями оклада первопечатного Евангелия 1709 года (27,5×20 см), владельцами которого были в первой половине XVIII в. Николай Абашишвили, а затем семьи Церетели и, наконец, Дадiani. Екатерина Дадiani вместе с сыном своим Николаем, украсив книгу камнями, возложила в церкви летнего дворца Горди в мае 1872 г.

Partie supérieure de la couverture en vermeil ornée de pierres précieuses d'un Evangile de 1709 (27,5X20 cm).



საბატესნაირი ოქროს მართკუთხა სანაწილე (6,4×3,5 სმ; წონა — 155 გრ). თარიღდება X საუკუნით

Золотая мощехранительница в виде кнота (6,4×3,5 см, вес 155 г). Датруется X веком

Reliquaire en or. Daté du X^e siècle (6,4X3,5 cm, poids—155 gr).



ოქროს ორკარედი კილობანი (14×11 სმ), რომელშიც ინახებოდა თამარ მეფის გულსაკიდი ჭვარი. კილობანი დამზადებულია თამარ მეფის შეკვეთით Золотой двустворчатый ковчег (14×11 с), в котором хранился наперсный крест царицы Тамар, по заказу которой и изготовлен ковчег Arche à doubles battants en or (14X11 cm) qui contenait la croix pectorale de la reine Tamar et faite sur sa commande.

იმავე კილობნის შიდა მხარე. ერთ მხარეზე (ამ ფოტოზე — ხელმარცხნივ) მოთავსებულია თამარ მეფის გულსაკიდი ჭვრის შესანახი ბუდე.

Внутренняя сторона того же ковчега. На одной стороне (на этом фото-слева) помещено гнездо для хранения наперсного креста царицы Тамар L'intérieur de la même arche.





თამარ მეფის გულსაკიდი ოქროს ჯვარი
(6,7×4,1 სმ; ყუნწის სიღარბოე —2,7
სმ; წონა — 27,48 გრ.).


Золотой наперсный крест царицы
Тамар (6,7×4,1 см; ширина шарни-
ра, связывающего крест с ажурной
бусиной для ношения — 2,7 см, вес
27,48 г)

Croix pectorale en or de la reine Tha-
mar (6,7X4,1 cm), largeur du joint
unissant la croix à la perle ajourée
pour le port de la croix—2,7 cm,
poids—27,48 gr).

იგივე გულსაკიდი ჯვრის ზურგი, რომელ-
ზედაც სევადითაა შესრულებული 14-
სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:
„ძელო ო ჰეშ[მ]ე[ა]ტიო: ძალო: ჯუ-
არისაო შენითა: წ[ი]ნ: [წარ]ძლომითა:
ყო[მ]ლ[ა]ლივე: შემწე და მფარველ იმ-
მენ: მეფე[ს]: და დელოფ[ი]ლსა-
თა ო მარს“.

Оборотная сторона того же наперс-
ного креста, на котором дана
14-строчная надпись асомтаврული
чернью: «Древо истинное, сила кре-
ста, под твоим водительством будь
вспомогателем и покровителем царя
и царицы Тамар»

L'envers de la même croix avec inscri-
ption de 14 lignes en assomtavruli





სხვადასხვაფერად მომინანქრული და ფირუზის თვლებით შემკული ოქროს დიადემა (წონა — 156,4 გრ), XVIII საუკუნის ნახელავი. შემადგენელი ნაწილი ეკატერინე დადიანის გარნიტურისა.

Золотая диадема с расписной эмалью разных цветов, украшенная бирюзовыми камнями (вес 156,4 г). Работа XVIII века. Составная часть гарнитура Екатерины Дадияни

Diadème en or avec émaux décoratifs multicolores, ornée de turquoises (poids — 156,4 gr). XVIII^e siècle.

სხვადასხვაფერად მომინანქრული და ფირუზის თვლებით შემკული ოქროს სამაჯურები (ერთის წონაა — 97,1 გრ, მეორისა — 102,02 გრ.). XVIII საუკუნის ნახელავი. შემადგენელი ნაწილი ეკატერინე დადიანის გარნიტურისა.

Золотые запястья с расписной эмалью разных цветов, украшенные бирюзовыми камнями (вес одного из них 97,1 г, другого — 102,02 г). Работа XVIII века. Составная часть гарнитура Екатерины Дадияни

Bracelets en or ornés d'émaux décoratifs multicolores avec turquoises (le poids de l'un—97,1 gr, de l'autre—102,02 gr). XVIII^e siècle.





სხვადასხვაფერად მომინანქრული და ფირუზის თვლებით შემკული ოქროს კულონი (წონა — 65 გრ) და წყვილი საყურე (თითო წონა — 54,82 გრ.). XVIII საუკუნის ნახელავი ეკატერინე დადიანის გარნიტურის შემადგენელი ნაწილი

Золотой кулон (вес 65 гр) и серьги (вес каждой 54,82 гр) с расписной эмалью разных цветов, украшенные бирюзовыми камнями. Работа XVIII века. Составные части гарнитура Екатерины Даднани

Coulon en or (poids—65 gr) et boucles d'oreilles (poids de chaque boucle—54,82 gr). XVIII^e siècle.

1940 წ. 22 ივნისს მოხდა საფრანგეთ-გერმანიის დაზავება კომპიენში (პიტლერელებმა განზრახ აირჩიეს დაზავების ადგილად კომპიენი, სადაც გერმანიის წარმომადგენლებთან მოხდა დაზავება 1918 წ. 11 ნოემბერს), ხოლო ორი დღის შემდეგ, 24 ივნისს — საფრანგეთ-იტალიის დაზავება. ამას მოჰყვა საფრანგეთის ტერიტორიის ორი მესამედის — პარიზის ჩათვლით მთელი ჩრდილო საფრანგეთის — ოკუპაცია პიტლერელთა ჯარების მიერ. 10 ივლისს შეიკრიბა საფრანგეთის ეროვნული კრება ქ. ვიშიში, რომელსაც ბედმა არგუნა ფრანგ კოლაბორაციონისტთა რეზიდენციად ქცევა. ჩატარდა კონსტიტუციური რეფორმა, რომელმაც, არსებითად, გააუქმა მესამე რესპუბლიკა. 12 ივლისს მარშალი პეტენი გამოცხადდა „საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურად“, ხოლო მის მოადგილედ (ვიცე-პრეზიდენტად) შეიქნა აშკარა რეაქციონერი და სულითა და გულით ნაცისტების ყურმოჭრილი ყმა პიერ ლავალი. 13 ივლისს აიძულეს გადამდგარიყო მესამე რესპუბლიკის უკანასკნელი პრეზიდენტი ალბერ ლებერენი. მესამე რესპუბლიკას ბოლო მოეღო.

პიტლერელების სწრაფი წინსვლა გრძელდებოდა. მათ დაიპყრეს იუგოსლავია და საბერძნეთი (1941 წლის აპრილი), ბრიტანეთის კუნძული იქცა საშინელ, დაუნდობელ საპაერო დაბომბვათა ობიექტად. პიტლერელები ემზადებოდნენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის.

მაგრამ პიტლერული აგრესია განაპირობებდა დამონებულ ქვეყნებში სახალხო-ანტიპიტლერული მოძრაობის გაღვივებას. ფრანგი პატრიოტებიც იდგნენ ამ მეზრძოლთა რიგებში. 1940 წლის 17 ივნისს პეტენმა ითხოვა დაზავება, ხოლო მეორე დღესვე, 18 ივნისს შარლ დე გოლმა ლონდონში გამოაქვეყნა ცნობილი მოწოდება („აპელ“) იმის შესახებ, რომ ფრანგები განაგრძობენ ბრძოლას ოკუპანტთა და კოლაბორაციონისტთა წინააღმდეგ, ე. წ. „წინააღმდეგობის მოძრაობას“, „რეზისტანს“

ლონდონში დე გოლის მეთაურობით ფრანგმა პატრიოტებმა შექმნეს „თავისუფალი ფრანგების ძალები“. ფრანგი ხალხის ბრძოლას საფრანგეთის გარეთ და ზღვისგაღმა სამფლობელოებში ხელმძღვანელობდა „მეზრძოლი საფრანგეთის ეროვნული კომიტეტი“ (შეიქმნა ლონდონში 1941 წლის სექტემბერში), ხოლო საფრანგეთში დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებდნენ სხვადასხვა პატრიოტული მეზრძოლი ორგანიზაციები, პარტიზანული რაზმები და საფრანგეთის იატაკქვეშ მყოფ კომუნისტური პარტიის ინიციატივით შექმნილი „ეროვნული ფრონტი“ (შეიქმნა 1941 წლის მაისში).

საფრანგეთში შექმნილმა მძიმე პირობებმა ხელი არ ააღებინა ობოლენსკაიას ხელშეორედ, 1936 წლის დამლევს წამოწყებულ სასამართლო პროცესზე. ამ პროცესის შესახებ ლევილში მყოფ ექვთიმეს პარიზიდან დროდადრო ატყობინებდნენ წერილებით. ე. თაყაიშვილის არქივის მიერ შემონახული ამ წერილების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით მაინც აღვადგინოთ ობოლენსკაიას მეორე პროცესის ვითარება და მსვლელობა. ეს მეორე პროცესი ჩატარებულა იმავე სასამართლოში, სადაც ჩატარდა პირველი პროცესი — სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში. ქართველებისათვის საჭირო იყო ვეკილ ავუესა და ვეკილ ადვოკატის აყვანა⁴⁶.

რაც შეეხება პირველს, ქართველების აუუე იყო საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატი პომარე. მისი მეშვეობით გაეცნო ექვთიმე ობოლენსკაიას სარჩელსა და ამ სარჩელზე ჟოდონის პასუხს, რომელთა პირები მას ლევილში გადაეგზავნა. ვინაიდან ეს ასლები თავის შენიშვნებითურთ ექვთიმეს აუუესათვის დაუბრუნებია, ამიტომ მისმა არქივმა ვეღარ შემოგვინახა ობოლენსკაიას სარჩელისა და მასზე ჟოდონის პასუხის პირები და ამ დოკუმენტებზე წარმოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ მხოლოდ ექვთიმეს არქივში დაცული იმ წერილების მიხედვით, რომლებსაც იგი პარიზიდან ღებულობდა.

თავის პასუხში, რომელიც საკმაოდ დასაბუთებულად ყოფილა შედგენილი, ჟოდონი მიუთითებდა ორ გარემოებაზე: 1. მომჩივანს, ე. ი. ობოლენსკაიას, არ წარმოუდგენია მისი საკუთრების დამადასტურებელი საბუთები; 2. დადიანისეული ქონება, საქართველოს რესპუბლიკის დეკრეტის ძალით⁴⁷, ეკუთვნის საქართველოს მუზეუმებს და ქართველ ერს.

ვინაიდან ჟოდონისა და ქართველთა ინტერესები ემთხვეოდნენ ერთმანეთს, ამიტომ პომარეს ურჩევია: ჟოდონის ვეკილს დავეხმაროთ რჩევით და მასალებით, მაშინ ცალკე ვეკილი აღარ დაგვეჭირდებაო. ეს რჩევა მით უფრო მისაღებად ჩანდა, რომ საკუთარი ადვოკატის აყვანა ძვირი დაჯდებოდა. სამაგიეროდ, ექვთიმეს ცდა არ დაუკლია, რომ სასარგებლო რჩევები მიეცა ჟოდონისა და მისი ვეკილისათვის.

⁴⁶ ამ ორი ვეკილიდან პირველის მოვალეობაა სასამართლო პროცესისათვის საქმის შემზადება, მეორე კი თვითონ გამოდის პროცესზე.

⁴⁷ საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1920 წლის 31 დეკემბერს მიღებული „დეკრეტი ყოფილი უკანაღლებულესი თავადის ნიკოლოზ მინგრელსკის ქონების ჩამორთმევისა“.

ექვთიმეს კონსულტაციებმა, როგორც ჩანს, საკმაო გავლენა მოახდინა ჟოდონის ვეკილზე და, შემდეგ, სასამართლოს დადგენილებაზე. ეს გავლენა ამჩნევია უკვე ჟოდონის წინასწარ პასუხს ობოლენსკაიას სარჩელზე. ცხადია, ქართველთაგან მომდინარეობდა ის არგუმენტი, რომ დადიანისეული ქონება საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 31 დეკემბრის დეკრეტის ძალით საქართველოს მუზეუმებს ეკუთვნის.

ობოლენსკაიას მეორედ აღძრული პროცესი ორჯერ გადადებულა: როგორც ჩანს, იგი დაუნიშნიათ 1940 წლის ნოემბერში და 18 დეკემბრისათვის გადაუდვიათ; შემდეგ, ობოლენსკაიას ვეკილის თხოვნით, გადაუდვიათ 1941 წლის 5 თებერვლისათვის. ამ დღეს საქმე გაურჩევიათ, ხოლო განაჩენი გამოუცხადებიათ 19 თებერვალს.

როგორც შეიტყო ექვთიმემ პარიზიდან მიღებული წერილიდან სასამართლოს „მიუღებლად“ უცვნია მინგრელსკაია-ობოლენსკაიას სარჩელი და გამოუტანია ასეთი განაჩენი: „სასამართლო თვლის, რომ ვინაიდან მინგრელსკის ქონება საფრანგეთის სახელმწიფოს მიერ ცნობილ სუვერენულ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულია ამ სუვერენული სახელმწიფოს საკუთრებად, სენის დეპარტამენტის სასამართლოს შესაძლებლად არ მიაჩნია კანონიერად სცნოს ეს მოთხოვნა“ (ე. ი. ობოლენსკაიას პრეტენზია).

ექვთიმეს არქივმა არ შემოგვინახა სასამართლოს სრული განაჩენი (ისევე, როგორც პირველი პროცესის დროს გამოტანილი „რეფერეს ორდონანსი“), მაგრამ ექვთიმეს მიერ პარიზიდან მიღებულ წერილში გადმოცემული ძირითადი შინაარსი ამ განაჩენისა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სენის დეპარტამენტის სასამართლო მთლიანად დაყრდნობია, ჟოდონის მიერ წაროდგენილი წინასწარი პასუხის არგუმენტაციას, ჟოდონს და მის ვეკილს კი უსესხიათ თავიანთი მთავარი არგუმენტი ექვთიმესაგან და ქართველთა ვეკილ-ავეუ პომარესაგან.

ობოლენსკაიამ მეორედაც წააგო პროცესი. მაგრამ აქ ყველაზე უფრო საყურადღებოა თვით სასამართლოს პოზიცია და მის მიერ საკუთარ განაჩენთა არგუმენტაცია — ორივეჯერ ნასესხები ჟოდონისაგან. პირველად (1934 წლის 8 მაისის „რეფერეს განაჩენი“) სასამართლომ გადაწყვიტა საქმე ამ ფრანგი მოხელის, ე. ი., არსებითად, საფრანგეთის მთავრობის სასარგებლოდ იმ მოტივით, რომ საქართველოს მთავრობა „ალარ არსებობს“, და, მაშასადამე, მისი ქონება განხილული უნდა იქნეს, როგორც „უპატრონოდ დარჩენილი რუსული ქონება“; მეორედ სასამართლომ გადაწყვიტა საქმე (1941 წლის 19 თებერვლის განაჩენი) იმავე ჟოდონის სასარგებლოდ იმ მოტივით, რომ განძი ეკუთვნის ქართველ ერს — საფრანგეთის სახელმწიფოს მიერ ცნობილ სუვერენულ სახელმწიფოს.

სასამართლო, ცხადია, არ ჩაუკვირდა იმას, რომ ეს ორი არგუმენტი ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტის საფუძველზე სასამართლომ ორივეჯერ გადაწყვიტა საქმე საფრანგეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ.

პროცესის დასრულებისას პომარეს გამოუთქვამს მოსაზრება: საეჭვოა მომჩივანმა გადაიტანოს საქმე უმაღლეს ინსტანციაში და, გინდაც გადაიტანოს, საეჭვოა ამ ინსტანციამ გააუქმოს პირველი ინსტანციის დადგენილებაო.

შ. პომარეს ეს მოსაზრება სავსებით გამართლდა. ამგვარად განძეულობის ნაწილის ხელყოფის ცდა მინგრელსკის ჩამომავლისაგან უნაყოფოდ დასრულდა. პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ როგორც ს. ობოლენსკაია, ისევე ეს საქმოსნები, ვინც ამ პროცესზე ბლომად ხარჯავდნენ ფულს⁴⁸.

მაგრამ, ამავე დროს, სასამართლომ ნაკლებ იზრუნა ქართველი ერის ინტერესებზე: ფრანგულმა სასამართლომ არგუმენტად კი გამოიყენა ობოლენსკაიას წინააღმდეგ ქართველი ერის „სუვერენობა“, მაგრამ ამ „სუვერენული ერისათვის“ მისი საუნჯის დაბრუნებას საფრანგეთის მთავრობა სრულიადაც არ აპირებდა.

მიუხედავად ამისა, ექვთიმეს და სხვა ქართველთა სიხარული სასამართლოს გადაწყვეტილების გამო მაინც სავსებით გასაგებია: კიდევ რჩებოდა რაღაც იმედი განძის სამშობლოსათვის დაბრუნებისა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ განძის მნიშვნელოვანი ნაწილი ხელში ჩაუვარდებოდათ ნიკო მინგრელსკის მეშვეობით და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ საქმოსნებს, მაშინ განძის ეს ნაწილი სამუდამოდ დაკარგული იქნებოდა სამშობლოსათვის.

ჩვენი საქმისათვის ყოღონმა მაშინ ფრიალ დადებითი როლი შეასრულა და ექვთიმემაც მაღალი შეფასება მისცა მის ამ დამსახურებას⁴⁹.

⁴⁸ „საქუელაინტებმა დიდი ფული დახარჯეს ობოლენსკის ქერივის დასახმარებლად, იმ იმედით, რომ პროცესს მოიგებენ და ერთი ათად მერ თანხას აიღებენ. — იხსენებს ექვთიმე თავის 1952 წლის ნოემბრის მოგონებაში. — ერთი მათგანი სიკვდილითაც შემუქრებოდა. პროცესის წაგების შემდეგ ობოლენსკის ქერივი გერმანიაში გაიპარა, საეკულიანტები კი ხელცარიელნი დარჩნენ“.

⁴⁹ საქართველოს წარმომადგენლების მიერ განძის ჩაბარების შემდეგ ექვთიმე გაცილებით უფრო დასახურება ჩვენი საუნჯის გადარჩენის საქმეში და 1945 წლის 28 თებერვალს მადლიერების გრძნობით აღსავე წერილი მისწერა მას. ამ წერილში ექვთიმე, სხვათა შორის, სწერდა ყოღონს: „... თქვენ არა მარტო გამოიჩინეთ მათზე (მუზეუმთან ნიეთებზე, განძზე — ვ. ე.) განსაკუთრებული მზრუნველობა, არამედ, აგრეთვე, თქვენ დაიკვირეთ კიდევ ისინი პრეტენზიებისაგან ზოგიერთ პირთა, რომელთაც სურდათ ხელთ ეგდოთ ამ ქონების ნაწილი. თავად ობოლენსკაისთან [სასამართლო] პროცესის დროს, თქვენმა მკაფიო და მიუღვამელმა ჩვენებამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესის მსვლელობაში“

ყურადღებას იქცევს ობოლენსკიას საქმესთან დაკავშირებით პარიზიდან ექვთიმესათვის გაგზავნილი ერთი წერილი, დათარიღებული 1941 წლის 20 თებერვლით, რომელიც ბოლოვდება ცნობით განძის ადგილმდებარეობის შეცვლის შესახებ: „თვით განძეულობა ბანკიდან ნაციონალურ ბიბლიოთეკაში გადაუტანიათ, რადგან ბანკში შენახვა ძვირი ჯდებოდა“.

მაგრამ, როგორც ჩანს, ყოდონს სხვა მოტივები ამოძრავებდა, როდესაც განძი საფრანგეთის ბანკის პარიზში მდებარე შენობიდან სხვაგან გადაუტანია. ამ მხრივ საყურადღებო ცნობას შეიცავენ მოგონებანი იმ ქართველებისა, რომელნიც პარიზში ცხოვრობდნენ ომის წლებში და გაგვიზიარეს ის, რაც მათ იქ ყოფნაში სმენიათ განძის შესახებ: გიორგი გეგელია, რომელმაც 20 წელზე მეტი დაყო საფრანგეთში და აქტიური მონაწილეობა მიიღო ანტიჰიტლერული წინააღმდეგობის მოძრაობაში; აკაკი ნიჟარაძე, რომელიც 1944 წლის დამლევს მოხვდა საფრანგეთში და იქ ცხოვრობდა 1947 წლის დამთავრებამდე; კოლია (პოლიკარპე) შელაძე, ქართველი მუშა, მანქანათმშენებელი ქარხნის ოსტატი, რომელიც ომის წლებში მოხვდა საფრანგეთში და სამშობლოში დაბრუნდა ომის დასრულების შემდეგ, 1945 წელს. ქვემოთ ვნახავთ, რომ სამივე არა მარტო ცხოვრობდა იმ დროს საფრანგეთში, არამედ თვითონაც უშუალოდ მონაწილეობდა განძის საბჭოთა წარმომადგენლობისათვის გადმობარებაში.

გ. გეგელიას სმენია, რომ „ომის დაწყებისას ყოდონს გადაუტანია განძი ვერსალის ნაციონალური ბიბლიოთეკის სარდაფში, სადაც იგი გადაუმალიათ. ბიბლიოთეკის თანამშრომლებს განძი იატაკზე დაუწყვიათ და ზედ დაუყრიათ ღორღი და ყოველგვარი ნაგავი — ნაფოტები, წიგნის ნაფლეთები, მომეტებულად საამშენებლო ნაგავი...“ როგორც ეს პ. შარიამ გაიხსენა (1973 წლის აპრილში), ექვთიმეს უამბუნია მისთვის, რომ ყოდონს სათანადო რჩევა მისცა მან, ექვთიმეშ. ექვთიმე ამ მიზნით ჩასულა ვერსალში და იქ სამი დღე დაუყვია.

ა. ნიჟარაძეს სმენია, რომ „როდესაც ომი დაწყებულა, ყოდონს განძეულობა გადაუმალავს: მოუთავსებია ვერსალის ეროვნული ბიბლიოთეკის დეპო-სეიფებში, ბიბლიოთეკის ქვედა სართულზე...“ მას გაუცვნია განძის მცველი პ. ყოდონი 1944 წლის დამლევს. იგი იმ დროს ხანში შესული კაცი ყოფილა. „დიდებული კაცი იყო“ — იხსენებდა მის შესახებ ა. ნიჟარაძე.

ცხადია, განძი იატაკზე კი არ ეყარა, არამედ ელაგა ყუთებში, რომლებითაც იგი პარიზიდან ვერსალში გადაიტანეს. კ. მელაძეს თა-

ვისი თვალით უნახავს, რომ განძი ელაგა ვერსალის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქვედა სართულზე, ერთ დარბაზში, დიდ ყუთებში. თითო ყუთის სიგრძე ყოფილა დაახლოებით ერთი მეტრი, სიგანე და სიმაღლე — 80 სანტიმეტრი.

რასაკვირველია, იმ დროს, როცა კ. მელაძეს უნახავს ეს ყუთები (1944 წლის დამლევით), ისინი ღორღისა და ნაგავისაგან უკვე გაწმენდილი იყვნენ. ცხადია, ეს ის ყუთები არაა, რომლებშიც ნივთები ელაგა საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებაში, რადგან იმ ყუთებიდან განძეულობა ამოალაგეს პარიზში 1934 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში და დაალაგეს ბანკის ერთი მომცრო დარბაზის თაროებზე, სადაც, როგორც უკვე ვახსენეთ, უნახავთ განძი ე. თაყაიშვილს და ემიგრანტული „მთავრობის“ წარმომადგენლებს.

როგორც ჩანს, ან 1940 წლის დამლევს, ან 1941 წლის დამდეგს, პიტლერელთა ოკუპაციის ეპოქაში, ჟოდონმა პარიზის ბანკის ამ თაროებიდან გადააწყო ბინა განძეულობა იმ დიდ ყუთებში, რომლებიც საკუთარი თვალთა ნახეს გ. გეგელიამ, ა. ნიჟარაძემ და კ. მელაძემ, და გადაამალა ვერსალის ბიბლიოთეკის ქვედა სართულზე თუ სარდაფში, ნაგვისა და ღორღის ქვეშ.

ორიოდე სიტყვა იმ შენობის შესახებ, რომელიც ომის წლებში იქცა ჩვენი საუნჯის თავშესაფრად. ესაა ვერსალის ნაციონალური ბიბლიოთეკა, რომელიც წარმოდგენს საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. სწორედ ამ ბიბლიოთეკის შენობაში მოუთავსებია ჩვენი საუნჯე პიერ ჟოდონს. ზემოხსენებულ ჩვენებებს ადასტურებს განძის საბჭოთა წარმომადგენლობისათვის გადმობარების ოქმი, დათარიღებული 1944 წლის 9 დეკემბრით, რომელშიც აღნიშნულია, რომ „... ვერსალში, ნაციონალური ბიბლიოთეკის შენობაში, მონბორონის ქუჩაზე... ინახებოდა განძი...“. ვერსალის გეგმაზე მონბორონის ქუჩა აღნიშნულია ამ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. სამხრეთით იგი უკავშირდება პარიზის პროსპექტს, ჩრდილოეთით — სენ-კლუს პროსპექტს. ამ ქუჩის აღმოსავლეთით გეგმაზე აღნიშნულია მონბორონის სტადიონი.

მაშასადამე, ქართული განძი დაცული ყოფილა ქ. ვერსალში, მონბორონის ქუჩაზე მდებარე ნაციონალური ბიბლიოთეკის ქვედა სართულის დარბაზში.

რად გადამალეს ჩვენი საუნჯით დატვირთული ყუთები? რად დააყარეს მათ ნაგავი და ღორღი? ვის უმაღლედნენ განძს?

პიტლერელ ოკუპანტებს, რომელთაც მოუწადინებიათ ქართული საუნჯის დაუფლება და გერმანიაში გატანა.

ე. თაყაიშვილის არჩევმა შემოგვინახა ექვთიმეს მოგონება პიტლერელი ოკუპანტების მიერ მის ბინაზე მოწყობილი ჩხრეკისა და,

საერთოდ, პიტლერული ოკუპაციის პერიოდზე. მოგონება ჩაწერილი უნდა იყოს ექვთიმეს კარნახით, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მისი ცხოვრების ბოლო წლებში.

ამ მოგონების ბოლოს ექვთიმემ შემდეგი გაიხსენა: „ბოლოს და ბოლოს გერმანელებმა მოინდომეს განძეულობის მოთხოვნა საფრანგეთის მთავრობისაგან და ბერლინში გადატანა. კიდეც გამართეს მოლაპარაკება...“. შემდეგ ექვთიმემ გაიხსენა, რომ მას დაუხმარებია ზოგიერთი ქართველი ემიგრანტი, რომელთაც მხარი დაუჭვრიათ ექვთიმესათვის. ზურაბ ავალიშვილმაც მხარი დამიჭირა, — იხსენებს ექვთიმე, — და არწმუნებდა გერმანელებს: ეს მართო საქართველოსათვის არის საჭირო, როგორც ისტორიული საბუთი და არა სხვებისთვის...“.

ექვთიმეს ამ მოგონებას აესებს გ. გეგელიას და აკ. ნიჟარაძის მოგონებანი.

გ. გეგელიას სმენია, რომ, მიუხედავად განძის გადამალვისა, პიტლერულ ოკუპანტებს მაინც შეუტყვიათ ქართული საუნჯის შესახებ. 1942 წელს ან 1943 წლის დამდეგს მათ დაუბრუნებიათ ჟოდონი, რომელზედაც მიუთითებია გამცემს. „ჟოდონს განუცხადებია გერმანელებისათვის: ქონება სასამართლო წესითა მაქვს ჩაბარებული და სად წაიღეს ბანკიდან, არ ვიციო...“.

„გერმანელებს შეუტყვიათ, არ ვიცი კი რა გზით, — იხსენებს აკ. ნიჟარაძე, — განძის არსებობის შესახებ და ეძებდნენ მას. რამდენჯერმე გამოუხშიათ ჟოდონი, მაგრამ მას არ ვაუცია განძის სამყოფელი ადგილი“. ჟოდონს უთქვამს ა. ნიჟარაძისათვის: „პირდაპირ მაწამეს, მეკითხებოდნენ სად იყო განძი, მაგრამ ვუთხარი, არაფერი ვიცი, არავითარი ქონება ჩემთან არ არის-მეთქი... ქართველთა შორის არაფერი გამოჩნდა ისეთი, რომ ვაეცა განძი...“

ე. თაყაიშვილის, გ. გეგელიას და აკ. ნიჟარაძის ამ მოგონებებიდან ჩანს, რომ პიტლერული ოკუპაციის დროს ქართველი ემიგრაცია ერთსულოვანი არ ყოფილა: ნაწილი, ნაციისტური ორიენტაციის მქონე ქართველთაგან (საფიქრბელია, უფრო ისინი, ვინც გერმანიაში ცხოვრობდა) მომხრენიც კი ყოფილან იმისა, რომ განძეულობა საფრანგეთიდან გერმანიაში გაეტანათ. მაგრამ გავლენიანი პარიზელი ემიგრანტები, მათ შორის ექვთიმეს მიერ შთაგონებულნი, ამას წინ აღდგომიან. სწორედ ამ განწყობილებამ ათქმევინა სიცრუე ქართველ ისტორიკოს ზურაბ ავალიშვილს, რომელიც უმტკიცებდა პიტლერულ ოკუპანტებს, ვითომც ჩვენს საუნჯეს მხოლოდ ვიწრო ქართული და არა მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა...“

საფიქრბელია, სწორედ პიტლერული ორიენტაციის მქონე რომელიღაც პირის მიერ დასმენილი ჟოდონი გამოუხშიათ ოკუპანტებს

და შრომთხოვრათ მისგან ქართული განძეულობის გაცემა⁵⁰. ფრანგ მოხელეს დიდი სულიერი სიმტკიცე გამოუჩენია, არ გაუცია განძეულობის სამყოფელი ადგილი — ვერსალის ნაციონალური ბიბლიოთეკა. ბოლო იმ პარიზულ ქართველთა შორის, რომელთათვისაც ცნობილი იყო ეს სამალავი, გამცემი არ გამოჩენილა.

დიდ მოწონებას იმსახურებს ფრანგი მოხელის პიერ ჟოდონის სიმტკიცე, რომელიც შეიძლება მთავარი მიზეზიცაა განძის გადარჩენისა, რადგან ნაცისტ ოკუპანტებს რომ მიეგნოთ განძისათვის და დაეყნოსათ მისი მნიშვნელობა და რაობა, არა გვეგონია მათ ზურაბ ავალიშვილის კეთილშობილი სიცრუისათვის დაეჯერებინათ! ცხადია, ფრანგი პატრიოტი ჟოდონი ზრუნავდა ამ შემთხვევაში არა ქართველი ერის, არამედ საფრანგეთის ინტერესებზე, რადგან განძეულობას თვლიდა თავისი ქვეყნის კუთვნილებად და ეს, არსებითად, ასეც იყო. მაგრამ ჩვენ მაინც დიდად მადლიერნი უნდა ვიყოთ ამ ფრანგის სიმტკიცისა, რადგან უმთავრესად სწორედ მისმა ფრანგულმა პატრიოტიზმმა გადაარჩინა ჩვენი ქართული ეროვნული საუნჯე პიტლერელთა კლანჭებს.

როგორც ჩანს, ჟოდონს გამოუყენებია იგივე „არგუმენტი“, რაც ზ. ავალიშვილს, მას განზრახ დაუმცირებია ოკუპანტთა თვალში ქართული განძის მნიშვნელობა: ამ განძს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ქართველებისა და მათი კულტურისათვის, არ გააჩნია არც მსოფლიო კულტურული და არც განსაკუთრებული მატერიალური ღირებულებაო⁵¹.

⁵⁰ საკლებით დასაშვებია, რომ აქ რაიმე „დასმენასა“ და „გაცემას“ არცა ჰქონია ადგილი. საკმე ისაა, რომ ობოლენსკაიას პროცესმა ძალიან გაახმაურა ჩვენი საუნჯის ამბავი და, რასაკვირველია, ეს არ შეიძლება არ მისულიყო პიტლერელ ოკუპანტთა ყურამდე; ხოლო თუ ნამდვილად ასეა, ეტყობა სწორედ ეს გარემოება აიძულებდა ექვთიმესა და ჟოდონს ეზრუნათ განძის გადამალვაზე, ამ სასამართლო პროცესის დასრულებამდე, ესე იგი, 1940 წლის დამდეგს ან 1941 წლის დამდეგს.

⁵¹ ჟოდონის განსაკუთრებული დამსახურების შესახებ ჩვენი განძის პიტლერელთაგან დახსნის საქმეში ექვთიმე ზემოხსენებულ, 1945 წლის 28 თებერვლით დათარიღებულ წერილში შემდეგსა სწერს ჟოდონს: „... განსაკუთრებით დავალებული ვართ თქვენგან იმით, რომ ეს ნივთები (ლაპარაკია განძზე—გ. ე.) არ ჩაუვარდათ ხელში იმათ, ვისაც ოთხი წლის განმავლობაში ეპყრათ საფრანგეთი და რომელნიც მოითხოვდნენ თქვენგან ყველა საჭირო ცნობას იმ საგნებზე, რომელთაც იცავდით. თქვენ მოახერხეთ დაგერწმუნებინათ ისინი (ოკუპანტები—გ. ე.), რომ ამ ნივთებს ჰქონდა ღირებულება მხოლოდ ქართველი ხალხისათვის და მისი კულტურისათვის, მაგრამ არ წარმოადგენდნენ არაერთგანსაკუთრებულ მატერიალურ ღირებულებას...“

მაგრამ, ცხადია, მართო ასეთ „არგუმენტებს“ ვერ დაეყრდნობოდნენ. ამიტომ განძი გადამაღეს კიდეც. ეტყობა ოკუპანტები დაჟინებით ეწეოდნენ ჟოლონის დაკითხვას, მაგრამ ამაოდ.

როდის ეძებდნენ ჰიტლერელი ოკუპანტები ჩვენს საუნჯეს? გ. გეგელიას მოგონების თანახმად, ეს უნდა მომხდარიყო 1942 წელს ან 1943 წლის დამდეგს. თუ ეს ასეა, მაშინ ამ ძიებას ადგილი ჰქონია ნაცისტური ოკუპაციის უმძიმეს პერიოდში.

როგორც ცნობილია, 1940 წლის 22 ივნისის კომპიენის დაზავების შემდეგ საფრანგეთის ორი მესამედი, მისი მთელი ჩრდილო ნაწილი პარიზითურთ ოკუპირებული იყო ჰიტლერელების მიერ. მაგრამ „საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაური“ პეტენის ხელმძღვანელობით მოქმედი ვიშის მთავრობა თუ კიდეც ინარჩუნებდა რაღაც „დამოუკიდებლობის“ ნასახს, მდგომარეობა საფუძვლიანად შეიცვალა იმ დროიდან, რაც მთავრობის მეთაურად ფაქტიურად შეიქმნა ჰიტლერელთა ყურმოჭრილი ყმა — პიერ ლავალი, რომელსაც ივლისიდან ეკავა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის (ვიცე-პრეზიდენტის) პოსტი. 13 დეკემბერს პეტენმა შეცვალა ლავალი ამ პოსტზე აღმირალი დარღვრებით და დააპატიმრებინა კიდეც ლავალი. მაგრამ ჰიტლერული გერმანიის შესეუერთა მოთხოვნით პეტენი არა მართო იძულებული შეიქნა გაეთავისუფლებინა მოლაღატე, არამედ 1942 წლის 18 აპრილს დაენიშნა იგი „მთავრობის თავმჯდომარედ“. ამის შემდეგ, არსებითად, ლავალი მართადა საფრანგეთის საქმეებს ორ წელზე მეტ ხანს, ვიშის „მთავრობის“ აღსასრულამდე⁵². ფრანგი ხალხის შეუპოვარ და გამირულ ბრძოლას, რომელშიც თვალსაჩინო როლს ფრანგი კომუნისტები ასრულებდნენ, ოკუპანტები და ვიშისტები უპასუხებდნენ მძინვარე ტერორით.

კიდეც უფრო გაუარესდა ფრანგი პატრიოტების მდგომარეობა მსოფლიო ომში მომხდარ გარდატეხასთან დაკავშირებით. ეს გარდატეხა დაკავშირებულია იმ ძლიერ დარტყმებთან, რომელნიც იგემეს ჰიტლერელებმა და მათმა სატელიტებმა საბჭოთა კავშირთან ბრძოლაში.

სტალინგრადის ბრძოლების (1942 წლის ივლისი — 1943 წლის თებერვალი) პერიოდში, როდესაც ჰიტლერელების მძაფრი, გააფთრებული შეტევა თავის აღსასრულს უახლოვდებოდა და აშკარა იყო ბრძოლაში დიდი გარდატეხის მოახლოება, მოკავშირეებმა გადასხეს თავიანთი სამხედრო ძალები საფრანგეთის ჩრდილო აფრიკაში (1942 წლის 8 ნოემბერი).

⁵² 1944 წლის სექტემბერში ლავალი გაიქცა ვიშიდან, მაგრამ, შეპყრობილი მოკავშირეთა მიერ, წარსდგა სასამართლოს წინაშე და 1945 წლის 15 ოქტომბერს დახვრიტეს.

ამის საპასუხოდ გერმანელი პიტლერელებისა და იტალიელი ფაშისტების ჯარები, ლავალისა და მისი დამქაშების ხელშეწყობით, შეიჭრნენ მანამდე არაოკუპირებულ სამხრეთ საფრანგეთში (9 ნოემბერი). ახლა უკვე მთელი საფრანგეთი მოექცა საოკუპაციო რეჟიმის — პიტლერელთა ჩექმის ქვეშ. განვლო ამის შემდეგ ათმა დღემ და სტალინ-გრადთან საბჭოთა არმიამ დაიწყო ძლიერი კონტრშეტევა (19 ნოემბერი). ფრანგი პატრიოტების მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. მეტად გაძნელდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა მდგომარეობა; სამაგიეროდ, გაიზარდა იმედი ხსნისა: აღმოსავლეთიდან საფრანგეთში მოდიოდა ახალ-ახალი ცნობები, რაც აღაფრთოვანებდა ფრანგ პატრიოტებს და თავზარსა სცემდა პიტლერელებსა და ფრანგ კოლაბორაციონისტებს. რაც უფრო ახლოვდებოდა დღე მათი განკითხვისა, მით უფრო იზრდებოდა მათი გააფთოება და მძვინვარება

ფრანგი პატრიოტების დევნასთან ერთად, ნაცისტები ოკუპანტები უნდობლობით იყენენ განწყობილნი საფრანგეთში მცხოვრებ სხვა ეროვნების ხალხის მიმართაც, შიშითა და ეჭვით უთვალთვალებდნენ ყველას — ფრანგებსაც და არაფრანგებსაც. ეჭვმიტანილთა შორის ექვთიმე თაყაიშვილიც კი მოხვედრილა.

ზემონსენებულ მოგონებაში ექვთიმემ შემდეგი გაიხსენა: „პირველად რომ გერმანელები მივიდნენ პარიზში, იმ დროს კომისია მოვიდა ჩემთან გასაჩხრეკად. სულ სამი კაცი იყო: ერთი — სამხედრო პირი, პოლკოვნიკი, მეორე — სამოქალაქო პირი, გამომძიებელი და მესამე — მათი დამხმარე. მე შედგა ჩემს ოთახებში დიდი ყუთები საეკლესიო ნივთებისა და სხვა საარქეოლოგიო საგნებისა პირველად მომთხოვეს ერთი ყუთის გახსნა, სადაც საეკლესიო ნივთები იყო. გავხსენი და ვაჩვენე პოლკოვნიკს. ერთი-ორი საგნის გასინჯვის შემდეგ მან ხელი დამიქნია, დახურეთო. ამ დროს გამომძიებელი სინჯავდა მენშევიკების საბუთებს და ნახა მიწერ-მოწერა მეორე ინტერნაციონალთან. ამან დააინტერესა გამომძიებელი და დაარწმუნა, რომ ჩვენ ყველანი სოციალისტები ვართ. მაშინ უთხრა პოლკოვნიკს: მეორე ყუთიც გასინჯეთო. გავუხსენი მეორე ყუთი და ვაჩვენე, რაც პირველად ჩელში შემხვდა — ნაპოლეონ პირველის პატარა ქანდაკება. პოლკოვნიკმა ხელი გააქნია, თვითონ დახურა ყუთი. მე მას ვუთხარი: მეორე ინტერნაციონალთან მიწერ-მოწერას ჩვენი მთავრობა აწარმოებს. მე მიმართულებით სოციალისტი არა ვარ, არამედ ნაციონალ-დემოკრატი და არქეოლოგიას ვემსახურები-მეთქი, ჩვენი მთავრობა, რაკი სოციალის-

ტებია ისინი, რა თქმა უნდა, მეორე ინტერნაციონალთან აქვთ მიწერ-
მოწერა-მეთქი. სხვა იქ ვერაფერი ნახეს და წავიდნენ.“

ა. ნიჟარაძის მოწმობით, ე. თაყაიშვილთან ჩხრეკა ოკუპანტებს
მოუწყვიათ „ისევე, როგორც ჩხრეკდნენ სხვა ქართველებსაც: ეძებ-
დნენ მარქსისტულ ლიტერატურას...“. მაგრამ, შესაძლებელია,
როგორც ეს თვითონ ექვთიმემ გაიხსენა, იგი დაასმინეს, თუ ეს ასეა,
უნდა ვიფიქროთ, რომ მოხუცი დაასმინა რომელიღაც ექვთიმესადმი
მტრულად განწყობილმა პირმა. შესაძლებელია ამ მტრული დამოკი-
დებულების მიზეზი იყო ექვთიმეს მტკიცე პოზიცია განძეულობის
საკითხში: მისი სურვილი დაებრუნებინა განძი საბჭოთა საქართვე-
ლოსათვის და ის წინააღმდეგობა, რაც მან და მისმა დამხმარე ქართ-
ველმა ემიგრანტებმა გასწიეს განძის გერმანიაში გატანის წინააღმდეგ.

შესაძლებელია, ნაცისტ ოკუპანტთა ეჭვი ექვთიმეს მიმართ სხვა
გარემოებამაც გააღვივა. მაგალითად, საფრანგეთის პარტიზან-
ული ანტიპიტლერული მოძრაობის აქტიური მონაწილე მანანა მჭე-
დლიშვილი ასე იხსენებს იმას, რაც მას სმენია ექვთიმეს ბინაზე მოწ-
ყობილი ჩხრეკის შესახებ: „ერთხელ ვიღამაც გამოაკრა ექვთიმეს
ჭიშკარზე სტალინის სურათი, ამიტომ გერმანელებმა ექვთიმეს
ბინაზე ჩხრეკა მოაწყვეს“.

საფიქრებელია, ეს მოხდა ნაცისტების მიერ განძის ძებნასთან
ერთდროულად, 1942 წლის ნოემბრის ამბების შემდეგ.

რა ყუთები და ნივთები გასინჯეს მჩხრეკაეებმა?

გაუსინჯიათ ექვთიმეს ბინაზე სულ ორი ყუთი. ამათგან პირველ-
ში, რომელშიც, როგორც ექვთიმე იხსენებს, ელაგა „საეკლესიო ნივთე-
ბი“, ცხადია იყო C კატეგორიის ერთ-ერთი იმ ექვს ყუთთაგანი,
რომელნიც დახურული რუსული ეკლესიების ქონებას შეიცავდა და
ექვთიმეს ბინაში ელაგა; მეორე ყუთი, რომელშიაც „ალმოაჩინეს“
ნაპოლეონის „პატარა ქანდაკება“, ეჭვი არაა იყო S 14 ყუთი, რომელ-
შიაც, უცხოეთში გადატანილი ქონების სიების მიხედვით, ესვენა
ბორჯომის სასახლიდან გამოტანილი ცხენზე ამხედრებული ნაპოლეო-
ნის ბრინჯაოს ქანდაკება, თანაც ნაპოლეონის ცხენს ფეხები გატეხი-
ლი ჰქონია. როცა ექვთიმეს უჩვენებია ეს ნივთი, ობერსტს ხელი გა-
უქნევია და თვითონ დაუხურავს ყუთი

მჩხრეკაეები დარწმუნდნენ, რომ არც ექვთიმე, არც მის ბინაზე
დაცული ყუთების ქონება არ წარმოადგენდნენ პიტლერელებისათვის
რაიმე „საფრთხეს“ და თავი მიანებეს მოხუცს... ასე სამარცხეინოდ
დამთავრდა დამსმენთათვის ექვთიმეს წინააღმდეგ შეთითხნილი
„ბრალდება“.

პიტლერელ ოკუპანტთა კლანჭებს გადაურჩნენ ქართული საუნჯეც
და მისი ერთგული მცველიც. მიუხედავად ამისა, ექვთიმეზე ალბათ ამ

ჩხრეკამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა: მოხუცი მოელოდა ახალ-ახალ მუხანათობას და გამუდმებულ შიშში იმყოფებოდა, ამავე დროს იგი დიდ ხელმოკლეობას განიცდიდა, მაგრამ მაინც გულს არ იტეხდა⁵³.

როგორც ეტყობა, ექვთიმე არ დარჩენილა გულგრილი სახალხო ანტიპიტლერული მოძრაობის მიმართ. იგი თანაგრძნობით ყოფილა გამსჭვალული ფრანგი ხალხის წინააღმდეგობის მოძრაობის მიმართ, თანაუგრძნობდა მას, ზრუნავდა თურმე იმ ქართველებზე, რომელნიც მონაწილეობდნენ ამ მოძრაობაში. ამის დამადასტურებელია ექვთიმეს ურთიერთობა მანანა მჭედლიშვილთან*. ეს გვირი ქართველი ქალი, საფრანგეთის პარტიზანული მოძრაობის მონაწილე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სიყვარულით იხსენებდა მოხუც მეცნიერს ... მანანა მონაწილე იყო დიდი სამამულო ომისა, იგი — წითელი არმიის ექთან — ჩრდილო კავკასიის ფრონტზე, ბრძოლის ველზე დაჭრილი მებრძოლების მოვლა-პატრონობისას 1943 წლის ივლისის დამლევის ტყვედ იგდეს პიტლერელებმა და სხვა საბჭოთა ტყვეებთან ერთად, უკან დახვევისას, მიერეკებოდნენ დასავლეთისაკენ. ბოლოს, როგორც ნაკლებად სანდო ტყვე, გაგზავნეს საფრანგეთში. პარიზში ჩასვლისას, როდესაც მატარებელი საფრანგეთის დედაქალაქს უახლოვდებოდა, მანანამ მოახერხა ტყვეთა ეშელონიდან გაპარვა და პარიზელი ქართველების, განსაკუთრებით კი ელენე ფერაძის დახმარებით — დამალვა⁵⁴.

⁵³ ი. მეგრელიძე იხსენებს: „ექვთიმე თაყაიშვილის უთქვამს ჩემთვის: გერმანელების მიერ საფრანგეთის აღების შემდეგ მუდმივ ტერორისა და შიშის ქვეშ ვიყავი, აღარც საარსებო საშუალება მქონდა. ასეთი ვაპირების დროსაც კი არამც თუ სახელმწიფო ნივთი, რომელსაც ვეღარც მივიღებდი სეიფიდან, არამედ ჩემი საკუთარი ისტორიული ნივთებიც არ გამოიყლიდა, თუმცა მქონდა ისეთი ნუმისმატიკური ერთეულები, რომ შეიძლება დავამდიდრებულყავი... დაწყვეტილი მყავდა, განაგრძობდა ექვთიმე, ყოველი ის ქართველი, რომელიც ისტორიულ ნივთს სამშობლოს დაუქარგავდა. გამოცხადებული მქონდა, რომ ასეთი ნივთი ჩემთან უნდა მოეტანათ, და თუ ვერ შევიძენდი, მფლობელს მხოლოდ შემდეგ შეეძლო მისი უცხოელზე გაყიდვა“ ...

* მანანა ვასილის ასული მჭედლიშვილის, სამშობლოში მისი დაბრუნების შემდეგ საგარეოელი ექვთიმის, მოგონებები პირველად ჩაიწერა 1963 წელს გ. ლომთათიძემ, მეორედ ჩაიწერეთ ჩვენ 1973 წლის 27 მაისს ნინო ლორაბერიძისა და თბილისელი ინჟინრის ელენე მახარაძის დახმარებით და ამ უკანასკნელის ინიციატივით.

⁵⁴ ელენე ფერაძე და მისი მუდმივ მიხილ ცაგარეიშვილი, რომელთაც საკუთარი რესტორანი მქონდათ პარიზში, დიდ მხრუნველობას იჩენდნენ ქართველი საბჭოთა ტყვეებისა და ანტიპიტლერული მოძრაობის მონაწილეების მიმართ. როგორც გადმოგვცემენ, 1944 წლის აგვისტოს ბრძოლების დროს პარიზში მათ რესტორანში უფასოდ იკვებებოდა არაერთი ქართველი მებრძოლი. ბოლო დროს ელ. ფერაძის რესტორანი მდებარეობდა ლონეუბოში — პარიზიდან სამხრეთით, 19 კილომეტრის დაშორებით, ხოლო, როგორც ეს გვაცნობა ამას წინათ პარიზიდან ჩამოსულმა ერთმა ქართველმა, ელენეს გარდაცვალების შემდეგ (1973 წელს) მისი რესტორანი გაყიდულა.

მანანა იხსენებდა, რომ. როდესაც ე. ფერაძეს იგი თავის სახლში შეუფარებია და იქ მას 11 დღე უცხოვრია, მასპინძელს უთქვამს მისთვის: — ლევილში ცხოვრობს მოხუცი პროფესორი თაყაიშვილი, უძლურია, მუდმივი მომვლელი არა ჰყავს, ხელი უკანკალებს, ვერა წერს; მიდი მიეხმარე, მოუარე და დაუწერეო.

მანანას ამ წინადადებაზე თანხმობა გამოუცხადებია.

ე. ფერაძეს მანანა ჩაუყვანია ლევილში 1943 წლის 11 დეკემბერს. ექვთიმეს უკვე შეეტყო მანანას შესახებ და ელოდა მას. იგი გადაეხვია თურმე მანანას, „შობლიურ მამასავით შემხვდამო“, — გაიხსენა მანანამ. მისი სიტყვით, მას ექვთიმეს ბინაზე ექვსი თვე უცხოვრია.

„ექვთიმე ძალიან ღარიბად ცხოვრობდა, — იხსენებს მანანა, — მას რიგ-რიგობით უვლიდნენ ქართველები, უსუფთაებდნენ, საჭმელს უმზადებდნენ. შინიდან ვერ გადიოდა, ფეხი სტკიოდა; მგონი ლევილში ხელმეორედ მოიტეხა. ხელი უკანკალებდა და წერა უჭირდა. მე კარნახით ვუწერდი ხოლმე. წიგნებს მაკითხებდა ექვთიმეს საჭმელს ვუკეთებდი, ვურეცხავდი. მას ორი ოთახი ჰქონდა. ერთში იდგა ხის საწოლი, რბილი სკამები, ერთი ტანსაცმლის კარადა, ორი მაგიდა — ერთი საწერი და მეორე — უბრალო, ეწყო დოქები და სხვა ჭურჭელი, ელაგა დიდი ყუთები. იმ ოთახში ეძინა ექვთიმეს. მეორე ოთახში იდგა წიგნებით სავეს თაროები, ერთი მაგიდა და ერთიც ხის სკამი. იქვე დამიდგეს მე საწოლი. ორივე ოთახში კედლებზე ეკიდა სურათები შეოქრული ჩარჩოებით.

ექვთიმეს ვუვლიდი როგორც მამას და მამასავით შემეყვარდა კიდეც. კარნახით მაწერინებდა ქართულად ისტორიულ თემებზე, საქართველოზე, აგრეთვე მიკარნახებდა, როცა ფრანგულიდან ქართულად თარგმნიდა.

ექვთიმესთან ბევრი ხალხი დაიარებოდა. მოდიოდნენ სანახავეად ბანაკებიდან ჩვენი ქართველი ტყვეები, ესაუბრებოდნენ მას“.

ლევილში ყოფნისას მანანა დაუკავშირდა „რუსი პატრიოტების კავშირის“⁵⁵ ერთ-ერთ ღრმა იატაკქვეშა ჯგუფს. ამ პარტიზანული

⁵⁵ „რუსი პატრიოტების კავშირი (Союз русских патриотов, შემოკლებით СРП) შეიქმნა 1943 წლის 3 ოქტომბერს, როგორც პროგრესულად, პატრიოტულად და პროსაბჭოურად განწყობილი რუსი ემიგრანტების ორგანიზაცია, რომელიც აქტიურად ჩაება „რუსისტანში“ — წინააღმდეგობის მოძრაობაში.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით იგი სცემდა ორ არალეგალურ გაზეთს — „რუს პატრიოტს“ და „საბჭოთა პატრიოტს“ (ეს უკანასკნელი განკუთვნილი იყო საბჭოთა საზღვრო ტყვეებისა და პარტიზანებისათვის). კავშირის მიზანი იყო ნაციონალურ საკონტენტრაციო ბანაკებში გამოშვებულ საბჭოთა ტყვეებს შორის პროპაგანდა, მათი გაქვეყნისათვის ხელშეწყობა, გაქცეულთა დაშლვა, კვება, სამოქალაქო ტანსაცმლით მოპარაგება, შემდეგ მათი დაკავშირება უკვე

ჯგუფის უფროსი ყოფილა მიხნევიჩი⁵⁶, მისი მოადგილე — ტიხონოვი, ხოლო შტაბის უფროსი — გიორგი გეგელია⁵⁷, რომელიც ძალიან თვალსაჩინო როლს ასრულებდა⁵⁸.

„ექვთიმესთან სამსახურისას, — იხსენებს მანანა, — ერთდროულად ვასრულებდი პარტიზანთა დავალებებს. დროდადრო მივიღიოდი პარტიზანებთან, მიქონდა მათთვის იარაღი, ტყვია-წამალი. . . პარტიზანებში წელიწად-ნახევარს ვიტრიალე. იმ პარტიზანების ჯგუფში

არსებულ ფრანგულ ან საბჭოურ პარტიზანულ რაზმებთან ანდა მათგან ახალი პარტიზანული რაზმების შედგენა. მოგვიანებით, 1944 წლის დამდეგს შეიქმნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მოქმედი ახალი მებრძოლი ორგანიზაცია — „საბჭოთა ტყვეების ცენტრალური კომიტეტი (Центральный комитет советских пленных, შემოკლებით ЦКСП), რომლის პერიოდულ ორგანოდაც იქცა „საბჭოთა პატრიოტი“. ამ ორგანიზაციებს შორის მკვიდრო კავშირი არსებობდა. „რუსი პატრიოტების კავშირის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი და პირველი ხელმძღვანელი იყო ი. მიხნევიჩი (ტარასიჩი). 1944 წელს კავშირის საერთო ხელმძღვანელობა დაეუალა ნ. ს. კაჩეას.

საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ „რუსი პატრიოტების კავშირმა“ (СРП) მიიღო ახალი სახელწოდება. „საბჭოთა პატრიოტების კავშირი“ («Союз советских патриотов», შემოკლებით — ССП, ფრანგულად — «Union des Patriotes Soviétiques»). მისი ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ იყო ი. მიხნევიჩი. იხ. კრებული — «Против общего врага. Советские люди во французском движении сопротивления»; под редакцией ген-майора И. В. Лютышкина. იხ. კრებულის შემდგენლის ნ. გ. ცირულნიკოვის შესავალი სტატია და წინადასმდევობის მოძრაობის მონაწილეების — ვ. კ. ტასკინისა და ი. ა. კრივოშენინის მოგონებანი, გვ. 24—25, 199, 200—203, 280—285.

⁵⁶ ი. მიხნევიჩი (ტარასიჩი) იყო „რუსი პატრიოტების კავშირის“ (ამ კავშირის შესახებ იხ. წინა შენიშვნა სქოლიოში) ერთ-ერთი ფუძემდებელი და პირველი ხელმძღვანელი; შემდეგ ამ კავშირის ერთ-ერთი დიდი საარაონო გაერთიანების „ინსტრუქტორი“ (ხელმძღვანელი). იხ. კრებული «Против общего врага», გვ. 24, 281—283.

საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ, როდესაც კავშირმა მიიღო „საბჭოთა პატრიოტების კავშირის“ სახელწოდება, ი. მიხნევიჩი იხსენიება მისი ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ (ასე აწერს ხელს მ. მკვლევნივილინათვის 1945 წლის 6 აგვისტოს გაცემულ დახასიათებას).

⁵⁷ გიორგი გეგელიას ანტიპიტლერულ მოღვაწეობაზე არაერთხელ ყოფილა დაწერილი. იხ., მაგალითად, С. Свердлин, Капитан не спускает флаг, Тб., 1969. მოთხრობათა მ კრებულში მოთავსებულია ს. სვერდლინისა და ე. ა. ხარაზოვის მოთხრობა: «Смерть смотрели в лицо» (გვ. 36—94), დაწერილი 1966 წელს, რომელშიც გ. გეგელიაზეა მოთხრობილი.

⁵⁸ როგორც ჩანს, მანანა მკვლევნივილი ჩაება ანტიპიტლერულ პარტიზანულ მოძრაობაში 1944 წლის თებერვლიდან, ე. ი. ლევილში დასახლებიდან ორი თვის შემდეგ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ლევილის მერის მიერ 1945 წლის 20 ივლისს მისთვის გატყვეული მოწმობის თანახმად მანანა ცხოვრობდა ლევილში 1944 წლის თებერვლიდან. სანუ ისაა, რომ ლევილის მერმა კომუნისტმა ჟან ოლივმა მანანას ეს მოწმობა გასცა შპინს, როდესაც მანანა ჩაება პარტიზანულ მოძრაობაში, და, ამის წყალობით, გაიცნო მანანანამ; ხოლო შემდეგ, მანანას მოწმობით, ოლივიცა და მისი მეუღლე მერაბელიც, ისიც კომუნისტი, ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს და ეხმარებოდნენ.

ჩემს მეტი ქართველი ქალი არავენ ყოფილა, ქართველი მამაკაცები იყვნენ, რვანი... ვაკრავდი პროკლამაციებს თეატრებისა და კინო-თეატრების შესასვლელებში, გზაჯვარედინებზე... დიდ დაბმარებას გვიწვედნენ ლევილის მერი ოლივი და მისი მეუღლე მერაბელი. ორივენი კომუნისტები იყვნენ...“

1943 წელს ფრანგი პატრიოტების იმედები გაიზარდა. ეს იმედები კვლავ დაკავშირებული იყო საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში მოპოვებულ გამარჯვებებთან. ეს წელი დაიწყო გმირი ქალაქი ლენინგრადის ბლოკადის გარღვევით (იანვარი), ხოლო დაგვირგვინდა ორიოლ-კურსკის გრანდიოზული ბრძოლით (ივლისი—აგვისტო), დნეპრის ბრძოლებით (აგვისტო—დეკემბერი), დნეპრის გამაგრებული ზღუდეების გადალახვითა და კიევის განთავისუფლებით (ნოემბერი) -

ერთდროულად ენერგიულად მოქმედებდნენ საფრანგეთის კოლონიების მიწა-წყალზე ფრანგი პატრიოტები გენერალ დე გოლის ხელმძღვანელობით. ფრანგული სამხედრო ნაწილები მოკავშირეთა ჯარების რიგებში აქტიურად ებრძოდნენ პიტლერულ არმიებს. „თავისუფალი ფრანგების ძალებმა“ გაითქვეს სახელი ლიბიისა და ეთიოპიის ბრძოლებში, სადაც ფრანგებს ხელმძღვანელობდა „მებრძოლი საფრანგეთის ეროვნული კომიტეტი“; 1942—43 წლებში საფრანგეთის ყველა კოლონიის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ამ კომიტეტს და საფრანგეთის კოლონიები იქცნენ მთავარ სამხედრო პლაცდარმად „თავისუფალი ფრანგების ძალებისა“ და მოკავშირეთათვის. საამაყო ჩვენთვის, რომ ამ ბრძოლების ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური მონაწილე ქართველი ვაჟკაცი და საფრანგეთის ეროვნული გმირი დიმიტრი ამილახვარი იყო⁵⁹.

59 დიმიტრი გიორგის ძე ამილახვარი (1906—42), დაბადების ადგილის — თერგის ოლქის სოფელ ბაზორკინოს (ამჟამად ჩერმენი, ჩრდილო ოსეთის ასსრ) მიხედვით „ბაზორკად“ წოდებული, 14 წლამდე იზრდებოდა საქართველოში, შემდეგ მამის ოჯახთან ერთად გადასახლდა უცხოეთში, 1922 წლიდან ცხოვრობდა პარიზში. სამხედრო ცოდნა მიიღო სენ-სირის სამხედრო სკოლაში. (1924—26), რომელშიც გამოზარდა არაერთი ცნობილი სამხედრო მოღვაწე, მათ შორის შარლ დე გოლი. ამ სკოლის დასრულების შემდეგ დიმიტრი მსახურობდა ჩრდილო აფრიკაში საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ლეიტენანტად, შემდეგ კაპიტნად (1936). მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში და ამილახვარი ჩაერისცხა სიღობელ-აბესში (ალჟირი) შექმნილი უცხოური ლეგიონის მე-13 ნახევარ ბრიგადაში — ულნბ (1940 წლის თებერვალი) და თავი ისახელა ნარკვის ბრძოლაში (ნორვეგია 1940 წლის მაისი—ივნისის დამდეგი) პიტლერული ჯარების წინააღმდეგ, ჩრდილო საფრანგეთის პიტლერული ოუპაციის ემს (1940 წლის ივნისის დამდეგი) ულნბ გადავიდა ინგლისში, სადაც შეადგინა თავისუფალი ფრანგების ძალების პირველი ბირთვი.

ულნბ-ის მთელ შემადგენლობასთან ერთად დ. ამილახვარმა განულო ევკატრატული აფრიკა დ კეთილი იმედის კონცხის შემოვლით მონაწილეობა მიიღო ტრიტონის ემსა-

1943 წლის 3 ივნისს ალჟირში დე გოლის ხელმძღვანელობით შეიქმნა „ეროვნული განთავისუფლების ფრანგული კომიტეტი“. რომელიც წლისთავზე, მოკავშირეთა ჩრდილო საფრანგეთში შეჭრამდე სამი დღით ადრე, 1944 წლის 3 ივნისს გარდაიქმნა „საფრანგეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობად“.

1944 წელმა დიდად მოახლოვა ნაციზმზე საბოლოო გამარჯვება. ამ წლის დამდეგი — იანვარ-თებერვლის თვეები აღინიშნა ჰიტლერელთა ჯარების სრული განადგურებით ლენინგრადთან, ხოლო მარტის დამლევს საბჭოთა ჯარებმა მდ. პრუტთან მიღწიეს საბჭოთა კავშირის საზღვრებს; აპრილ-მაისის თვეებში გაათავისუფლეს ყირიმი, ივნის-ივლისში — ბელორუსია, ლიტვის დიდი ნაწილი და პოლონეთის ნაწილი, სექტემბერ-ოქტომბერში — ბალტიისპირეთის დიდი ნაწილი.

ამ წლის დამლევისათვის ჰიტლერელებმა დაკარგეს ყველა თავიანთი სატელიტი: განთავისუფლდა რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია; დაიწყო უნგრეთის განთავისუფლება; განთავისუფლდნენ ოკუპირებული ქვეყნები — საბერძნეთი, ალბანეთი. საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს ამიერკავკასიის უკრაინა, ჩრდილო ნორვეგია.

ჯერ კიდევ 1943 წლის ზაფხულში ჰიტლერულმა გერმანიამ დაკარგა თავისი მთავარი მოკავშირე — ფაშისტური იტალია. ივლისში

ნიაში. განსაკუთრებით ისახელა თავი ქ. მასაუს ალებისას, სადაც მოულოდნელი შეტევით ხელ იგლო იტალიელთა რამდენიმე საესკადრო ნაღმოსანი და მრავალი ტყვე (1941 წლის 7 აპრილი). დ. ამილახვარი მონაწილეობდა სირიის კამპანიაში და ქ. დამასკოს აღებაში, სადაც უღნბ-ს ბრძოლა მოუხდა მტრის არმიის შემადგენლობაში მოქმედ ვიშის მთავრობის მორჩილ ფრანგულ სამხედრო ნაწილებთანაც. ვიშის მთავრობამ მიუსაჯა დ. ამილახვარს დაუსწრებელი სიკვდილით სასჯელი, ხოლო პარიზში უსახსროდ დარჩენილი მისი ცოლ-შვილი დენას განიცდიდა გესტაპოსა და პოლიციის მხრივ. დამსახურებისათვის დ. ამილახვარმა მიიღო ლეიტენანტ-კოლონელის წოდება და დაინიშნა უღნბ-ის მეთაურად (1941 წლის 16 სექტემბერი).

მისი ხელმძღვანელობით ამ სახელოვანმა სამხედრო შენაერთმა გენერალი მ. ა. კენიგის ბრძადის შემადგენლობაში გმირული წინააღმდეგობა გაუწია გენერალ რომელის არმიას „უღაბნოს ვერდენად“ წოდებულ ბიჩ-პაკეიმის 16 დღიან ბრძოლაში (1942 წლის 26 მაისი — 10 ივნისი), რისთვისაც დ. ამილახვარი დაჯილდოვდა „განთავისუფლების ჯარით“ (1942 წლის 10 აგვისტო). დიმიტრი (ბაზორკა) ამილახვარი გმირულად დაიღუპა ელ-ალამინის ბრძოლის დასაწყისში, 1942 წლის 24 ოქტომბერს. მისი ცხედარი დაკრძალეს ლიბის უღაბნოში, ხოლო 1956 წლის 31 ივლისს ამილახვარის სახელი მონიჭა სენ-სირის 143-ე (1954—56 წლების) გამოშვებას (600 აკცს).

არაერთი ნარკვევია გამოქვეყნებული ფრანგულ ენაზე ამ გმირის შესახებ, მისი ბიოგრაფია შეტანილია „დიდ ლარუსში“ (იხ. Grand Larousse encyclopédique en dix volumes, t. I, P., 1960, გვ. 348). რუსულ ენაზე იხ. Табарга И., Мена-рд де Э., Он сражался за свободу, გაზ. «Молодежь Грузии», 1970 წლის 10 მარტის ნომერი, გვ. 4. დიმიტრი ამილახვარზე მოთავსდა სტატია ჩვენს ენციკლოპედიაში. იხ. „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ. I, თბ., 1975, გვ. 391—392.

მოკავშირეთა არმია ჩრდილო აფრიკიდან გადავიდა კუნძულ სიცილიაზე; ორი კვირის შემდეგ დაემხო მუსოლინის ფაშისტური დიქტატურა. მარშალ ბადოლიოს მთავრობა იძულებული შეიქმნა ომი გამოეცხადებინა ჰიტლერული გერმანიისათვის (1943 წლის ივლისი), რააც მოჰყვა ჰიტლერელთა ჯარების მიერ ჩრდილო და ცენტრალური იტალიის ოკუპაცია. 1944 წლის იანვრის დამლევს ნოკავნირეთა არმიები გადავიდნენ ჰიტლერელთა ხელში მყოფ იტალიის ნიჟინზე. შეაჯინდნენ გაათავისუფლეს შუა იტალია — რომი (იენისში), ფლორენცია (ავვისტოში). ჰიტლერელებს შერჩათ მხოლოდ ჩრდილო იტალია სპეცია-არმიის (ე.წ. „მწვანე“) ხაზის ჩრდილოეთით.

საბჭოთა არმიის დიდმა გამარჯვებებმა დააჩნაჩნა ნოკავნირელების მიერ მეორე ფრონტის გახსნა ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში, ნორმანდიაში 1944 წლის 6 ივნისს, რაც დიდად გააძვირდა სანაღბო ანტიჰიტლერულმა მოძრაობამ და მასობრივმა გაფიცებებმა, რომელთაც 1944 წლის მაისში მოიცვეს საფრანგეთის უმნიშვნელოვანესი ცენტრები. იენისის დამდეგს დაიწყო სახალხო აჯანყება საფრანგეთის სხვადასხვა რაიონში. მოკავშირეთა არმიებში იყვნენ „თავისუფალი ფრანგების ძალების“ სამხედრო შენაერთებიც.

საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაური გენერალი დე გოლი 14 ივნისს ჩავიდა ნორმანდიის სანაპირო ქალაქ ბაიეში. საფრანგეთში გააქტიურდა წინააღმდეგობის მოძრაობა, იგი მალე გადაიზარდა ეროვნულ აჯანყებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აჯანყებას პარიზში, რომელსაც დასაბამი მისცა ეროვნული ფრონტის მოწოდებამ, გამოშვებულმა საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულის, ბასტილიის აღების დღეს, 14 ივლისს. იმავე დღეს ათიათასობით პარიზელმა მოაწყო დედაქალაქის ქუჩებში დემონსტრაცია. 16 ივლისს გაიფიცნენ პარიზელი რკინიგზელები; მათ მხარი დაუჭირეს საფრანგეთის სხვა რაიონების მუშებმა. ოკუპანტებისა და ვიშისტების მიერ მრავალი დემონსტრანტის დაპატიმრებამ მხოლოდ გააძვირა მოძრაობა. 10 აგვისტოს საფრანგეთის კომპარტიის მოწოდებით გაიფიცნენ მთელი პარიზის კვანძის რკინიგზელები, მათ შეუერთდნენ კავშირგაბმულობის მუშაკები.

15 აგვისტოსათვის პარიზის რაიონის წინააღმდეგობის მოძრაობის შეიარაღებული ძალები შეადგენდნენ 35 ათას კაცს, მათ შეუერთდა დაახლოებით 50 ათასი გაფიცული პოლიციელი. იმავე დღეს, 15 აგვისტოს დილაადრიან დაიწყო მოკავშირეთა არმიების შეჭრა სამხრეთ საფრანგეთში და რამდენიმე დღეში, წინააღმდეგობის ძალების აქტიური მხარდაჭერის წყალობით, მათ დაიკავეს ტულონი და მარსელი. 18 აგვისტოს შრომის საყოველთაო კონფედერაციამ და ეროვნული გან-

თავისუფლების პარიზის კომიტეტმა მოუწოდა მოსახლეობას აჯანყებისაკენ.

აჯანყება დაიწყო 19 აგვისტოს. აჯანყებულები იკავებდნენ სერების, საზოგადო მნიშვნელობის შენობებს; პატრიოტებმა დაიკავეს პოლიციის პრეფექტურა და ქალაქის საბჭოს სასახლე. ისინი ებრძოდნენ პიტლერელთა რაზმებს, ართმევდნენ ნათ იარაღს. წარშობდა ქუჩის ბრძოლები. სალამოსათვის პარიზის 80 უბნიდან 43 მოექცა აჯანყებულთა ხელში. 20 აგვისტოს აჯანყება მოედო თითქმის მთელ პარიზსა და მის გარეუბნებს. პიტლერელები გაათრებულ წინააღმდეგობას უწყევდნენ მუამბოხეებს.

22 აგვისტოს სალამოსათვის აჯანყებულებმა გაათავისუფლეს პარიზის 75 უბანი. მოკავშირეების სარდლობა იძულებული შეიქნა, შეეცვალა თავდაპირველი გეგმა და გაეგზავნა პარიზში მეორე ფრანგული ჯაფშან-სატანკო და მეოთხე ამერიკული დივიზიები, რომელთაც 23 აგვისტოს გაარღვიეს პიტლერელთა თავდაცვითი საზი და საღამო ჟამს შეაღწიეს აჯანყებულ ქალაქში. 23 და 24 აგვისტოს პიტლერელთა ძირითადი ძალები პარიზში განადგურებულ იქნენ, პატრიოტებსა და მათ დასახმარებლად მოსულ რეგულარულ ჯარებს წინააღმდეგობას უწყევდნენ მხოლოდ რამდენიმე შენობასა და პუნქტში ჩამსხდარი პიტლერელები. 25 აგვისტოს დილით დაიწყო ამ პუნქტებზე იერიში. საღამოს პიტლერელებმა შეწყვიტეს წინააღმდეგობა და დანებდნენ. ამ დღეს პარიზს ჩავიდა საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაური ვენერალი დე გოლი.

ფრანგი ხალხის ამ დიად ეროვნულ მოძრაობაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი იმ დროს საფრანგეთში მყოფ საბჭოთა პატრიოტებს; ფრანგი პატრიოტების ნხარდამხარ მებრძოლ საბჭოთა პატრიოტებს შორის, ჩვენდა სასახელოდ, ქართველებიც მონაწილეობდნენ. მათი გმირობის შესახებ ზოგი რამ დაიწერა⁶⁰ და, საფიქრებელია, კიდევ ბევრი დაიწერება.

თვალსაზრისით მონაწილეობა მიუღია პარიზისათვის ბრძოლებში ექვთიმესთან შეკედლებულ და მის მომვლელად და მდივნად ქცეულ მანანა მჭედლიშვილს, რომელიც, როგორც ზემოთ იყო ნახსენები, დაკავშირებული იყო „პატრიოტების კავშირთან“ და პარტიზანებთან. მანანა მჭედლიშვილი პარიზში ჩასულა აჯანყებაში მონაწილეობის მისა-

⁶⁰ იხ., მაგალითად, საფრანგეთის „რეზისტანსის“, წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეების — ე. თ. სოლომატინის, ვ. ვ. ალექსეევკოსა და ვ. კ. ტასკინის მოგონებანი, დასახელებულ კრებულში — *Против общего врага*, გვ. 92—106, 149—172, 203—210. იხ. აგრეთვე ამავე კრებულის შემდგენლის ნ. გ. ციკულნიკოვის შესავალი სტატია, გვ. 30 და 31.

ღებად ჯერ კიდევ აჯანყების დაწყებამდე. ლევილიდან წამოსვლის წინ იგი გამომშვიდობებია ექვთიმეს. ამ გამომშვიდობებას მანანა ასე აღწერს:

„როცა აგვისტოში გამოსვლები დაიწყო, მივედი ექვთიმესთან გამოსათხოვებლად და ვუთხარი:

— ექვთიმე ძია, უნდა დაგტოვო, პარიზს მივდივარ, საწყენად არ მიიღო.

ექვთიმემ მკითხა წასვლის მიზეზი და, როცა შეიტყო რაში იყო საქმე, სულაც არ სწყენია, გზაც დამილოცა, თან დამარიგა:

— შეილო, გეხვეწები, თავი არ დაიღუპო, ფრთხილად იყავიო“.

„აქტიური მონაწილეობა მივიღე პარიზის ქუჩების ბრძოლებში, — განაგრძობს მანანა, — სენ-მიშელის, მონპარნასისა და პარიზის სხვა რაიონების განთავისუფლებაში... ექვთიმესთან დროდადრო დავიარებოდი და ცოტა ხნობით ვრჩებოდი ლევილში. მეცა და წინააღმდეგობის მონაწილე სხვა ქართველებსაც ექვთიმე გვეხმარებოდა, როცა მივდიოდით მასთან, ხელცარიელებს არ გვისტუმრებდა, გვაძლევდა ფულს, საჭმელს...“

ამ ბრძოლებში მანანას მთავარი მოვალეობა იყო ექთნობა, სამედიცინო ჩანთასთან ერთად პისტოლეტსაც ატარებდა ჯიბით. ამას მოწმობს ლევილის მერის კომუნისტ ე. ოლივის მიერ მანანასათვის გაცემული მოწმობა, ხოლო „საბჭოთა პატრიოტების კავშირის“ ცენტრალური კომიტეტის მიერ გაცემულ მოწმობაში იხსენიება, რომ პარიზის აჯანყების დროს მანანა თავდადებით მუშაობდა შეამბოხეთა ჯგუფებს შორის მეკავშირედ⁶¹.

⁶¹ მოწმობა, გაცემული ლევილის მერის ე. ოლივის მიერ 1945 წლის 20 ივლისს, დატულია მანანა მკედლიშვილის პატარა პირად არქივში. მოგვყავს მისი ნაწილის თარგმანი:

„მოწმობა

ვა მოწმობთ, რომ მადემუაზელ მანანა მკედლიშვილი 1944 წლის თებერვლიდან ცხოვრობდა ლევილში ორჯზე, სადაც მუშაობდა პროფ. თაყაიშვილთან...

იგი სარგებლობდა ჩვენი დახმარებით გერმანული ოკუპაციის ყაზს და მონაწილეობდა ადგილობრივი წინააღმდეგობის მოძრაობაში. განთავისუფლების დღეებში იგი ჩვენს განკარგულებაში იყო როგორც ექთანი.

ყველა ამ გაწეული სამსახურისათვის მადემუაზელ მკედლიშვილს გამოეცხადა მადლობა და დაჟილდოვდა ჩვენის შეცადინეობით.

ლევილის მერი ე. ოლივი“.

მანანა მკედლიშვილის პირად არქივში დატულია საბჭოთა პატრიოტების კავშირის (ССП) ცენტრალური კომიტეტის (მისამართი: ვალიერას ქ. № 4, პარიზის მე-16 რაიონი) მიერ 1945 წლის 6 აგვისტოს ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე მიხნევიჩის ხელმოწერილი გაცემული, ხელის მანქანაზე რუსულად ნაბეჭდი მოწმობა. მოგვყავს ქვემოთ მისი ქართული თარგმანი:

მანანა მჭედლიშვილის ნაამბობი ბევრის მთქმელია: მოხუცი ქართველი მეცნიერი დაკავშირებული ყოფილა იმ ქართველებთან, რომელნიც მონაწილეობდნენ წინააღმდეგობის წოდებაში. ეტყობა, ექვთიმე თანავრძნობით იყო განწყობილი, საერთოდ, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მიმართ; იგი გულგრილად არ შეჰყურებდა ფრანგი ხალხის დიად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და განა შეიძლებოდა ქართველ მეცნიერსა და დიდ მამულიშვილს არ ეთანავრძნო დიდი ფრანგი ხალხის ბრძოლისათვის დამპყრობთა წინააღმდეგ ?!

მაგრამ ყველა ამას დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ექვთიმე თაყაიშვილის მსოფლმხედველობაზე, არ შეიძლებოდა არ გაეზარდა მისი სიმბათიები საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ, რომელსაც იმ დროს საფრანგეთში დიდის იმედით შეჰყურებდნენ, მხსნელად თვლიდნენ. კიდევ ერთი ნაბიჯი და ექვთიმე თაყაიშვილი, ყოფილი ემიგრანტი, იქცევა მხურვალე საბჭოთა პატრიოტად, იგი ისურვებს განძის სამშობლოსათვის დაბრუნებასთან ერთად თვითონაც საყვარელ მიწაწყლისაკენ გამომგზავრებას ...

„სპე (ССП) ცენტრალური კომიტეტი ამოწმებს, რომ ამხანაგი მანანა მჭედლიშვილი მეშაობდა ჩვენს ორგანიზაციაში 1943 წლიდან.“

თავგანწირულებით აღსაესე, იგი წარმატებით ასრულებდა მისთვის დაკისრებულ ყველა დავალებას და პარიზში ქუჩების ბრძოლის დროს, საფრთხეთა უგულებელყოფით, უმძიმეს პირობებში მსახურობდა მებრძოლ ჯგუფებს შორის მეკავშირედ“.



როდესაც თვალს ვავლებთ იმ ხიფათით აღსავსე „მეოთხედსაუკუნოვან ოდისეას“ ჩვენი განძისას, იმ ფათერაკებით აღსავსე გზას, რომელიც განვლო მან საქართველოდან მარსელამდე, მარსელიდან პარიზამდე და პარიზიდან ვერსალამდე, განსაკუთრებით პიტლერელთა კლანჭებიდან მისი გადარჩენის გარემოებებს, უნებლიეთ გვებადება კითხვა: რამ გადაარჩინა ჩვენი საუნჯე?

ამის მიზეზი რამდენიმეა: პირველია განძის მცველის და უცხოეთში მხოლოდ და მხოლოდ განძის მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის გადახიზნული ქართველი ნამუღლიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის დიდი სიმტკიცე და თავდადებული პატრიოტიზმი, ნამდვილი გმირობა.

მეორე — ჩვენი საუნჯის ფრანგი მცველის პიერ ჟოდონის დიდი სიმტკიცე და ფრანგული პატრიოტიზმი; ცხადია, იგი სათუთად იცავდა ქართულ საუნჯეს საფრანგეთისათვის, ვინაიდან თვლიდა საუნჯეს საფრანგეთის საკუთრებად, და 1934 წლიდან დაწყებული 10 წლის განმავლობაში, არსებითად, ეს ასეც იყო; მაგრამ მისმა ფრანგულმა პატრიოტიზმმა უდიდესი როლი შეასრულა ქართული საუნჯის გადარჩენაში.

მესამეა — ის ქართული პატრიოტიზმი, რომელმაც გაიღვიძა სამშობლოდან საფრანგეთს გადახიზნულ ჩვენს თანამემამულეებში; მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მხარში ედგა ე. თაყაიშვილს.

საუნჯის გადარჩენის მეოთხე მიზეზია ქართველი ხალხის გულისტკივილი, გამოვლენილი ეროვნული საუნჯის დაკარგვის განო. ქართველი ერი და მისი საბჭოთა მთავრობა არასდროს არ ივიწყებდნენ ეროვნულ საუნჯეს და 1923 წლიდან დაწყებული არაერთხელ სცადეს მისი დაბრუნება. არდავიწყებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ჭეშმარიტადაა ნათქვამი: „სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი“. და ეს გული ქართველი ერისა კვნესოდა, გოდებდა, სანამ საუნჯე უცხოეთში იყო და საფრანგეთში იმყოფებოდა.

მესუთე და მთავარი მიზეზი, რომელმაც განაპირობა ჩვენი საუნჯის დაბრუნება, საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ხვედრითი წონის ზრდაა, განპირობებული ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე გამარჯვებით ნაციზმზე და იმ როლით, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეასრულა

პიტლერიზმის განადგურების საქმეში. ამან არაჩვეულებრივ აამაღლა საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი, ყოველ მის სიტყვას ახლა ძალიან დიდი წონა მიეცა. ცხადია, მას ისევე უყურადღებოდ ვეღარ მოექცეოდნენ საფრანგეთის მესეუერნი, როგორც 1935—36 წლებში.

ექვთიმე თაყაიშვილი, რომელსაც კარგი პოლიტიკური აღლო ჰქონდა და ჯერონად ერკვეოდა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში, სწორად ხსნის საუნჯის დაბრუნების მთავარ მიზეზს: ეს იყო საბჭოთა კავშირის გამარჯვება და მისი საერთაშორისო ხვედრითი წონის ზრდა. ეს აზრი ექვთიმეს ასე აქვს შეტანილი თავის 1952 წლის ნოემბრის მოგონებაში: „გ ა ნ ძ ე უ ლ ო ბ ი ს და ბ რ უ ნ ე ბ ი ს ა კ ი თ ხ ი გ ა დ ა ს წ ყ ვ ი ტ ა ... ა მ ხ . ს ტ ა ლ ი ნ ი ს უ მ ა გ ა ლ ი თ ო გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა მ , რ ი ს შ ე მ დ ე გ გ ე რ მ ა ნ ე ლ ე ბ მ ა მ ი ა ტ ო ვ ე ს პ ა რ ი ზ ი და ფ რ ა ნ გ ე ბ მ ა ს უ ლ ი მ ო ი თ ქ ე ე ს . ა მ გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა მ დ ი დ ი ს ა ხ ე ლ ი გ ა უ თ ქ ე ვ ა ს ტ ა ლ ი ნ ს ს ა ფ რ ა ნ გ ე თ შ ი . ფ რ ა ნ გ ე ბ ი მ ა ს ზ ე ლ ო ც უ ლ ო ბ დ ნ ე ნ და ა მ ბ ო ბ დ ნ ე ნ : ჩ ე ე ნ მ ა ს ო ქ რ ო ს ძ ე გ ლ ს და უ დ გ ა მ თ ო . ჩ ე ე ნ ვ ე უ ბ ნ ე ბ ო დ ი თ , რ ო მ ს ტ ა ლ ი ნ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ა ტ ო მ ი თ , მ ა გ რ ა მ ა მ ა ს ე ჭ ვ ი ს თ ვ ა ლ ი თ უ ყ უ რ ე ბ დ ნ ე ნ : ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო პ ა ტ ა რ ა ა და ა ს ე თ გ ე ნ ი ო ს ს ვ ე რ წ ა რ მ ო შ ო ბ დ ა ო “.

მოგვიანებით იმავე მოგონებაში ექვთიმე შენიშნავს: „... ო მ ი გ ა თ ა ვ ე ბ უ ლ ი არ ი ყ ო , ს ა ბ ო ლ ო თ შ ვ ე ლ ა და ხ ს ნ ა ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს ა ს ტ ა ლ ი ნ ზ ე ი ყ ო და მ ყ ა რ ე ბ უ ლ ი ...“

ექვთიმეს ამ მოსაზრების სისწორეს საეხებით ადასტურებს მსოფლიო ომის იმდროინდელი მსელელობა⁶², რომლიდანაც ნათლად

⁶² პარიზის განთავისუფლების შემდეგ 1944 წლის აგვისტოში მოკავშირეთა მიერ გახსნილ მეორე ფრონტს შინდლმანზე ბრწყინვალე წარმატებები არა ჰქონია. ამერიკულ-ინგლისურ-კანადური არმიები და, მათთან ერთად, „თავისუფალი ფრანკების ძალები“ ნელა მიიწეოდნენ წინ, მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეები აწარმოებდნენ ბრძოლას მტრის მხოლოდ 65 დივიზიის წინააღმდეგ (იმ დროს, როდესაც საბჭოთა წარებმა გაანადგურეს მტრის 136 დივიზია). მოკავშირეთა სარდალობის უხვირო ხელმძღვანელობამ შეაძლებინა პიტლერელებს ხელთ ევლოთ ბრძოლის ინიციატივა და გაერღვიათ არდენებში მოკავშირეთა ფრონტი (1944 წლის დეკემბრის მეორე ნახევარი და 1945 წლის იანვრის დამდეგი).

მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოკავშირეთა მესეუერნი იძულებულნი შეიქნენ საბჭოთა მთავარსარდლობისათვის მიემართათ თხოვნით, რაც შეიძლება მალე დაწყებულიყო საბჭოთა ჯარების „დიდი შეტევა“ და სწორედ მოკავშირეთა დახმარების მიზნით, 1945 წლის 20 იანვარს დანიშნული შეტევა საბჭოთა მთავარსარდლობამ გადაიტანა 12 იანვრისათვის. ამ დღეს დაიწყო საბჭოთა არმიის გრანდიოზული შეტევა 1200 კილომეტრიან ფრონტზე — ბალტიკიდან ბალკანეთამდე. მოკლე ხანში პიტლერელები, განიცადეს რა ძალიან

ჩანს, რომ მეორე ფრონტის მთელი არსებობის განმავლობაში — მისი გახსნიდან მსოფლიო ომის დასასრულამდე — დასავლელი მოკავშირეების წარმატებები დიდად იყო დამოკიდებული საბჭოთა კავშირსა და მისი არმიის წარმატებებზე. ცხადია, დიდ ბრიტანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით კიდევ უფრო იყო დამოკიდებული საბჭოთა არმიის წარმატებებზე ახლად განთავისუფლებული საფრანგეთი, ქვეყანა, რომელმაც გადაიტანა ნაცისტური ოკუპაციის ოთხწლიანი მეტად მძიმე პერიოდი.

მაგრამ საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაური გენერალი დე გოლი ალბათ სხვა მოსაზრებებითაც ხელმძღვანელობდა, როდესაც განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა საბჭოთა კავშირთან დაახლოების საქმეში.

საფრანგეთი შეუდარებლად სუსტი იყო დიდ ბრიტანეთზე და ამერიკის შეერთებულ შტატებზე. ამ სახელმწიფოთა მეთაურები მიაკუთვნებდნენ მას მომავალ მსოფლიო პოლიტიკაში ძალიან მცირე, მათდაში სავსებით შორჩილი პარტნიორის როლს, თვლიდნენ მას ისეთ სახელწიფოდ, რომელიც დასავლელი მოკავშირეების ყურმოჭრილი ყმა უნდა ყოფილიყო. ეს სრულიადაც არ აწყობდა დე გოლს, საფრანგეთის შორსმხედველ სახელმწიფო მოღვაწეს; მას, ცხადია, არაფრად ეპიტნაეებოდა, რომ ახალ, ნაციზმის სენისაგან განკურნებულ მსოფლიოში საფრანგეთს წილად რგებოდა „მაჩანჩალას“ როლი. დე გოლს სურდა, რაც შეიძლება მეტად გაეზარდა საფრანგეთის ხვედრითი წონა, ამაში კი იგი, სავსებით სწორად, განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა საფრანგეთის დაახლოებას საბჭოთა ქვეყანასთან. აღრეც, ეროვნული ინტერესები უკარანახებდა საფრანგეთის მესვეურთ, ეძებნათ რუსეთთან კავშირი და ახლა ნაცისტური ოკუპაციით დასუსტებული საფრანგეთი მით უფრო სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული.

ასეთ განწყობილებას დიდად უწყობდა ხელს ფრანგი ხალხის მისწრაფება საბჭოთა ხალხთან დაახლოებისაკენ და ის დიდი ავტორიტეტი, რომლითაც სარგებლობდა საბჭოთა მთავრობა საფრანგეთში;

დიდი დანაკლისი, იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ შეტევა დასავლეთის მიმართულებით (იანერის შუა ხანები) და გადმოეყვანათ იქიდან ჯარების გარკვეული ნაწილი საბჭოთა ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამჟერად. საბჭოთა არმიის დიღმა შეტევამ ჩაშალა გერმანიის სარდლობის განზრახვა მოეწყო მოკავშირეთა არმიებისათვის არღენებში „მეორე დიუნკერკი“.

პიტერეტა მიერ ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობის მხარდაჭერით საბჭოთა არმიებმა იანერში გაანთავისუფლეს ეარშავა, მალე მთელი პოლონეთიც და ჩეხოსლოვაკიის ნაწილი, ხელთ იგდეს აღმოსავლეთი პრუსია და სილეზია. მარტში საბჭოთა ჯარები დაეუფლენ პომერანიას, აპრილში გაათავისუფლეს უნგრეთი და აესტრია. საბჭოთა არმია 60 კილომეტრითა იყო დამორებული ბერლინს.

ავტორიტეტი, რომელიც თაყვანისცემამდე მიდიოდა. ამის მოწმეა ექვთიმეს ზემომოყვანილი მოგონება.

საბჭოთა მთავრობაც საესებით მიზანშეწონილად თვლიდა საფრანგეთთან დაახლოებას. პოლიტიკურ მოსაზრებებს ემატებოდა დიდი სიმპათიები, რომლებითაც იყენებდნენ განწყობილნი საბჭოთა პატრიოტები ფრანგი პატრიოტების მიმართ.

1944 წლის აგვისტოს დამლევს პარიზში საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ხელისუფლების დამყარებას დაუყოვნებლივ მოჰყვა დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, გაიხსნა მოკავშირეთა საელჩოები. საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად პარიზში დაინიშნა ალექსანდრე ეფრემის ძე ბოგომოლოვი⁶³. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ორივე მთავრობის ხელმძღვანელთა შორის პირადი კონტაქტების დამყარება. ამ მიზნით გენერალი დე გოლი, თანმხლებ პირებითურთ, 1944 წლის 2 დეკემბერს სპეციალური მატარებლით ჩავიდა მოსკოვს. მას ჩამოჰყვა ა. ე. ბოგომოლოვიც. დე გოლმა დაჰყო მოსკოვში 9 დღე, 2—10 დეკემბერს. მისი შეხვედრები და საუბრები ი. ბ. სტალინთან და საბჭოთა მთავრობის სხვა ხელმძღვანელებთან დაგვირგვინდა 1944 წლის 10 დეკემბერს „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირისა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის კავშირისა და ურთიერთდამარების შესახებ ხელშეკრულების“ ხელმოწერით.

სწორედ ამ მოლაპარაკებას უკავშირებს ქართული განძის ბედის გადაწყვეტას ჩვენამდე მოღწეული ტრადიცია და სხვადასხვა მოგონება. ე. თაყაიშვილის მოწმობით, ქართული განძის საკითხი დაისვა ჯერ კიდევ სტალინისა და დე გოლის პირად შეხვედრამდე მოსკოვში.

⁶³ „მებრძოლი საფრანგეთის ეროვნული კომიტეტის“ შექმნისთანავე (24 სექტ. 1941). 1941 წლის 26 სექტემბერს, საბჭოთა მთავრობამ სენო იგი და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა, კერა საბჭოთა ლონდონელი ელჩის ი. მ. მაისკის, ხოლო 1942 წლის აპრილიდან — მოკავშირე მთავრობებთან საბჭოთა ლონდონელი ელჩის ა. ე. ბოგომოლოვის მეშვეობით. როდესაც აღვირბი შეიქმნა „ეროვნული განთავისუფლების ფრანგული კომიტეტი“ (1943 წლის 3 იანვარს), საბჭოთა მთავრობამ სენო იგი (26 აგვისტოს) და დანიშნა ა. ე. ბოგომოლოვი სსრკ წარმომადგენლად აღვირბი; ხოლო როდესაც ეს კომიტეტი იქცა საფრანგეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობად (1944 წლის 3 იანვარს) და მან გააგრძელა თავისი ძალაუფლება განთავისუფლებულ საფრანგეთზე, მოკავშირე მთავრობებთან ერთად, საბჭოთა მთავრობამ 1944 წლის 23 ოქტომბერს სენო იგი და საბჭოთა მთავრობის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშნა ა. ე. ბოგომოლოვი.

„მებრძოლი საფრანგეთის ეროვნული კომიტეტის“ დიპლომატიურ წარმომადგენლად იყო რივე ვარო, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა 1942 წლის მარტიდან. შემდეგ იგი დარჩა „ეროვნული განთავისუფლების ფრანგული კომიტეტისა“ და საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის დიპლომატიურ წარმომადგენლად.

ყველა ჩვენს ხელთ მყოფი დოკუმენტისა და ამ მოგონებათა ურთიერთ-შეჯერების წყალობით, ვფიქრობთ, ხერხდება ნამდვილი ისტორიული-სურათის აღდგენა.

პირველ ყოვლისა, გასარკვევია საკითხი: საიდან და ვისგან მიიღო ინფორმაცია საბჭოთა მთავრობამ ჩვენი განძის შესახებ, რის საფუძველზედაც აღძრა მან საქმე?

ვფიქრობთ, არსებობდა ასეთი ინფორმაციის ორი ძირითადი წყარო:

პირველი წყარო იყო საქართველო. როგორც ზემოთ ვთქვი, საბჭოთა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს 1935—36 წლებში უკვე მიღებული ჰქონდა ინფორმაცია საქართველოს სსრ სახალხო-კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გერმანე მგალობლიშვილთან მიმო-წერის დროს. შერეც, ალბათ, დროდადრო საქართველოდან მოსკოვს იგზავნებოდა ინფორმაცია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განძის დაბრუნების იმედები გაიზარდა.

ინფორმაციის მეორე წყაროს წარმოადგენდნენ საფრანგეთში მცხოვრები ქართველები. გ. გეგელია იხსენებს, რომ პარიზის განთავისუფლებისთანავე, მათ მიუმართავთ მისთვის, გ. გეგელიასთვის, რომელიც აქტიური მონაწილე იყო საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობისა და, ამავე დროს, „საბჭოთა პატრიოტების კავშირში“ ერთ-ერთ ხელმძღვანელ როლს ასრულებდა. იგი სანდო პიროვნებად ჩანდა ფრანგებისათვისაც და საბჭოთა წარმომადგენლობისთვისაც, ამიტომ ეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა.

გ. გეგელია იხსენებს, რომ იგი ა. ნიჟარაძესთან ერთად მისულა განძის მცველ პ. ჟოდონთან და მოუთხოვია განძის დაბრუნება. ჟოდონს ამაზე უარი განუცხადებია. მაშინ გ. გეგელიას 1944 წლის 12, 13 ან 14 სექტემბერს ზიუმართაჟს საბჭოთა ელჩ ა. ე. ბოგომოლოვისათვის და გენერალურ კონსულ ა. ა. გუზოვსკისათვის. ელჩსა და გენერალურ კონსულს მოულაპარაკნიათ და შეჰპირებიან გიორგის: მოსკოვში ვაცნობებთო. ორი დღის შემდეგ გუზოვსკის გამოუძახია გიორგი და კვლავ შეჰპირებია: ჩვენ ყველაფერს ვიმოქმედებთ იმისათვის, რომ განძი საქართველოს დაუბრუნდესო.

ა. ა. გუზოვსკის, რომელსაც განსაკუთრებული ენერჯია და მონღო-მება გამოუჩენია ამ საქმეში, დეპეშა გაუგზავნია სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის, რომელსაც უცნობებია ეს ი. ბ. სტალინისათვის. როგორც ჩანს, საბჭოთა მთავრობამ მიუთითა თავის პარიზელ ელჩს ა. ე. ბოგომოლოვს მიეღო ენერჯიული ზომები განძის დასაბრუნებლად. მაშასადამე პარიზში საბჭოთა საელჩოს მიუღია ინფორმაცია განძის შესახებ იქაურ ქართველთაგან, გ. გეგელიას მეშვეობით, 12, 13 ან 14 სექტემბერს, ე. ი. პარიზის განთავისუფლებიდან 18, 19 ან

20 დღის შემდეგ, მაშინ როდესაც, ის-ის იყო, პარიზში საბჭოთა სა-
ელჩო გაიხსნა.

საფიქრებელია, სწორედ ამ კონტაქტით დაიწყო დაახლოება
:გ. გეგელიასი და ა. ნიუარაძისა ა. ა. გუზოვსკისთან, რასაც მოწმობს
როგორც ამ პირთა, ასევე ე. თაყაიშვილის მოგონება და სხვა დოკუ-
მენტები. საფიქრებელია, პირველად ისინი დაახლოვა ერთმა მიზანმა
და ერთობლივმა მისწრაფებამ — ქართული განძის სამშობლოსათვის
დაბრუნებამ. ა. ა. გუზოვსკი ენდობოდა ამ ორ ქართველს; ცხადია,
იგი განსაკუთრებით უნდა ენდობოდა გიორგი გეგელიას, როგორც სა-
ფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობისა და „საბჭოთა პატრიოტი-
ზმის კავშირის“ ფრიად აქტიურ მოღვაწეს.

ეტყობა, დაახლოებით თვენახევრის ან ორი თვის შემდეგ, 16
ნოემბრის წინა ხანებში — საფიქრებელია, 1944 წლის ნოემბრის
დამდეგს, — როგორც ამას მოწმობს შ. ამირანაშვილის მოგონება⁶⁴,
საბჭოთა მთავრობას უკვე მიუღია დადგენილება საფრანგეთის მთა-
ვრობისაგან განძეულობის გამოთხოვის შესახებ და ა. ე. ბოგომოლო-
ვისთვის მიუცია სათანადო მითითება. გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე
დღე და ექვთიმე თაყაიშვილს, თავის მხრივ, უცნობებია ა. ე. ბოგო-
მოლოვისათვის, რომ სურდა მასთან შეხვედრა და უთხოვია მიღება.
ცხადია, ბოგომოლოვისათვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა ეს შეხვედ-
რა, რადგან, ერთი მხრივ, როგორც ჩანს, მოსკოვიდან მას მითითება
ქქონდა მიღებული, ცდილიყო განძის დაბრუნებას და, მეორე მხრივ,
ახლა მას შეეძლო ესარგებლა ამ საქმეში ისეთი ჩახედული კაცის
კონსულტაციით, როგორც იყო ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც ყვე-
ლაზე უკეთ იყო გარკვეული განძის საკითხში და ამ საქმეში დაუფასე-
ბელი სამსახური შეეძლო გაეწია საბჭოთა ელჩისათვის. ალბათ, სწორედ
ამიტომაც იყო, რომ ა. ე. ბოგომოლოვს მეტად გულდიად და
სტუმართმოყვარულად მიუღია ექვთიმე: მისთვის თავისი მანქანა და
გამცილებელიც კი გაუფასვანია, საუზმე გაუნართავს ...

⁶⁴ 1944 წლის 16 ნოემბერს შ. ამირანაშვილი, თანახმად მისი მოგონებისა, გამოუძა-
ხიათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და მოუთხოვიათ
მისთვის დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო მოსკოვს, იქიდან კი — საფრანგეთში საქარ-
თველოს განძეულობის მისაღებად და ჩამოსატანად. შ. ამირანაშვილი დაუყოვნებლივ
გამგზავრებულა მოსკოვს და, როგორც იქ შეუტყვია, სსრკ-ის მთავრობას უკვე მიეღო
სათანადო დადგენილება საფრანგეთიდან საქართველოს განძეულობის დაბრუნების შე-
სახებ. იხ. შ. ამირანაშვილი, საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო
განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1968, გვ. 10; 1978, გვ. 13—14.

მანქანადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ საბჭოთა მთავრობის ეს დადგენილება ქართული
განძის დაბრუნების შესახებ მიღებული იყო რამდენიმე დღით ადრე მაინც 1944 წლის
16 ნოემბერამდე, საფიქრებელია, ნოემბრის დამდეგს.

შეხვედრა მოხდა 1944 წლის 22 ნოემბერს. შეხვედრისას ბოგომოლოვს უთქვამს ექვთიმესათვის: ამ საქმეში ჩახედული არა ვარ, რასაც მეტყვი, ყველაფერს აგისრულებთო. ექვთიმეს მოუხსენებია საბჭოთა ელჩისათვის საქმის ვითარება. ექვთიმე სთხოვდა ბოგომოლოვს დაეჩქარებინა განძის დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა და გამოეწვია საქართველოს წარმომადგენელი ნიეთების მიღებისა და მისი, ექვთიმეს თანდასწრებით შემოწმებისათვის. ვინაიდან ღე გოლი და მასთან ერთად ა. ე. ბოგომოლოვი მოსკოვს გასამგზავრებლად ემზადებოდნენ და ცნობილი იყო ამ გამგზავრების მიზანი — სამეგობრო ხელშეკრულების დადება საბჭოთა კავშირთან, ექვთიმეს უსარგებლია ამ გარემოებით და უთქვამს ბოგომოლოვისათვის: მანამ გამგზავრებოდეთ, ვთხოვთ ღე გოლს განძეულობის დაბრუნებამო. ბოგომოლოვს უპასუხია: კარგი იქნება თქვენ მომცემდეთ ჯეროვან მოხსენებას, რომელშიაც გარკვეული იქნება საქმის ვითარება; მე კი ხელს შოვაწერინებ ღე გოლსამო.

ექვთიმეს მიუცია ბოგომოლოვისათვის ვრცელი მოხსენება ღე გოლის სახელზე. ღე გოლს საჭიროდ ჩაუთელია საბჭოთა მთავრობის შოთხოვნის დაკმაყოფილება და მაშინვე წაუწერია ექვთიმეს განცხადებაზე: „დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს“, ე. ი. გაუცია განკარგულება ქართული განძეულობის დაუყოვნებლივ დაბრუნების შესახებ.

როდის დაადო ღე გოლმა ასეთი რეზოლუცია ექვთიმეს განცხადებას და გასცა სათანადო განკარგულება ჩვენი განძეულობის დაბრუნების შესახებ, დანამდვილებით არაა ცნობილი. საფიქრებელია, ა. ე. ბოგომოლოვი შეეცდებოდა რაც შეიძლება მალე ენახა საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მესვეური, რათა შეესრულებინა საბჭოთა მთავრობის დავალება. ამიტომ, ვფიქრობთ, ბოგომოლოვმა ინახულა ღე გოლი მეორე დღესვე, ე. ი. 1944 წლის 23 ნოემბერს. ამას მოწმობს, აგრეთვე, ექვთიმეს მადლობით აღსავსე წერილი ბოგომოლოვისადმი, მიწერილი თბილისიდან 1946 წლის 4 ივნისს. ჩვენს მიერ შემუშავებულ გეგმას სრული წარმატება ხვდა. მიიღეთ თუ არა თქვენ ჩემი რაპორტი და უკვე რამდენსამე საათის შემდეგ გაიცა განკარგულება ნიეთების დაბრუნების შესახებ. შერჩეული იყო ხელსაყრელი მომენტი. მოგვიანებით საქმე შეიძლება გართულებულიყო “ იხსენებს ამ წერილში ექვთიმე.

ამრიგად, ღე გოლს გაუცია განკარგულება ქართული საუნჯის დაბრუნების შესახებ 1944 წლის 23 ნოემბერს. იგი ასრულებდა საბჭოთა მთავრობის, მისი მეთაურის ი. ბ. სტალინის თხოვნას, იქმნიდა ხელსაყრელ პირობებს მომავალი შოლაპარაკებისათვის⁶⁵.

⁶⁵ თავის მოგონებაში პეტრე შარამ შემდეგი მოსაზრება გამოთქვა ღე გოლის ამ პოზიციის შესახებ: „ღე გოლმა სხვადასხვა არხებით შეიტყო, რა ჩაეთვლებოდა მას

სწორედ ინტერესთა ამ დამთხვევამ გადაწყვიტა ასე გასაოცრად სწრაფად ჩვენი განძის ბედი.

ახლა საჭირო იყო დე გოლის რეზოლუციისა და განკარგულების სისრულეში მოყვანა. აი ამ საქმეში დიდი და დაუფასებელი როლი შეუტრულებია საბჭოთა საელჩოს და, განსაკუთრებით, ამ საელჩოს პირველ მდივანსა და გენერალური კონსულის მოვალეობის შემსრულებელს ალექსანდრე გუზოვსკის. ამ ამბებისა და ა. ა. გუზოვსკის როლის შესახებ თავის 1952 წლის ნოემბრის მოგონებაში ექვთიმე ასე იხსენებს: ზრუნვა ამ განძეულობის შესახებ მე და მის საქმის მწარმოებელს და რუსეთის კონსულს საფრანგეთში ა. ა. გუზოვსკის მოგვანდო ბოგომოლოვმა. მეორე დღეს გუზოვსკი მივიდა ჟოდონთან, რომელსაც ებარა განძეულობა და მოსთხოვა დაბრუნება. ჟოდონი ამ საქმემ შეაშფოთა. მან განაცხადა: დე გოლს ამის უფლება არ ჰქონდაო, ეს საკითხი შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა გადაეწყვიტაო. გუზოვსკიმ უთხრა ჟოდონს, მინისტრი ხომ მთავრობის თავმჯდომარეს ექვემდებარებაო, რა ნება აქვს მის წინააღმდეგ წავიდესო. თუ ხვალ გადაჭრილი პასუხი არ მოგიცია ამის შესახებ, ტელეგრამას გაუგზავნი დე გოლს, რომ თქვენ არ ასრულებთ მის ბრძანებას. რა თქმა უნდა, ჟოდონმა ამის შემდეგ ჩაგვაბარა მთელი განძეულობა...”

ექვთიმეს აქ სრულიად გამორჩა იმ სასამართლო პროცესის მონსენიება. რომელიც მოჰყვა შედეგად დე გოლის ზემოხსენებულ განკარგულებას. იმ ხარვეზებს ავსებს მოგონება გ. გეგელიასი, რომელიც არა მარტო კარგად იყო გაცნობილი ვითარებას, არამედ, როგორც პროფესიით იურისტი, კარგად ერკვეოდა ამგვარ საქმეებში (იგი ხომ რამდენიმე წელიწადს მუშაობდა საფრანგეთში იურისტად).

გ. გეგელია იხსენებს, რომ ჯერ კიდევ დე გოლის განკარგულებაზე (დე გოლის პარიზში არ ყოფნისას) იგი მიჰყოლია ა. ა. გუზოვსკის იუსტიციის მინისტრთან, რომელიც დე გოლის ნოადგილზეც ყოფილა და გუზოვსკის მოუთხოვია განძის დაბრუნება. მინისტრს გადაჭრით განუცხადებია უარი: „სასამართლოს დადგენილებას გვერდს ვერ აუჯღლიო“. მას ცალკე საყვედურიც კი უთქვანს გ. გეგელიასაოვის: „საბჭოთა გენერალური კონსული რომ ამას წოითხოვს, ეს კიდევ გასაგებია, მაგრამ თქვენ ხომ იცით აქაური წესები და ასეთი რისამე თსოვნა როგორ იკადრეთო?!“

ი. ბ. სტალინთან მოლაპარაკებისას დაუბრუნა. ამიტომ შეეცადა ეს საქმე მოსკოვში წასვლამდე გაეკეთებინა“. მოსაზრება სავსებით მართებულია. ხოლო რაც შეეხება ამ „არხებს“, მთავარი, ცხადია, იყო ის, რაც განუცხადა მას საბჭოთა ელჩმა ა. ე. ბოგომოლოვმა, რომელმაც აცნობა დე გოლს საბჭოთა მთავრობისა და მისი მეთაურის დინტერესება ქართული საუნჯის ბედ-იბდის საკითხით.

ხოლო დე გოლის განკარგულების შემდეგ, გეგელიას მოგონების თანახმად, იუსტიციის მინისტრს დაუბარებია საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე და უბრძანებია სასწრაფოდ გაერჩია ეს საქმე. პროცესი დასრულებულა არნახულად სწრაფად — ერთ კვირაში.

საქმე გარჩეულა საბოლოოდ სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში, იმავე სასამართლოში, რომელმაც ჩამოგვართვა საუნჯე. ამ გარემოებაზე, ისევე, როგორც განძის გადმოცემის ამბების შესახებ, მოწმობს ერთი მეტად საყურადღებო დოკუმენტი, რომლის რამდენიმე ეგზემპლარი შემოგვინახა ექვთიმე თაყაიშვილის არქივმა. ესაა „ქართული განძის ჩაბარების ოქმი“, შედგენილი ფრანგულად და რუსულად.

პირველ ყოვლისა, ოქმის მეოხებით ზუსტდება ზემოხსენებული „სასამართლო პროცესის“ ამბები, რომლის შესახებაც მოგვითხრო გ. გეგელიამ. ოქმით სავსებით დასტურდება, რომ „პროცესი დასრულებულა არნახულად სწრაფად — ერთი კვირის განმავლობაში“. სახელდობრ, ოქმში ნათქვამია, რომ „საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის მთავრობისათვის ქართული განძის შემცველი მოძრავი ქონების გადაცემის თაობაზე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობას შორის მიღწეული შეთანხმების“ შესაბამისად, სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს თავმჯდომარეს 1944 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით გაუუქმებია თავისი 1934 წლის 8 მაისის დადგენილება ქართული განძის სასამართლო დროებით განმგებლების — ჟოდონისა და ლამპერიერისათვის (საფიქრებელია, ჟოდონის თანაშემწე იყო. — გ. ე.) გადაცემის შესახებ და ეს უკანასკნელნი გაუნთავისუფლებია ამ დროებითი ზედამხედველობისაგან.

თუ გავიხსენებთ, რომ დე გოლმა განკარგულება გასცა ქართული განძის დაბრუნების შესახებ 1944 წლის 23 ნოემბერს, გამოდის, რომ მართლაც ზუსტად ერთ კვირაში ჩატარებულა ეს „სასამართლო პროცესი“: 23 ნოემბრიდან — 30 ნოემბრამდე. ოქმში ისიცაა მოხსენიებული, რომ სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს თავმჯდომარემ მიიღო ეს გადაწყვეტილება საბჭოთა მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობას შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად. მამასადამე, სასამართლოს თავმჯდომარეს საქმე გადაუწყვეტია დე გოლისა და ა. ე. ბოგომოლოვის 1944 წლის 23 ნოემბრის შეთანხმების შესაბამისად.

ამ ფაქტიდანაც კარგად ჩანს, რამდენად იყო დამოუკიდებელი ფრანგული სასამართლო თავისი მთავრობისაგან და როგორ შეეძლო გვერდის ავლა არსებული „წესებისათვის“, როდესაც იგი ზემოდან

მიიღებდა სათანადო მითითებას. როდესაც საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობამ დაინტერესება გამოიჩინა ქართული საუნჯის მითვისებაში, სენის დეპარტამენტის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს თავმჯდომარემ 1934 წლის 8 მაისის „რეფერეს ორდონანსით“ „უპატრონოდ“ გამოაცხადა ქართული განძი, შეიყვანა იგი „უპატრონოდ დარჩენილ რუსული ქონების“ კატეგორიაში და გადასცა ჟოდონს „დროებით“ გამგებლობაში; ხოლო ათანხევარი წლის შემდეგ იმავე მაგისტრატმა, როდესაც სათანადო მითითება მიიღო ზემოდან, 1944 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით (ალბათ ესეც „რეფერეს ორდონანსი“ იყო), ჟოდონი და მისი თანაშემწე „გაანთავისუფლა“ ქართული საუნჯის ზედამხედველობისაგან.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ საფრანგეთის „თემისი“ — მართლმსაჯულება ორივე შემთხვევაში (ისევე, როგორც ობოლენსკაიას პროცესების დროსაც) კარგად ემსახურებოდა საფრანგეთის რესპუბლიკის ინტერესებს და მოქმედებდა თავის მთავრობის მისწრაფებათა შესაბამისად, იგი „თვალეზახეულიც“ მშვენივრად ხელაედა, ვის მხარეზე გადაიწონა „მართლმსაჯულების სასწორი“: პირველ შემთხვევაში „თემისმა“ გამოგეწირა ჩვენი საუნჯე, მეორე შემთხვევაში კი — დე გოლის მიერ „ჩაგონებულმა“ — მან იგი დაგვიბრუნა.

განძის გადმობარება ჟოდონისა და მისი თანაშემწე ლამპერიერის ხელიდან საბჭოთა წარმომადგენლებისათვის მოუხდენია კომისიას, რომელიც თავისი შემადგენლობით შერეული იყო და შედგენილი „პარიტეტულ საწყისებზე“ (პ. შარიას მოგონება), თუმცა მასში სჭარბობდა საბჭოთა წარმომადგენლების რაოდენობა: კომისიაში შედიოდა საბჭოთა კავშირის ხუთი წარმომადგენელი, საფრანგეთისა — სამი. „ქართული განძის ჩაბარების ოქმის“ თანახმად, საბჭოთა მხარეს კომისიაში წარმომადგენდნენ საბჭოთა საელჩოს პირველი მდივანი და გენერალური კონსულის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე გუზოვსკი, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი გეგელია, აკაკი ნიჟარაძე და კოლა (პოლიკარპე) მელაძე; საფრანგეთის რესპუბლიკას — პიერ ჟოდონი, ანრი ლამპერიერი და ლიზერე.

საბჭოთა წარმომადგენელთაგან, ცხადია, აქ მთავარ როლს ა. გუზოვსკი ასრულებდა⁶⁶. გ. გეგელიას მოწმობით, ა. ა. გუზოვსკი კომი-

⁶⁶ ა. გუზოვსკიმ დიდი როლი შეასრულა ჩვენი განძის დაბრუნების საქმეში. ამას ერთხმად აღნიშნავენ ის ქართველი საბჭოთა მოქალაქეები, რომელნიც მანინ პირადად იცნობდნენ ა. გუზოვსკის: პ. შარია, გ. გეგელია, აკ. ნიჟარაძე, თ. შავლია. მათი მოწმობით, ჩვენი განძის ჩაბარების საკითხში საბჭოთა გენერალური კონსული მოქმედებდა დიდი ენერჯითა და საქმის ცოდნით. ამიტომ გასაგებია, რომ ექვთიმე თაყაიშვილი ამას ყოველთვის მადლიერების გრძნობით იხსენებდა. „გუზოვსკი დიდის ენერჯით“

სიას თავმჯდომარეობდა. რაც შეეხება დანარჩენ სამ ქართველს, რო-
მელნიც ა. გუზოვსკისა და ე. თაყაიშვილთან ერთად წარმოადგენდნენ
კომისიაში საბჭოთა მხარეს, ე. თაყაიშვილმა აღნიშნა ერთ თავის
განცხადებაში, რომელიც 1952 წლის 29 თებერვლითაა დათარიღე-
ბული, რომ „ამ აქტში (ლაპარაკია „ქართული განძის ჩაბარების
ოქმის“ შესახებ, — გ. ე.) მოხსენიებული გ. გეგელია, აკ. ნიჟარაძე და
კ. მელაძე კონსულმა ალ. გუზოვსკიმ მოიყვანა თავის მხრით“, ე. ი.
ექვთიმემ აქ ხაზი გაუსვა იმ გარემობას, რომ ეს სამი ქართველი
საბჭოთა მოქალაქე კომისიაში შეიყვანა საბჭოთა გენერალურმა
კონსულმა ალ. გუზოვსკიმ.

შემოთ ნახსენები იყო, რომ ალ. გუზოვსკის ადრე გაუცვნია
გ. გეგელია და აკ. ნიჟარაძე სწორედ ჩვენი საუნჯის საკითხთან
დაკავშირებით; იცოდა, რომ ისინი დიდად ზრუნავდნენ ჩვენი განძის
დაბრუნების საკითხზე. ნახსენები იყო, რომ განსაკუთრებული ნდობით
უნდა ყოფილიყო განწყობილი ალ. გუზოვსკი გ. გეგელიას მიმართ,
ანტიკიტილერულ მოძრაობაში მისი აქტიური მონაწილეობის გამო.
აღბათ ამით აიხსნება, რომ გ. გეგელია, მისივე მოწმობით, დაუნეშ-
ნავთ კომისიის მდივნად, ხოლო რაც შეეხება კ. მელაძეს, თანახმად
უკანასკნელის მოგონებისა, იგი წარუდგინა ალ. გუზოვსკის და რეკო-
მენდაცია მისცა მას საბჭოთა გენერალური კონსულის წინაშე აკ. ნი-
ჟარაძემ.

განძის ჩაბმარებულ კომისიაში საბჭოთა წარმომადგენლებთან
ერთად მონაწილეობდა საფრანგეთის რესპუბლიკის სამი წარმომად-
გენელი: პიერ ჟოდონი, ა. ლამპერიერი და ლიზერე. „ქართული განძის
ჩაბარების ოქმში“ პირველი ორი შეყვანილნი არიან, როგორც განძის
„სასამართლო დროებითი განმგებელნი“. განსაკუთრებით კარგად
უნდა ახსოვდეს ჩვენი ნარკვევის მკითხველს პიერ ჟოდონის პიროვ-
ნება, რომელიც ათ წელზე მეტ ხანს პირნათლად უვლიდა და იცავდა
ჩვენს საუნჯეს და არაერთხელ გადაარჩინა იგი დიდ განსაცდელს.
გ. გეგელიას მოწმობით, კომისიის წევრები ფრანგთაგან წარმოადგენ-
დნენ სამ უწყებას: საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენ-
და

მეშაობდა ამ განძეულობის საქმეში...“ — იხსენებს ექვთიმე თავის 1952 წლის ნოემ-
ბრის მოგონებაში. ხოლო განძის ჩამოტანის წლისთავზე, 1946 წლის 4 ივნისს ექვთიმე
თბილისიდან პარიზს, სხვათა შორის, სწერდა ალ. გუზოვსკის: „... მე, რასაკვირველია,
არ დამეიწყებია და არასოდეს არც დამეიწყდება თქვენი ძალიან დიდი დამსახურება საფ-
რანგეთის მთავრობისაგან ნიუთების მიღების, ვერსალში მათი ჩაბარების, პარიზში
გადაზიდვისა და საელჩოში გულმოდგინედ დაცვის საქმეში, სანამ ჩვენ ისინი არ ჩავა-
წყვეთ ყუთებში გადმოსაზიდად. მე განმაცვიფრა, როგორი სიყვარულით, ენერჯითა და
ენტუზიაზმით შეუდევით თქვენ ამ საქმეს და არაფერს არ ზოგავდით საქმის კეთილად
დაგვირგვინებისათვის. მე ყველას ვუამბე ამის შესახებ და ყველანი გემადლოვრებთან“.

ანრი ლამპერიერი, ფინანსთა სამინისტროს — ლიზერე, ხოლო იუსტიციის სამინისტროს — ჟოდონი.

რაც შეეხება პიერ ჟოდონს, როგორც ჩანს, გარდა იუსტიციის სამინისტროსი, იგი ექვემდებარებოდა, აგრეთვე, საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყებასაც. იმ გარემოებაზე, რომ განძის საქმე ექვემდებარებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს (იუსტიციის სამინისტროსთან ერთად), მიუთითებს ჟოდონისა და ლამპერიერის მიერ 1944 წლის 15 დეკემბერს გუზოვსკისათვის გაგზავნილი წერილი. რომელსაც ქვემოთ შევეხებით. ამ წერილის შტამპზე აღბეჭდილია: „საფრანგეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს კერძო ქონებათა და ინტერესთა სამმართველო“.

მაშასადამე, პიერ ჟოდონიცა და ანრი ლამპერიერიც, რომელიც ქართული განძეულობის თანაგანმგებელი ყოფილა (არ ვიცი, როდის დაინიშნა იგი ამ თანამდებობაზე), ერთი მხრივ, იყვნენ „სასამართლო დროებითი განმგებლნი“, ხოლო მეორე მხრივ, ექვემდებარებოდნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ე. წ. „კერძო ქონებათა და ინტერესთა სამმართველოს“, მოქმედებდნენ ამ დაწესებულების სახელით.

საფრანგეთის რესპუბლიკის სამი წარმომადგენელიდან, ცხადია, მთავარი იყო პ. ჟოდონი. გ. გეგელიას მოწმობით, პიერ ჟოდონი ყოფილა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

„ქართული განძის ჩაბარების ოქმიდანვე“ ირკვევა შერეული საბჭოთა-ფრანგული კომისიის მოქმედების ადგილი, მისი მუშაობის ხანგრძლივობა და ხასიათი. ამის შესახებ მეტყველებენ, აგრეთვე, კომისიის წევრების მოგონებებიც.

თავდაპირველად, ოთხი დღის განმავლობაში, 4 დეკემბრიდან, ორშაბათიდან — 7 დეკემბრამდე, ხუთშაბათამდე (ამ დღის ჩათვლით) კომისია ყოველდღე იკრიბებოდა და მუშაობდა ვერსალში, მონბორონის ქუჩაზე მდებარე ნაციონალური ბიბლიოთეკის შენობის ქვედა სართულის დარბაზში, სადაც ოკუპაციის წლებში გადაძალული იყო დიდი ყუთები ქართული განძით. კომისია ამოწმებდა ნივთებს 1934 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში რ. ლენჯელერის მიერ შედგენილი აღმწესსავი ოქმისა და სიის საფუძველზე. ამისათვის, როგორც ა. ნიჟარაძე და კ. მელაძე იხსენებენ, ე. თაყაიშვილი, ა. ნიჟარაძე და კ. მელაძე იღებდნენ ნივთებს ყუთებიდან, მათ სიაში აღნიშნავდა ა. ნიჟარაძე და შემდეგ კვლავ აწყობდნენ ყუთებში.

ეტყობა, 7 დეკემბერს, ხუთშაბათს დაუსრულებიათ ნივთების შეჯერება პარიზულ 1934 წლის სიასთან. 8 დეკემბერს, პარასკევს, ნივთებით დატვირთული ყუთები კომისიის წევრებს, საბჭოთა გენერალური საკონსულოს თანამშრომლების დახმარებით, მსუბუქი

მანქანებით გადაუზიდიათ პარიზში, საბჭოთა საელჩოს შენობაში, რომელიც გრენელის ქუჩაზე მდებარეობდა, სადაც მეორე დღეს, შაბათს, 9 დეკემბერს, უკანასკნელად შეკრებილა კომისია, რომელსაც შეუჯამებია თავისი მუშაობა, არსებითად დასრულებული ვერსალში, და შეუდგენია „ქართული განძის ჩაბარების ოქმი“, ანუ აქტი.

მამასადამე, შერეული კომისიის მუშაობა გაგრძელებულა ერთ კვირას. იგი ხუთჯერ შეკრებილა. ოთხი შეკრების დროს, რომლებიც ეწყობოდა ვერსალში, ნაციონალური ბიბლიოთეკის შენობაში 1944 წლის 4, 5, 6 და 7 დეკემბერს, ორშაბათიდან — ხუთშაბათამდე, კომისიას დაუსრულებია განძში შემავალი ნივთების შეჯვრება ლენზელერის მიერ შედგენილ სიებთან (პარიზული 1934 წლის სია); ხოლო იმის შემდეგ, რაც ნივთები გადაიტანეს პარიზში (8 დეკემბერს, პარასკევს), შერეული კომისია შეკრებილა მეხუთედ, თავის შემაჯამებელ სხდომაზე საბჭოთა საელჩოში 9 დეკემბერს, შაბათს.

ე. თაყაიშვილის არქივმა შემოგვინახა კომისიის ფრანგი წევრების — პ. ჟოდონისა და ა. ლამპერიერის წერილი საბჭოთა გენერალურ კონსულ ა. ა. გუზოვსკისადმი, გაგზავნილი კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ, 15 დეკემბერს, „ქართული განძის ჩაბარების ოქმის“, ანუ აქტის ხელმოწერასთან დაკავშირებით. ეს წერილი იმ გარემოებაზე მეტყველებს, რომ კომისიის საბჭოთა და ფრანგი წევრები მუშაობდნენ შეთანხმებულად და მათი ერთობლივი მუშაობისას კომისიაში სუფევდა კარგი, ურთიერთის მიმართ სიმპათიით აღსავსე დამოკიდებულება. „ჩვენ ბედნიერად ვთვლით ჩვენს თავს იმ გულითადი სიმპათიით აღსავსე ურთიერთობის გამო, რის მიზეზადაც შეიქმნა ეს გარემოება“ (იგულისხმება ქართული განძის ჩაბარება), — სწერდნენ ჟოდონი და ლამპერიერი საბჭოთა გენერალურ კონსულს.

ცხადია, ფრანგების ასეთი სიმპათია საბჭოთა წარმომადგენლებსადმი (მიუხედავად იმისა, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ დაეთმოთ მათთვის ქართული განძი) აიხსნება უმთავრესად იმ დიდი იმედით, რომლითაც შეპყურებდა მაშინ ფრანგი ხალხი საბჭოთა კავშირს, რომლის წყალობითაც ბოლო მოეღო ნაციზმის ბატონობას საფრანგეთში და ახლა მას ბოლო ეღებოდა მთელს ევროპაში.

იმის შემდეგ, რაც 1944 წლის 9 დეკემბერს შერეულმა კომისიამ დაასრულა თავისი მუშაობა, ექვთიმე თაყაიშვილი შესდგომია საბჭოთა საელჩოს შენობაში ნივთების შემოწმებას, მათ აღწერას, ყუთებში ჩალაგებასა და სამშობლოში გამოსამგზავრებლად შემზადებას. ცხადია, ნივთების შემოწმებისას ექვთიმე იყენებდა მის ხელში მყოფ სიებს: მარსელურ 1921 წლის სიასა და თბილისურ 1927 წლის სიას, გამოქვეყნებულს გაზეთ „კომუნისტის“ 1931 წლის 22 თებერვლის ნომერში.

მართალია, 4—7 დეკემბერს შერეულმა ფრანგულ-საბჭოთა კომისიამ უკვე შეამოწმა ნივთები პარიზული 1934 წლის სიის საფუძველზე, რომელიც მარსელიდან პარიზს ჩატანილი ჩვენი განძის შემცველი ყუთების გახსნისას შეადგინა რობერ ლენსელერმა, მაგრამ ექვთიმე ხომ არ დასწრებია ლენსელერის აღწერას და არ იცოდა, რამდენად სრული იყო მისი სია?

ექვთიმეს ამ აღწერაში ეხმარებოდნენ შერეული კომისიის ქართველი წევრები და საბჭოთა გენერალური საკონსულოს თანამშრომლები. როგორც ჩანს, ექვთიმე დიდი ენერჯითა და აჩქარებით მუშაობდა: ერთი მხრივ, მას აღუვებდა კითხვა: ხომ არაფერი დაიკარგა; მეორე მხრივ, ალბათ იგი გრძნობდა მოახლოებულ მძიმე დაავადებას და სურდა აღწერა თავის ლოგინად ჩავარდნამდე დაესრულებინა. ექვთიმეს ენერჯიული მუშაობისა და მის მიერ ნივთების აღწერა-ჩალაგების მოწმენი — გ. გეგელია და ა. ნიჟარაძე თავიანთ მოგონებებში აღნიშნავენ ექვთიმეს არაჩვეულებრივ, რაღაც „ავად-მყოფურ“ სიყვარულს ქართული განძისადმი: ექვთიმეს თურმე არ ესიამოვნებოდა, როდესაც სხვა ვინმე შეახებდა ხელს ნივთებს...

ექვთიმეს აღუწერია და ჩაულაგებია ნივთები 25 ყუთში და ქართულად შეუდგენია ამ ყუთებში ჩალაგებული ნივთების სია⁶⁷. აქედან ჩანს, როგორ გაუადვილებია ექვთიმეს თავისი საქმის გამგრძელებელ შ. ამირანაშვილისათვის მის წინაშე დასახული რთული ამოცანის გადაწყვეტა.

ექვთიმეს არ დასცალდა ამ სამუშაოს ბოლომდე მიყვანა: დიდმა ნერვიულობამ, მძიმე განცდებმა, მრავალი წლის მღელვარებამ, ოკუპაციის მძიმე წლებში განვლილმა მატერიალურმა გაჭირვებამ და მუდმივმა შიშმა, ვერსალის ნაციონალური ბიბლიოთეკის შენობის ქვედა სართულის გათოვილ დარბაზში გატარებულმა ოთხმა დღემ მოტეხა ორგანიზმი მოხუცისა, რომელიც სიცოცხლის 82-ე წელს

⁶⁷ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს კომისიის 1945 წლის 29 დეკემბრის აქტში, სხვათა შორის, ჩაწერილია: „... აღსანიშნავია, ... რომ პირველ ოცდახუთ ყუთში ჩალაგებული განძეულობა წინასწარ ქართულად აღწერა პროფესორმა ე. თაყაიშვილმა, „პარიზული სია“ (ლაპარაკია შ. ამირანაშვილის მიერ პარიზში რუსულად შედგენილ სიაზე. — გ. ე.) ამ ნაწილში წარმოადგენს თაყაიშვილის აღწერის თარგმანს...“

1945 წლის 29 დეკემბრის აქტის თანახმად, პარიზიდან თბილისში სულ ჩამოტანილი იყო 44 ყუთი (№№ 1—37, 37ა, 38—42, 43ა) და ერთი უეკრა (№ 43). აქედან პირველ 25 ყუთში ჩალაგებული განძეულობა აღუწერია ექვთიმე თაყაიშვილს, დანარჩენი ყუთებისა კი შალვა ამირანაშვილს. მასასადამე, გამოდის რომ ე. თაყაიშვილს აღუწერია განძი მოთავსებული № 1—25 ყუთებში, ხოლო განძი მოთავსებული დანარჩენ 19 ყუთსა (ყუთები №№ 26—37, 37ა, 38—42, 43ა) დაერთ შეკერაში (№ 43) — შ. ამირანაშვილს.

უახლოვდებოდა... ყველა ამას ახლა დაემატა მეტად აჩქარებული და დაძაბული მუშაობა პარიზში, საბჭოთა საელჩოს შენობაში.

როგორც ჩანს, ამ დაძაბულ სამუშაოს ექვთიმე უკვე დაავადებული ეწეოდა, არ „ნებდებოდა“ ავადმყოფობას. აკაკი ნიჟარაძის მოგონების თანახმად, „მუშაობის დროს ექვთიმე ხშირად ავადმყოფობდა“ და, ცხადია, მისი ავადმყოფობის დროს ნიეთებს აღარ აღწერდნენ და აღარ ალაგებდნენ. ეტყობა ცოტათი გამომჯობინდებოდა თუ არა, ექვთიმე კვლავ იწყებდა მუშაობას... ამ შეუპოვრობას ცუდინაყოფი გამოუღია: იმის შემდეგ, რაც ექვთიმეს 25 ყუთი ჩაულაგებია, იგი იმდენად სერიოზულად გამხდარა ავად, რომ, საერთოდ, შეუწყვეტია მუშაობა.

მძიმედ დაავადებული მოხუცი დაუწვევნიათ საბჭოთა გენერალურ საკონსულოში (გ. გეგელიას მოწმობით, საკონსულო მდებარეობდა პარიზში, მალზერბის ქუჩაზე), სადაც ავადმყოფის მოვლა უკისრიათ საბჭოთა გენერალურ კონსულ ალექსანდრე გუზოვსკისა და მის მეუღლეს. გუზოვსკის ოჯახი ფრიალ კეთილსინდისიერად მოპკიდებია ამ საქმეს. ამას გარდა ქართველთაგან ექვთიმეზე ზრუნვა საბჭოთა საკონსულოს დაუკისრებია აკაკი ნიჟარაძისათვის, რომელსაც ჩაუბამს ავადმყოფის მოვლაში პარიზში მყოფი ორი ქართველი — თეიმურაზ შავდია და კოლია მელაძე, რომელთაგან უკანასკნელი, როგორც დავინახეთ, განძის ჩამბარებელი კომისიის წევრიც იყო. ისინი დღე-გამოშვებით დადიოდნენ ავადმყოფთან.

ე. თაყაიშვილის მთავარი მომეღელ-პატრონი იყო საბჭოთა გენერალური საკონსულო. განსაკუთრებული ღვაწლი ამ მხრივ მიუძღვის გენერალურ კონსულ ალექსანდრე გუზოვსკის მეუღლეს, რომლის მოვლა-პატრონობას დიდი შაღლიერების გრძნობით იხსენებდა მოგვიანებით თვითონ ექვთიმე⁶⁸. ჭეშმარიტად, ჩვენც მადლობა გვმართებს ამ მაღლიანი ოჯახის მიმართ: ქმარმა დიდი ღვაწლი დაგვდო ჩვენი შესანიშნავი ექსპონატების დაბრუნებაში; ცოლმა — „ცოცხალი ექსპონატის“, შესანიშნავი ქართველის ცოცხლად დაბრუნებაში... ;

⁶⁸ ცოლ-ქმარ გუზოვსკების ეს ამბი ექვთიმემ ასე გაიხსენა ზემოხსენებულ 1946 წლის 4 ივნისის წერილში: „...მთ უმეტეს არ დამეჩვენებია. — წერდა იგი ა. ა. გუზოვსკის, — თქვენი და თქვენი კეთილი მეუღლის ზრუნვა პირადად ჩემზე, როდესაც მე, 25 ყუთის ჩალაგების შემდეგ, ხანგრძლივად დაავადდი და თქვენი მზრუნველობის წყალობით ისე გამოვჯობინდი, რომ, წინააღმდეგ მოლოდინისა, შესანიშნავად გადავიტანე გადმოფრენა ავიონთ პარიზიდან თბილისში. ვემთხვევი ხელზე თქვენს კარგ მეუღლეს, ჩემი გულითადი მოკითხვა და მადლობა მას ჩემზე გაწეული ყველა ზრუნვისა და მომსახურებისათვის....“

საკითხი საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლების პარიზში გაგზავნის შესახებ ექვთიმემ დასეა ჯერ კიდევ თავის წერილებში ეუკოლ ბერიძისადმი (1935 წლის 9 აპრილისა და 26 მაისის წერილები). შემდეგ ასეთივე თხოვნით მიმართა მან პარიზში საბჭოთა ელჩს ა. ე. ბოგომოლოვს (1944 წლის 22 ნოემბრის განცხადება). ახლა, როცა განძი საბჭოთა საელჩოს ხელში გადმოვიდა, ექვთიმეს ეს სურვილიც განხორციელდა.

საქართველოს საბჭოთა მთავრობამ თავის წარმომადგენლებად პარიზს მიაგვლინა ორი ქართველი მეცნიერი — პეტრე შარია და შალვა ამირანაშვილი. მათი პარიზში გამგზავრების სამზადისი, როგორც ჩანს, ორ თვემდე გაგრძელებულა. იმის შემდეგ, რაც შ. ამირანაშვილი სასწრაფოდ გამოუძახიათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, 1944 წლის 16 ნოემბერს, მას, ნიუტების შემოწმების მიზნით, თან წასაღებად შეუმზადებია საფრანგეთში გატანილი განძეულობის სიები, ამოკრებილი მუზეუმების არქივებიდან, ე. ი. თბილისური 1927 წლის სია, რომლის საფუძველზედაც, ნიუტების ამ სიასთან შეჯვრების შედეგად, პარიზში მას რუსულად შეუდგენია განძეულობის სია.

„1944 წლის 27 დეკემბერს საესებით დამთავრდა საფრანგეთში გამგზავრებასთან დაკავშირებული დოკუმენტების გაფორმება“, — იხსენებს შ. ამირანაშვილი.

პეტრე შარიას და შალვა ამირანაშვილის მარშრუტი და გამგზავრების დრო შეიძლება დავადგინოთ მათივე მოგონებების მიხედვით. პ. შარიამ გაიხსენა, რომ ის და შ. ამირანაშვილი გაფრინდნენ თბილისიდან 1945 წლის 2 იანვარს და მიფრინავდნენ ასეთი მარშრუტით: ბაქო (2 დღიანი გაჩერება) — თეირანი (2 დღიანი გაჩერება) — კაირო (2—3 დღიანი გაჩერება) — ალჟირი (რამდენიმე საათიანი გაჩერება) — კორსიკა (ამ კუნძულზე იძულებულნი იყვნენ დაშვებულიყვნენ ძლიერი ქარის გამო, თვითმფრინავი ძლივს დამჯდარა) — მარსელი (რამდენიმე საათიანი გაჩერება) — დიჟონი (ერთი ღამის გაჩერება) — პარიზის ბურჟეს აეროდრომი.

პარიზში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებს დიდის პატივით მიუღიათ საქართველოს წარმომადგენლები: პ. შარია დაბინავებულა სასტუმრო „ბრისტოლში“, ხოლო შ. ამირანაშვილი მოუწყვიათ საბჭოთა საელჩოში, გრენელის ქუჩაზე.

ჩაფრენის დღესვე საქართველოს წარმომადგენლებს უნახავთ ავადმყოფი მოხუცი, რომელსაც, ცხადია, მათი დანახვა დიდად გახარებია. განსაკუთრებით ეს იამოვნა თურმე თავისი ყოფილი სტუდენ-

ტის⁶⁹, ხოლო იმ დროს უკვე სახელმწიფოებრივი მეცნიერის შ. ამირანაშვილის დანახვა.

შალვა ამირანაშვილი ჩასვლისთანავე შეუდგა ექვთიმეს მიერ აღუწერელი და ჩაუღაგებელი განძეულობის მის მიერ ჩატანილ თბილისურ 1927 წლის სიასთან შეჯერებას და მის რუსულად ხელახალ აღწერას, რის შედეგადაც მან შეადგინა და თბილისში ჩამოიტანა განძეულობის სია, რომელსაც საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს კომისიის 1945 წლის 29 დეკემბრის აქტში ეწოდება „პარიზული სია“. სულ, შალვა ამირანაშვილს მოუხდა 19 ყუთსა და ერთ შეკვრაში მოთავსებული განძეულობის აღნუსხვა, სიასთან შეჯერება და აღწერა. ცხადია, საქმე მას დიდად გაუადვილა იმ გარემოებამ, რომ 25 ყუთში მოთავსებული ექსპონატები ექვთიმეს მიერ იყო უკვე აღწერილი. შალვას მოუხდა მხოლოდ ექვთიმეს მიერ შედგენილი სიის თარგმნა რუსულად და ასე შეუტანია იგი თავის ე. წ. „პარიზულ სიაში“.

შ. ამირანაშვილის ამ მუშაობასთან დაკავშირებით გ. გეგელიამ გაიხსენა, რომ, როგორც მას შეუტყვია, პარიზში მეტი განძეულობა აღმოჩენილა, ვიდრე შ. ამირანაშვილის მიერ პარიზში ჩატანილ სიაში იყო აღნიშნული, რადგან ეს სია სრული არ ყოფილა. როგორც ეტყობა, ეს დაკვირვება საფუძველს არაა მოკლებული.

ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რომ თბილისური 1927 წლის სია, გამოქვეყნებული გაზეთ „კომუნისტის“ 1931 წლის 22 თებერვლის ნომერში, სრული არ იყო: მასში არ იყო შეტანილი A კატეგორიის განძიდან — დიგორის ნივთები, კირიონის კარადის ნივთები; ასევე სრულიად არ იყო ასახული ზუგდიდისა და თბილისის სასახლეებიდან გატანილი დიდძალი ქონება — B კატეგორიის აუარებელი ექსპონატი; მით უფრო მასში არ აისახებოდა ბორჯომისა და ლიკანის სასახლეებისეული ქონება — სურათები და სხვ., რომლებიც არც პარიზულ 1934 წლის სიაში იყო ასახული.

„დაძაბული მუშაობის შედეგად, — წერს შ. ამირანაშვილი, — უკვე 15 თებერვლისათვის დავამთავრე კოლექციების აღწერა და სიის შეჯერება თბილისიდან ჩამოტანილ სიებთან. საეხებით დოკუ-

⁶⁹ თბილისის უნივერსიტეტის გახსნის დღიდან (1918 წლის დამდეგს), ვიდრე უცხოეთში გამგზავრებამდე, 3 წლის განმავლობაში, ექვთიმე თავისიველი კოხეულობა ლექციებს არქეოლოგიაში, ე. ი. სიძველეთმცნიერებაში. ექვთიმეს მსმენელთა შორის იყვნენ ის სტუდენტები, რომელთაც 1922 წელს მიენიჭათ უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დასრულების დიპლომი. დიპლომანტთა შორის იყვნენ: სიმონ ჭანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, სერგი შაკალათია, გიორგი ბოქორიძე, თამარ ლომოური, ალექსანდრა წერეთელი, შალვა ჩხეტია. გრიგოლ ფურცელაძე, დორიეთ უჩანეიშვილი. სოკრატ მიხისტარაშვილი და სხვანი. მათთან ერთად, როგორც ხელოვნებათმცოდნე, დამთავრდა უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი შალვა ამირანაშვილი.

შენტურად დადგინდა, რომ ყველა კოლექცია, ცალკეული ნივთი და დოკუმენტი უკლებლივ იყო შენახული⁷⁰. სიების შედგენისა და შეჯვარების შემდეგ ყველა ნივთი საგანგებოდ შევფუთეთ და ყუთებში ჩავალავეთ“.

ე. თაყაიშვილი, ცხადია, მოუთმენლად ელოდა შ. ამირანაშვილის მიერ ამ სამუშაოს დასრულებას, რათა შეეტყო, ზომ არაფერი დააკლდა საუნჯეს?

„მე ხშირად ვნახულობდი მას, — იხსენებს შ. ამირანაშვილი ავადმყოფ ექვთიმეს შესახებ, — დაწვრილებით გააცანის კოლექციების აღწერისა და შემოწმების შედეგები“; შემდეგ იგი უმატებს: „მუშაობის პერიოდში ექ. თაყაიშვილი ავადმყოფობდა, მაგრამ საქმის ვითარებას გაცნობილი იყო ჩემი შეშევებით“. მეორე ადგილას შ. ამირანაშვილი აღწერს ექვთიმეს უსაზღვრო ბედნიერებას, როცა მოხუცს შეუტყვია, რომ განძეულობას არაფერი ჰქონდა მოკლებული. აი, სწორედ ამ დროს მიუწერია აღტაცებულ მოხუცს პიერ ჟოლონისათვის თავისი მადლობით აღსავსე წერილი, რომელიც 1945 წლის 28 თებერვლითაა დათარიღებული. ექვთიმეს არქივში დაცულია ამ წერილის როგორც ფრანგული, ისე რუსული ეგზემპლარები. „ნება მიბოძეთ, ბატონო, — სწერდა ექვთიმე პიერ ჟოლონს, — როგორც ქართული მუზეუმების წარმომადგენელმა, მოგიძღვნათ ჩემი მადლობა იმ ზრუნვისათვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ ზემოხსენებულ მუზეუმთა ნივთების დაცვის საქმეში, თქვენ და თქვენმა თანამშრომლებმა...“ ამის შემდეგ ექვთიმემ მოიხსენია პ. ჟოლონის განსაკუთრებული დამსახურება, როდესაც მან შესძლო განძის დაცვა და გადარჩენა როგორც ობოლენსკაიას პრეტენზიებისაგან, ისევე განძის ნაციისტთა მხრივ ხელყოფისაგან (ეს ადგილები ექვთიმეს ამ წერილებიდან უკვე მოყვანილია ჩვენი ნარკვევის სათანადო ადგილას).

„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, — ასრულებდა წერილს ექვთიმე, — რომ მე ვაცნობებ ყველა ამ ფაქტს ქართულ მუზეუმებსა და მთელ [ქართველ] ხალხს, რომელნიც სამუდამოდ დევალებულნი იქნებიან თქვენგან და არ დაივიწყებენ თქვენს დამსახურებას“.

ექვთიმეს წერილი პიერ ჟოლონისადმი დათარიღებულია 28 თებერვლით. ჩანს, 1945 წლის თებერვლის დამლევისათვის სავსებით დასრულებული ყოფილა განძის სიებთან შეჯვარება, აღწერა („პარიზული სიის“ შედგენა); საუნჯე, შეფუთული, ელაგა 44 დიდ ყუთში.

⁷⁰ ცხადია, შ. ამირანაშვილი აქ გულისხმობს უმათერესად თბილისის მუზეუმებიდან გატანილ განძეულობას, ნაწილობრივ დასაჯლეთ საქართველოს ეკლესიამონა-ტრენის ქონებას, რაც ასახული იყო თბილისში 1927 წლის სივში.

იგი იმყოფებოდა პარიზში, საბჭოთა საელჩოს შენობაში და ელოდა სამშობლოში გამომგზავრებას.

ცხადია, საჭირო იყო მოვლა ნაკლებ ღირებული, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ქონებისა, რომელიც, როგორც ზემოთ იყო ნახსენები, ინახებოდა ლევილში, ექვთიმე თაყაიშვილის ბინაზე. იქ ელაგა C კატეგორიის ქონებით (რუსული ეკლესიების ნივთები და წიგნები) დატვირთული 6 ყუთი და S კატეგორიის ქონება — ბორჯომის სასახლეებიდან გამოტანილი 90-ზე მეტი სურათი, რომლებიც ექვთიმეს ოთახების კედლებზე ეკიდა, ერთი ყუთი პეპლების კოლექციებითა და ერთი ყუთიც ცხენზე აწვებდრებული ნაპოლეონის ბრინჯაოს ქანდაკებით, რომელიც, როგორც თავის დროზე იყო ნახსენები, „აღმოუჩინეს“ ექვთიმეს ნაცისტმა ოკუპანტებმა მის ბინაზე მოწყობილი ინსრუქსას.

პ. შარიას და შ. ამირანაშვილის ვიზიტის შესახებ ლევილში იხსენებს თავის მოგონებაში კ. მელაძე. გამგზავრებულან მსუბუქი მანქანით პ. შარია, შ. ამირანაშვილი, აკ. ნიჟარაძე და იგი, კ. მელაძე. როგორც კ. მელაძემ გაიხსენა, ექვთიმეს ბინაში „კედლებზე ეკიდა დიდი სურათები“ და ამას კოლიასათვის მუზეუმში გაუხსენებია: „მუზეუმივით კქონიათ მოწყობილი ოთახი“. პ. შარიას დაუვალებია კ. მელაძისათვის, ჩამოესხნა ყველა სურათი და ჩაეწყო ისინი მანქანაში. სურათები ბლომად ყოფილა. კოლიას საკუთარი ხელით ჩამოუხსნია ისინი, მანქანაში ჩაულაგებია და საელჩოში გადაუტანია.

პ. შარია, შ. ამირანაშვილი და აკ. ნიჟარაძე კი აქაკი ნიჟარაძის მამის ნიკოლოზის ბინაში შეუპატიჟნიათ ...

კ. მელაძე აქ არ იხსენებს ექვთიმეს ბინიდან რაიმე ყუთების გატანას. საფიქრებელია, ისინი არც წაუღიათ, ვინაიდან ეტყობა C კატეგორიის ეს ნივთები და რუსული საეკლესიო წიგნები არ ცნეს დიდმნიშვნელოვნად ქართული კულტურისათვის; მით უფრო ეს ითქმის პეპლების კოლექციაზე და ნაპოლეონის ბრინჯაოს ქანდაკებაზე, რომლის ცხენს ფეხები დამტკრეული კქონდა ... წამოსაღები იყო დიდძალი, მეტად მნიშვნელოვანი ქონება და ალბათ ლევილში მყოფ სხენებულ ქონებას შეეშენენ.

ქვემოთ ნახსენები იქნება, რომ პარიზიდან გამოფრენისას ექვთიმეს წიგნებიც კი ვერ მოთავსებულა თვითმფრინავზე, ვერ დატეულა.

საფიქრებელია, ლევილიდან ბორჯომის სასახლეებისეული სურათების გამოტანა მოხდა 1945 წლის თებერვლის დამლევს ან ამის ახლო ხანებში, იმის შემდეგ, რაც შ. ამირანაშვილმა დაასრულა საბჭოთა საელჩოში განძის აღრიცხვა, სიებთან შეჯერება, აღწერა, შეფუთვა და ყუთებში ჩალაგება. განძი მზად იყო სამშობლოში გამოსამგზავრებლად

და ახლა მას შეუერთეს ლევილში, ექვთიმეს ბინაზე დაცული, ბორჯომის სასახლეებისეული სურათებიც⁷¹.

1945 წლის თებერვლის დამლევინდან აპრილის დამდეგამდე, ესე იგი ერთ თვეზე მეტ ხანს ჩვენი განძი და მისი გამყოლები ელოდებოდნენ სამშობლოში დაბრუნებას.

როგორც ეტყობა, სწორედ ამ ხნის განმავლობაში, რაკი დარჩა თავისუფალი დრო, მოახერხა შ. ამირანაშვილმა პარიზისა და მის ღირსშესანიშნობათა დათვალიერება, რაზედაც წერს იგი თავის მოგონებებში. ალბათ ამ დროს გაუცვნია მას გამოჩენილი ფრანგი მეცნიერები — ორიენტალისტი რენე გრუსე, არქეოლოგი ჟორჟ კონტენო, არქეოლოგი ჟან შარბონო, ისტორიკოსი ანდრე გრაბარი, გამოჩენილი რუსი მხატვარი და ხელოვნების ისტორიკოსი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბენუა.

შ. ამირანაშვილის მოგონების თანახმად, პარიზის მუზეუმების მეცნიერ მუშაკთა საერთო კრებაზე მას წაუკითხავს საინფორმაციო მოხსენება თრიალეთის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ. მოხსენებას გამოუწვევია გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ცნობილ არქეოლოგ ჟორჟ კონტენოს თრიალეთის ვერცხლის თასისათვის უწოდებია „ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმი იმ აღმოსავლური ხელოვნების ნაწარმთა შორის, რაც კი აღმოჩენილია უკანასკნელი ორმოცდაათწლეულის მანძილზე“.

აბაერთ ფრანგ მეცნიერს დიდი ინტერესი გამოუჩენია ქართული ხელოვნების ძეგლებისადმი, რომელნიც სამშობლოში დასაბრუნებლად იყო გამზადებული; ზოგიერთი მათგანისათვის შალვა ამირანაშვილს დაუთვალიერებინებია კიდევც საბჭოთა საელჩოში დაცული ჩვენი განძი.

აღსანიშნავია, რომ ორი ანალოგიური მოხსენება გაუკეთებია შალვა ამირანაშვილს; ერთი — საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებისათვის, მეორე — ქართველ ემიგრანტთათვის; საბჭოთა საელჩოს თანამშრომელთათვის მოხსენება შალვას გაუკეთებია რუსულად, ხოლო ქართველ ემიგრანტთათვის — ქართულად. ეს კარგად დაამახსოვრდათ იმ ქართველებს, რომელნიც მაშინ პარიზში იმყოფებოდნენ (იხ. ე. თაყაიშვილის, გ. გეგელიას, აკ. ნიჟარაძის, თ. შავდიას, მ. მჭედლიშვილის მოგონებები). ამ მოხსენებას დასწრებია მთელი ქართველი ემიგრაცია, მენშევიკების „მთავრობის“ წევრების ჩათვლით; აგრეთვე, ყოფილი ტყვეები, ანტიკომუნისტური და პარტიზანული მოძრაობის მონაწილენი, მათ შორის მანანა მჭედლიშვილი. ა. ნიჟარაძეს დაამახ-

⁷¹ საფიქრებელია, სწორედ ამ ბორჯომის სასახლეებისეულმა სურათებმა შეადგინეს ის ერთი შეკერა, რომელიც 44 ყუთში ჩალაგებულ განძთან ერთად ჩამოიტანეს თბილისში.

სოვრდა მოხსენების წაკითხვის ადგილიც: სახლი გრენელის ქუჩაზე, საბჭოთა საელჩოს შენობის მახლობლად.

ემიგრანტებს უთხოვნიათ, რომ წაკითხულიყო ორსაათიანი მოხსენება, სინამდვილეში კი მოხსენება გაგრძელებულა ოთხ საათს.

შეკრების თავმჯდომარედ ყოფილა ექვთიმე თაყაიშვილი.

მოგონებებში შემონახულ ცნობებს აზუსტებს ერთი მცირე ზომის-ლოკუმენტი, რომელიც შემოგვინახა ექვთიმეს არქივმა. ესაა ხელის მანქანაზე ნაბეჭდი მოსაწვევი ბარათის ორი ეგზემპლარი.

მოგვყავს ერთ-ერთი მოსაწვევი ბარათის შინაარსი:

„კვირას, 11 მარტს, საღამოს 8 საათზე თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი შალვა ამირანაშვილი წაკითხავს მოხსენებას ქართულ ხელოვნებაზე, პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით.

მისამართი: Salle d'Horticulture, გრენელის ქუჩა, 84.

მეტრო: სოლფერინო და სევერ-ბაბილონი“.

ამ მოსაწვევი ბარათის მიხედვით ზუსტად შეიძლება დადგენა მოხსენების ჩატარების ადგილისა და დროსი. იგი შემდგარა 1945 წლის 11 მარტს, კვირა დღეს მებაღეობის საზოგადოების დარბაზში (Salle de la Société d'Horticulture), რომელიც მდებარეობს გრენელის ქუჩაზე, № 84 სახლში, საბჭოთა საელჩოს მახლობლად (ეს უკანასკნელი ხომ მდებარეობს ამავე ქუჩაზე, № 79 სახლში).

მოსაწვევი ბარათი აზუსტებს შ. ამირანაშვილის მოხსენების სათაურსაც. მოხსენების თემა ყოფილა „ქართული ხელოვნება“. ცხადია მოხსენებაში უმთავრესი ყურადღება დათმობილი ექნებოდა იმ დროინდელ უკანასკნელ არქეოლოგიურ მონაპოვრებს — თრიალეთისა და მცხეთის გათხრებს და, საერთოდ, ძველ ქართულ კულტურულ კვრებში წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებს. სწორედ ამიტომ დახსომებია ზოგიერთ დამსწრეს, რომ შ. ამირანაშვილს მოხსენება წაუკითხავს: „საქართველოში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების“ შესახებ (გ. გეგელიას, აკ. ნიჟარაძისა და თ. შავდიას მოგონებანი).

შ. ამირანაშვილის მოხსენებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქონია. ა. ნიჟარაძე, რომელიც კარგად ერკვეოდა იმდროინდელ ვითარებაში, ამ შეკრებას „მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებად“ თვლის. მისი მოწმობით, „არც ერთ ღონისძიებას არ დასწრებია ამდენი ხალხი“; მოხსენებას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრეებზე, რომელთაც ოვაციები გაუშართავთ მომხსენებლისათვის. ხოლო ექვთიმე თაყაიშვილის მოწმობით, რომელიც თავმჯდომარეობდა ამ შეკრებას, შთაბეჭდილება ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ არაერთ ქართველ ემიგრანტს სამშობლოში დაბრუნების სურვილიც კი გამოუთქვამს ...

რაკი ექვთიმე თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა 1945 წლის 11 მარტის შეკრებას, ჩანს, რომ ამ დროისათვის იგი უკვე სავსებით განკურნებული იყო. მოხუცი ამ დროს უკვე იმდენად კარგად გრძნობდა თავს, რომ თურმე ბანკეტებზეც კი გამოდიოდა სიტყვებით ...⁷².

იმ დროს, როცა ექვთიმე ამ სიტყვებს წარმოთქვამდა უკვე გადაწყვეტილი იყო საკითხი მისი სამშობლოში დაბრუნების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი თავდაპირველად ექვთიმესათვის არ იყო გადაწყვეტილი. როდესაც განძის ჩამბარებელი შერეული კომისია მუშაობდა მისი მონაწილეობით და როდესაც განძი ჩაბარდა საბჭოთა საელჩოს, რომლის შენობაში ექვთიმე აწარმოებდა მის შეჯერებას 1921 და 1927 წლების სიებთან, ექვთიმეს ალბათ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გაეაზრებინა თავის სამშობლოში დაბრუნების საკითხი და, შეიძლება, ფიქრობდა კიდევ, რომ განძს გამოისტუმრებდა, თვითონ კი დაღევდა თავის ღლეებს ლევილში და იქვე, ლევილის სასაფლაოზე დაიმარხებოდა მისი ნეშტი, დაიმარხებოდა იმ სასაფლაოზე, სადაც განისვენებდა მისი ერთგული მეგობრისა და მეუღლის ნინოს ნეშტიც ...

საკითხი გადაწყდა პ. შარიას პარიზში ჩასვლის შემდეგ, როდესაც დაავადებული ექვთიმე იწვა საბჭოთა გენერალურ საკონსულოში. პეტრეს უკითხავს ექვთიმესათვის: ხომ არ მოისურვებდა იგი სამშობლოში დაბრუნებას? მოხუცს უპასუხია, რომ მას ძალიან სწყყროდა დაბრუნება, სურდა მისი ძვლები დამარხულიყო მშობლიურ მიწაში ... პეტრეს გაუგზავნია დეპეშა მოსკოვში ჩვენი მთავრობისათვის და სამ ღლეში თანხმობა მიუღია. როცა ეს უხარებია ექვთიმესათვის, შეუმჩნევია, რომ მოხუცის სინარულით გასხვიოსნებულ სახეს მწუხარების ღრუბელმა გადაკრა. ექვთიმეს ისე რომ სხვებს არ გაეგონათ, ჩუმად ყურში უთქვამს პეტრესათვის: — შეილო, ტიტველი ვარ, ასე როგორ წამოვიდე სამშობლოშიო?

⁷² პეტრე შარია იხსენებს გამოსათხოვარ ბანკეტს, რომელიც მოეწყო საბჭოთა საელჩოში. ამ ბანკეტზე მეტად შინაარსიანი მოკლე სიტყვა წარმოუთქვამს ექვთიმე თაყაიშვილს. საფიქრებელია, ეს ბანკეტი მოეწყო 1945 წლის მარტის დამლევს ან აპრილის დამდეგს, პარიზიდან გამოგზავრების წინა ღლეებში. აჯაკი ნიჟარაძე იხსენებს კიდევ ერთ ბანკეტს, რომელიც მას, აჯაკის მოუწყვია განძის ჩამბარების შემდეგ ქართველი პარტიზანების სახსრებით, ელენე ფერაძის რესტორანში, რომელიც მაშინ პარიზში მღებარეობდა. ა. ნიჟარაძის მოწმობით, ბანკეტს დასწრებიან ე. თაყაიშვილი, გ. გვეგელა, ქართველი პარტიზანები, ა. ე. ბოგომოლოვი, ა. ა. გუზოვსკი, საბჭოთა სამხედრო მისიის ოფიცრები. თამადად ამ ბანკეტზე ექვთიმე თაყაიშვილი ყოფილა. ექვთიმეს წარმოუთქვამს სიტყვა, რომლის თემად აურჩევია: „სტალინი, როგორც საერთაშორისო დემოკრატიის ბუღალი“. უღაპარაკია მას ნახევარ საათს. ექვთიმეს ამ სიტყვას დასწრეებზე წარუშლული მთაბუქლიება მოუხდენია....

„ამას ამბობდა კაცი, რომლის ხელშიც იყო დიდი განძეულობა, მაგრამ მისმა პატიოსნებამ ნება არ მისცა მას პირადად თავისთვის რითიმე ესარგებლა!“ — ალტაცებით იგონებს პეტრე.

პეტრეს მოთხოვნით ბოგომოლოვს მიუცია ანგარიშქვეშ 50 ათასი ფრანკი. ამ ფულით კაიროში უყიდიათ ექვთიმესათვის ტანსაცმელი (საფრანგეთი ომი და ნაცისტური ოკუპაციით სრულიად გამოფიტული იყო და იმ დროს იქ თურმე არაფერი იშოვებოდა).

რამდენიმე დღით ადრე გამომგზავრებამდე დაუნიშნიათ განძის მცველები. ესენი იყვნენ ყოფილი საბჭოთა ტყვეები — კოლია მელაძე და თეიმურაზ შავდია, რომელთაც უკვე წარმატებით შეასრულეს ადრე მიცემული დავალება — უვლიდნენ ავადმყოფ ექვთიმეს; ხოლო კ. მელაძე განძის ჩამბარებელი კომისიის წევრიც იყო და მონაწილეობდა განძის ვერსალიდან პარიზში გადატანაში; შემდეგ ლევილიდან პარიზშივე ჩამოიტანა ბორჯომის სასახლეების სურათები.

ორივე მცველი მაშინ ახალგაზრდა იყო: კოლია 30 წლისა, თეიმურაზი 22 წლისა. პეტრეს მოთხოვნით პარიზში საბჭოთა საბჭედრო მისიის უფროსს განკარგულება გაუცია შეეკერათ მცველებისათვის საბჭოთა ოფიცრების ტანსაცმელი. როგორც ახსენდება თ. შავდიას, ორი კვირით ადრე პარიზიდან გამოფრენამდე იგი, თეიმურაზი და კოლია გაამწესეს განძის მცველებად. მათთვის შეაკერინეს საბჭოთა ოფიცრების სამხედრო ფორმა პარიზში მცხოვრებ ქართველ მკერავს გედევან ასათიანს. თითო ფორმა დამჯდარა 27 ათასი ფრანკი. შეაიარაღეს ისინი ინგლისური ავტომატებით. თეიმურაზს მიეცა ლეიტენანტის წოდება (ეს წოდება მას დატყვევებამდეც ჰქონია მინიჭებული), კოლია მელაძეს — უმცროსი ლეიტენანტისა.

თუ ვერწმუნებით თ. შავდიას ამ მოგონებას, ვაშოდის, რომ ის და კ. მელაძე განუწყვეტებით განძის მცველებად ორი კვირით ადრე პარიზიდან გამოფრენამდე, ე. ი. 1945 წლის 22 მარტს (რადგან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გამოფრინდნენ 5 აპრილს).

გამოფრინდნენ პარიზიდან ორი თვითმფრინავით. როგორც ეს ახსენდება თ. შავდიას, ეს იყო ორმოტორიანი „დუგლასები“, ნახევრად საბარგო. თვითმფრინავში მარცხნივ იდგა სავარძლები თითო რიგში — თითო (თეიმურაზს ახსენდება, რომ სულ 8 სავარძელი უნდა ყოფილიყო), მარჯვნივ ეწყო ყუთები განძით და დიპლომატიური ფოსტა. სულ, როგორც მას ახსენდება, წამოუღიათ 65 დიდი ზომის ყუთი⁷³.

⁷³ ჩვენი განძი ჩამორტანეს ჩალაებული 44 დიდი ზომის ყუთში და ერთ შეკვრად. საფიქრებელა, დანარჩენი იყო განძის გამყოლთა, მათ შორის ექვთიმეს პირადი ქონება — არქივი, დიპლომატიური ფოსტა და სხვ.

ეს ყუთები და მგზავრები გაუნაწილებიათ ამ ორ თვითმფრინავში. პირველში ჩამსხდარან ერთი მეორის მიყოლებით პეტრე შარია, შალვა ამირანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე გუზოვსკი⁷⁴ და თეიმურაზ შავდია; მეორეში — კოლია მელაძე და, როგორც თვითონ კ. მელაძე იხსენებს, ორი რუსი საბჭოთა პოლკოვნიკი⁷⁵. ყუთები ისე იყო განაწილებული, რომ მეტი ყოფილა მეორე თვითმფრინავში, რომლითაც კოლია მელაძე მოფრინავდა.

როგორც ჩანს, სწორედ ამ მეორე თვითმფრინავს გულისხმობს პ. შარია, როდესაც იხსენებს, რომ იმ თვითმფრინავით, რომელშიაც იგი არ იჯდა, გამოუგზავნია მას ზუგდიდის სასახლის ვერცხლეული — 900 კილოგრამის წონისა. ცხადია, ამ ტვირთს ნაკლები ფასი ჰქონია, ვიდრე მეორე თვითმფრინავისას, სადაც მოუთავსებიათ თბილისის მუზეუმებისა და დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრების განძეულობა.

ექვთიმეს 1946 წლის 4 ივნისის წერილიდან ა. ა. გუზოვსკისადმი, სხვათა შორის, ირკვევა, რომ ყველაფერი, რაც წამოსაღები იყო, ვერ მოუთავსებიათ თვითმფრინავებზე, ვერ დატეულა. ექვთიმე იძულებული გამხდარა დაეტოვებინა საბჭოთა საელჩოში რამდანიმე ყუთი თავისი წიგნებით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მის მიერ გამოცემული წიგნები იყო, მათ შორის ეგზემპლარები ექვთიმეს მიერ პარიზში 1938 წელს გამოცემული წიგნისა — „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“ (ამ წერილით ექვთიმე სთხოვდა საბჭოთა გენერალურ კონსულს დაეჩქარებინა მისი წიგნების შემკველი ყუთების გადმოგზავნა).

როდესაც პ. შარია, შ. ამირანაშვილი, ე. თაყაიშვილი, ა. გუზოვსკი და მათი თანმხლები პირები — თ. შავდია, კ. მელაძე და ორი საბჭოთა პოლკოვნიკი გასულან აეროდრომზე თვითმფრინავებში ჩასახლდომად, პ. შარიას მოგონების თანახმად, ისინი გამოუცილებია საბჭოთა საელჩოს მთელ შემადგენლობას. აქ კიდევ ერთხელ უნდა გა-

⁷⁴ იმ ვარაუდს, რომ საბჭოთა გენერალურმა კონსულმა ალექსანდრე გუზოვსკიმ ნამდვილად იმოგზაურა ქართულ განძთან ერთად. მოწმობს თ. შავდიას და. კ. მელაძის მოგონებებს გარდა ე. თაყაიშვილის წერილი ა. ა. გუზოვსკისადმი, დათარიღებული 1946 წლის 4 ივნისით, რომელსაც ექვთიმე ასე იწყებს: „განჯლო უკვე წელიწადმა, რაც ჩვენ თქვენთან, პარტიკულ აკადემიკოს პ. შარიასთან და პროფესორ ამირანაშვილთან შვილობილ ჩამოვედით თბილისში და ჩაშოვიტანეთ საქართველოს სამუზეუმო განძეულობა...“

⁷⁵ ერთი ამ ორ პოლკოვნიკთაგანი, როგორც ეტყობა, ყოფილა აშკამად მოსკოვში მცხოვრები გენერალ-მაიორი გრიგოლ ვასილის ძე შალიოუგა. იხ. ვ. ხარაზოვის სტატია დასათარებელი: «Кажэ з’дэ дня. Гаზეты «Вечерний Тбилиси», 9. VIII. 1978, № 182 (10 178), გვ. 3.

ესვას ხაზი იმ დამსახურებას, რომელიც ჩვენი განძის დაბრუნების საქმეში საბჭოთა ელჩ ა. ე. ბოგომოლოვთან და გენერალურ კონსულ ა. ა. გუზოვსკისთან ერთად მიუძღვით საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებს. მათი დახმარებით გადაიტანეს განძი ვერსალის ნაციონალური ბიბლიოთეკის შენობიდან პარიზში, გრენელის ქუჩაზე მდებარე № 79 სახლში და იქ მას სათუთად ინახავდნენ; დიდ მზრუნველობას იჩენდნენ აქედან ჩასული პეტრე შარიას და შალვა ამირანაშვილის მიმართ, უკანასკნელი ხომ საელჩოს შენობაში ცხოვრობდა და დიდი პატივით სარგებლობდა საელჩოს თანამშრომელთა მხრივ; ისინივე უვლიდნენ დაავადებულ ექვთიმეს, რომელიც იმდენად გამოაჯანმრთელეს, რომ 82 წლის მოხუცმა კარგად გადაიტანა თვითმფრინავით საკმაოდ ხანგრძლივი მოგზაურობა, თანაც ეს ხომ იყო თვითმფრინავით მისი პირველი მოგზაურობა⁷⁶.

მოგზაურთა მოგონებების ურთიერთ შეჯერებიდან ირკვევა, რომ თვითმფრინავები პარიზიდან გამოფრენილან 5 აპრილს და იმავე დღეს ჩაფრენილან რომში, სადაც ორი დღე გაუტარებიათ, 7 აპრილს აფრენილან რომის აეროდრომიდან და ის დამე გაუტარებიათ ბენგაზის ამერიკულ აეროდრომზე. 8 აპრილს ბენგაზიდან ჩაფრენილან კაიროში, სადაც ორი დღე დაუყვიათ, 10 აპრილს გასულან კაიროს აეროდრომიდან და ჩაფრენილან თეირანში, საიდანაც მეორე დღეს, 11 აპრილს აფრენილან და იმავე დღეს თბილისის აეროდრომზე დაშვებულან⁷⁷.

⁷⁶ საბჭოთა საელჩოს თანამშრომელთა დამსახურებას იხსენებს ექვთიმე თაყაიშვილი თბილისიდან პარიზს ა. ე. ბოგომოლოვისათვის გაგზავნილ წერილში, რომელიც 1946 წლის 4 ივნისითაა დათარიღებული.

„...მოვალე ვარ, აგრეთვე, გამოეხატო ჩემი მადლობა ყველა თქვენი თანამშრომლისადმი. — წერდა ექვთიმე. — რონელთაც თქვენი გამგზავრების შემდეგ (ლაპარაკია ა. ე. ბოგომოლოვის გამგზავრებაზე დე გოლთან ერთად პარიზიდან მოსკოვს. როგორც ცნობილია, იგი ესწრებოდა მოსკოვის მოლაპარაკებებს 1944 წლის 2—10 დეკემბერს. — გ. ე.) გამოიჩინეს დიდი გულმოდგინება, პატიოსნად და სიყვარულით დაგვეხმარნენ ნიეთების მიღებაში, გადაზიდვაში, შენახვასა და შეფუთვაში. ყველა ამის წყალობით ჩვენ არაფერი დაგვიკარგავს, ყველაფერი მშვიდობით ჩამოვიტანეთ თბილისში...“

ამასვე სწერდა ექვთიმე იმავე დღეს გუზოვსკისაც: „გთხოვთ, გადასცეთ ჩემი მადლობა ყველა თქვენს თანამშრომელს, რომელნიც ენერგიულად და სიყვარულით გვეხმარებოდნენ...“

⁷⁷ ცხადია, გზაზე ჩვენი საუნჯე იყოფებოდა განსაკუთრებული მზრუნველობისა და მეთვალყურეობის ქვეშ. ასე, მაგალითად, როგორც იხსენებდა განსუენებული ალექსანდრე კოკლავეაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, რომელსაც მამინ, განძის ჩამოტანის ემს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის პოსტი ეკავა, მოსკოვიდან, სსრკ შინაგან საქ-

სულ განძის დაბრუნებას სამშობლოში, შემოვლითი გზით, დასჭირდა შვიდი ღღე, შვიდჯერ ნაკლები, ვიდრე მის უცხოეთში გატანას!

თანამგზავრთა მოწმობით, ექვთიმე, უკვე პარიზში განკურნებული საბჭოთა საკონსულოს თანამშრომელთა და ქართველთა კარგი მოვლით და გამხნეებული მისი დიდი ხნის ნატურის შესრულებით, გზაში კარგად გრძნობდა თავს. ამან გადაატანინა მას მის სიცოცხლეში პირველად განცდილი საპაერო მოგზაურობა⁷⁸.

ექვთიმეს კარგ გუნებაზე მოგზაურობას მოწმობს ერთი ფაქტი, რომელიც გაიხსენა პეტრე შარიამ. გამოფრენის მესამე ღღეს, თვითმფრინავი რომ პაერში იყო, ექვთიმეს უცებ კონიაკი მოუთხოვია. პეტრეს უფიქრია, რომ მოხუცი შეოძლოდ შეიქნა და შეშფოთებულა. კონიაკი მიუციათ და ექვთიმეს შეუხსევია პეტრეს სადღეგრძელო: გახსენებია თურმე, რომ იმ ღღეს პეტრეს დაბადების ღღე იყო ...

თვითონ ექვთიმე ხსნიდა თავის სიმხნევესა და გზის კარგად გადატანას იმ შესანიშნავი მოვლით, რომელიც მას ჰქონდა პარიზში, საბჭოთა საკონსულოში ყოფნისას. სწორედ ამიტომ სწერდა იგი საბჭოთა გენერალურ კონსულ ა. ა. გუზოვსკის თბილისიდან 1946 წლის 4 ივლისს: „თქვენი მზრუნველობის წყალობით ისე გამოვმჯობინდი, რომ, წინააღმდეგ მოლოდინისა, შესანიშნავად გადავიტანე გადმოფრენა ავიონით“.

მაგრამ, ცხადია, აქ სულიერ ფაქტორსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ექვთიმე უახლოვდებოდა მშობლიურ მიწა-წყალს, რომელსაც იგი თითქმის მეოთხედი საუკუნე იყო დაშორებული და აი, უსრულდებოდა მას სურვილი: განძთან ერთად ბრუნდებოდა სამშობლოში, ნანატრ მშობლიურ მიწას დაადგამდა ფეხს.

მთა სახალხო კომისარატის სამდიონოს უფროსისაგან მიუღია საგანგებო დავლება: გაეგზავნა ირანის სახლვარზე ჯარისკაცების ჯგუფი, რათა უზრუნველყვნენ განძის დაცვა; ჯუღთიდან თბილისამდე. ეს დავლება მას შეუსრულებია.

⁷⁸ ამ თავის პირველსა და უკანასკნელ საპაერო მოგზაურობის შესახებ ექვთიმე თბილისიდან შემდეგი მისწერა 1946 წლის 3 ივნისს თავის მეგობარ ი. გოგოლაშვილს:

„...პირადად მე გზაში ავიონზე კარგად ვგრძნობდი თავს, არაერთი უზერხელობა არ გამომცლია მაშინაც კი, როდესაც 4.500 მეტრის სიმაღლეზე ვიყავით...“

„ექ. თაყაიშვილი მეტად ღელავდა ამ ხანგრძლივი საპაერო მოგზაურობის დროს, — იხსენებს შ. ამირანაშვილი, — ეს იყო მისი პირველი მგზავრობა თვითმფრინავით. მან ჯერ კიდევ წამოვლისას ჩამოშარტა სიტყვა, რომ თუ გზაში ცუდი რამ მოუვლიდა, არსად არ დავტოვებოდა და ცოცხალსა თუ მკვდარს სამშობლოში ჩამოვიყვანდი. საბედნიეროდ, მან ეს ხანგრძლივი მგზავრობა კარგად აიტანა, ხოლო სამშობლოს ნახვამ მეტი მხნეობა და სულიერი ძალა შესძინა...“

შ. ამირანაშვილი იხსენებს, რომ, როდესაც ექვთიმე კიბით ჩამოვიდა თვითმფრინავიდან, მას ძალიან აღელვებულსა და თვალცრემლიანს მიუმართავს მისთვის, შალვასთვის შემდეგი სიტყვებით: „ახლა შემიძლია ვთქვა, რომ შევასრულე ჩემი ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე. მე ძალიან ბედნიერი ვარ და არა მაქვს უფლება ბედს დავემდურო“.

თეიმურაზ შავდია, რომელმაც ექვთიმესთან ერთი თვითმფრინავით იმოგზაურა, იხსენებს, რომ, როდესაც ექვთიმემ „თბილისის აეროდრომზე ქართულ მიწას ფეხი დაადგა, მან ზევით აიხედა, ცას შეხედა, მერე დაიღუნა, მარჯვენა ხელით აიღო მიწა და ეამბორა მას“.

ჩამოსვლისთანავე, როგორც იხსენებს თეიმურაზი, პ. შარიაშვილმა მანქანით წაიყვანა ექვთიმე, შალვა ამირანაშვილი და გუზოესკი. თეიმურაზმა და კოლა მელაძემ კი ორი მძიმე მანქანით წაიღეს განძეულობა საქართველოს მუზეუმში და შეიტანეს საუნჯე მუზეუმში. ეზოდან. . .



1945 წლის აპრილში დასრულდა ჩვენი საუნჯის მეოთხედსაუკუნოვანი ფათერაკებით აღსავსე „ოღისეა“. მისი საქართველოს მუზეუმის შენობაში მოთავსებით დავიწყეთ ჩვენი ნარკვევი ამ „ოღისეის“ შესახებ და ახლაც აქამდე მოვიყვანეთ იგი.

საუნჯის სამშობლოსათვის ჩაბარებით აღსრულდა ექვთიმე თაყაიშვილის მთავარი ნატერა. ამასთანავე მოხუცმა არ დაივიწყა ისინი, ვინც დიდი როლი შეასრულა ჩვენი განძის გადარჩენის საქმეში და ერთი წლის შემდეგ, 1946 წლის 4 ივნისს მისწერა მადლობით აღსავსე წერილები პარიზში საბჭოთა ელჩ ა. ე. ბოგომოლოვსა და გენერალურ კონსულ ა. ა. გუზოვსკის. წერილები ნაწერია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დარბაზებში განძის გამოფენის გახსნიდან ათი თვის შემდეგ. ექვთიმეს არქივმა შემოგვინახა ამ ორი წერილის შაგები. ზემოთ ჩვენ არაერთხელ მოვიყვანეთ აღგილები ამ წერილებიდან. არც თავისი მეგობრები დაივიწყებია მოხუცს. ხსენებული ორი წერილის მიწერის წინა დღეს, 1946 წლის 3 ივნისს ექვთიმემ წერილი მისწერა ემიგრაციის წლებში თავის გულითად მეგობარს იოსებ გოგოლაშვილს, რომელშიც გაუზიარა მას თავისი შთაბეჭდილება ახალ თბილისზე.

„თბილისს გარეგნულად ველარ იცნობ, — წერდა ექვთიმე, — ისე გამწვანებული და გამშვენიერებულია, აუარებელი დიდი და მცირე ნაგებობაა აშენებული, მაგრამ არაფერი არ ყოფნის, მცხოვრებთა რიცხვი ნახევარ მილიონზე მეტია. შეჩერებულ შენობათა აგებას უკვე შეუდგენს. . . 79“

⁷⁹ ექვთიმეს ამ შთაბეჭდილებას ახალ თბილისზე ეხმაურება მისი შთაბეჭდილება, რომელიც უკრნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა:

„პირდაპირ ზღაპრულად გარდაქმნილი და გამშვენიერებული დამხვდა თბილისი რომ ჩამოვედი. მარტო სტალინის სახელობის სანაპირო, მისივე სახელობის პარკი, ყოფ. თავისუფლების მოედანი (ქარვასლა რომ დაუნგრევიათ და გაუფართოვებიათ) და კომკა შირის ხეივანი რაღა ღირს? სანაპიროს ადგილას ხომ აშორებული სანაგვე-წუმპეები დაეტრევე, როცა მივლოდი! მთაწმინდის თხემიდან ვაღმობხედვას არაფერი შეედრება! არსად მსოფლიოში ასეთი ლამაზი ქალაქი არ მოიძებნება, პარიზში არაფერი ამის მსგავსი არა... მთაწმინდის პარკი ხომ წინათ ჩემი ცოლოურის, პოლტარაკების საკუთრება (გაბაშვილის

„ოცდახუთწლიანი ოდისეის“ განცდის შემდეგ, ექვთიმე თაყაი-შვილი პირველად წარსდგა ქართული აუდიტორიის წინაშე თავისი მოხსენებით, რომელიც გააკეთა 1946 წელს თბილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. მოხსენების თემა იყო: „ვერობაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები ქართული ძეგლების შესახებ“⁸⁰.

ქალის ნაშთით) იყო და იმ მამულ-ადგილებში ხშირად მიეღია... მაგრამ სად მაშინდელი ოქროყანა და მისი მიდამოები და სად ახლანდელი პარკი? დიდი გაქანებითა და გემოვნებითაა ყველაფერი გაკეთებული! მთაწმინდის პანთეონიც რა კარგადაა მოწყობილი და მოეღილა? ბევრი ღირსეული ნეშტიც გადაუტანიათ იქ“. იხ. „მნათობი“, 1959, №9, გვ. 174.

⁸⁰ ამ შინაარსის სტატია ექვთიმე თაყაიშვილმა პირველად გამოაქვეყნა პარიზში, იქაური ქართული გაზეთის 1929 წლის მაისისა და ივნისის ნომრებში სახელწოდებით: „ქართული სიძველენი ვერაპოილ ანტიქარებთან“; ხოლო ექვთიმეს არქივი შეიკავს ამ ნაკრევებს სრული სახით (ნარკვევის შემცველი საგაზეთო ფურცლებითურთ). ეს გარემოება აღინიშნა უკვე ე. კელენჯერძეს მიერ (იხ. მის მიერ გამოცემული „აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი. აღწერილობა“, თბ., 1972, №№ 1082, 1083, გვ. 124).

თბილისის უნივერსიტეტში ამ მოხსენების წაკითხვის შემდეგ განვლო რამდენიმე თვე და 1947 წლის 11 აპრილს ექვთიმემ წაიკითხა რვიე მოხსენება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XXIV სამეცნიერო სესიაზე. უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიაში წაკითხულ ამ მოხსენებას, თავის თავად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საკმარისია ერთი მაგალითი. ე. თაყაიშვილის ამ მოხსენებიდან პირველად გახდა ცნობილი ჩვენი მეცნიერებისათვის XI საუკუნის შესანიშნავი ძეგლის—პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის (წესდების) ქართული ტექსტის აღმოჩენის ამბავი. ექვთიმეს მოხსენებიდან შეიტყუეს ჩვენმა მეცნიერებმა, რომ, გარდა უკვე გამოცემული ბერძნული ტექსტისა (1888, 1904), არსებობს ამ ტიპიკონის ძველი ქართული ტექსტიც. სათანადო ცნობა ექვთიმეს მიუღია ლეიბნი უფონის დროს, მეორე მსოფლიო ომის წინ, საფიქრებელია, 1938 წელს ან მის ახლო ხანებში. ამასთანავე ექვთიმესათვის ხელნაწერის ადგილსამყოფლად შეცდომით დაუსახელებათ კ. კვიპაროსი.

ექვთიმეს მიერ მოხსენიებულმა ამ მეტად მნიშვნელოვანმა ფაქტმა ბიძგი მისცა ჩვენი სახელოვანი მკვლევრის აკაკი შანიძის მიერ დაწყებულ ძიებას. 1949 წელს მოწყობილ სამეცნიერო ექსპედიციის დროს მის მიერ მიკვლეულ იქნა ბულჯარეთში, ქ. სოფიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ქართული ტექსტის გვიანი ხელნაწერი, რომელსაც უფრო ადრე მიაკვლია გრ. ფერაქემ (1936) და გამოსცა იგი თანდართული ლათინური თარგმანითურთ მის. თარხნიშვილმა (1954).

ა. შანიძის დაჯინებითი მეცადინეობის შედეგად მიკვლეულ იქნა პეტრიწონის ტიპიკონის ქართული რედაქციის ძველი, XIII საუკუნეში გადაწერილი ტექსტის ადგილსამყოფელი—კ. ხოისის კორასის სახელობის ბიბლიოთეკა და შესაძლებელი შეიქნა ექვთიმეს მოხსენების 12 წლისთაზე, 1958 წელს მიღებულ ყოფილყო პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის როგორც ბერძნული, ისევე ქართული რედაქციის ტექსტების ფოტოპირები. პირველი — ბერძნული ტექსტი, მისი ახალ ქართულ ენაზე თარგმნითურთ გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა თავისი „გეორგიკის“ V ტომში (1963), ხოლო ტიპიკონის ქართული რედაქციის ტექსტი ხანგრძლივი და გულდასმითი შესწავლისა და კვლევის შედეგად, ფოტოპირების მიღებიდან 13 წლის შემდეგ, გამოაქვეყნა ა. შანიძემ, თანდართული თავისი შესანიშნავი გამოკვლევით, რომელსაც სათანადოდაა აღნიშნული ამ ძვირფასი ძეგლის მიკვლე-

ამ შეკრებას თავმჯდომარეობდა უნივერსიტეტის რექტორი აკად. ნიკო კეცხოველი.

ექვთიმეს ამ მოხსენებამ, განსაკუთრებით კი სახელმძოხვეჭილი „ოდისეადალანდილი“ მომხსენებლის პირველმა გამოჩენამ ტრიბუნაზე, ბუნებრივია, ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. მოხსენებას აუარებული ხალხი დასწრებია.

როგორც მოხსენების ერთ-ერთი დამსწრე პროფ. კოტე გრიგოლია იხსენებს, მოხსენება ჩატარდა იენისის თვეში.

საზოგადოებაზე მეტად ძლიერი, პირდაპირ წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია არა იმდენად თვით მოხსენებას, რამდენადაც შესავალ სიტყვას, რომელიც ექვთიმემ წარუძღვარა თავის. მოხსენებას. ექვთიმეს არქივში დაცულია ამ შესავალი სიტყვის წინასწარი ჩანაწერი, რომელსაც ექვთიმემ წააწერა: „პროგრამმა მოხსენებისა“. და აი, როგორ დაიწყო ექვთიმემ ეს თავისი შესავალი სიტყვა:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწაფენო, ახალგაზრდა სტუდენტებო, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მეცნიერებო და ინტელიგენტებო, საქართველოს საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელნო, ამხანაგებო, პირველად მაქვს ბედნიერება წარმოვსდგე თქვენს წინაშე 25 წლის შემდეგ, რაც მე ეს ჩვენი სათაყვანებელი უნივერსიტეტი იძულებით, თვალცრემლიანმა დაესტოვე და ამიტომ ნება მომეცით ორიოდ სიტყვა როგორც იტყვიან pro domo sua⁸¹ მოგახსენოთ და ჩვენი დაუფიწყარი დიდი მგოსნის აკაკის სიტყვები [თ] დავიწყო. ეს სიტყვები პოეტურ აქსესუარებს გარდა ჩემზე გამოჭრილია:

„ცა - ფირუზ, ხმელეთ - ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ
მკურნალად შემეყარეო!...“

„დიახ, სნეული დავბრუნდი, მაგრამ მაინც ხომ დავბრუნდი და შევსძელი ჩვენს ძვირფას სამშობლოსათვის დამებრუნებინა გატანილი

ვაში ე. თაყაიშვილის ღვაწლი. იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია, თბ., 1971. იხ. შესავალი, გვ. 22—27, 40—41, 55—57.

⁸¹ „pro domo sua“ ლათინური გამოთქმაა, სიტყვასიტყვით: „თავისი საკუთარი სახლისათვის“. ესაა სათაური ციციკონის მიერ წარმოთქმული ერთი სიტყვისა. ეს გამოთქმა იხმარება მაშინაც, როდესაც კაცი იცავს თავს, ანდა, სიტყვით გამოსული, ეხება საკუთარ თავს, საკუთარ საქმეებს.

სამუზეუმო ქონება და ეს ქონება კიდევ მეტად გამემრავლებინა ...“
ექვთიმეს ამ სიტყვებზე ბერს იქ დამსწრეთაგანს ცრემლი მორე-
ვია. . .

საყვარელ სამშობლოს წინაშე ჭეშმარიტად ვალმოხდილი განაგრ-
ძობდა ექვთიმე მშობლიურ მიწაზე მოღვაწეობას, ეწეოდა მნიშვნელო-
ვან მეცნიერულ კვლევას, უკარნახებდა ჩამწერთ თავის მეტად საინ-
ტერესო მოგონებებს. . . მშვიდად უახლოვდებოდა იგი გარდუვალს. .
ეფიქრობთ, ბედნიერი იყო, ვინაიდან მას ორივე ნატერა აუსრულდა.

ნატერა პირველი: მან ჩამოუტანა სამშობლოს მისი საუნჯე,
რომლის გადარჩენაში ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი დაუფასებელია,
ამიტომაც არ შეიძლება ერის გულში ამ საუნჯის დამცველისა და
მისი მომელელის სახელი სამუდამოდ აღბეჭდილი არ დარჩეს.

ექვთიმეს მეორე ნატერა იყო, რომ მისი ნეშტი გულში ჩაეკრა
მშობლიურ მიწას, რომელიც მსოფლიოს ულამაზეს მხარედ მიაჩნდა
დიდ მამულიშვილს.

დიდი პოეტის სიტყვით რომ ენატრა მოხუცს, იმავე ლექსის
„განთიადის“ უკანასკნელი ტაეპით შეეძლო გამოეთქვა ეს თავისი
ნატერა:

„ღედა-შვილობამ, ბერს არ გთხოვ:
შენს მიწას მამაბარეო,
ცაფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“⁸²

⁸² სტროფები აკაკი წერეთლის ცნობილი და პოპულარული ლექსისა — „განთიადი“. ლექსი შეთხზულია 1892 წელს, პირველად დაიბეჭდა 1893 წელს. იხ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 238.

ВОЗВРАЩЕННЫЕ СОКРОВИЩА



(Краткое резюме)

В сочинении о «Возвращенных сокровищах» повествуется о 24-летней «Одиссее» (выражение С. Н. Джанашиа) замечательных исторических памятников Грузии, вывезенных из Тбилисских музеев (Музей Общества распространения грамотности среди грузинского населения, Церковный музей, Музей Общества истории и этнографии, Музей Грузии), Национальной галереи, Гелатского, Мартвильского и Хобского монастырей, Тбилисского, Боржомского, Ликанского и Зугдидского дворцов — в феврале и марте 1921 г. эвакуированных во Францию бывшим меньшевистским правительством Грузии, при активном вмешательстве и по настойчивым советам французского посланника.

Вместе с сокровищами в вынужденную эмиграцию, в качестве главного хранителя сокровищ, выехал известный ученый Е. С. Такайшвили (1863—1953). Однако, вместе с тем, меньшевистское правительство объявило себя хозяином грузинских национальных сокровищ и другого многочисленного имущества, вывезенного из Тбилисского банка и Тбилисского и Кутаисского казначейств.

Добравшись после 7-недельных мытарств до Франции, лучшая часть эвакуированного имущества — музейные и монастырские сокровища, рукописные книги, картины из Национальной галереи, экспонаты из Зугдидского и Тбилисского дворцов — были сданы на хранение в Марсельское отделение Французского банка; книги из Боржомского и Ликанского дворцов были помещены на сельском складе поблизости от Парижа. Остальное же имущество, главным образом вывезенное из Боржомского и Ликанского дворцов (посуда, ковры, предметы домашнего обихода, статуэтки и проч.) — около двух третей всего вывезенного из Грузии имущества — было распродано, за исключением церковной утвари, некоторых других предметов и картин, ко-

торые хранились в 2-х комнатной маленькой квартире Е. С. Такайшвили в «Шато-Левиль» — двухэтажном доме в местности Левиль (деп. Сена-и-Уаза, в 26 км южнее Парижа) — ставшем центром маленькой грузинской колонии.

Вывезенные грузинские сокровища не раз подвергались опасности (попытки скупить часть сокровищ, предпринимаемые иноземцами; судебный процесс, дважды возбужденный в Париже наследницей Дадвани — С. Н. Мингрельской-Оболенской, с целью завладения частью грузинских сокровищ и т. п.).

Объявив в начале 1933 г. бывшее грузинское меньшевистское правительство «не существующим», французское правительство, посредством судебного процесса, объявило грузинские сокровища «бесхозным» имуществом (май 1934 г.), отобрало их и надзор за ними был поручен чрезвычайному агенту французского правительства — П. Жодону, который с 1924 г. заведовал таким же русским «бесхозным» имуществом.

Сокровища были перевезены из Марселя в Париж, в помещение Французского банка, подробно описаны судебным экспертом и запрятаны в сейфе банка.

Хранитель сокровищ Е. С. Такайшвили начал упорную борьбу за возвращение сокровищ Грузии. Он обратился к правительству Грузинской ССР, которое, при активном содействии НКВД СССР и советского полпредства в Париже, предприняло энергичные шаги с целью возвращения сокровищ (1935—1936 гг.). Однако все попытки полпредства и самого Е. С. Такайшвили, действовавшего в тесном контакте с полпредством, его рапорты, поданные французским министрам, не имели положительных результатов. Французские правительства, сменявшие друга друга, отклоняли все эти домогательства или отмалчивались. Меморандум Советского полпредства о грузинских сокровищах, поданный в МИД Франции (март 1936 г.), был также оставлен без удовлетворения. Е. С. Такайшвили удалось лишь передать Советскому полпредству богатую библиотеку, вывезенную из Боржомского и Ликанского дворцов, которая вошла в фонды фундаментальной библиотеки Тбилисского университета.

Правильно учитывая огромную опасность, нависшую над грузинскими сокровищами со стороны гитлеровских оккупантов, по совету Е. С. Такайшвили, П. Жодон припрятал сокровища в подвале Версальской национальной библиотеки, прикрыв ящики с сокровищами мусором и ремонтными отходами.

После освобождения Парижа от гитлеровской оккупации (конец августа 1944 г.), побуждаемый к тому проживавшими там грузинами, видный участник движения французского сопротивления Г. Д. Гегелия возбудил дело перед вновь восстановленным в Париже советским посольством (сентябрь 1944 г.), получил большую поддержку со стороны советского посла А. Е. Богомолова и ген. консула А. А. Гузовского, который снесся телеграммой с Советским правительством. Вскоре было принято решение советского правительства возбудить дело перед Временным правительством Франции, возглавляемым ген. Ш. де Голлем.

Весьма способствовал успешному завершению дела Е. С. Такайшвили, связавшийся с советским посольством в Париже (ноябрь 1944 г.).

Французское временное правительство удовлетворило ходатайство Советского правительства и грузинские сокровища смешанной франко-советской комиссией были переданы советскому посольству (декабрь 1944 г.), подробно описаны Е. С. Такайшвили (декабрь 1944 г. — январь 1945 г.) и Ш. Я. Амираншвили (январь—февраль 1945 г.) и представителями Грузинской ССР (П. А. Шария и Ш. Я. Амираншвили) в апреле 1945 г. были привезены в Грузию, приняты правительственной комиссией под председательством С. Н. Джанашиа, распределены между музеями (апрель—декабрь 1945 г.).

Была устроена выставка привезенных сокровищ.

T R É S O R S R É C U P É R É S



(Résumé)

Les monuments historiques et culturels reflétant l'originalité du peuple qui les a créés, ont une importance énorme pour l'histoire de tous les peuples. En Union Soviétique, on attribue un grand intérêt à la sauvegarde des monuments historiques, comme le témoigne la Loi sur la sauvegarde et la mise en valeur des monuments historiques et culturels, promulguée par le Soviet Suprême de l'URSS, le 29 Octobre 1976, et dans l'article 68 de la Constitution soviétique.

Un rôle important dans l'histoire du peuple géorgien incombe aux monuments historiques et culturels. «La culture spirituelle et matérielle du peuple géorgien est complexe, variée et fort originale... Cette culture a sauvé le peuple géorgien à des époques de rudes épreuves et lui a permis de supporter stoïquement toutes les adversités...» (extrait de l'article de E. Takaïchvili, publiée le 25. XI. 1936).

Notre ouvrage est consacré à l'«Odyssee» de 24 ans (expression de S. Djanachia) qui fut celle des remarquables monuments historiques de Géorgie, évacués en France par l'ex-gouvernement menchéviste, des trésors extraits des Musées de Tbilissi (Musée de la Société d'alphabetisation de la population géorgienne, Musée de l'Eglise géorgienne, Musée de la Société historique et ethnographique et Musée de Géorgie), de la Galerie d'art géorgienne; des monastères de Guélati, Martvili et Khobi et des palais de Tbilissi, Borjomi, Likani et Zougdid. Seule, la partie des collections emportées qui fut restituée, compte, selon des données incomplètes, près de cinq mille pièces, ou de leurs assortiments, plus de dix milles monnaies anciennes (dont un nombre assez importants de pièces rares ou uniques), plus de cent tableaux, dont un nombre considérables appartient au pinceau d'illustres artistes et plus de soixante remarquables ouvrages manuscrits et livres anciens (en 1927 rien que la partie des collections qui fut extraite des musées de Tbilissi, de la Galerie nationale et des monastères avait été estimée,

selon des calculs très incomplets d'une commission spéciale composée d'éminents savants et peintres à 10 471 770 roubles or en devises).

Grâce à l'active intervention et à l'instigation d'Abel Chevalley, Ministre plénipotentiaire et Haut commissaire de la République française au Caucase, le gouvernement menchéviste, à sa chute en février-mars 1921, a procédé à l'évacuation des trésors, tout d'abord de Tbilissi (21. II), ensuite de Koutaïssi (1—2. III) et enfin de Batoumi (11. III) sur le croiseur français «Ernest Renan». Ekvtimé Takaïchvili (1863—1953), homme de science réputé, s'est vu forcé de s'expatrier avec les trésors, en tant que leur conservateur-chef. Bien qu'il fut investi de cette charge à Koutaïssi le 1 Mars 1921, le gouvernement menchéviste déclara néanmoins avoir pleins pouvoirs tant sur le trésor national que sur beaucoup d'autres valeurs soustraites à la Banque de Tbilissi et aux trésoreries de Tbilissi et de Koutaïssi. Par la suite, ce néfaste statut juridique a grandement contribué à la confiscation de nos trésors par le gouvernement français (voir plus loin).

Amenés le 13 Mars à Stamboul, les trésors furent embarqués sur un vieux cargo militaire français, «Bien-Hôa» qui, après de longues tribulations les amena, le 10 avril, à Marseille, où une commission formée de quatre personnes (y compris E. Takaïchvili) procéda au triage et à l'inventaire de tous les biens nationaux évacués qui furent emballées dans 234 caisses et un énorme panier. C'est à la même époque (mai 1921) à Marseille que des valeurs entassées dans 128 caisses (dont 112 caisses remplies de valeurs «de devises», et 16 caisses comportant des objets de valeur soustraits du palais de Tbilissi) furent réalisés sur l'ordre des menchéviks pour une somme de 1.200 000 roubles en devises, dont une partie servit à acquérir en été 1922, le «Château-Leuville»—grand bâtiment à deux étages dans la commune de Leuville-sur-Orge, située à 26 km au sud de Paris (départ. Seine-et-Oise). Cette propriété servit de résidence d'été aux menchéviks et devint le centre d'une petite colonie géorgienne. Un petit appartement de deux pièces y fut attribué à Takaïchvili.

Les pièces les plus précieuses des biens évacués, notamment, les trésors provenant des musées et des monastères, des manuscrits, 18 tableaux de la Galerie nationale, des objets en argent, et autres retirés des palais de Tbilissi et de Zougdidji, furent emballées dans 39 caisses d'énormes dimensions et déposés à la Succursale de la Banque de France à Marseille, 27 caisses remplies de livres, provenant des palais de Borjomi et de Likani, furent placées dans des entrepôts de la banlieue

de Paris et 41 caisses, chargées d'objets précieux extraits des églises de Tbilissi et des palais de Borjomi et de Likani (vaisselle, tableaux, tapis, ustensiles ménagers, statuettes et autres), furent transportés à Chateau-Leuville où, dans les années 1922 — 1924, le contenu de 26 caisses fut mis en vente et 8 énormes caisses contenant des ustensiles d'église et d'autres objets de valeur provenant, pour la plupart, de Tbilissi, furent déposés dans l'appartement de Takaïchvili; Quant aux 91 tableaux provenant des palais de Borjomi et de Likani, et formant le contenu des autres 7 caisses, ils prirent place sur les murs des deux pièces occupées par Takaïchvili.

Ainsi, au total, 154 caisses (sur 235 unités d'embal.), comportant des objets de valeur, furent réalisées par les menchéviks au cours des années 1921—1924, à Marseille d'abord, et à Leuville ensuite, ce qui représente près des deux tiers de toutes les valeurs sorties de Géorgie, dont un tiers seulement — le contenu de 81 caisses — a échappé à la liquidation, entre autre, les objets les plus précieux (39 unités d'embal.) déposés à la Succursale de la Banque de France à Marseille au nom du «gouvernement» menchéviste. Les menchéviks devaient verser annuellement à la banque une somme de 2 500 francs. Cependant, ils n'effectuèrent qu'un seul versement pour une année, et cessèrent de s'en occuper par la suite...

Des musées de différents pays étrangers avaient, plus d'une fois, tenté d'acquérir une partie des trésors géorgiens. Des tentatives de ce genre furent entreprises notamment par le Musée de New-York et le British Museum. Cependant, et en premier lieu grâce à l'attitude énergique du conservateur-chef des trésors, E. Takaïchvili, toutes ces tentatives avaient été vouées à l'échec.

Le Gouvernement soviétique géorgien avait plus d'une fois tenté de récupérer pour son peuple le trésor qui lui avait été soustrait, et s'était adressé par l'intermédiaire de ses représentants au Conservateur du trésor, E. Takaïchvili. Ces tentatives avaient été entreprises au début 1923 et au cours de la première moitié 1927. Cependant, elles s'étaient toujours heurtées à l'intransigeance de l'ex-gouvernement menchéviste qui bénéficiait, en ce temps, du soutien de la part du gouvernement français, et n'avaient abouti à rien.

Le changement dans les relations franco-soviétique, dû à la menace croissante du hitlérisme, qui marque la fin de l'année 1932, eut grande influence sur le sort des trésors géorgiens. Le pacte franco-soviétique de non-aggression fut signé à Paris le 29 Novembre 1932 et ra-

tifié le 15 février 1933. Se basant sur l'article 5 de ce pacte, le gouvernement français a supprimé, l'été 1933, la légation du «gouvernement» menchéviste géorgien qui fut déclaré «non existant». Selon toute probabilité, ce fut alors que le Gouvernement français prit la décision de s'appropriier les trésors géorgiens qui, par suite de la liquidation du «gouvernement» menchéviste, devenaient des «biens à l'abandon».

Le procès intenté contre les menchéviks par la veuve du Prince Obolensky, née de Mingrélie, dernière «héritière» des biens ayant appartenu aux ex-princes sérénissimes de Mingrélie, descendants des princes régnants de Mingrélie Dadiani, servit de prétexte à cet acte d'appropriation contestant le droit des menchéviks sur les biens ayant appartenu naguère à son père et à son frère, nationalisés le 31 Décembre 1920 par décret de l'Assemblée constituante, et stimulée d'une part par des amis émigrés, et, en partie, par des capitalistes étrangers qui, dans l'espoir de gros bénéfices, financèrent largement Madame Obolensky, celle-ci déposa une plainte devant le Tribunal du département de la Seine le 8 Mars 1934. La cause fut entendue par le Président de la Cour en procédure de référé (débats extraordinaires et urgents). Des représentants du «gouvernement» menchéviste y furent convoqués en qualité de défendeurs. Or, le 21 Avril, Pierre Jaudon, nommé en Octobre 1924 administrateur judiciaire des biens russes laissés à l'abandon en France, autrement dit des richesses ramenées par les émigrés russes, que le Gouvernement français avait «provisoirement» saisis, vu le refus du Gouvernement soviétique de reconnaître les dettes du Gouvernement tsariste contractées avant la révolution, intervint dans le procès. Comme de bien entendu, le Président du Tribunal se rangea du parti de Jaudon et sur «ordonnance de référé» du 8 Mai 1934 déclara les biens nationaux géorgiens «biens russes laissés à l'abandon», partant du fait que la «souveraineté» de la Géorgie avait été déclarée «non existante» par le gouvernement français.

Ne s'attendant pas à une pareille attitude de la part de la «France hospitalière», les menchéviks, dans leur désarroi, laissèrent passer les délais du pourvoi en cassation de l'ordonnance de référé, et les trésors furent irrémédiablement perdus. Ils furent transportés par P. Jaudon de Marseille à Paris dans les locaux de la Banque de France où les caisses furent ouvertes et les trésors minutieusement inventoriés par le joaillier expert Robert Linzeler (septembre-octobre 1934). Les trésors retirés des caisses furent déposés sur des rayons d'une petite pièce dans les coffres-forts de la Banque de France.

Contrairement aux menchéviks qui, ayant perdu tout espoir de récupérer les trésors, en firent leur deuil, le conservateur des trésors, E. Takaïchvili, entreprit une lutte acharnée en vue de la restitution des biens nationaux à leur propriétaire légitime, — au peuple géorgien et à ses musées. A ces fins, il obtint des menchéviks, en avril 1935, l'abolition du néfaste statut juridique et la délégation de tous les droits sur ces biens à lui, Takaïchvili; au début de mai de la même année, il adressa, en tant que conservateur officiel des trésors, un rapport au gouvernement français par lequel il exigeait la restitution des trésors à la Géorgie soviétique.

Par ailleurs, E. Takaïchvili, par l'intermédiaire du chef de l'administration générale des établissements scientifiques de Géorgie, auquel il écrivait le 9 avril 1935, s'adressait au gouvernement de la RSS de Géorgie pour lui demander aide et soutien. Ce dernier s'adressa en septembre de la même année, à son tour, au Commissariat du peuple des Affaires étrangères de l'URSS qui donna des instructions à la Représentation plénipotentiaire soviétique à Paris qui prit l'affaire en mains.

Cependant, toutes les tentatives entreprises par la Représentation et par E. Takaïchvili qui restait en contact permanent avec cette dernière, ses rapports adressés aux ministres français (mai et décembre 1935, janvier 1937) n'aboutirent à aucun résultat positif. Les ministères français qui succédaient les uns aux autres y répondaient soit par le refus, soit par le silence. Cette coopération rapprocha E. Takaïchvili des Soviétiques. La lutte en commun pour la récupération des biens nationaux amena même Takaïchvili à passer tout un mois dans les locaux de la Représentation Soviétique (décembre 1935). et, en janvier 1936, il adressa une lettre au président du Conseil des commissaires du peuple de la RSS de Géorgie. Le pacte franco-soviétique d'entraide mutuelle, signé à Paris le 2 mai 1935 et ratifié en février-mars 1936, n'eut également aucune influence sur cette affaire. Le Mémoire de la Représentation soviétique portant sur les trésors géorgiens, et adressé au Ministère des Affaires étrangères français, n'aboutit également à rien.

Le seul résultat de cette coopération qui dura près d'un an fut le fait que E. Takaïchvili réussit, en été 1936, à transmettre à la Représentation soviétique la bibliothèque rapportée des palais de Borjomi et de Likani. Cette riche bibliothèque (près de 2300 livres) a pris place dans la bibliothèque centrale de l'Université de Tbilissi.

Durant la deuxième guerre mondiale et l'occupation de la France par les hitlériens, E. Takaïchvili vivait à Leuville où il éprouvait de grosses difficultés matérielles, mais ne perdait pas courage et s'appliquait à sauvegarder les trésors qui lui avaient été confiés. Ses consultations furent très utiles à leur nouveau conservateur français — Pierre Jaudon qui, au nouveau procès, intenté pendant l'occupation par Mme Obolensky, a su sauvegarder une partie considérable de nos trésors, et le verdict rendu par le Tribunal en février 1941 fit définitivement perdre la cause de Mme Obolensky.

Se rendant très bien compte du danger qui menaçait nos biens nationaux de la part des autorités allemandes, P. Jaudon, sur le conseil de E. Takaïchvili, les mit en sûreté: tous les objets précieux, les manuscrits et les tableaux conservés dans les coffres-forts de la Banque de France furent rangés dans 44 caisses sorties secrètement (vraisemblablement en janvier 1941, avant la clôture du procès) des coffres-forts de la Banque de France de Paris, et transportés dans les sous-sols de la Bibliothèque nationale de Versailles, sise rue Montbauron. Le dépôt fut recouvert de débris et de gravats provenant de la restauration du Palais de Versailles. E. Takaïchvili s'y trouvait en personne et prenait une part active dans la dissimulation des trésors. Ces derniers restèrent ensevelis dans cette cachette durant tout le reste de l'occupation, et P. Jaudon a stoïquement tenu bon pendant les interrogatoires qu'on lui a fait subir à la Gestapo en niant le fait jusqu'au bout.

E. Takaïchvili prenait fortement à coeur les activités de la Résistance française auxquelles des Soviétiques — en premier lieu les prisonniers de guerre échappés aux camps de concentration hitlériens — prenaient une part active, et parmi lesquels se trouvaient des Géorgiens. Le vieux savant faisait son possible pour venir en aide à ses compatriotes. Ainsi, les six premiers mois de l'année 1944, il hébergea chez lui une jeune géorgienne échappée de captivité qui avait activement participé au mouvement de la Résistance, et en août 1944 — à la libération de Paris. Les opinions de E. Takaïchvili le rendirent évidemment suspect aux yeux des autorités nazis et par suite, croit-on d'une dénonciation venant d'éléments pro-hitlériens, les autorités d'occupation et la Gestapo effectuèrent une perquisition à son domicile en fin 1942 ou début 1943.

Après la libération de Paris (fin Août 1944) les Géorgiens qui s'y trouvaient s'adressèrent à l'un des membres en vue de la Résistance, Guïorgui Guéguéïa, qui fit des démarches auprès de l'Ambassade de l'URSS nouvellement réinstaurée. Il y reçut un soutien précieux de

la part de l'Ambassadeur de l'URSS, A. Bogomolov, et du Consul général par intérim, A. Gouzovsky qui adressa un télégramme au Gouvernement soviétique, et c'est, vraisemblablement déjà, vers la fin octobre que ce dernier prit la décision de s'adresser au Gouvernement provisoire de France sous la présidence du Général Charles de Gaulle. La réussite de l'affaire est due, en grande partie, à l'intervention de E. Takaïchvili qui, sans se douter des démarches entreprises, s'était personnellement adressé, le 22 novembre 1944, à A. Bogomolov. E. Takaïchvili fut très aimablement accueilli par ce dernier qui lui conseilla de rédiger un rapport détaillé au nom du Général de Gaulle. Ce rapport, appuyé et présenté par l'Ambassadeur de l'URSS, reçut le 23 Novembre, peu de temps avant son départ pour Moscou, une décision favorable du Chef du Gouvernement français; et le 30 Novembre, selon les directives du Gouvernement, le Tribunal français libéra Jaudon de ses fonctions de conservateur des biens géorgiens et décréta leur transmission à la Géorgie.

Le 9 décembre 1944, à Moscou, la veille de la signature du traité d'amitié et d'entr'aide franco-soviétique (10. XII. 1944), la question portant sur les trésors géorgiens fut à nouveau abordée pendant le dîner offert par Staline au Général de Gaulle.

En même temps, du 4 au 9 décembre 1944, siégeait à Paris une commission franco-soviétique mixte, composée de 8 membres dont faisaient partie A. Gouzovsky (président), P. Jaudon (vice-président), E. Takaïchvili, G. Guéguéla (secrétaire), et autres. La commission siégeait d'abord dans les sous-sols de la Bibliothèque nationale de Versailles où se trouvaient déposés les caisses avec les trésors et, par la suite, à l'Ambassade de l'URSS, rue de Grenelle à Paris. Pendant les délibérations dans les sous-sols glaciaux de la Bibliothèque nationale de Versailles, E. Takaïchvili prit froid et, par suite de sa maladie, ne put mener à bonne fin le travail entrepris, celui de l'inventaire détaillé des trésors. Il n'eut le temps d'inventorier que 25 des 44 caisses existantes, après quoi sa maladie s'aggrava et il ne dut sa vie qu'aux soins dévoués de la famille de A. Gouzovsky.

En Janvier 1945, des représentants du Gouvernement soviétique et des hommes de sciences géorgiens — les professeurs P. Charia et Ch. Amiranachvili — arrivèrent de Tbilissi à Paris. Le premier d'entr'eux se vit confier la charge laborieuse de l'organisation du transfert des trésors, et le second, celle de terminer l'inventaire commencé par E. Takaïchvili, ce qu'il mena à bonne fin vers les derniers jours de février.

Le 5 avril 1945, sur deux avions transportant les trésors, E. Takaïchvili, P. Charia, Ch. Amiranachvili et A. Gouzovky prirent le vol pour l'URSS et arrivèrent à Tbilissi le 11 avril, où une commission gouvernementale, sous la présidence de S. Djanachia, prit possession des trésors aux réunions de la commission et des souscommissions (16. IV—29. XII 1945), et ouvrit le 15 août 1945 une exposition d'une partie des trésors récupérés.

L'«Odysée» des trésors géorgiens qui avait duré près d'un quart de siècle prenait fin grâce aux efforts prodigués dans cette noble tâche par nos compatriotes et, en particulier, par le conservateur des trésors, E. Takaïchvili. Un grand mérite revient, par ailleurs, au citoyen français, Pierre Jaudon, qui a su, pendant les épreuves les plus dures, défendre contre les pilleurs et sauvegarder les trésors dont il avait la charge.

Cependant, le rôle essentiel dans la récupération des biens nationaux géorgiens incombe indubitablement aux efforts entrepris par le Gouvernement soviétique qui a toujours pris à coeur les intérêts du peuple et la sauvegarde des trésors culturels légués par nos ancêtres et témoignant du passé glorieux de notre Patrie.

ს ა კ ი ე ბ ლ ე ბ ი

პირთა სახელები

- აბრამიშვილი გურამ 7
აბრამიშვილი თამარ 10
ადამია ნინო 7
აელიშვილი ზურაბ 25, 56, 57, 60, 63, 64, 119, 120
ალენი უ. ე. დ. 110
ალექსანდრე II, იმერეთის მეფე 19
ალექსანდრე ბატონიშვილი 19
ალექსანდრე III, რუსეთის იმპერატორი 28
ალექსანდრია ეთერი 7
ალექსეენკო ვ. ვ. 130
ალშიბაია გრიგოლ 110.
ალშიბაია ვლადიმერ 32—34
ალშიბაია-გოგორიშვილისა მარიამ 26
ამბრიაშვილი ანასტასია 10
ამილახვარი დიმიტრი (ბაზორკა) 110, 127, 128
ამირანაშვილი შალვა 7—9, 15, 22, 23, 25, 26, 28, 30, 31, 69, 70, 73, 138, 146, 148—153, 156—159, 166, 173, 174
ასათ მოქმედი 16
ასათიანი გედევან 155
აფაქიძე ანდრია 8
ბაგრატ III, საქართველოს მეფე 17
ბაგრატ III, იმერეთის მეფე 18, 19
ბაგრატიშვილი ქეთევან 7
ბაღოლიო, მარშალი 129
ბაღრაძე შოთა 23, 25
ბალაშევი, კოლექციონერი 27, 28
ბარამიძე თამაზ 7
ბარნაველი, ელფრიდა 7
ბაქრაძე დიმიტრი 15, 28—30
ბეგთაბეგი, ვაღამყერი 11
ბენუა ალექსანდრე 152
ბერიძე ვუკოლ 25, 26, 55, 69, 73, 86—88, 90—93, 95, 96, 106, 148
ბერიძე შალვა 38, 39, 82, 83
ბერლენი ფერნან-მარი-ფილიპ, სასამართლო აღმასრულებელი 82
ბერნ-ბელკური ე.-ა., მხატვარი 49
ბერძენიშვილი ნიკო 149
ბეჟა ოპიზარი, იხ. ოპიზარი ბეჟა
ბეშქენ ოპიზარი, იხ. ოპიზარი ბეშქენ
ბლუმი ლეონ 25, 104, 105, 111
ბოგოლიუბოვი ა. ნ., მათემატიკოსი 72
ბოგომოლოვი ალექსანდრე ფერემის ძე 25, 136—140, 154, 155, 157, 160, 166, 172, 173
ბოტკინი მიხეილ, მხატვარი და კოლექციონერი 27, 28, 69
ბოქორიძე გიორგი 149
ბრინი არისტიდ 45
ბროსე მარი-ფელისიტე 103
ბუისონი 92
ბაბაშვილის ქალი, ე. თაყაიშვილის სილდერი 160
ბეგელია გიორგი 26, 68, 117—119, 121, 126, 137, 138, 140—144, 146, 147, 149, 152—154, 166, 172, 173
გაგუკორი ევგენი 79, 80, 83, 84
განკო ა. აღმოსავლეთმცოდნე 69
გვაზავა გიორგი 77
გიორგაძე გრიგოლ 47
გიორგი XI, ქართლის მეფე 11
გიორგი II, იმერეთის მეფე 18
გირშფელდი, საბჭოთა წარმომადგენლობის მრჩეველი—95, 100, 102, 103
გოგებაშვილი იაკობ 38
გოვიჩიშვილი სიმონ 26, 32

გოგოლაშვილი იოსებ 25, 51, 84, 85, 158, 160
გოლი შარლ დე 113, 127—130, 135, 139—142, 157, 166, 173
გორგაძე დავით 70
გორგაძე სერგი 26, 70, 73, 75
გორდეევი დიმიტრი 30
გრამბარი ანდრე 152
გრაფენი რენე 110
გრიბოედოვი ალექსანდრე სერგის ძე 30
გრეკოლ სეთაის ძე, გადამწერი 12
გრეგორია კონსტანტინე 10, 162
გრუსე რენე 152
გუგუშვილი ანდრია 110
გუზოესკი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე 22, 25, 137, 138, 140, 142, 143, 145, 147, 154, 156—158, 160, 166, 173, 174
გუზოესკის მეუღლე 147, 159
გურგენიძე ვახტანგ 7, 70
დადიანები 32—35, 78, 79, 114—116, 165, 170
დადიანი დავით 32, 35
დადიანი ეკატერინე 9, 19, 20, 32, 34, 35, 40
დადიანი იოსებ 110
დადიანი ირინე 110
დადიანი ლევან I 18, 19
დადიანი ლევან II 11
დადიანი შამია III 18
დადიანი ნიკო დავითის ძე 31, 32, 78
დადიანი ნიკო ნიკოს ძე 32, 33, 78, 114, 116
დადიანი სალომე 20
დავრიდი ჟაკ-ლუი, მხატვარი 21
დავით III კურაპალატი 16
დავით IV აღმაშენებელი 16, 17
დანიელი, მოქვის მთავარეპისკოპოსი 13
დარლანი, აღმირალი 121
დაუ ჭორჯ, მხატვარი 49
დეკდარიანი გაიოზ 26, 46, 47, 73
დეკანოზიშვილი ანდრია 25, 56, 57, 60
დიტრიხი ხრისტიან-ვილჰელმ-ერნსტ მხატვარი 21
დოლაბერიძე ლია 7
დოსითეოსი, პატრიარქი 103
დურნოვო ნ. ნ. 28

ელიგულაშვილი იოსებ 25, 44—47, 49—52, 55, 56, 60
ელისაბედ, შამია III დადიანის მეუღლე—19
ენგელსი ფრიდრიხ 3
ერეკლე II 19
ერიო ელუარდ 76, 91—93, 96, 105
ერისთავი რაფიელ 29, 30
ერმაკოვი, ფოტოგრაფი 31
ფერემი, გადამწერი 13
ფერემ შტერე 11
შანდოე პიერ, გემის კაპიტანი 51—55, 59
ვასილიევი, მხატვარი 28
ვახტანგ VI 13
ვახტანგ, შამია იმერეთის მეფის ბაგრატ III-ისა 19
ზენეიგოროდსკი, კოლექციონერი 27, 28

თავაქარაშვილი მამუკა, გადამწერი და მხატვარი 11
თამარ მეფე 17, 49
თარხნიშვილი მიხეილ 161
თაყაიშვილი ექვთიმე 5, 6, 9, 14, 19—30, 32, 34, 36—40, 42—57, 59, 60, 63—72, 74, 77—79, 82—97, 101—111, 114—120, 122—125, 130—133, 136, 138, 139, 141—169, 171—174
თაყაიშვილი ნინო 46, 49—52, 56, 64, 66, 154
თვალჭერლიძე ალექსანდრე 30
ისგოროვუკა პავლე 69
იოანე ოქროპირი 16, 18
იოანე პეტრიწი 11
იოანე ფუკარალის ძე, გადამწერი 11, 12
იორდანიშვილი სოლომონ 30
იბერმანი ლ.-ჟ., მხატვარი 49
აკაბაძე სარგის 69
აკაიშვილი ვრ. 70
კანდელაკი დავით 72, 90
კანდელაკი კონსტანტინე (კოწია) — 43—46, 84
კაპანაძე დავით 10

კარიკაშვილი დავით 36
კანევა ნ. ს., საფრანგეთის წინააღმდეგ-
გობის მოძრაობის მონაწილე 126
კაქარავა ვილი 7
კეკელიძე კორნელი 24, 31, 69, 70,
110
კელეჩერიძე ელენე 6, 24, 161
კენიგი მ.-პ., ფრანგი სამხედრო მო-
ღვაწე 128
კეცხოველი ნიკო 162
კეიტაშვილი ბიქტორ 94—96, 98, 102
კირიონი, საეკლესიო მოღვაწე 149
კლიშიაშვილი აკაკი 10
კობახიძე კოტე 110
კონდაკოვი ნიკოლოზი 15, 17, 28
კონტენო უორე, ფრანგი მეცნიერი 152
კორაისი, ბერძენი პოლიტიკური მო-
ღვაწე 161
კოჭლაშვილი ალექსანდრე 157
კრანახი ლუკა-უფროსი, მხატვარი 21
კრელი, ტაქსიდერმისტი 30
კრესტინსკი ნ. 94, 97—99
კრეოშვინი, საფრანგეთის წინააღმ-
დეგობის მოძრაობის მონაწილე 126
ლავალი პიერ 76, 88, 91—93, 98, 101,
104, 105, 113, 121, 122
ლამპერიერი ანრი 141—145
ლანსეტე ევენი, მხატვარი 30
ლაურენსი ტ., მხატვარი 49
ლაშხი ნანა 7
ლებრენი ალბერ, საფრანგეთის პრე-
ზიდენტი 113
ლევითი დ., მხატვარი 49
ლემიშვილი სოლომონ 7
ლენზელერი რობერ, ფრანგი იუველი-
ერი-ექსპერტი 19, 20, 82, 144—146,
170
ლენინი ვ. ი. 3, 4, 69
ლეონიდე, კათალიკოსი 43
ლიზერე, საფრანგეთის ფინანსური უწყე-
ბის მოხელე 142—144
ლიონიძე სოლომონ, მღვიანებეი 19
ლომაშვილი ფარნაოზ 7
ლომთათიძე ვიორჯი 23—25, 124
ლომოური თამარ 149
ლორთქიფანიძე გულნაზ 7
ლორთქიფანიძე იასონ 20, 41

ლორთქიფანიძე მარგალიტა 10
ლორთქიფანიძე ნიკო 20, 41, 42, 57

მაისკი ი. მ. 136
მაკალათია სერგი 30, 149
მალეუგა გრიგოლ ვასლის ძე, საბჭო-
თა სამხედრო მოღვაწე 156
მაშია I გურიელი 19
მამნე, ოსტატი 19
მამფორია მიხეილ 26, 32
მართა, იმერეთის დედოფალი 18
მარი იური 69
მარი ნიკო 109
მარქსი კარლ 3, 7
მაჭაცარია გიორგი 7
მაჭავარიანი თამარ 7
მახარაშვილი ანა 7
მახარაძე ელგუჯა 124
მახარაძე ფილიპე 90, 93, 94
მგალობლიშვილი გერმანე 25, 64, 94,
96—102, 137
მგალობლიშვილი ელადიმერ 8
მღვიანი სიმონ 105
მეგრელიძე იოსებ 26, 109, 124
მელაძე კოლა (პოლიკარპე) 26, 66,
67, 117, 118, 142—144, 147, 151,
155, 156, 159
მერაბელი, ლევილის მერის ოლივის
შეუღლე 126, 127
მერაბიშვილი ნ. (ფსევდონიმი) 41
მეტრეველი ელენე 7, 110
მეტრეველი როინი 23, 25
მეუნარგია იონა 32
მეფარიშვილი ლუბა 10
მილე გაბრიელ, ფრანგი მეცნიერი 68
მინგრელსკები, იხ. დადიანები
მიურატი ანტუანეტ, ანუ ბებე 20
მიურატი აშილ 20
მიქაელ მოდრეკილი 11
მიხნევიჩი (ტარასიჩი), საფრანგეთის წი-
ნააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე
126, 131
მიოგანი, ამერიკელი კაპიტალისტი 28
მკვდლიშვილი მანანა 26, 66, 123—126,
130—132, 152
ნაზარი, მიტროპოლიტი 43
ნაოლონ I ბონაპარტი 20, 21, 47—

- 49, 65—67, 122
- ნეიშანი ა., სსრკ საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის თანამშრომელი 99, 100, 102
- ნაიკოლაძე გიორგი 72
- ნიკოლაძე ნიკო 72
- ნიკოლაძე რუსუდან 72
- ნიკორაძე აკაკი 26, 68, 80, 117—119, 123, 137, 138, 142—144, 146, 147, 151—154
- ნიკორაძე ნიკოლოზ 151
- ნიკორაძე ნინო 26
- ობოლენსკაია სალომე 78—80, 83, 95, 99, 111, 113—116, 120, 142, 165, 170, 172
- ობოლენსკი ალექსანდრე 78
- ოლდენბურგი ს., აკადემიკოსი 69
- ოლივი ჟან, ლევილის მერი 126, 127, 131
- ოლაშვილი, მამნე ოსტატის მეუღლე 19
- ოპიზარი ბექა 12
- ოპიზარი ბეშქენ 12
- ბავლე მტბევეარი 11
- პეტენი ფილიპ 112, 113, 121
- პეტერსი ა., მხატვარი 49
- პოკროვსკი მიხეილ ნიკოლოზის ძე 69
- პოლტარაცკები 160
- პომპარე შარლ, დეპუტატთა პალატის წევრი, ადვოკატი 84, 89, 114—116
- პოტიომკინი ვლადიმერ 95, 98
- პრიუდონი პიერ-პოლ, მხატვარი 21
- პროკლე დიადოხოსი 11
- შოდონი პიერ 25, 79—85, 99, 111, 114, 116—121, 133, 137, 140—145, 150, 165, 170, 172—174
- ფორდანია გივი 31, 41
- ფორდანია თედო 29, 69
- ფორდანია იოსებ 69
- „რენანი ერნესტ“, ფრანგი მეცნიერი და მწერალი, რომლის სახელს გემი ეტარებდა 49—53, 168
- როინიშვილი ალექსანდრე 31
- რომელი ფონ 128
- როსტომ, ძე მამია გურიელისა 19
- რუსთაველი შოთა 10, 30, 31, 89
- საბახტარაშვილი კონსტანტინე (კოწია) 50
- სალია კალე (კალისტრატე) 24, 110
- სარაჯიშვილი დავით 38, 53
- სარო ალბერ 98, 101, 104
- სევეროვი ნ. პ., ხუროთმოძღვარი 30, 31
- სვანიძე ალექსანდრე 94
- სვერდლინი ს. 126
- სნიროვი იაკობ, არქეოლოგი 14
- სოლომატინი ე. თ., საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე 130
- სოლომონ 11 19
- სონულაშვილი იროდიონ 10, 20
- სოსნოვსკაია ნატალია 7
- სტალინი ი. ბ. 123, 134, 136, 137, 139, 140, 154, 160, 173
- სურგულაძე აკაკი 23
- თაბიძე ბესარიონ 31
- ტალეირანი, დიპლომატი 21
- ტარასოვილი სერგი 110
- ტასკინი ვ. კ., საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე 126, 130
- ტინოზოვი, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე 126
- უინანეიშვილი დოროთე 149
- ფერაძე გრიგოლ 161
- ფერაძე ელენე 124, 125, 154
- ფილიპოვი კ., მხატვარი 49
- ფირცხალავა სამსონ 77
- ფლანდენი პიერ-ეტეინ 25, 88, 90—93, 95, 96, 101, 105
- ფლორანეი, სასამართლო ექსპერტი 82
- ფრენცი რ., მხატვარი 49
- ფურცელაძე გრიგოლ 149
- ჭანთარია ნიკო 10
- ქართველიშვილი პეპო 16
- ქაჯია ლამარა 6
- ქიქოძე ელისაბედ 30
- ქუთათელაძე ლილი 10
- ღამბაშიძე მელია 24

ლოლობერიძე ნინო 23, 124

შაზბეგი გიორგი 29

ყაუხჩიშვილი სიმონ 161

ყიფიანი ნოე 30, 31, 36, 39

შვედია თეიმურაზ 26, 142, 146, 152, 153, 155, 156, 159

შანიძე აკაკი 17, 69, 109, 161, 162

შარაშიძე ქრისტინე 10

შარბონო ეან, ფრანგი მეცნიერი 152
შარია პეტრე 22, 26, 35, 117, 139, 142, 148, 151, 154—159, 166, 173, 174

შარლემანი იოსებ, მხატვარი 26, 73

შეველე აბელ, ფრანგი დიპლომატი 45, 49—52, 89, 168

შევარდნაძე დიმიტრი 26, 31, 73

შენგელაია ლეო (ქიაჩელი) 34

შიშინი ბ. 30

ჩერკასოვი არკადი 4

ჩერკეზიშვილი ნიკოლოზ 31

ჩიკვაძე ბონდო 7

ჩიჭობაეა გიორგი 7

ჩოლოყაშვილი კოტე 7

ჩუბინაშვილი გიორგი 7, 14—18, 21, 26, 30, 73

ჩუბინაშვილი ტარიელ 10

ჩხენკელი აკაკი 25, 55, 56, 62, 77, 79—81, 83, 84

ჩხეტია შალვა 149

ჩხეტიძე ევდემონ 17—19

ჩხიკვიშვილი ივანე 30

ცაგარეიშვილი მიხეილ 124

ციურულნიკოვი ნ. გ. 126, 130

ციცერონი 162

ცხედაძე ქრისტინე 7

ძიმისტარაშვილი სოკრატ 149

წერეთელი აკაკი 38, 74, 162, 163

წერეთელი ალექსანდრა 149

წერეთელი გიორგი 109

შავეკვაძე ალექსანდრე 19, 30

შავეკვაძე ილია 38

ქვანტურია აკაკი 35

პელიძე მანანა 7

პილაია სერგი 8, 32

ხარაზოვი ვ. ა. 126, 156

ხახანაშვილი ალექსანდრე 38, 74

ხინტიკია ზეინაბ 7

ხუსეივაძე ლეილა 7

ჭავჭავიშვილი ალექსანდრე 7, 10

ჭავჭავიშვილი ივანე 36, 157

ჭანაშვილი მოსე 16, 29, 36

ჭანაშია ლაშა 7

ჭანაშია სიმონ 6, 8—10, 13, 22, 23, 26, 30, 31, 35, 149, 164, 166, 167, 174

ჭანგირაშვილი ლამარა 7

ჭაფარიძე ოთარ 10

ჭგუშია დამიანე 25, 27, 69—71, 78

ჭანი კ. თ. 31

პრინციპი პენრიკ, მხატვარი 26, 73

გეოგრაფიული სახელები

ბესტრია 112, 135

აია-სოფია, წმ. სოფიოს ტაძარი სტამბულში 51

ალავერდი 40

ალბანეთი 128

ალჟირი 128, 148

ამერია 110

ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) 135

ამენი 21

ამიერკავკასია 41, 97, 98

ანგორა (ამჟამინდელი ანკარა) 105

აფრია ეკვატორული 127

აფხაზეთი 17

ალმოსავლეთ პრუსია 135

ახალგორი (ამჟამინდელი ლენინგორი) 13, 14

ახალსენაქი (ამჟამინდელი მიხა ცხაკაია) 49

ბ. ზორკინო (ამჟამინდელი ჩერმენი, ჩრდ. ოსეთის ასსრ) 127
ბათუმი 43, 45—50, 52, 102, 168
ბაიე. ქალაქი ნორმანდიაში, ჩრდ. საფრანგეთი 129,
ბალტიისპირეთი 128
ბასტილია 129
ბაქო 110, 148
ბაირუთი 53
ბელგია 112
ბელორუსია 128
ბენგაზი 157
ბერთი 11
ბერლინი 119, 135
„ბიენ-პოა“, ვიეტნამის ქალაქი და გემის სახელწოდება 51—55, 59
ბიზანტია 28, 51
ბიზერტა 53, 54
ბირ-პაკეიმი 128
ბიუკინთა 17—19
ბორჯომი 6, 47—49, 52, 53, 59, 64, 65, 74, 95—97, 99, 102, 103, 108, 149, 151, 152, 164, 165, 167—169, 171
ბრილი, სოფელი 16
ბუღაბარეთი 128, 161, 162
ბურეე, პარიზის აეროდრომი 148
ბილათი 12, 14, 16—19, 28, 43, 58, 59, 69, 74, 164, 167
ვერმანია 112, 118, 121, 123, 129, 135
ვორდი 35
გორი 16
გუენელის ქუჩა, პარიზი 145, 148, 153, 157, 173
შამსკო 128
ღანია 112
დასავლეთ ვეროპა 56
დიგორი 149
დიდი ბრიტანეთი 112, 113, 127, 135
დიუონი 148
დიუნეერკი 135
ღნეპრი 127
მეროპა 24, 48, 70, 71, 145, 161
ეთიოპია 127
ევატორული აფრია 56

ეგირტა 127
ვარშავა 135
ვარძია 12
ვერდენი („ულაბნოს ვერდენი“, იხ. ბირ-პაკეიმი) 128
ვერსალი 117, 118, 133, 143—146, 165, 172, 173
ვიეტნამი 51
ვიეტორ პიუგოს პროსექტი, პარიზი 63
ვიში 113, 121, 128
ელაზერნი, კონსტანტინოპოლის უბანი 33—35
ზუგდიდი 4, 6, 7, 32—35, 40, 58, 74, 78, 149, 156, 164, 167, 168
თბილისი 6, 7, 9, 22, 24, 26, 28, 30, 33, 35—43, 45, 49, 53, 57, 58, 61, 64, 69, 72, 74, 75, 84, 87, 89, 95, 103, 107, 148—150, 152, 153, 157—162, 164, 165, 167—169, 171, 173, 174
ლუიზიანი 148, 157
თრიალეთი 152
თურქეთი 105, 110 იხ. ოსმალეთი
იზგლისი, იხ. დიდი ბრიტანეთი
ისკენდერონი (ალექსანდრეტი) 53
იტალია 112, 113, 128, 129
იუგოსლავია 50, 113, 128
კაუკასია 3, 14, 30, 31, 33, 39, 48, 51, 168
კაირო 148, 155, 157
კართაგენი 54
კეთილი იმედის კონცხი 127
კიევი 127
კიროსი 161
კოლა 156
კომპიენი 112
კონსტანტინოპოლი 109. იხ. სტამბული
კორსიკა 54
კრუდე-პატი-შანის ქუჩა, პარიზი 81, 83
კურინი 40
კურსკი 127
ლუვილი, ფრანგული სოფელი, სენისა.

- და უაზის დეპარტამენტი 24, 60, 63—67, 72, 74, 95, 96, 102, 103, 114, 125, 126, 131, 151, 152, 154, 155, 161, 165, 168, 169, 172
 ლენინგრადი 109, 127, 128
 ლიბანი 53
 ლიბია 127
 ლიქანი 47, 49, 59, 64, 65, 149, 164, 165, 167—169, 171
 ლიტვა 128
 ლონდონი 110, 113, 136
 ლუფრი, სასახლე 48
 ლუქსემბურგი 112
 მალზერბის ქუჩა, პარიზი 147
 მარსელი 24, 25, 40, 41, 51—53, 55—57, 59—65, 68, 75, 78, 81, 84, 89, 95, 97, 102, 118, 129, 133, 146, 148, 164, 165, 168, 169
 მარტვილი 13, 15, 16, 43, 45, 58, 59, 69, 164, 167
 მერსინი, ანუ მერსინა, კილიკია, მცირე აზია 53
 მონბორონის სტადიონი, ვერსალი 118
 მონბორონის ქუჩა, ვერსალი 181, 144, 172
 მონლერი 65
 მონპარნასი, პარიზი 131
 მონლოლეთი 13
 მოსკოვი 27, 70, 136—140, 157
 მოჭვი 13
 მცირე აზია 53
 მცხეთა 13
 ნარეიკი, ნორვეგია 127
 ნიდერლანდები 112
 ნიუ-იორკი 28, 68, 169
 ნორვეგია 112, 127, 128
 ნორმანდია 129
 ოლთისი 156
 ორიოლი 127
 ორეი, მღ., სენისა და უაზის დეპარტამენტი 65
 ოსმალეთი 33. იხ. თურქეთი
 პანტიკაპეა 13
 პარიზი 9, 20, 22, 24, 26, 28, 38, 39, 45, 55, 60—64, 72, 74, 76, 78, 81, 82, 84, 86, 87, 89, 94—98, 100—104, 108—110, 113—115, 117, 118, 121, 122, 124, 127—131, 133, 134, 137, 138, 140, 143, 145, 146, 148—152, 154, 155, 157, 158, 160, 161, 164—166, 168—173
 პარიზის პროსპექტი, ვერსალი 118
 პეტერბურგი 28, 56. იხ. ლენინგრადი
 პეტრიწონის მონასტერი 161
 პეტროგრადი 32. იხ. ლენინგრადი
 პოლონეთი 110, 112, 128, 135
 პრუტი, მღ. 128
 შენევა 45
 ეიულ ფერის ქუჩა, ლევილი 65
 რიზინი, იტალია 129
 რომი 129, 157,
 რუმინეთი 128
 რუსეთი 14, 27, 28, 33, 69, 70, 79, 81, 101, 134
 საბერძნეთი 113, 128
 სსრკ, საბჭოთა კავშირი— 4, 5, 76, 78, 89, 93, 94, 98—100, 113, 121, 132; 133, 135, 136, 138, 142, 145, 167, 172—174
 სალზინო 35
 სამეგრელო 33, 35, 170
 სარგვეში 33
 სარიყამიში 33
 საფრანგეთი 4, 8, 9, 20, 22, 25, 27, 29, 40, 45, 50—53, 55, 56, 59—63, 68, 70, 71, 76—81, 83, 86, 87, 89, 90, 92, 94—105, 111—113, 115, 117, 118, 120—122, 124—129, 132, 134—136, 138, 142, 143, 145, 155, 164—167, 170, 172
 საქართველო 4—9, 20, 22—24, 26—31, 35, 39—41, 44, 45, 47, 48, 53, 55, 56, 59—62, 64, 69—73, 77—82, 84, 86—89, 93—95, 97, 99—103, 105—107, 111, 114, 123, 133, 137, 139, 146, 148, 159—162, 164, 165, 167, 169, 171
 საქართველო სამუსლიმო, თურქეთის

საქართველო 107, 108, 110, 111, 138
საქვეყნო, სოფელი 13
საქვეყნის წყალი, მდ. 14
სეგრ-ბაბილონი. პარიზი 153
სენის დეპარტამენტი, საფრანგეთი 78,
82, 82, 83, 87, 95, 114, 115, 142, 170
სენისა და უაზის დეპარტამენტი, საფ-
რანგეთი 65, 165, 168
სენეგალი 55, 56
სენეკლუს პროსპექტი, ვერსალი 118
სენ-მიელი, პარიზი 131
სილი-ბელ-აბესი, ალჟირი 127
სილეზია 135
სირია 53, 128
სიცილია 129
სოლფერინო, პარიზი 153
სოფია 161
სპარსეთი 20, 48, 110
სპეცია, იტალია 129
სტალინგრადი 121, 122
სტამბული 49—53, 61, 168
სტეფანწმინდა 13, 29

ბბეთი 11
ტელონი 129
ტუნისი 53, 54

შრაინა იმიერკარპატის 128
უნგრეთი 128, 135

ზილადელფია 68
ფლორენცია 129

ქართველ კათოლიკეთა მონასტერი,
სტამბული 53
ქსანი 14
ქსნის ხეობა 13
ქოთაისი 28, 36—38, 40—43, 45, 46,
49, 84, 164, 168

შაბარლო 40, 58

შემოქმედი 28
შეომღვიმე 11

ჩანგლი 156
ჩერმენი, იხ. ბაზორკინო
ჩეხოსლოვაკია 135
ჩრდილო აფრიკა 121, 127
ჩრდილო კავკასია 13, 69

წყაროსთავი 12

ხვესურეთი 28
სიოსი 161
ხმელთაშუა ზღვა 52 :
ხოზი 17, 49, 58, 59, 164, 167

ჯულფა 158
ყუმათი 28, 69

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
იმ დღის გმირი	8.
რა დაიწერა ჩვენი განძის შესახებ და რა წყაროები მოგვეპოვება მისი ისტორიის შესასწავლად	23
როგორ იკრიბებოდა ჩვენი საუნჯე	27
ქართული საუნჯის უცხოეთში გატანა	36.
თბილისიდან გამგზავრება	36
ქუთაისში	42
ბათუმში	46
უცხოეთში გამგზავრება . სტამბულში. გზა მარსელამდე	50
განძი მარსელში	55
მეოთხედსაუკუნოვანი „ოდისეის“ „შვედობიანი პერიოდი“ . 1921-1934 წლები	63
საფრანგეთის მთავრობა ეუფლება ქართულ საუნჯეს	76
საუნჯის დაბრუნებისათვის ბრძოლა	86
დიდი განსაცდელის წლები	112
საუნჯის დაბრუნება	133
მშობლიურ მიწა-წყალზე	160
Краткое резюме	164
Résumé	167
საძიებლები	175,